ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოლა ლომთათიძე

კრებული

ჭოლა ლომთათიძე

კრებული

უბის წიგნიდან

“იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია;
მუნ მისვლა მიჩანს თამაშად, თუმცა გზა საომარია”.

შოთა რუსთაველი

მე არ ვიცი, ცხადი იყო თუ სიზმარი ეს სურათი. შეიძლება სიზმარიც იყო და შეიძლება არ ყოფილა სიზმარი. მე არ ვიცი, როდის ვნახე ის ვაჟი. შეიძლება დედაჩემმა მიამბო, ან ვინმემ ისეთმა, რომელსაც მე ისე ვუყვარდი, როგორც დედაჩემს. მე არ ვიცი, შეიძლება მაშინ მომელანდა ის, როცა მე “სურამის ციხე” წავიკითხე. ეს იყო ბავშვობისას, ერთი დიდი მუხის ძირში. სკოლიდან წამოვიღე ის წიგნი

და გზაში წავიკითხე. შემოდგომა იყო და მახსოვს, თითქოს ეხლაც ვყნოსავ მწიფე ხეხილების სუნს. შეიძლება მაშინ მომელანდა ის სურათი, ან და შეიძლება მაშინ, როცა ერთი ქართველი ინტელიგენტის ოჯახში ილია ჭავჭავაძის პირველი ტომი გაუჭრელი ვნახე. ერთი სიტყვით, მე არ ვიცი, არ მახსოვს, როდის და რა მდგომარეობაში დავინახე პირველად ის სურათი მე, ეს კია, რომ არაოდეს, არაოდეს ის მე არ დამავიწყდება და მგონია, რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ ვხედავ იმას. და საკმაოა გამახსენდეს ის, რომ გული სიხარულით, სიამაყით, სიცოცხლითა და დაუსრულებელი ბრძოლის სურვილით მევსება. მე მაშინ ბედნიერი ვარ, რაგინდ უბედური, რაგინდ ცუდ მდგომარეობაში ვიყო.

სადღაც, ერთ ფართო და მშვენიერ ველში, რომელიც ყვავილებითა და ია-ვარდით იყო მოცული, სადაც მწიფე ყურძნით დატვირთული ტოტები უცნაური ხეებისა

დამათრობელ სუნნელებას გამოუშვებდა, სადაც პაწია ბავშვი, მშვენიერი დედის მკლავებში, ცალი ხელით დედის ძუძუს ეპოტინებოდა, მეორეთი კი ქარვასავით მოკიანთე ყურძნის მტევანს, ამ უცხო ველში იჯდა ერთი ვიღაცა - არ ვიცი კაცი, არ ვიცი ქალი. ვიცი მხოლოდ, რომ მას ჰქონდა უფლება და ძალა ჩვენება ჩამოერთვა ყველა სულდგმულისათვის... და აი, იმის წინაშე წარსდგნენ სხვადასხვა ერები და ქართველიც წარსდგა მის წინაშე.

- შენი სახელი? - გაისმა მისი კითხვა ქართველისადმი.

- ქართველი, - იყო პასუხი.

- წლოვანება!

- ორი ათასზე მეტი წლის ვარ.

- რას აკეთებდი ამდენხანს ქვეყნად?

- თავს ვიცავდი.

- სულ მუდამ?

- დიახ, სულ მუდამ. ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი მე. თავს ვიცავდი მე მაკედონელის ლაშქრისაგან, მე ვებრძოდი მურვან ყრუს, ვებრძოდი ოსმალოს, სპარსეთს, ვებრძოდი ლეკებსა და კიდევ სხვებს, - ურიცხვია სახელი ჩემი მტრების. მე ჩინგის-ხანს ვებრძოდი, აღა-მაჰმად-ხანს, შაჰ-აბაზს და ლანგ თემურს ვებრძოდი მე, რომ თავი დამეცო. ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე ბრძოლაა თავია დასაცავად, ვებრძოდი უთვალავ მტერს - შინაურსა და გარეულს. მე ვიყავი ყმა თავადაზნაურისა და სამღვდელოებაც ჩემს დაპატრონებას ცდილობდა. ყველას უნდოდა ჩემი გახრა,

ჩემი შეჭმა. მე მართმევდნენ ყველაფერს, ერთხელ ხუცებმა და ბერებმა “ვეფხის ტყაოსნის” წართმევა მომინდომეს მე...

- ეხლა რაღას შობი შენ?

- მე ეხლაც თავს ვიცავ. მტერი ეხლაც ბევრი მახვევია გარს, მოდიან ჩემზე ხმლითაც და მოქარგული ენითაც, სიყვარულსაც მიცხადებენ, რომ დამძლიონ... ეხლაც ბევრია მტერი - შინაური და გარეული. და მე ვებრძვი მათ, თავს ვიცავ.

- არ დაიღალე?

- დაღალვა ჩემი სიკვდილს ნიშნავს ჩემსას, არა, არ დავღლილვარ, სიცოცხლე მწყურია მე და ვერ ვძღები სიცოცხლით. არა, არ დავღლილვარ.

- არც გაბოროტდი ამდენი ბრძოლით, გრძნობები არ დაგიჩლუნგდა, სისხლი არ გიყარს?

- არა, არ გავბოროტებულვარ. ვინც თავს იცავს და იმისთვის იბრძვის - შენ იცი თვითონ - ის არ გაბოროტდება, შენ თვითონ იცი ეს.

- გძულს შენი მტერი?

- მე თავის თავი მიყვარს და ვიცოცხლო მსურს მე. მე არ ვიცი მძულს თუ არა მტერი. მე ვებრძვი მას. მე თავს ვიცავ, იმიტომ რომ თავი მიყვარს. რა ვიცი მე, მძულს თუ არა ჩემი მტერი!

- და ელი კი გამარჯვებას?

- რათ უნდა დავმარცხდე, მე თავს ვიცავ... და ეხლა მე მარტოც არ ვარ - ყველა ერში და ყველა ქვეყნის კუთხეში იზრდება და მძლავრდება იმათი რიცხვი, რომლებიც თავს იცავენ და ისინი მომეშველებიან მე, როგორც მე იმათ. რათ არ უნდა გავიმარჯვო, მე თავს ვიცავ.

და წამოდგა ფეხზე ის, ვინც იჯდა, გაშალა მკლავი და გადაეხვია ქართველს, და გადაკოცნა ის. მოწყვიტა მწიფე ყურძენი და აჭამა მას, და კიდევ აჭამა მას თაფლი. და შეჰკრა გვირგვინი ია-ვარდისა და ყვავილებისაგან და შეამკო თავი მისი. და მისცა მას ხმალი ხელში და უთხრა:

- წადი, განაგრძე და კურთხეული იყოს გზა შენი, ფრიად მძიმე და ფრიად სახარბიელო! წადი, განაგრძე!

შეიძლება სიზმარში ვნახე პირველათ მე ეს სურათი, მაგრამ შეიძლება არც სიზმარი ყოფილა ეს. შეიძლება

აღელვებული, ამდგარი ხალხი რომ დავინახე, მე მაშინ მომელანდა ეს სურათი, ან და მაშინ, როცა ერთმა ჩემმა მასწავლებელმა ერთხელ ძაღლის ენა უწოდა ჩემს დედაენას... სულ ერთი არ არას, სად და როდის ვნახე ის, თუ კი მე ის მამხნევებს, ძალას მმატებს და სიცოცხლეს მაყვარებს? ასე იტყვის ადონაი უფალი: ის, ვისაც უნდა იცოცხლოს, ის არ მოკვდება, ასე იტყვის ადონაი უფალი!

თავისუფლება! თავისუფლება! მე დავიქანცე, მე ცოტა დავისვენო უნდა - ეხლა ზაფხულია და ნება მაქვს დავისვენო. და მეც ჩავიდევი ჯიბეში რამდენიმე თუმანი, მივედი ბორჯომში და იქიდან ავყევი მტკვრის ნაპირებს. ფეხსაცმელებმა იკითხონ, თორემ ფეხებს რა უშავს! შემოვაგლიჯე ყდა "ვეფხის ტყაოსანს", ასე სჯობია იმიტომ რომ, ჯიბეში მისი ჩადება არ გამიჭირდეს. ოცი თუ ოცდა ათი ვერსტი ავშორდი ბორჯომს. აქ მინდა შევდგე ერთი თუ ორი დღე, ავიდე მაღლა მწვერვალებზე,

აბიბინებულ მინდვრებში გავწვე, ბუნებასთან ვიმუსაიფო. თუ პაწია ბავშვი ელაპარაკება ჩიტს, ყვავილს, მცენარეს, სულიერსა და უსულო საგნებს, თუ ის ყველაფერს უდგამს სულს და მერე იმათთან ერთობა, რათ არ შემიძლია მეც დავემსგავსო ბავშვებს! მე თვითონ მსურს სული და გული ჩავუდგა სურათებს, ავალაპარაკო ისინი და ყური დავუგდო. მე მსურს დავისვენო, ძალა მოვიკრიბო და შემდეგ ისევ განვაგრძო შრომა, ჯაფა. რათ არ შემიძლია მეც დავემსგავსო ბავშვებს!

მე ამოვგლიჯე "ვეფხის ტყაოსნიდან" ზიჩის ილუსტრაციები და ერთ მაჰმადიან ქართველს ვაჩუქე ისინი. ცოტათი ეშმაკი კაცი ვარ: მე ვიცი, რომ მართლმორწმუნე მაჰმადიანს "ქითაბი" უკრძალავს სურათის როგორც გადაღებას, ისე შეძენას და ამ საჩუქრით მე მინდა გადავკიდო ის ალლაჰს, - აბა რათ გამაჰმადიანდა ის, ქართველი კაცი, რათ ამჯობინა თავ-

შეხვეული მაჰმადი ჩვენს ქრისტე უფალს! და ამას გარდა, თუ ფრთხილი დარაჯი, ფანატიკოსი მოლა მოჰკრავს თვალს ამ სურათებს და დახევს, აი დარდი! სად მხატვარი ზიჩი და სად შოთა რუსთაველი! ზიჩი - პაწაწკინტელა მხატვარი, რუსთაველი - დიდი პოეტი! ზიჩი დაიბადა სადღაც უნგრეთში, ლუკმა-პურის ძებნაში წააწყდა პეტერბურგს - რა იცის მან ჩვენი ისტორია, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენი ენა. განა ის შეასხამს ხორცს თავიდან ფეხამდე საქართველოს დიდი პოეტის, რუსთაველის სურათებს? დეე გახდეს ეს სურათები მსხვერპლი ფანატიკოს მოლისა - აი დარდი! და მე გავაჩუქე ზიჩის ილუსტრაციები. მხოლოდ სურათი რუსთაველის დავიტოვე მე, თუმცა არ ვიცი, მართლა რუსთაველია ის, თუ ვინმე სხვა. მე მსურს, რომ ის იყოს რუსთაველის სურათი, მაშასადამე, ის რუსთაველია და სხვა არავინ...

ნაშუადღევია. მზე მხურვალედ გვცემს, მაგრამ ჩვენ არ

ვაქცევთ მას ყურადღებას. ჩვენ და იოსებ ზაზაძე, აქაური გლეხი, მივდივართ მაღლა, მთის მწვერვალზე. მგლოვიარედ არის ჩემი თანამგზავრი - ამ გაზაფხულზე მოკვდომია მას წელკავით მისი ძმასავით თანშეზრდილი და ერთგული "სონა-კამეჩი". ჰოდა, მგზავრობაში დარდიან გულს გადააყოლებს, გაერთობა. და ამას გარდა, ტყუილა იმას არ გავრჯი მე, რამეს აუცილებლათ ვაჩუქებ. ეს მე ვიცი და ჩემზე უფრო კარგად იცის თვითონ იოსებმა და განა არ ვემართლები? აკი იოსებმა მიბოძა მე თავადიშვილობა. აბა, როგორ დაიჯერებს იოსები, რომ მე თავადი არ ვარ? აბა რა მიგავს გლეხს! ვხუმრობ მე, როცა უარს ვამბობ. ნამდვილი თავადი ვარ, ნამდვილი "კნიაზი"... და იძულებული ვხდები დავრწმუნდე, რომ მართლაც თავადი ვარ მე. რატომ აქამდი არ ვიცოდი ეს! მე გეტყვით - თვალად არ ვვარგივარ და ტანად აი! სიტყვა არ მივარგა თუ პასუხი! და რაკი ასეა ეს, როგორ შევარცხვენ მე ჩემს ბრწყინვალე წოდებას, თავადის სახელს...

გავიკრავ ჯიბეზე ხელს და დავუმტკიცებ იოსებ ზაზაძეს, რომ ჯერ კიდევ ბლომად არის ღვთის მოცემული სიმდიდრით სავსე თავადის ჯიბე. შენ თუ ისეთი უხვი ხარ, რომ მე თავადობა მიბოძე, აბა ნახე, თუ მე დაგივარდე შენ სიუხვეში, აბა ნახე!

უცებ ცა მოიღრუბლა და მოიქუშა. ეს იმიტომ, რომ მთის გადაღმიდან შეუმჩნევლად წამოგვეპარა შავი ღრუბელი. ჰაერი შეიძრა. ამ გარემოებამ დააფაცურა, ააღელვა პურით ამწვანებული ფერდო. ყაყაჩოები და პურის თავლები ერთმანეთისაკენ გადაიხარენ და თათბირი გამართეს. კაჭკაჭმა ტყეს მიაშურა, ბეღურებმა ჟივილ-ხივილი მორთეს.

- სეტყვა წამოვა, კნიაზო! - შიშ-ნარევი ხმით მეუბნება იოსები.

- თუ წამოვა და წამოვიდეს! - ვიძლევი მე პასუხს. დიახ, თუ წამოვა, წამოვიდეს, მართალია, სეტყვა საზარალოა, სეტყვა გაანადგურებს ჭირნახულს, ხეხილს, მართალია, რომ... მაგრამ თუ წამოვა, წამოვიდეს.

რამდენიმე მსხვილი წვეთები დაეცნენ ჩემ წინ. სიბნელე მატულობს, შავი ღრუბლები უფრო და უფრო გვეხვევა. ჩემს ყურადღებას იპყრობს მთისა და ღრუბლის ბრძოლა, რომელსაც ჩემს გაღმით სერზე ვხედავ. თითქოს ვეებერთელა შავი და უზარმაზარი ფრთებიანი ფრინველი მოსდევს სინათლეს, სხივს და სხივი გაურბის მას და იქ, სადაც ამ წუთას ოქროსფერი სხივი კიანთობდა, იქ ეხლა შავი ფრინველი აფარებს შავ ფრთას და აბნელებს. მირბის, მირბის სხივი და მისდევს მას შავი ფრინველი, რომ ჩანთქას, ჩაყლაპოს... და სადღაც, მაღალზე ვიღაც ახვიხვინდა, აღრინდა... ჩვენ უნდა მოვნახოთ საყუდარი, მოვნახოთ საყუდარი, მეტი გზა არ არის, წვიმა თითქმის

გვასველებს. ფოთლებით გადახურული კარავის მსგავსი რაღაც ვიპოვეთ და დავდექით. დასჭექა. იოსებმა პირჯვარი გადაიწერა... დაელვა, სულ ახლო დაიკლაკნა ცეცხლის გველი და ისევ დასჭექა. ისევ იწერს იოსები პირჯვარს და აქეთ-იქით იფურთხება. მაგარი, მსხვილი, მსხვილი წვიმა აშხაპუნდა. - ვიშ, გულო, რა კარგია, რა კარგია, გენაცვალეთ!

“აგრგვინდა ცა და ღრუბელი ცროდეს ბროლისა ცვარითა”, უცებ მაგონდება მე ჩამოსხმული ლექსი რუსთაველისა. და მიმაქვს ჯიბისკენ ხელი. სწორედ ამ დროს ერთმა მსხვილმა წვეთმა წვიმისამ გამოატანა კარავში, გამოძვრა ფოთლებში, გამოძვრა, დაეკიდა, ერთი აკანკალდა, გაივსო და მოწყდა. მოწყდა და შიგ გვირგვინში დაეცა რომელიღაც ველურ ყვავილს, რომელიც ობლად ამოსულიყო კარავს ქვეშ. დაეცა და მუხლი მოაკეცია მას, ჩააჩოქა. ცოტათი, ცოტათი ვგრძნობ ტკივილის მსგავსს

გულში, მაგრამ მაგონდება, რომ ხელში მიჭირავს “ვეფხის ტყაოსანი” და ვუწყებ მას ფურცვლას, მინდა საჩქაროდ დავხედო ნაცნობ სტრიქონებს:

“მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა”...

ერიჰა-ა! მე ერთი აზრი მებადება თავში, მე ვფიქრობ, რომ ეს ლექსი ამტკიცებს, რომ რუსთაველი სწორედ ამ კუთხიდან არის. მიაქციეს თუ არა მკვლევარებმა ამ ლექსებს ყურადღება? თუ არა, ძალიან კარგი, მე ვიქნები პირველი. და ამის შესახებ დავწერ მე, ქვეშ მოვაწერ საკუთარ გვარსა და სახელს და დავბეჭდავ. და გამიხარდება, როცა ჩემს გვარს დავინახავ დაბეჭდილს. იოსებმა თავადიშვილობა მიბოძა, რუსთაველი კი მიზეზი ხდება იმისა, რომ გაიგოს ჩვენმა ქვეყანამ ჩემი სახელი და

გვარი. აი რა ბედი მეწვია მე.

ღრუბლებმა დაიწიეს ქვევით და ჯაჯასავით დააწვენ თავზე არემარეს. ჭექა-ქუხილი არ წყდება. იოსები იწერს და იწერს პირჯვარს, მაგრამ მე ჯერ კიდევ, ჩემსას ვფიქრობ.

“მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,

ვარდის ფურცლობის ნიშანი”...

ეს კუთხე ცივი კუთხეა. აქ გვიან იწყება გაზაფხული, აქ გაზაფხულის დასასრულს მწვანდება ქვეყანა, გვიან იშლება ვარდი. და როცა პოეტს დასჭირდა ბუნების გამოცოცხლების აღწერა, ძალაუნებურად იმ კუთხის გაზაფხული ასწერა, რომელსაც იცნობდა ბავშვობიდან. თუ არა ეს, ის არ იტყოდა ზაფხულის მოწურულში

დაიწყო ქვეყანამ ამწვანებაო. არა, არ იტყოდა. ხომ ხედავთ, მოსაზრება არ მაკლია მე, - აუცილებლად დავწერ ამის შესახებ წერილს, მოვაწერ სახელსა და გვარს და დავბეჭდავ. მაშინ მიყურეთ მე, რა ამაყად წამოვავლებ ხოლმე ხელს წამისწამს გაზეთის იმ ნომერს, სადაც ჩემი სახელი და გვარი დაბეჭდილი იქნება!

“აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა; ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა”...

ხშირი და შეშინებული ზარის რეკა ატყდა, გაჭირვებული კაცის ყვირილივით მოაღწია მან ჩვენამდე.

- სეტყვაა, კნიაზ, სოფელში, უყურე, რეკენ!

- რათ რეკენ თუ იცი, იოსებ?

- სეტყვაა და იმიტომ, კნიაზ!

- მერე რეკა რის მაქნისია?

- განა არ იცი, კნიაზ, რათ რეკენ სეტყვის დროს?

- არა, არ ვიცი. რათ რეკენ?

- ბურმა ანგელოზს უნდა გააგონონ, კნიაზ, ზარის ხმა.

- რა ანგელოზს?

- ბურმა ანგელოზს, კნიაზ.

- რა არის, იოსებ, ბურმა ანგელოზი?

- ბურმა ანგელოზი, კნიაზ? უთვალო, თვალებ-დამდგარი

ანგელოზია...

- აჰ, შენ გინდა სთქვა ბრმა ანგელოზი, მესმის ეხლა... ვინ არის, იოსებ, ეს ბრმა ანგელოზი?

- ბურმა ანგელოზი, კნიაზ, სეტყვის ანგელოზია. იმას მოყავს სეტყვა, ის მოუძღვის წინ.

- მერმე?

- მერე და ის ბურმაა, ვერაფერს ხედავს. იმას არ უნდა სოფლის დაზარალება, იმას ტყეში უნდა მოიყვანოს სეტყვა, მაგრამ გზა ებნევა და ხანდახან სოფელს წააწყდება. როცა დავრეკავთ, ის გაიგონებს, სოფელში მივსულვარო და გაბრუნდება ტყისკენ. თქვენში განა ასე არ იციან, კნიაზ?

- არა, იოსებ, ჩვენში სეტყვა არ მოდის და თუ მოდის, ისეთი სუსტია, რომ ზარალის მოტანა არ შეუძლია.

- იჰ, ბედნიერი ქვეყანა ყოფილა გურია, კნიაზ, მე მინახავს გურულები, აქეთ მოდიან. ეს არის, ფიცხი ხალხია...

ზარის ხმა არ წყდება. ჩვენ უკვე მზის სხივები გვეალერსებიან, იქ კი მოკუმშული და შავი ჯაჯა დასწოლია სოფელს თავს და სჭექს და ჰქუხს - ყურიც დავსებია. ეტყობა, ბრმა ანგელოზს არ ესმის ზარის რეკა... არემარე დამათრობელ სუნს უშვებს, პირდაბანილ ყაყაჩოებს უზაროთ აწითლებიათ ყურები, ბეღურები ჟივილ-ხივილით ცმუკავენ. მარგალიტივით დაკიდული წვეთები წვიმისა მიმტაცად კიანთობენ და მე ისევ მავიწყდება ბრმა ანგელოზი, სეტყვა. მე მესმის რუსთაველის ხმა და მას ვუგდებ ყურს:

“აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა;
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა,
უბრძანა: “გიჭვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ, თქვენთანა საუბარითა”.

დიახ, აქაურია, აქაურია რუსთაველი, ჩვენი დიდი პოეტი, ამ ბუმბერაზ ბუნების შვილია ის, სადაც ასე სასტიკად სჭექს ზეცა და ასე ნაზად იცქირებიან ყვავილები. სწორედ აქ ცრის ღრუბელი ბროლის ცვრებს და აქ მინდა ვაკოცო მე ა იმ ყვავილს, ეგერ რომ გაშლილა, პირისახე დაუბანია და არ შეუმშრალებია.

თქვენ გგონიათ იქნება ეს ავთანდილმა აკოცა მართლა ვარდს თინათინის სანაცვლოდ! სრულიადაც არა, ეს თვითონ რუსთაველი იყო. გრგვინვა წამოესწრო მას

სეირნობის დროს, სადმე ხის ძირში შეაფარა მან თავი ბროლის ცვრებს და სტიქიონის მძაფრი ღრიალის დროს გაახსენდა მას მისი მზეთა-მზე, მისი თამარ, გაახსენდა, დაიხარა ძირს და აკოცა ვარდს!.. ეს აუცილებლად ასე იყო, მენდეთ მე, იმიტომ რომ... იმიტომ რომ მეც მაგონდება ეხლა ერთი ვინმე, მეც ხშირად ვკოცნი ხოლმე ყვავილებს, ვესაუბრები მათ და ვეუბნები: "მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბრითა"-მეთქი, ღმერთმანი, ასე ვიქცევი... და რა ფსიხოლოგიური სიმართლეა აქ! ცა გრგვინავს, ღრუბელი ცრის ბროლის ცვრებს, შენ კი გული სინაზით გევსება, ის გაგონდება, ვინც ყველას გირჩევნია, ნუთუ არ გამოგიცდიათ თქვენ ეს? განა როდის უნდა გაგახსენდეს კაცს გულის ტოლი, თუ არა ამ დროს!.. თქვენ, თქვენ იცოდეთ, ყვავილებო, თქვენ იცოდეთ, რომ მეც მაგონდება ის, ვინც მიყვარს... "მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა!"

აᲮ, ელენა! ელენა!

მგონი სეტყვა იყო, მგონი იოსები პირჯვარს იწერდა გრგვინვის Ხმაზე, მგონი ვიღაცამ რაღაცა მიამბო მე ბრმა ანგელოზის შესახებ. მე კი, მე მიᲮარია ვიყო მე უზნეო, რა ვუყო, თუ ასეთი ვარ მე! მე ყველაფერი მიᲮარია ეᲮლა. მიᲮარია, რომ აქ ვდგევარ. მიᲮარია, რომ ყველაფერი დასველებულია, ისიც მიᲮარია, რომ შეყვარებული ვარ მე, და მიᲮარია აგრეთვე ისიც, რომ მეთორმეტე საუკუნეში ცᲮოვრობდა ქვეყანაზე დიდი პოეტი რუსთაველი და რომ ის იყო ქართველი და მეც Ხომ ქართველი ვარ... მე მიᲮარია კიდევ, რომ თამარ მეფე ჩვენი მეფე იყო... ჰო, მართალია, მე და მეფეები ვერ ვართ მოზყობილი, მაგრამ მე მაინც მიᲮარია, რომ თამარი იყო ქართველი მეფე. რომ ეᲮლა ის მეფობდეს, რა თქმა უნდა, ის დედობრივი თვალით არ შემᲮედავს, მაგრამ მე რა მედარდება ეს, ის იყო ოდესმე და ამიტომ მე მიᲮარია ეს, მე ის მიყვარს... ნეტავი ყველა

მეფეები წარსულში იყვენ, პირობას ვიძლევი, ყველა მიყვარდეს... მე მიხარია, რომ ეს ქვეყანა ჩემი სამშობლოა. შეიძლება აქ ოდესმე გაუვლია თვითონ რუსთაველს და მეც იმ სურათებს ვუცქერი ეხლა, რომლებსაც ის უცქერდა! შეიძლება ის მაშინ ფიქრობდა "ვეფხის ტყაოსნის" გმირებზე? და აი, მეც მიჭირავს ხელში მისი წიგნი და მეც ამ წიგნის გმირებზე ვფიქრობ ამ წუთას. ვიცი მე წიგნები, რომლებიც იმდენათ ახლოა ჩემთან, რომ ხანდახან მიკვირს, რომ ისინი ჩემი დაწერილი არ არის, მიკვირს რომ სხვამ მომასწრო მათი დაწერა. ერთი ასეთი წიგნი "ვეფხის ტყაოსანია". თუ რუსთაველი ქმნიდა მას, მეც ვქმნი, მეც სულს ვუდგამ თინათინს, ავთანდილს, ნესტანს, ტარიელს, ნურადინ-ფრიდონსა და ფატმანს, ფატმანს...

"ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,

ნაკვთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი”...

მე ვიცნობ ფატმანს და მიყვარს მე ის. ასე მგონია, აი, ეს არის გამოვა-მეთქი ის სტრიქონიდან და დაირითხელში გამიჩერდება წინ, აიფარებს ეშხიანად დაირს სახეზე, ეშმაკურად ჩამიცინებს, შეუმჩნევლად ჩამიკრავს ცალ თვალს და მსუქანი თითებით დაჰკრავს დაირს, გააღვიძებს ლხინს... მე ვიცნობ ფატმანს და მიყვარს მე ის. და თუ მართალია, რომ შოთა წავიდა ბერად, არა ერთხელ მოელანდებოდა მას ეშმაკი ფატმანის სახით. და ამასთან იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ცოტათი უსამართლოდ არ მოპყრობოდეს მას ჩვენი დიდი პოეტი. რა ქნას იმ ქალმა, თუ მისი შესაფერი ქმარი არ შეხვდა.

“მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი!”

მაშ რა ქნას ამ სისხლითა და ხორცით სავსე ქალმა, თუ ქმარი არ შეხვდა შესაფერი! განა მას აკლია სილამაზე? აკლია გამბედაობა? კეთილშობილება აკლია? რად, რად უწოდა მას ყვავი რუსთაველმა? დიდ პოეტს არ შვენის ეს! უსამართლობაა, როცა ნესტანისა და თინათინის სხივში უნდათ გააქრონ ფატმანი, დიდი უსამართლობაა... დიახ, უსამართლობაა ეს, მაგრამ აი, ამის შესახებაც დავწერ მე, ჩემს საკუთარ სახელსა და გვარს მოვაწერ ქვეშ, დავბეჭდავ, შევებრძოლები უსამართლობას... მაშ!

ღმერთმანი, ეს იოსები დაუფასებელი თანამგზავრია, როგორ სდუმს, როგორ სდუმს დალოცვილი, არ მიშლის ვიფიქრო, ვიმხიარულო, დავისვენო. დაუჭერია კბილები რაღაც ჩხირისთვის და წუწნის მას. მხოლოდ ხანდახან

გამოუშვებს კბილებში რაღაც ზმუილის მაგვარს. ღიღინებს, ან იგონებს და მოთქვამს თავის დაკარგულ “სონა-კამეჩზე”. მაგრე, მაგრე, იოსებ, ჩემო მეგობარო, მე ეხლა შენთვის როდი მცალია, მე ვუცქერი იმ სურათებს, რომელთაც ერთ დროს უცქეროდა პოეტი რუსთაველი, ვფიქრობ იმის გმირებზე. ის ბედნიერი კაცი იყო, მისი ნაცნობი ქალი ასე ეუბნებოდა სატრფოს:

“ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია”...

მაგრამ არც მე ვარ უბედური. მეც მინახავს ასეთი ქალები, მე ვიცნობ მათ, მე მეგობრები მყავს იმათი რიცხვიდან, მაშ, - ისინი გმირებს ეძებენ - ჩემი მეგობრები! ისინი როდი მისტირიან ომში მიმავალ ვაჟკაცებს, კალთაში როდი ეკიდებიან, არამედ მხარდამხარ უდგებიან, ეხმარებიან. ისინი იზიარებენ ჭირსა და ლხინს, ისინი

ცოცხლობენ და კვდებიან მათთან ერთად. ხმალით ხელში ნახავ იმათ, და ბორკილებით ფეხებზე კიდევ. საწერ სტოლთან და პაწია ბავშვებთან ანა-ბანით ხელში, ფაბრიკა-ქარხნებში და ტრიბუნებზე გადაეყრები მათ... მე ვიცნობ ასეთ ქალებს, ისინი ჩემი მეგობრებია, ამხანაგებია, ამხანაგებია ჩემი და მიხარია, მიხარია მე ეს, მე ბედნიერი ვარ, მე ძლიერი ვარ, მე შეყვარებული ვარ. და მე არ მეშინია არც სეტყვის, არც ბრმა ანგელოზის. მე მოვიტან დიდ ზარბაზნებს, წამოვდგამ მათ მაღალ მთებზე და კი არ დავრეკ, ზარბაზნებს დაუშენ ბრმა ანგელოზს, წასვლას როდი ვთხოვ, გავდენი მას... მე არაფრის არ მეშინია, არაფრის. და მიხარია, მიხარია მე...

ღამეა. და ლუსკუმა ბნელში ვარსკვლავები გვიქნევენ თვალს. ქვეშ დიდი და სქელი ტყავი გვიგია, შეიძლება "სონა-კამეჩის" ტყავი იყოს კიდეც. გულაღმა ვწევარ და მაღლა ვიცქირები. მთვარე არ ამოდის და ვარსკვლავებს

უხარიათ - მათია ზეცა. გარშემო კი ბნელა, ბნელა, თითქოს არც არაოდეს მზე ყოფილიყოს და არც ეს ვარსკვლავები ციმციმებდნენ ზეცაზე. სადღაც ძაღლები მოწყენილათ ლაყბობენ, სადღაც ჭოტი ჰკივის, იძახის. ვიცნობ მე ამ სიბნელეს და ამ ძაღლების ლაყბობას, გამომიცდია ის. კუდიანებითა და ჭინკებით სავსე იყო ასეთი ღამე ჩემთვის ერთ დროს. ვეებერთელა მუგუზლით ხელში დადიოდა მაშინ მეწიეთის შავ ტყეში "ტყეთა მეფე" და მიერეკებოდა თავის ჯოგს. რა იქნენ ეხლა ნეტავი ისინი, სად წავიდნენ? ისევ იქ არიან, თუ გადაიბარგენ სადმე? რა დაუძინებელი მტერი იყო ჩემი ჭინკა ერთ დროს? აბა ერთი გამევლო ჩვენს გადაღმა ღელეში, სადაც ჭინკები ცხოვრობდნენ! თვითეულმა მათგანმა იცოდა ჩემი სახელი. გამოდიოდენ ღამით ღელის ნაპირას, ჯდებოდენ ქვებზე და მელოდებოდენ მე. და რომ გავბრიყვებულიყავი და ღამით გამევლო იქ, ასტეხდენ ისინი სიცილ-თამაშს, შემომეხვეოდენ

ირგვლივ და ჩამითრევდენ ქვევით. მაგრამ ვერც ერთხელ ვერ დამიმარტოხელეს, არც ისეთი სულელი ვიყავი... ეხლა ვის აშინებენ ისინი, ვის ეძახიან? უწნავენ თუ არა ფაფარს საძოვარზე გაშვებულ ცხენს? და კუდიანი? ჩემი საკუთარი თვალით მინახავს მე ის. თვალები ჩავარდნილი ჰქონდა მას, ძვალ-ტყავა, რგოლივით წელში მოხრილ და სახედამჭკნარ დედაბერს.. და ერთად-ერთი, შავი ბინძური წინა კბილი ცხადჰყოფდა, რომ ის იყო კუდიანი. მისი სახელი იყო ხვარამზე. იმას უყვარდა კატად გადაქცევა და ღამით სოფელ-სოფელ სიარული, ერთს გულს ამოსჭამდა - სულ ახალგაზრდა ყმაწვილს, მეორეს ბაიასავით გააყვითლებდა. თუ ძროხა ხბოს დაბადებდა და ამ დროს ხვარამზე წააწყდებოდა, ან ის ძროხა გადაიჩეხებოდა კლდეზე, ან ხბო მოუკვდებოდა, ან ძროხას რძე შეაშრებოდა. დილით ადრე თუ ხვარამზეს გადაეყრებოდი, იმ დღეს ხეირს ვერ ნახავდი. და ჩემი დაუძინებელი მტერი იყო ის, განსაკუთრებით მას

შემდეგ, რაც მე საჯაროდ მას კუდიანი დავუძახე და ამას გარდა, ერთხელ კიდევ მას მოვპარე მსუქანი ნესვი. სამაგიეროდ ისეთი მაგარი ციება შემყარა, რომ მთელი ზაფხული ვიწექი და, ვინ იცის, რამდენი ჩიტის ბუდე გადამირჩა. პირველ სექტემბერს, კუდიანობა ღამეს, ის მზის ჩასვლასთან ერთად იძინებდა და ზარბაზნის ხმაც კი ვერ გააღვიძებდა მას. ამ ღამეს ის უნდა მისულიყო როკაპთან, კუდიანების დედოფალთან. და თან რაც უნდა მოსვლოდა, პატარა ბავშვის გული უნდა წაეღო. რამდენჯერ გამიგონია მე ამ ღამეს კუდიანების ფრთის ცემა - დაფრინავდენ წყეულები, რა არის, ვინმე ბავშვის გული ჩავიგდოთ ხელშიო. მაგრამ ჩვენც არ ვიყავით გულხელ დაკრეფილი. დილიდანვე ვაგროვებდით ჩვენ ბალახბულახს, ხმელ წკეპლებს. ვიწეპავდით ყურის ძირებთან თმებს თაფლის სანთლით, და დაღამდებოდა თუ არა, ავარდებოდა ეზოში ალი, გავარდებოდა თოფი...

- ჰაუ, კუდიანებო, ჰაუ! თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ! ჰაუ, კუდიანებო, ჰაუ!

და ნათლად, გარკვეულად მესმოდა მე, თუ როგორ შემოჰკრა კუდიანმა ფრთა ფრთას და ჩვენი ეზოდან გაფრინდა. რა ჰქენი, ხვარამზე, ვერაფერი წაიღე ხომ! ჰაუ, ჰაუ, შე კუდიანო, შენ! თმა შეწებილი მაქვს, ცეცხლი მინთია და მამაჩემმა მარტინის თოფი გესროლა, რას დამაკლებ ხვარამზე!..

დიდიხანია დაგშორდი შენ, ჩემო სოფელო! მაგრამ თითქოს ეხლა მანდ ვიყო და მანდ ვსუნთქავდე... მოკვდა ხომ საბრალო, შეურაცხყოფილი ხვარამზე? გყავს თუ არა შენ მისი თანამდებობის აღმასრულებელი სხვა ვინმე? ჭინკები მელოდებიან თუ არა ლუგუბას ღელეში? "ტყეთა მეფე" ვეებერთელა მუგუზალით ხელში მიერეკება თუ არა თავის ჯოგს მეწიეთის შავსა და ვერან ტყეში?

ძაღლები მოწყენილად ლაყბობენ რაღაცას შესახებ, ჭოტი გაჰკივის, სიბნელე მჭიდროდ გვახვევია გარს მე და იოსებ ზაზაძის მეზობლებს, რომლებიც გვეწვივნენ ჩემი, უცხო სტუმრის, პატივსაცემლად. სანამ მე გულაღმა ვწევარ და არ ვინძრევი, არც ისინი ამბობენ რასმე, აბოლებენ ჩიბუხებს და თუ დაახველებენ ხოლმე ხანდახან. მაგრამ მე გავინძერი, ფეხი მოვღუნე, დავახველე.

- რა ბნელი ღამეა! - დავილაპარაკე მე.

- დიახ, ბნელი ღამეა, კნიაზ! - ამბობს ერთი.

- მთვარე შუაღამემდი არ ამოვა ამეღამ, - უმატებს მეორე.

- კნიაზ, ვაინა არ იქნება ვითომ? - მე ხმაზე ვატყობ, რომ ამ კითხვას მაძლევს გიორგი გელაშვილი, რომელიც

ჯარისკაცად ნამყოფია და იაპონიის ომშიც მონაწილეობა მიუღია, რის გამო ის ხშირად ლაპარაკობს ომზე და პოლიტიკაზე.

- არა, არ ვფიქრობ, რომ ომი მოხდეს, - ვეუბნები მე.

- ვა, კნიაზ, მაშ გადავყლაპოთ უნდა ეს სირცხვილი?

- რა სირცხვილი?

- აი ი ვართათური რო წაგვართვეს, შევარჩინოთ უნდა? ლევანიანი, მუქტენი არ უნდა დავიბრუნოთ უკან?

- თუ ასე იყო, წინეთ რად დაანებეთ? - ვეკითხები მე, ძლიერ დაინტერესებული, პატრიოტს, რომლის არსებობა ამ კუთხეში მაინც ვერ წარმომედგინა.

- განა ჩვენ დავანებეთ, კნიაზ!

- მაშ ვინ?

- ღენერლებმა გაგვყიდეს, აი იმათი, უკაცრავად, კნიაზ... - და მწარედ, მწარედ აგინებს ის გენერლებს. - დაქრთამეს ყუროპოტკინი, სამი ვაგონი ოქრო მისცეს... განა ასე არ იყო, კნიაზ?

- არა, არ ყოფილა ასე, გიორგი, არავის კუროპატკინი არ მოუქრთამავს, დაამარცხეს ის მხოლოდ უფრო ნიჭიერმა და უფრო მომზადებულმა მტრებმა.

- ისე ამბობ, კნიაზ, თითქო არ ვიცოდე... თუ ასე იყო, რატომ ჩამოახრჩვეს ის?

- ვინ?

- ვინ და ყუროპოტკინი. გათავდა თუ არა ვაინა, იგი და ტესელი, ორივე ერთ სტოლბაზე ჩამოკიდეს დვაცათ ჩეთირე ჩასა... განა ასე არ იყო, კნიაზ? ჩვენც გაგვიგონია ცოტა ქვეყნის ამბავი!

გიორგის ხმაში გამარჯვებისა და ჭეშმარიტების ღრმა ცოდნის ნოტები გამოისმა. და მე აღარაფერი ვუთხარი მას. დამიჯერებდა ვითომ, რომ მეთქვა, რომ კუროპატკინი მშვენივრად გრძნობს თავს და რომ მან დაბეჭდა ამას წინეთ ვეებერთელა წიგნი, სადაც ამტკიცებს, რომ თუ ჯარისკაცებში როზგით სასჯელს შემოვიღებთ, ებრაელებს ჯარში არ გავიწვევთ და კორესპონდენტებს ბრძოლის ველზე არ დავუშვებთ, მომავალ ომში აუცილებლად გავიმარჯვებთო... მე მგონია, არ დამიჯერებდა გიორგი ამას და არც მე ვუთხარი რამ...

ძაღლები ისევ ლაყბობენ სოფელში, ჭოტი არ დაიღალა და სიბნელე არ კლებულობს, შორს, შორს ციმციმებენ ვარსკვლავები, თვალებს მიქნევენ და თითქოს მეუბნებიან რაღაცას, რომელიც მე ვიცოდი ერთ დროს და ეხლა აღარ ვიცი, ენაზე მადგია და არ მაგონდება. და არ ვიცი რად, მინდა ავდგე ახლა, შევიდე თბილსა და განათებულ ოთახში, მივუჯდე საწერ სტოლს და დავწერო წერილი, მივწერო ვიღაცას რაღაცა, დიდხანს, დიდხანს ვწერო. განა არ გამოგიცდიათ თქვენ ეს? არ დაგიწერიათ ღამე წერილი, მოწყენილი, სევდიანი, სიყვარულით სავსე წერილი? და არ დაგიხევიათ დილით ის წაუკითხავად? დილით აუცილებლად გაგიკვირდება, რომ ეს წერილი დასწერე შენ, და იმას არა თუ არ გზავნი, არც ინახავ, ხევ... მინდა მე შევიდე თბილ, განათებულ ოთახში, შევიხსნა წელზე, გავიხსნა გულზე, ამოვიდო თავ-ქვეშ ხელები და გულაღმა გაწოლილმა ვიოცნებო. და

ამ დროს ყრუ, გულშემზარავი ღრიალი იძულებულს მხდის ზე წამოვიჭრე...

- მიშველეთ, მიშველეთ, მკლავენ!

- რა ამბავია? ვის ჰკლავენ? - ვიძახი მე.

- არაფერია, კნიაზ, ეს გიჟია დაბმული და ის ყვირის... ჩვენი მეზობლისას არის... - და წყნარი, დამშვიდებული კილო მისი მეც მამშვიდებს რამდენიმედ, თუმცა გული ისევ სცემს აჩქარებით.

- ეჰ, რა კარგი ბიჭი იყო საცოდავი და ასე კი გაფუჭდა, - ამბობს მეორე.

- როდის გაგიჟდა?

- ერთი წელი იქნება.

- რად არ ექიმობენ, განა არ მორჩება?

- ვინ იცის, შეიძლება მორჩეს კიდეც, მაგრამ...

- ღარიბები არიან?

- არა, არც იმდენად ღარიბები არიან, მაგრამ...

- მაგრამ რა?

- რა ვიცით, კნიაზ, ჩვენ ბნელი ხალხი ვართ... უბნობენ, გიჟის მორჩენა ცოდვა არიო.

- ვინ უბნობს?

- მოლები უბნობენ, კნიაზ...

- მერმე და რა ცოდვა არის გიჟის მორჩენა?

“ო-ხ, ო-ხ! მიშველეთ, მომკლა, მომკლა!”

- ის ცოდვა არის, კნიაზ, რომ როცა გიჟს არჩენენ, იმის მაგიერ მეორე ვინმე უნდა გაგიჟდეს, ერთის სიგიჟე მეორეს უნდა გადასცენ, ისე თურმე არ შეიძლება. და ეს კი დიდი ცოდვაა, კნიაზ... ასე უბნობენ მოლები.

- შეიძლება პირუტყვსაც გადასცე სიგიჟე, მაგრამ ესეც ცოდვაა, პირუტყვიც ღვთის გაჩენილია! - ამბობს მეორე.

- ვინ ექიმობს გიჟებს აქეთ?

- მოლები ექიმობენ, კნიაზ... მაგრამ არ უყვართ მათ ეს

ხელობა, ცოდვა არიო.

“მიშველეთ! მიშველეთ!”..

- სად არის ეხლა ის გიჟი?

- თავლაში ბოძზე აბია.

- მარტოა?

აბა გიჟთან ვინ მოიცდის, კნიაზ!

ბნელა. ძაღლები ლაყბობენ, თუმცა ამ ერთი წუთის წინათ, როცა პირველად მოისმა გიჟის ძახილი, იმათ გაბრაზებული ყეფა ასტეხეს. აყაყანდნენ, მაგრამ ჩქარა მიანებეს თავი ზედმეტ სიფიცხეს, ალბათ, შეჩვეულნი არიან და ისევ განაგრძობენ შეწყვეტილ საუბარს ძაღლურ

ენაზე. ვარსკვლავები კვლავ მიქნევენ თვალს და მე ეხლა გულში მეპარება შიში, სიბრალული და მწვავე შეგნება, რომ უღონო, სუსტი, საცოდავია ადამიანი... და კიდევ შენ მაგონდები, ჩემო ძვირფასო!

“მიშველეთ! მიშველეთ, მკლავენ”!..

- დღისითაც ყვირის ის აგრე?

- არა, კნიაზ, დღისით ეშმაკი არ ელანდება მას. დღისით იმას სძინავს უფრო.

- რა მიზეზით გაგიჟდა ის, არ იცით?

- როგორ არ ვიცით, კნიაზ... ის თათარია და თათრების სასაფლაოზე გაგიჟდა.

- ეს როგორ?

- მკვდარმა გააგიჟა, კნიაზ, მისმა ძმამ გააგიჟა.

- როგორ თუ მკვდარმა, მე ვერ გავიგე.

- ძმა შემოაკვდა მაგას, კნიაზ. უბრალო რამეზე წაიკიდნენ და შემოაკვდა ძმა. და როგორც წესი დამარხეს მკვდარი.

- მერმე?

- მერმე, კნიაზ, ერთ ღამეს მკვლელს, აი, ეხლა რომ გიჟია, იმას სასაფლაოზე გავლა მოუხდა, საფლავზე კი ძმა დახვდა. ამომძვრალიყო მიწიდან ძაღლის სახით და რომ დაინახა მკვლელი, დაეტაკა მას. ამაზე გაგიჟდა, ერთ კვირაში გაგიჟდა.

- როგორ თუ მკვდარი ამოსულიყო მიწიდან, განა ეს შეიძლება?

- თათრები, კნიაზ, ურჯულოებია და იმათში შეიძლება ეს. ქრისტიანებში არ შეიძლება. თათრის მკვდარი ღამ-ღამობით ამოდის მიწიდან. იქცევა ძაღლად, ან კატად და ერჩის ადამიანს, ყველაზე უფრო - თავის წინანდელ მტერს. გათენებამდე დადის ის და მერე ისევ მიძვრება საფლავში. თუ წვიმა მოდის, ან ცვარიანი ღამეა. მაშინ ვერ ამოდის ის ზევით, წყლის ეშინია, იმიტომ, კნიაზ, რომ წყალში იესო ქრისტე მოინათლა. ამიტომ არის, რომ თათრები, თუ კი შესაძლებელია, სასაფლაოს წყალს გაღმა აკეთებენ.

“მიშველეთ! მიშველეთ, მომკლეს”.

- და მერმე თქვენ ქრისტიანებს გჯერათ ეს?

- მე თვითონ ჩემი თვალით ვნახე, კნიაზ, სამი ძაღლი თათრის საფლავზე შუაღამის დროს, თათრულად ლაპარაკობდნენ და რომ დამინახეს, გამომიდგენ. მოვასწარი პირჯვრის გადაწერა და გავიქეცი... კინაღამ მოვკვდი შიშით.

- მაშ მოკლულმა ძმამ გააგიჟა, თქვენი აზრით?

- იმან, კნიაზ!

- ეხლა ამოდის თუ არა ის მიწიდან?

- ეხლა ვეღარ ამოვა, კნიაზ.

- რატომ?

- რატომ და მოლამ თავი მოსჭრა მას.

- ვის, მკვდარს მოსჭრა თავი?

- ჰო, მკვდარს... მეორე დილასვე წაიყვანეს მოლა საფლავზე და მოთხარეს საფლავი. ამოიღეს მკვდარი და დადვეს. შეულოცა მისებურად მოლამ, უთხრა რაღაცა და შემდეგ მოსჭრა მას თავი. მოსჭრა თავი და ამოუდვა ის ლაჯებში...

- სადა?

- ლაჯებში, კნიაზ, ფეხსა და ფეხს შუა... ასე უნდა ეს, თორემ ისევ ამოვა მიწიდან მკვდარი. ამოუდვა ლაჯებში და ისევ დამარხა... მაგრამ იმ ურჯულომ თავისი მაინც მოასწრო, კარგი ბიჭი იყო მისი ძმა, და გააგიჟა კი...

ვარსკვლავები იცინიან, ძაღლები განაგრძობენ ლაყბობას, მე კი ტანში მაჟრჟოლებს, მე მცივა. მე ეხლა მსურს გავეხვიო საბანში, მჭიდროდ, მჭიდროდ შემოვიკრა ის ირგვლივ. დავხუჭო თვალი და ვიფიქრო, რომ მე განათლებული კაცი ვარ, რომ მე, მე ვიცი გეოლოგია და ასტრონომია, რომ მე ვიცი ისტორია და პოლიტიკური ეკონომია, რომ მე მებრძოლი ვარ და არ მეშინია არაფრის. რომ ამხანაგები მყავს მე, წევრი ვარ ძლიერი პარტიის, რომელმაც ქვეყანა უნდა დაიპყროს, გააბედნიეროს. მინდა ვიფიქრო, რომ შეყვარებული ვარ მე. და ამის მაგიერ თვალწინ მიდგება თავლაში, ბოძზე მიკრული გიჟი. ვხედავ მოკლულ ძმას მისას. ვხედავ გათხრილ სამარეს. ვხედავ მოლას, ტიტველი მკლავით და მჭრელი დანით ხელში. ვხედავ მოჭრილ თავს, ლაჯებში უშნოთ და სამარცხვინოთ ამოდებულს... ვხედავ კბილებ-დახჭენილ ძაღლს, ძმის მკვლელს რომ მოსდევს და მსურს, ძალას ვატან თავს არ ავასრულო ეს სურვილი,

მსურს მეც დავიყვირო:

- გვიშველეთ! გვიშველეთ-მეთქი!

ვიწვევ საყვარელ სურათებს, ვიწვევ ამხანაგების სახეს ბორკილებით ფეხებზე. ვიწვევ იმათ იმედითა და შეუდრეკელი რწმენით სავსე თვალებს, ვიწვევ ყველას, ვინც მიყვარს და ვისაც ვუყვარვარ მე და გულში კი მსურს ავდგე და დავიძახო, და ვიყვირო:

- გვიშველეთ! გვიშველეთ!..

ვარსკვლავები კი იცინიან ცაში, ძაღლები ლაყბობენ, გარშემო ბნელა და ჭოტი გაჰკივის. სად არის მზე? სად არის მთვარე, სად არიან ყვავილები, სად, სად ხართ თქვენ, რომელნიც მიყვარხართ, რატომ არ ხართ ეხლა აქ? ვარსკვლავები იცინიან ცაში, რა უხარიათ მათ, რა

უხარიათ?..

უჰ, რა ცუდი ღამე გავატარე, რა საშინელი სიზმარი ვნახე წუხელის მე. სადღაც გიჟი ყვიროდა წუხელის და მე მითხრეს - ძაღლად ქცეულმა მის მიერ მოკლულმა ძმამ გააგიჟა ის, შეიძლება მორჩეს, მაგრამ ცოდვაა გიჟის მორჩენა, მოლები ასე ამბობენო. ასე მესიზმრა მე წუხელის, როცა საშინლად ბნელოდა ირგვლივ, მთვარე არ ჩანდა, ძაღლები ლაყბობდნენ სოფელში და ჭოტი გულმოსაკლავად გაჰკიოდა. და მე გული მომეკუმშა, მე სიცივე ვიგრძენ და მარტოობა მაშინ, მე თბილი ოთახი, განათებული ოთახი მომენატრა... ეხლა კი, ეხლა ვიცი, რომ ყოველივე ეს იყო მოჩვენება, ზმანება. ვიშ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო ჩემო!

და მე ჩიტს ავასწარი ამ დილას, საჩქაროდ ავდექი. მე თეთრი აბრეშუმის ბლუზა ჩავიცვი და თეთრი ქუდი

დავიხურე. გავიქეცი წყაროზე და დიდხანს, დიდხანს ვეთამაშე ჩუხჩუხა წინწკლებს. არ მოვუცადე იოსებს და გზაზე გამოვედი. ვიარო მინდა მე ეხლა, ვიცქირო მინდა გარშემო, შევუერთდე მინდა ბუნებას, გავქარწყლდე, გავქრე შიგ, ნიავივით გავიფანტო. სალამი, სალამი, ზეცავ, ჩემი ქვეყნის უძირო ზეცავ, სალამი თქვენ, მაღალო მთებო, სალამი, ბუნებავ! სალამი, სალამი, წმინდა და ჯანსაღო ჰაერო, სალამი შენც, წყნარო ნიავო - თქვენი შვილი ვარ მე. მიიღეთ ჩემი სალამი!

ბელურა ამიფრინდა წინ, შემოჯდა ქლიავის ტოტზე, გაიწმინდა ბუმბულზე ნისკარტი, შეცმუკდა, შეხტა და დამელაპარაკა, სალამი მომცა.

- დილა მშვიდობის, ჩემო ბელურა, დილა მშვიდობის! გისურვებ გადარჩენოდე ქორის კლანჭებს... დილა მშვიდობის!

- ჭივ! ჭივ! ჭივ! - შემომძახა მან და გადაფრინდა. რა ახირებულია გურულები, ღმერთმანი, აბა საიდან გამოიგონეს, რომ ბელურა ჩიტი რომ შემოგძახებს, ცუდის მომასწავებელიაო... მშვიდობით, ჩემო ცქვიტო, შენ შესახებ მე არ მჯერა გურულების სიტყვები.

მზე არ სჩანს, მაგრამ აღმოსავლეთს ლოყები უკვე აუწითლდა, თხელი, მსუბუქი ნისლი მიდის მაღლა, იფანტება. სადღაც მაღალ ფერდობზე ცხვრის ჯოგი წამოიშალა. მეც მაღლობზე მინდა ავიდე ამ დილას, გული იქით მწევს. გული სავსეა სიცოცხლითა და ხალისით, გული ჩქარობს - წინ! წინ! წინ! წინ! სად მივდივარ! ვისთან მივდივარ! წინ მივდივარ, მაღლა მივდივარ, გულს მივყევარ და მას მივყვები, ის მაჩქარებს - წინ! წინ! წინ! წინ!

ფართო გზაზე დინჯად მოაბიჯებს დიდ-ყურა მოგზაური, რომელსაც მაჰმადიანი ამოდგომია გვერდში. გავუსწორდი მე იმათ, ასწია დიდ-ყურამ თავი და შემხედა მე. და ალბათ, მიხვდა, რომ უცხო ვიყავი ამ კუთხეში მე და აუცილებელ საჭიროებად დაინახა შემთხვევის შესაფერი სიტყვით მოემართა ჩემთვის. დააღო პირი და დასძახა. კარგა ხანს და გულდადებულად ილაპარაკა მან, გამოსთქვა თავისი სიხარული ჩემი ნახვის გამო, შემდეგ გრძნობა მოერია, აღელდა, გული აუჩვილდა და თითქოს კვნესით დაათავა გრძელი სიტყვა. შევჩერდი. არ ვიცოდი, მომეხადა თუ არა ქუდი, მომემზადებია თუ არა საპასუხო სიტყვა, თითქოს მიმიხვდა ორატორი გულის ფიქრს და მოინდომა უხერხულ მდგომარეობიდან გამოვეყვანე. გაათავა თუ არა სიტყვა, მსწრაფლ ჩაღუნა თავი, ერთი ამოიოხრა და გადადგა ნაბიჯი - სრულიადაც არ მქონია აზრად სამაგიერო სალამი მიმეღო შენგანო. და შეუდგა თავის ნაბიჯის თვლას. მისი თანამგზავრი ჯერ

კიდევ დგას და მათვალიერებს.

- სალემ ალეიქუმ, დოსტი! - ვეუბნები იმას და ქუდს ვუხდი.

- ალეიქუმ სალემ, აღა! - ზრდილობიანად მაძლევს პასუხს ის და გულზე ხელს იდებს. თვალებში ვატყობ, რომ გააკვირვა და თან ასიამოვნა მას ჩემმა სალამმა. ხუმრობა ხომ არ არის, თეთრი, ლამაზი შლიაპა მახურავს მე თავზე, თეთრი აბრეშუმის ბლუზა მაცვია, აბრეშუმისავე ჯინჯილოებიანი სარტყელი მარტყია წელზე და შავი მაუდის შარვალი მაცვია წაღებს ზევით. ბლუზას ქვეშიდან მოჩანს საათის ძეწკვი, რომელზედაც ჰკიდია რწმენის, იმედის და სიყვარულის სიმბოლო. ხუმრობა ხომ არ არის, ასეთი კაცი სალამს აძლევს მას!

- სადაური ხარ შენ, დოსტი?

- ქორისხევიდან ვარ მე, აღა.

- სად მიდიხარ?

- ბორჯომში.

- გამარჯვებით, გზა მშვიდობისა... - და მე მინდა გადავიარო გზა, აღმისკენ დავიკავო პირი. მაგრამ ეხლა თვითონ იმას სურს დაიკმაყოფილოს ცნობისმოყვარეობა.

- შენ სადაური ხარ, აღა?

- გურული ვარ, დოსტი, მე.

- სად მიდიხარ, აღა?

- თქვენი ქვეყანა მინდა ვნახო...

ცოტათი გაკვირვებით ამხედ-დამხედა მან, მაგრამ რაც იფიქრა, არ მითხრა, შევატყვე.

- მშვიდობით, აღა, კეთილი იყოს შენი გზა...

- მშვიდობით, ძმობილო!..

მე ვიცი, რომ წმინდა გულით, გულწრფელად დამილოცა მან გზა, რომ უბრალო ზრდილობიანობის შედეგი არ იყო ეს. და მრწამს რომ არ გაივლის ეს ლოცვა უბრალოდ. და გული მხიარული მაჩქარებს - წინ! წინ! გული მაჩქარებს...

ვიშ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო ჩემო! და რას მიცინიან ნეტავი ეს ყაყაჩოები? რად ასწითლებიათ აგრე ლოყები? მიცნობთ? გინახავართ ოდესმე? მნახავთ კიდევ?.. ახ, ეს

ვინ მოიტანა აქ ეს თვალები! ვისია ეს თვალები? ჩემი ნაცნობი თვალებია ეს! რა უნდოდათ აქ, რა უნდოდათ, რად მიცქერით თქვენ ასე ნაზად და ასე მოწყენილად? ეს ცრემლები რა არის? იტირეთ განა? ვის სტიროდით? ვინ გაწყენინათ თქვენ, მშვენიერებო, რას გერჩოდათ? თუ შეყვარებული ხართ, რად სტირით? აკი მეც შეყვარებული ვარ, მაგრამ არ ვტირი მე. თუ არ უყვარხართ იმას, ვინც თქვენ გიყვართ, რად სტირით, მე რად არ მომბაძავთ! გიხაროდეთ უნდა, განა ყველა ტკივილი მწარეა? განა ყველა ტანჯვა სადარდელია? ნუ სტირით, მოიწმინდეთ ცრემლები, ასეთ დილას განა ცრემლები შეფერის? რას აქნევთ თავს? ეს ვინ შრიალებს, ვინ ფურჩულობს? ნიავია ეს თუ სხვა ვინმე? აბა დაუგდეთ ყური, რას ამბობს ის? ჰო, რას ამბობს... საუკუნეების სიღრმიდან მოაქვს მას ხმა - ძახილი, საუკუნეების სიღრმიდან გვეფურჩულება ის: - ძლიერია სიყვარული, ვითარცა სიკვდილი. დიდნი წყალნი ვერ დააქრობენ იმის ცეცხლს და დიდნი

მდინარენი ვერ წალეკენ მას - ძლიერია სიყვარული, ვითარცა სიკვდილი...

ძალიან კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ ტკბილია სიყვარული ამასთანავე, ვითარცა სიცოცხლე - განა ყოველივე ტკბილი მწარეა, განა ყველა ტანჯვა უარსაყოფია? თუ გიყვართ, რად სტირით, მე მომბაძეთ, მხიარული იყავით, თუ გიყვართ!..

ვიშ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო! მზემ გადმოიხედა და მომეალერსა, თვალებში მაკოცა, სხივები შემომაპნია. სალამი, სალამი მზის სხივებს, სალამი მზეს... რა დროს დარდია, სალამი, დიდება მზეს, რა დროს დარდია, ქებათა-ქება მზეს!.. გული იშლება, იფურჩქნება. გული ცელქობს. და მე მსურს ეხლა... რად, რად არ შეგვიძლია ვიყოთ ჩვენ როგორც ბავშვი, როგორც ოთხი-ხუთი წლის პატარა! მე მსურს ეხლა შევხტე, შევვარდე, მინდა

გავშალო ხელები და ჩამოვიარო, ავცეკვდე, ავცეკვდე და ვიმღერო, ქვეყანა გავაკვირვო. სალამი, სალამი მზის სხივებს, სალამი მზეს, სალამი სიცოცხლეს! რად, რად არ უნდა ვიყოთ ჩვენ როგორც ბავშვი, რა სირცხვილია მათი მიბაძვა! აბა კითხეთ ბავშვს, თუ რად გაიქცა, რად გაშალა ხელები და წკრიალა ხმით შეიძახა. როცა მინდორში გავიდა და ყვავილები დაინახა! აბა კითხეთ, რად წაიქცა ის და გადაკოტრიალდა, რად გაუბრწყინდა მას თვალები! არც კითხავთ ხომ და არც დასცინებთ! მაშ, რად არ უნდა ვიყოთ ჩვენ, დიდები, ისე როგორც ბავშვი! რად არ სცინით პაწია, ხუმარა კვიცს, როცა მხიარული ჭიხვინით ყრის ის კვინტებს, გადადის ბუქნას ბუქნაზე, დგება წინა ფეხებზე და შემდეგ მიფრინავს, მიფრინავს?.. რად არ სცინით შაშვს, როცა ის გალობს გზა-შარაზე? რად არ უნდა ვიყოთ ისე, როგორც შაშვი, როგორც ფრინველი, როგორც ყველა სულიერი? რა მაკავებს ეხლა მე, რომ სურვილი სისრულეში არ მომყავს? მე მსურს ეხლა ავიდე აი, იმ

მაღალ ხეზე, გადმოვაჯდე მას წვერში და გადავძახო იქიდან, რაიმე ლექსი ვთქვა - რად არ შემიძლია მე ეს, რა მიშლის! მე მსურს გზა შევუკრა ამ პაწია რუს, შევგუბო წყალი, შემდეგ გავშალო ის და ყიჟინით გავდიო მღვრიე ტალღებს. მე მსურს ავაგო პაწია წისქვილი და ჩალის ბორბალი ავატრიალო - რად არ შეგვიძლია ვიყოთ ისე, როგორც ბავშვი?..

ეჰ, ძმებო, კეთილებო, მეგობრებო, ნუ დაგვიშვია ცხვირები, არ არის სირცხვილი ცხოვრებით აღტაცება! არ არის სირცხვილი სიცილი და მხიარულება, არ არის სირცხვილი თამაში! რა ვუყოთ, რომ დღე-დღეობით ცუდად გვაქვს მოწყობილი ცხოვრება, რომ ტანჯვაც მეფობს ამ ქვეყნად, ჩვენ ხომ ვებრძვით მას! ჩვენ ხომ არ ვზოგავთ სიცოცხლეს, ჩვენ ხომ უკან არ ვიხევთ! და თუ შეგხვდეთ შემთხვევა სიცოცხლეს გამოსწუწნოთ სიტკბოება, გაბედულად და აღტაცებით დაეწაფეთ მას,

ნუ შეგრცხვებათ! ითამაშეთ, იმღერეთ, იცეკვეთ! აკოცეთ იასა და ვარდს, დატკბით ყვავილებით! გამოდით მინდვრად და დაუარეთ, დატკბით. ციებითა და სენით გაჟღენთილ ჭაობში იზრდება მშვენიერი ყვავილი შროშანი და უფრო ბინძურ ალაგას კიდევ უფრო მშვენიერი და მიმტაცი ორხიდეია!.. გამოდით მინდვრად და დატკბით, იმხიარულეთ, იმღერეთ! გაბავშვდით, ეს არ არის სირცხვილი - ცხოვრება მშვენიერებაა, და აღტაცებაა საჭირო იმის წინაშე!..

სამი თათრის ქალი მოდის ბილიკზე. პირი დაფარული როდი აქვთ. დამინახეს მე. საჩქაროდ მოიხედეს უკან და, რაკი ჩემს მეტი მოწმე არავინ იყო ახლო-მახლო, არ ნახეს საჭიროდ პირზე ჩადრი ჩამოეხურათ. ეს კი უტყუარი ნიშანია, რომ ისინი ლამაზები არიან. ვისაც კბილები აკლია, ან არ უვარგა, ისინი ამბობენ - სიცილი უზრდელობაა. ვუცქერი მე იმათ და ისინიც მე

მიცქერიან. უწითლდებათ სახე სირცხვილით. ნამდვილი ქართველი ქალებია და მიკვირს და მწყენია მათი დანახვა ამ უშნო ტანსაცმელში - გულში პროტესტს აცხადებს ვიღაცა. და ვუცქერი მე იმათ თვალებში, ქართულ თვალებში. ვერ მიძლებენ და თვალებს ძირს უშვებენ. ვიხდი ქუდს, ვაძლევ სალამს და ვეუბნები:

- დილა მშვიდობის, ხანუმ!

კისკისით იფარებენ სახეზე ხელებს, იხრებიან წელში და გარბიან ეს ველური თხები. მე კი ვდგავარ და ვიღიმები. შეჩერდნენ და გამოიჭვრიტენ ჩემკენ, მიცინიან. ისევ ვიხდი ქუდს, ვიძლევი სალამს და ვეუბნები:

- დილა მშვიდობის, ხანუმ!

კვლავ კისკისებენ და გარბიან. ცოტა მანძილს შემდეგ

ისევ ჩერდებიან და იჭვრიტებიან. რა ეშმაკები არიან ეს კუდიანები, ერთმა მათგანმა ენა გამომიწოდა. ეს ალბათ აქაური არშიყობაა... გამომიწოდა ენა და ეხლა კი საბოლოოდ გამექცნენ, წავიდნენ. მშვიდობით, ხანუმ! მოგეწონეთ თუ არა, ხომ კარგი ბიჭი ვარ? იჭვს გარეშეა, რომ მოვეწონე მე იმათ - თავიანთი ახალგაზრდები არ წამატოლონ ერთბაშად, აი! მე მაგათ კი არა, თითქმის ყველას მოვწონვარ - მე და ჩემმა ღმერთმა, მართალია ეს. სამას სამოცდახუთმა ქალიშვილმა სიყვარული გამომიცხადა მე. მე კი ერთი ვინმე მიყვარს: სამას სამოცდამეექვსე. ის ერთი კი ჯიუტობს. ეხლა ის სამას სამოცდა ხუთი ქალიშვილი ჩემი ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს - უტყუარი საბუთი იმისა, რომ იმათ მე მოვწონვარ. სამას სამოცდა მეექვსე კი წელიწადში ერთხელაც არ მომიგონებს... მაგრამ მე იმისი მაინც მადლობელი ვარ, მაინც ის მიყვარს და ის მეყვარება. მე იმისი მადლობელი ვარ და ეხლა მე იმას ძღვენი მინდა

მივართვა. დავბრუნდები თუ არა უკან, მე იმას მივუტან საჩუქარს, ისეთ საჩუქარს, რომ არც ერთ შეყვარებულს არ მიეტანოს თავის სატრფოსთვის ისეთი რამ. მე მივუტან მას იმ ძღვენს და მიამება მე ეს, მე დავტკბები... მე ეხლა ვიცი, რომ ერთ სოფელში ცხოვრობს ერთი მოლა, რომელიც ნუსხას ამზადებს. მე წავალ იქ და დავჭრთამავ მას, დავითანხმებ მომიმზადოს ნუსხა... გაშლის ის ხელებს და მოირთხავს ფეხებს, გადაწევს უკან კისერს და გაამტავებს თვალებს, შეაშტერდება ზეცას და დაიძახებს: "ბისმილლაჰ რაჰმან რაჰიმ"... დაიწყებს ჩიფჩიფს, შეკრავს თილისმას პაწია ჭინჭში და თილისმასთან ერთად ჯადოსნურ არაბულ სიტყვებს, შეკრავს და მომცემს მე... მე შემეძლება ამ ნუსხის შემწეობით შევაყვარო თავი მას, მაგრამ მე ამას არ ვიქმ, წავალ და ნუსხას მივუტან მას, მივცემ ხელში და ვეტყვი: "დაიჭირე ეს ხელში და შემხედე მე-მეთქი". და როცა ის აასრულებს ჩემს თხოვნას, მე ერთი-ათათ შემიყვარდება ის, მე აღარ შემეძლება

უიმისოდ სიცოცხლე... და მე შევებრძოლები მაშინ ჩემ სიყვარულს. როცა მომინდება მისი დანახვა, მე სხვასთან წავალ, როცა მომინდება მასთან მუსაიფი, მე სხვას დავუწყებ საუბარსა და ხუმრობას. როცა ის მეტი არავინ გამომიჩნდება თვალში, მე მივალ და ვეტყვი მას - აი, ის ქალიშვილი გაგიჟებით მომწონს, გამაცანი-მეთქი... და ასე ვიქნები მე მუდამ, მუდამ... ძლიერია სიყვარული, ვითარცა სიკვდილი, მაგრამ, როგორც სიკვდილი, მწარე არ არის ის... ძლიერია სიყვარული, როგორც სიკვდილი, მაგრამ ძვირფასია ის, როგორც სიცოცხლე, როგორც დღევანდელი დილა. ძლიერია სიყვარული, მაგრამ ყველა ძალას უნდა ებრძოლო განა? გაუმარჯოს სიყვარულს!..

ვიშ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო! და მე მივდივარ ზევით! გული ჩემი ჩქარობს, გული ჩემი რბის - წინ! წინ!.. მზე მკოცნის მწვავედ, ცხოვლად, გული კი მიჩქარის და მაჩქარებს მე - წინ! წინ!

წინ!.. ციებითა და სნეულებით გაჟღენთილ ჭაობში იზრდება მშვენიერი ყვავილი, შროშანი და უფრო ბინძურ ალაგას კიდევ უფრო მშვენიერი და მიმტაცი ორხიდეია... წინ!..

მე მაღლობზე ვდგავარ და გადავცქერი ჩემს დანგრეულ ქვეყანას. მე მაღლობზე ვდგევარ და ჩემს წინ, ქვევით ოხრად მოჩანს ძველი სიმაგრის თავპირ-დამტვრეული სურათი. მე მაღლობზე ვდგევარ და ნიავი მკოცნის, მეთამაშება მე. და დავცქერი დანგრეულ სამშობლოს, სადაც თვითეული სურათი სავსეა გაუთავებელი და ამოუშრეტელი შინაარსით. ვდგევარ მაღლობზე და ისევ ვხედავ სურათს, რომელიც არ მახსოვს, როდის ვნახე პირველად ან ვინ მიამბო მე ის, დედაჩემმა თუ ვინმე სხვამ, რომელსაც დედაჩემსავით ვუყვარდი მე.

- მე თავს ვიცავდი! - მოაქვს ჩემთან ხმა ნიავს.

- მე თავს ვიცავდი! - მესმის ფოთლის შრიალი.

- მე თავს ვიცავდი! - ვკითხულობ დაბლა მტკვრის ტალღებში.

- მე თავს ვიცავდი! - ჩუხჩუხებს მთის მდინარე.

- მე თავს ვიცავდი! მე თავს ვიცავდი! - მესმის ირგვლივ და ჩემს გულშიც მეუბნება მე ვიღაცა: ჩემი სისხლით მორწყულია ჩემი მიწა-წყალი, ჩემ სისხლს ღვრიდა გარეშე და შინაური მტერი. მე თავს ვიცავდი! ჩემი სისხლით ირწყვება ჩემი მიწა-წყალი, ჩემ სისხლს ღვრის გარეშე და შინაური მტერი - თავს ვიცავ მე, თავი მიყვარს მე, სიცოცხლე მწყურია მე და ამიტომ თავს ვიცავ...

გული ჩემი ისევ ხარობს, გული ჩემი ამაყობს, გული ჩემი სცემს მაგრად და ძლიერად, მას არ ეშინია, ის გაბედავს...

მაღლობზე ვდგავარ მე და გადავცქერი ჩემს დანგრეულ სამშობლოს, სადაც თვითეულ ნანგრევში ბუდობს არა მარტო ბუ და ნატამალი, არამედ დიდებული, მიმტაცი და მშვენიერი მოგონება - ბრძოლა თავის დასაცავად... აქ მუშაობდნენ დედამიწის გულში ჩამალული შავი და მძაფრი ძალები - ვულკანები და ძვრანი. და აქ მუშაობდნენ ადამიანის გულში დაბუდებული მხეცობა, შავი გულისთქმანი, - ყველა ესენი აოხრებდნენ ჩემს ქვეყანას. და აქავე მუშაობდა გულისთქმა და მარჯვენა თავის დასაცავად სასიკვდილოდ გამოსული, აქვე მუშაობდა თავგანწირვა, სიყვარული და იმედი. აქ სიკვდილი უკვდავებას ნიშნავდა და აქვე სიკვდილი სამარცხვინო სიკვდილი იყო. აქ ჰკლავდნენ იმიტომ რომ თავს იცავდნენ და აქავე ჰკლავდნენ, იმიტომ რომ თავს

რად იცავო. თვითეული ნაბიჯი აქ სავსეა დიდი შინაარსით და მე ვკითხულობ ყველაფერს, მე დიდებულ წიგნს ვკითხულობ და ვამაყობ, რომ ეს წიგნი ჩვენი დაწერილია, რომ არც ჩვენ ვმჯდარვართ უსაქმოდ ცის ქვეშ, ჩვენ თავს ვიცავდით...

მაღლობზე ვდგავარ მე და ვერ ვძღები ცქერით, მინდა ყველა ბუჩქის ძირი დავათვალიერო, ყველა ბალახ-ბულახს გამოვკითხო ამბავი, მასთან ერთად გავიხსენო ჩემი საკუთარი თავგადასავალი, მინდა ყველა ქვა ნანგრევებიდან გადმოგორებული ვნახო და სისხლის წვეთები დავითვალო ზედ. იქ ცხოვრობენ არა თუ მარტოოდენ ბუნი და ნატამალნი, ღამურა და ხვლიკები, იქვე ცხოვრობს დრამა ჩვენი ცხოვრებისა, მიუწდომი იდეალიზმით გაჟღენთილი მოგონებანი.

იქ მეც ვცხოვრობ. გადამაქვს თვალი სურათიდან

სურათზე, მოგონებიდან მოგონებაზე, სტრიქონიდან სტრიქონზე და მგონია, რომ ჩვენი ისტორიის დასაწყისიდან ცოცხალი ვიყავი მე, რომ ფეხდაფეხ, კვალდაკვალ, მხარდამხარ დავდევდი ჩვენს ბედს, რომ ბევრჯერ მომკლეს მე და ბევრჯერ მაწამეს, რომ ღორის ხორცის ჭამა ამიკრძალეს და ზარების რეკა, რომ შოთა რუსთაველს და მე ერთად გვწვავდა ცეცხლში ფანატიკოსი ბერი, რომ ჩემს ცოლს, ჩემს დას, ჩემს ქალიშვილს მიუპატიურებდა ფეოდალი, რომ მეძებარ ძაღლში მცვლიდა ის მე და ხშირად უღელში მაბამდა ხარის მაგიერ... მელანდება ჩემი თავი სპარსთა ბანაკში ტყვედ და აგრეთვე ხმალით ხელში ბრძოლის ველზე თავის დასაცავად. მელანდება ქეთევან დედოფალი და თამარ, მელანდება ჯოჯოხეთი და სამოთხეც მელანდება მე. ქარი, მზე, ტყის შრიალი, ჩუხჩუხა წყარო, ეს ნაზი ყვავილები, ყველა მესაუბრება მე, მეუბნება: შენ თავს იცავდი, თავი უნდა დაიცვა შენ! დაღალვა შენი

სიკვდილია შენი. შენ თავი უნდა დაიცვა!..

მაღლობზე ვდგავარ მე, გარინდებული ვდგავარ და მღვიძარე სიზმარს ვხედავ მე. და იღება ჩემს წინ ფართო კარები. მკიდებს ხელს და გავყავარ მე ფართო ველზე. და ველი ესე ადამიანთა გამხმარ და გამოფიტულ ძვლებით არის სავსე და მესმის მე ხმა:

- ძეო კაცისაო, გაცოცხლდებიან თუ არა ესენი?

- ადონაი უფალო, შენ უწყი! - ვეუბნები მე.

და მესმის მე:

- ძეო კაცისაო, უწინასწარმეტყველე ამ ძვლებს და უთხარი: "ძვალნო გამხმარნო, ისმინეთ სიტყვა უფლისა, ასე იტყვის ადონაი უფალი: აჰა მოვიყვანო თქვენზედა

სული სიცოცხლისა!..”

“და შევძახე მე ძვლებს სიტყვა უფლისა და ვხედავ - ძვალნი წავიდნენ ძვლებისკენ, მოისხეს მათ ძარღვები და შეეწებნენ ერთმანეთს და ხორცი აღმოცენდა გარშემო და შემოერტყა მათ ტყავი. შევიდა შიგ სული და აღდგნენ, გაცოცხლდნენ ისინი”...1

ვდგავარ მაღლობზე მე და თითქოს მივდივარ, მივიკაფავ მთას, თავს ვიცავ და იკარგება საზღვარი, იკარგება განსხვავება და მხვდება წინ სპარსი, ოსმალო, რუსი, ინგლისელი და იაპონელი და მხიარული, აღტაცებული ვაძლევ მათ ხელს და ძმურად, ამხანაგურად ვკოცნი მათ.

მაღლობზე ვდგავარ მე, მზე მკოცნის და გულს მითბობს. დავცქერი ჩემს დანგრეულს და მშვენიერ ქვეყანას და გული ჩემი ბედნიერია... მე ვიცი, რომ ის ჩემი იქნება და

შენი კიდევ, ჩემო ძმაო... ვიცი მე, რომ დავცქერი ჩემს სამშობლოს, მაგრამ შორს არის ის ჩემგან და შენგან კიდევ, ჩემო ძმაო. დავცქერი ჩემს სამშობლოს, გული ჩემი მძლავრად სცემს და იქითკენ მიწევს, სამშობლოსკენ - წავიდეთ წინ და ვიკვლიოთ გზა, წავიდეთ და ვკაფოთ!... გული ჩემი ჩქარობს, გული ჩემი ხარობს, ჩემს გულს არ ეშინია და ბედნიერ შეყვარებულს, იმედით სავსეს, მას აღარ სურს დასვენება, ის მიდის...

მზე მხურვალედ გვკოცნის ჩვენ, ნიავიც გვკოცნის, ყვავილები გვიცინიან, წყარო გზას გვილოცავს, სამშობლოსკენ მივდივართ მე და ჩემი გული, ბედნიერი ვართ ჩვენ!..

1910 წ.

1 წინასწარმეტყველი ეიზეკიილ, თავი 37, ლექსი 1-10.

თეთრი ღამე

И разорванные звоны, не способные звучать,
Могут только биться, виться, и кричать, кричать, кричать.

ედგარ პო

მარტო! სულ მარტო!
და შეიპარა ვიღაც ჩემს გულში, შეიპარა და გაიხედ-გამოიხედა. და ეს ვიგრძენი მე.
სევდა! აღრჩევა სულისა! სევდა!
და მარტოობა! მარტოობა!

თითქოს სასეირნოდ გავედი შემოდგომის საღამოს. და უცებ დაჰქროლა ქარმა, უცებ გატიტვლებულმა ტყის

მწვერვალმა მორჩილი სალამი მისცა, ქედი მოუხარა იმას, ვინც მშიერი ღმუილით აღმუილდა იმის სიღრმეში...

თითქოს წვიმის მსხვილმა და მეჩხერმა წვეთებმა დამკრეს სახეზე, რაღაც ჩამიჩურჩულეს... თითქოს პირველად დავინახე, პირველად ვიგრძენი შემოდგომის ბუნების მოწყენილი, სევდით აღსავსე სახე.

სევდა! აღრჩევა სულისა! სევდა!

და მარტოობა! მარტოობა!

მე კი მაინც მიყვარს მარტოობა! სულის ასეთი მდგომარეობა – მარტოობა - ხომ არ ჩამოგავს იმას, რასაც მოგონება ჰქვიან? ერთნაირ განცდას ხომ არ იწვევს ჩვენში ეს ორი ნიჭი ადამიანისა - ნიჭი მარტოობის შეგნებისა და ნიჭი მოგონებისა, წარსულის აღდგენისა?..

მე მგონია, ბევრი რამ არის საერთო ამ ორ ნიჭში, მაგრამ ნათლად, გარკვეულად ამის ახსნა-განმარტება ჩემს შეძლებას აღემატება... მხოლოდ მიყვარს კი მარტოობა, ხშირად მე იმას დავეძებ და სატუსაღოში კი, იმ განმარტოებულ საკანში, სადაც რამდენიმე წელი თითქოს მარტო ვზივარ, წარმოიდგინეთ, ხშირად მენატრება ხოლმე მარტოობა...

ეხლა კი მე მარტო ვარ, სულ მარტო! და მეწვია ჩემი სევდა, ჩემი მეგობარი, გული დამიმძიმდა... მაინც მსურს ეს მდგომარეობა გაგრძელდეს, გაგრძელდეს იმიტომ, რომ მე ამაში რაღაც შეღავათს ვგრძნობ, რაღაც სიამოვნებას...

მოსე! მოსე! ჩემო მეგობარო, ჩემო მცველო! ფრთხილად, შეუმჩნევლად. შემოიჭვრიტე ჩემს საკანში. იარე ფეხის ფრჩხილებზე, როგორც კატა, როგორც ქურდი სხვის სახლში, როგორც მცველი ტუსაღთა და დამნაშავეთა, მე

მშვიდად ვზივარ, მე თუ გნებავს მზად ვარ დავწვე, მხოლოდ ნუ გამელაპარაკები... კეთ... ბოროტო მოხუცო, მცველო ჩემო, ნუ შეაკრთობ ჩემს მარტოობას, ჩემს სევდას ნუ შეაკრთობ, გთხოვ, გემუდარები!

მარტო! სულ მარტო!

და შეიპარა ვიღაც ჩემს გულში, შეიპარა და გაიხედ-გამოიხედა - მარტო ვარ, მარტო!

სევდა! აღრჩევა სულისა! სევდა!

და კარგია, კარგია ასე, გაგრძელდი, იღვიძე, ჩემო მარტოობავ, იღვიძე და... და მომასვენე!

თქვენ იცით თუ არა, რატომ ვერ თავსდებიან სატუსაღოებში, ერთ საკანში საუკეთესო მეგობრებიც კი?

რატომ იბრძვიან და ჭირივით ერთმანეთს იძულებენ?.. მე ვიცი! მე ვიცი! იმიტომ ხდება ეს, რომ ისინი ერთი-მეორის მარტოობას უშლიან ხელს, მარტოობას უფრთხობენ ერთმანეთს!..

მარტო, სულ მარტო! და მხოლოდ ჩემი სევდა ჩემთან, სხვა არავინ, მხოლოდ ჩემი სევდა!

ახ, რა კარგია!

... მე ვამბობ, მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ ეს ღორობაა, ეს განუსაზღვრელი ღორობაა და ისევ ღორობა! ნუთუ ამას კიდევ მტკიცება სჭირია, ნუთუ ეს დღესავით ნათელი არ არის?

მე არ მომასვენეს, მე არ დამაცალეს ჩემს სევდასთან, ჩემს მარტოობასთან ერთად ვყოფილიყავი. და ეს იმიტომ, რომ

ვასოს ცოლი უსინდისო ქალია. დიახ, უსინდისო ქალია ის, რომელიც ვასოს უყვარდა და რომელიც, გამოდგა, ღალატობდა და ატყუილებდა ქმარს, ამხანაგს. ყოველნაირი ღორობა, თუ ამ ღორობას იდენს არა ნამდვილი ღორი, არამედ ღორზე უარესი ღორი - გაღორებული ადამიანი, ყოველნაირი ასეთი საქციელი ცდილობს თავი იმართლოს. ვასოს ცოლის მიერ და მისი საყვარლის მიერ ჩადენილი ღორობის გამართლება კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ატყუილებდენ ვასოს დროებით, სანამ იმ სატუსაღოში იჯდა, რომ ტუსაღობა ერთიორად მძიმე არ ყოფილიყო იმისთვის... აი, ამიტომ ის ცრუობდა ტუსაღი ადამიანის წინაშე, ტყვე ადამიანის წინაშე, რომელიც მისი ქმარი იყო... ნუთუ ეს ღორობა არ არის? და ამის შესახებ მე ყველას ვეტყვი, ყველას, ყველას დავუსვამ კითხვას - ნუთუ ეს ღორობა არ არის-მეთქი? ის დადიოდა-მეთქი მტრის ხელში მყოფ ქმართან, ამხანაგთან, ჩვეულებრივი ღიმილით, ჩვეულებრივი

ალერსით და ვასოს სწამდა ამიტომ, რომ მისი ცოლი მართლაც მისი ცოლია-მეთქი. მე ყველას ვეტყვი ასეთ რამეს:

ერთ კვირა დღეს ვასოსთან მივიდა ცოლი და უთხრა მას:

- აბა, ვასო, თუ მიხვდები, ხვალ რა დღეა, რა დღესასწაული!

ვასო ვერ მიხვდა.

- მოიგონე. ჩემო ვასო, ხვალ ხომ ჩემი დაბადების დღეა?

- ახ, მართლა... რა ოხერი მეხსიერება მაქვს...

- აი ამიტომ დღეს მე უნდა ზედმეტი მაკოცო, ხვალინდელი დღის სანაცვლოდ, ხვალ ხომ ვერ მოხვალ,

ხვალ ხომ ვერ მომილოცავ... და არც მე მომიშვებენ შენთან...

ასე იყო ეს და შემდეგ გამოდგა, რომ როცა ეს ქალი ასეთ რამეებს ეუბნებოდა მას, იმ დროს ის უკვე სხვისი საყვარელი იყო, მთელი ეს ალერსი იყო სიცრუე და მეტი არაფერი...

სიმართლე არ შეიძლებოდა გვეთქვა კაცისთვის, რომელიც სატუსაღოში იჯდა. სიმართლე თუ არა, სიცრუე რა საჭირო იყო? ხომ შეიძლებოდა ზემოხსენებული კომედია სრულიად არ ეთამაშნა ვასოს ცოლს? ხომ შეიძლებოდა?..

და ამას გარდა ერთი მითხარით... ერთი მითხარით, ძმებო და მეგობრებო, რატომ გგონიათ, რომ სიცრუით უმჯობესია ადამიანის მოკვლა, ვიდრე სიმართლის

თქმით? საიდან სადაო ასეთი შეხედულება, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო!.. თქვენ, რომელნიც, ვიცი, გაიღიმებთ ჩემს სიტყვებზე, შეგიძლიათ მიპასუხოთ?

...ყველაფერი ეს თურმე ჩამიწერია. დეე! არ მოვსპობ ამ სტრიქონებს, არ ამოვხევ ამ ფურცლებს... უნდა აღმენიშნა, რომ მე და მოსე ივანეს-ძე სასტიკად ავიშალენით. არ უყვარს ბებერ ქოფაკს ტუსაღებთან დაახლოვება, მაგრამ მე შემეჩვია. და აი დღეს რამდენიმეჯერ მოადგა ჩემი საკანის სათვალურს, რამდენიმეჯერ ჩაახველა, მაგრამ მე არამც და არამც არ მივაქციე არავითარი ყურადღება. შემდეგ ის წავიდა და ვასოს აეკვიატა. ვასომ კი, ალბათ, შეუკურთხა.

- შენ მაქ... შენ ნუ ყანყალობ, თორემ... ბატონკაცი... ინტელიგენცია წყეული.

სიტყვა “ინტელიგენცია” მოსე ივანის-ძის პირში ყველაზე უფრო მძიმე და ყველაზე წაცილებული შეურაცხყოფაა. ჩანდა, ვასომ ის ძალიან გააჯავრა. საჭირო იყო ინცინდენტში ჩარევა.

- მოსე! ა მოსე! აბა მოდით აქ, ჩემთან! - დავუძახე მე.

- არა, ერთი ამ ვაჟბატონს შეხედეთ... ამ ინტელიგენციას.

- მოსე, მოდი-მეთქი, რაღაც უნდა გითხრა!

- ერთი შეხედეთ და... თითქოს ძაღლი ვიყო... მაგის ცოლი იქ...

საშინელ, ცინიკურ ფრაზას ამბობს მცველი და მოდის ჩემკენ.

- მოსე, შე მხეცო და პირუტყვო, მე შენ ცხვირს მოგამტვრევ! შენ როგორ ბედავ მაგაებს, შე ძროხა, შენა! ამ წუთში, ეხლა დაუძახე კანცელარიიდან მორიგეს... შენ გაჩვენებ სეირს...

- მიხა, დაანებე თავი... არ ღირს!.. - მესმის ვასოს ყრუ ძახილი.

არა, არა, არ ამოვგლეჯ მე ამ სტრიქონებს, არამც და არამც, არ მოვსპობ ამ ფურცლებს. დე, ჩხრეკის დროს წამართვან ქაღალდი, წაიკითხონ და... და იცინონ, დაგვცინონ... დაგვცინონ!..

დეე!..

დაგვცინონ... დაგვცინონ!

ღამეა კაეშნიანი,
თვალი ვერ ხედავს ვერასა...
ქარი ჰქრის. ქარი ღრიალებს,
ქარი დასტირის ბნელასა!..

“ღამეა კაეშნიანი!”...

რა მშვენიერი ღამეა! როგორ აკაშკაშდნენ ვარსკვლავები ზეცის ნაჭერზე, რომელიც ჩემი ფანჯრიდან მოჩანს. აი, “დიდი დათუნას” კუდი, აი, შე კუდიანო, შენა!..

რა მშვენიერი ღამეა! ბნელა, ბნელა, ისე ბნელა, რომ “თვალში თითი არ მიიტანება”. ხოლო ბნელა არა ჩემ საკანში, არამედ კარში, ბნელა კარში, მიუხედავად იმისა, რომ ზეცა მოჭედილია ცელქი ვარსკვლავებით... ბნელა – ჩემ ოთახში კი არა.

ოჰ, ეს ტალახიანი, ეს გამტვერული, ეს ბინძური სინათლე ჩემი ჭრაქისა! როგორ უნდა მოისვენოს სულმა ჩემმა ამ ოთხ კედელშუა! აი, საცვლები გამოვიცვალე, მგონია კი, რომ გაჭუჭყულ, გასვრილ საცვლებში ვარ, მგონია კი, რომ მთელ ჩემ სიცოცხლეში მენატრებოდა სისუფთავე მხოლოდ და არაოდეს კი სისუფთავე თითქოს არ მეგრძნოს!. ჰმ, ბრძენო ედიპო, შენ ახსენი, როგორ შეიძლება კაცს ენატრებოდეს ის, რაც არაოდეს არ უგრძვნია და არც გამოუცდია, შენ ახსენი!

ვერ არის მოსვენებული სული ჩემი ამ ღამეს.

და გაზაფხული კი უკვე ძალაში შევიდა. გაზაფხულის სუნით გაჟღენთილია ყველაფერი. - ახ, რა მშვენიერებაა ეხლა იქ, იქ, სადაც დავიბადე!

გაზაფხული! გაზაფხული!

მღერიან... მარჯვნით სადღაც, ალბათ, ღია ფანჯარასთან, მღერის ვიღაც.

და მშვენივრათაც მღერის.

და იმ სიმღერაში ვიღაც საომრად იწვევს თავის ბედს, ვიღაც უმადური ბედისა, ვიღაც უმადური იქადის და იმუქრება.

და იმ სიმღერაში ისმის ტკბილი იმედი, - გაბედე, ძმაო, გაბედე! გაბედე და შენია გამარჯვება!

და ტირის, ცრემლად იღვრება ვიღაც იმ სიმღერაში... ის ისეთი კეთილია და ნაზი, ის, ვინაც ტირის. და იმან იცის ბევრი რამ ისეთი, რაიც ბედთან მებრძოლმა არ იცის, რასაც ფარავს და არ უმჟღავნებს მებრძოლს მატყუარა

იმედი. მან ბევრი რამ იცის, ბევრი რამ. მან იცის, რომ ბრძოლაში მარცხდება არა მხოლოდ ის, ვინც დამარცხდა, არამედ ისიც, ვინაც გაიმარჯვა. ცეცხლი, რომელიც სწვავს შეშას, დაბოლოს თვითონაც ჰქრება - მან ეს იცის. მან იცის, რომ იმარჯვებენ არა თავისთვის, - იციან თუ არა ეს გმირებმა, იმათ რომელთაც უნდა გაიმარჯვონ? რომლებიც ბრძოლის ველისკენ გარბიან? და ის ტირის, ტირის, ტირის უდროოდ დაკარგულ ძალაზე, რომელიც სხვისთვის იღუპება. მას, კეთილსა და ნაზს, მას, სათუთსა და სუსტს, მას არ შეუძლია არ იტიროს - მან არ იცის სილამაზე მსხვერპლისა!

და ხტის და ბუქნას გადადის ვიღაც იმ სიმღერაში, ვიღაც მღერის და კისკისებს, დღესასწაულობს და გაჰკივის, რომ უყვარს ბედთან მებრძოლი. უყვარს და არც შეუძლია არ უყვარდეს, ვინაიდან ის არის ქალი, ქალი!.. ჩემო ძლიერო, ჩემო ბატონო, ჩემო გაბედულო და გაუტეხელო, იცოდე,

რა მიყვარხარ! რა მიყვარხარ შენ, ჩემო მებრძოლო, იმიტომ რომ მე ქალი ვარ! გახსოვს ხომ - ქალებს არ უყვარდათ განა დავით მეფე? ქალები არ უმღეროდნენ მას, რომ დავითმა მოჰკლა ათიათასი და საულმა კი მხოლოდ ათასიო? დავითმა ათიათასი, საულმა კი მხოლოდ ათასი, მხოლოდ ათასი! ქალებს გვიყვარს ის, ვინც უფრო ძლიერია და მე შენ მიყვარხარ, ჩემო ძლიერო და ამაყო! მიიღე გვირგვინი, ჩემი ხელით ყვავილებისაგან დაწნული, ჩემი ხელით დაკრეფილი მინდორში, მიიღე გვირგვინი, ბატონო ჩემო! და კოცნაც ჩემი მიიღე, ალერსი - შენ ხომ გაიმარჯვებ, შენ ხომ შეგიძლია გაიმარჯვო!

მღერის და თამაშობს ვიღაც იმ სიმღერაში - მას უყვარს, მას უყვარს, მას უყვარს და არც შეუძლია არ უყვარდეს ბედისადმი მებრძოლი, იმიტომ რომ იგი არის ქალი.

და უფრო მაგრდება ხმა მებრძოლისა - ხმამაღლა ისვრის

ის საყვედურსა და გაბედულად სდებს ბრალს ბედს, საბრძოლველად იწვევს მას და იმედი კი ამხნევებს - გაბედე, ძმაო ჩემო, გაბედე, გასწი, გაბედე და შენია გამარჯვება!

და ოდნავადაც კი არ ამბობს მატყუარა იმედი, რომ ბრძოლაში მარცხდება არა მხოლოდ მარტოოდენ დამარცხებული - ეშმაკია იმედი, ის მატყუარაა!..

...რაღაც სიმღერა მოვისმინე ამ წუთას ღია ფანჯარასთან. ამ სიმღერამ მიამბო, რომ გაზაფხული დადგა და რაღაც სხვა ტკბილი რამ მასმინა და მე ამის გამო ავტირებულვარ... აბ, არა, არც ასე ყოფილა... ნუთუ მე ავტირდი იმიტომ, რომ ამ სიმღერამ მითხრა: შენთვის ყოველივე გათავებულიაო! ამაზე ვიტირე! მაგრამ აკი მე ეს დიდიხანია ვიცი! ცხედარო ჩემო, ცხედარო ჩემო, შენ ეს რაო, ვითომ?

მაგიდას ვუზივარ და არ ვიცი - მძინავს მე და სიზმარს რაიმეს ვხედავ, თუ ყველაფერი ეს სინამდვილეა! რამდენჯერ მოვიდა გაზაფხული და ისევ წავიდა - მე კი აქ ვიჯექი და ის არ მინახავს... არ მინახავს. სიზმარია ეს თუ ბოდვა? გესმით თუ არა - გაზაფხულდა ერთხელ, გაზაფხულდა მეორეჯერ, მესამეჯერ, მეოთხეჯერ კიდევ გაზაფხულდა... ერთხელ, ორჯერ სამჯერ, ოთხჯერ აყვავილდა, ამღერდა ყველაფერი, სიყვარული, სიხარული დაიბადა, - მე სადღა ვიყავი?..

მე სადღა ვიყავი?

ვუზივარ მაგიდას და ვფიქრობ, რაღაცას ვსწერ - გაზაფხულს ხომ არ ვიგონებ, ჩემი ქვეყნის გაზაფხულს, ქართულს, მშობლიურს.

გაზაფხული, გაზაფხული!

ახლა იქ გაჩაღებული გაზაფხულია, ჩემს სამშობლოში. და მთანი მაღალნი, მწვანე ხავერდით შემოსილნი სალოცავად თითქოს მომზადებულიყვნენ, დგანან და ყურს უგდებენ მრავალხმოვან გაზაფხულს, წყალთა ჩხრიალს, ფრინველების ჟღურტულს, გუთნისდედის სიმღერას.

გაზაფხული! გაზაფხული!

და გაზაფხულზე მე მიყვარდა ღამით ჩვენს პაწია ქალაქში ხეტიალი. საათობით დავდიოდი სანახევროდ გავერანებულ ქალაქის ბაღის ვეებერთელა ხეების ქვეშ და ვოცნებობდი. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა - ყველას ეძინა. ეძინა ადამიანს. ჩვენს ქალაქში ისე, როგორც სოფელში ადრე იძინებდნენ. მცენარეებსაც ეძინა. ნიავს

ეძინა და ვარსკვლავებსაც, - გადაიფარებდნენ მწვანე ფოთლებს, მიიმალებოდნენ - და ეძინათ. მე დავდიოდი ამ სიჩუმით გარემოცული დაძინებულ ბუნების სამეფოში, და საიდგანღაც იღვიძებდა ჩემში ბუნდოვანი მოგონება, რაღაცა ელანდებოდა ჩემ სულს და ტკბილი, ტკბილი სევდა გულზე მაწვებოდა. და ეს ჩემი ტკბილი მოგონება თუ სევდა, ჩემი ოხვრა სამუდამოდ დაკარგულ წარსულის გამო, თუ მომავალი ბედნიერების ნატვრა, ჩემდა უნებურად ისხმებოდა რუსთა დიდი პოეტის მოკლე ლექსში, რომელსაც თურმე ვღიღინებდი:

Где твое личико смуглое,

Нынче смеется кому?

მაგონდებოდა ვიღაც და რაღაც, და ისეთი ალერსით სავსე იყო ეს მოგონება, ისეთი ტკბილი, ისე თბებოდა სული. და

არ ვიცოდი კი ვინ, ან რა მაგონდებოდა. და კვლავ ვღიღინებდი:

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

ეს იყო გაზაფხულობით... სამშობლოში. დიახ...

შემდეგ?..

შემდეგ მე თითქოს გადავეყარე იმას, ვისაც ვეძებდი, ვინც მაგონდებოდა. ის თურმე მომავალში იყო და არა წარსულში. იმასაც თურმე მე ვაგონდებოდი, მე დამეძებდა...

შემდეგ?

შემდეგ იმას ვახსოვდი სანამ სატუსაღოში არ ჩავვარდი... დიახ, ასე იყო ეს.

დამიგდეთ ყური - ახლა მე ტუსაღი ვარ. მაგრამ ვიცი, რომ გაზაფხული დადგა. და მელანდებიან მე გაზაფხულის სურათები და მათ შორის ერთი ასეთი:

მთვარის სხივები დანათიან მდიდარ, მშვენიერ წალკოტს ზღვის პირას. და შავი ზღვის მთვლემარე ტალღათა ფურჩულში, მთვარის ვერცხლისფერ სხივებს ქვეშ, მე მესმის სხვა ფურჩული, ნაცნობი ხმა...

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

არა, არ შემიძლია, აღარ შემიძლია! ჰეი, მცველო, მეციხოვნევ, - მეგობარო, აბა, აქ მო! აბა, აქ მო, ერთი რამ

გთხოვო მინდა! ხედავ თუ არა იქ, ზღვის პირას ორ არსებას - ქალსა და კაცს? ხომ ხედავ? გესმის თუ არა, ის სამუდამო სიყვარულს ეფიცება იმ კაცს, ხომ გესმის? ის... ის მეც აგრე მეუბნებოდა ერთ დროს, მეც აგრე მეუბნებოდა... შენ გესმის თუ არა, ის წარსულზე უარს ამბობს, ის ამბობს, რომ არავინ იმის მეტი არას დროს არ ჰყვარებია... წადი იმასთან, ჩემო მცველო, წადი იმასთან! ჩაუარე იმას გვერდში, გაუღიმე, მიესალმე...

და ასე უთხარი:

- ჩემო მშვენიერო, დაგავიწყდა განა, რომ ქვეყნად სატუსაღოები არსებობენ? განა დაგავიწყდი მე, მეციხოვნე, ბებერი ქოფაკი? მაშინ რას იზამთ, რომ შენი საყვარელი ასე ერთი ხუთი წლით სატუსაღოში დააბრძანონ? განა შეიძლება მუდმივ სიყვარულზე ლაპარაკი, სანამ ქვეყანაზე სატუსაღო და მე ვარსებობთ?..

ხე, ხე, ხე! განა დაგავიწყდა შენი წინანდელი ფიცი?

მცველო - მეგობარო, წადი, ასე უთხარ მას! მეციხოვნევ, ამისრულე ეს თხოვნა! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ ეხლა - მე ისე, როგორც შენ, ბოროტი ვარ, ძმაო მეციხოვნევ... პატივი ეც ბოროტ ტუსაღს, ბოროტო მცველო, აუსრულე თხოვნა!

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

ეხ, ჩემო ძმაო, ჩემო მცველო, გამოსავალი სისხლი უნდა გამოვიდეს, - რას იზამ! გაზაფხულდა, სისხლი ათამაშდა ძარღვებში, სისხლი ალაპარაკდა. სურვილებით სავსეა სიცოცხლე და ყველაფერი ამბობს - ბედნიერი ვიყო მინდაო. და როცა სისხლი დუღს, როცა ყველაფერი მღერის და თამაშობს, როცა სიცოცხლე დის და გადადის,

როცა სიყვარული თავისას თხოულობს - სულერთი არ არის სიცრუით აღწევ საწადელს თუ არა? და განა, მეგობარო ჩემო, სიყვარული ოდესმე თქმულა ისე, რომ სიცრუე არ რეოდეს შიგ? უუწმინდესი სიყვარულიც სტყუის არა ნაკლებ ექვსჯერ დღეშიო, აღნიშნავს გენიოსი ბალზაკი... რას იზამ, ძმაო მცველო!

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

ღამე კი... ღამეა კაეშნიანი!..
მთვარე ამოვიდა და...
და, ხა! ხა! ხა! მე ლექსი გამოვთქვი...

კეკლუცი მთვარე ნაზი ღიმილით
სხივებს მიბნედილს აფენს დიად ზღვას...
ვხედავ, ხელებს შლის ტალღა - ვაჟკაცი,

რომ გულს ჩაეკრას მეორე ტალღას!
თვალგადაუწვდენ უძირო სივრცეს
შეჯიბრებია ოკეანე ცის...

ზვირთთა შრიალში, ვარსკვლავთ ცქრიალში
თითქოს მსოფლიოს სალამი მესმის.
შორს, შორს მიტაცებს ოცნების ფრთები,
ასე მგონია ახლოს ვარ ღმერთთან...
გული კი მაინც მარტოობას გრძნობს -
ჩემო სულისდგმავ, შენ არ ხარ ჩემთან!

გაგვჩხრიკეს და თითქოს სულში ჩამაფურთხეს. ფუ, რა საძაგლობაა! ვიღაცას უკმეხი სიტყვა ვუთხარი. და მხოლოდ სამი დღისა და ღამის შემდეგ დავბრუნდი კარცერიდან ჩემ საკანში.

- იცი? ზოგი ჭირი მარგებელია! - მითხრა იქ ამხანაგმა.

- რაზე ამბობ?

- არც ეს კარცერია იმდენად დასაწუნი. ბნელში მაინც ზიხარ. აგერ ორი წელია, რაც არ ვიცი ბნელში ძილი. და ხანდახან კი როგორ მოგინდება ხოლმე ბნელში ყოფნა... ჩრდილოეთში გიმოგზაურია? მაგალითად, პიტერში...

- ვყოფილვარ.

- მაშ თეთრი ღამეებიც, ალბათ, იცი. სატუსაღოში იგივე თეთრი ღამეებია, გაუთავებელი, მომაბეზრებელი, წყეული. დღე - დღე როდია, თეთრი ღამეა, ღამე - ღამე. ტალახიანი ჭრაქის ფერით მოდუნებული, უძილო - თეთრი ღამე. არც დღე არც ღამე სატუსაღოში არ არის, აქ თეთრი ღამეა... კარცერში კი... აქ ბნელა მაინც, და ამიტომ კარცერი არც იმდენად დასაწუნია. რას იტყვი შენ ამაზე?

- აბა რა უნდა ვთქვა? ისე, როგორც დოქტორი პანგლოსი - ყველაფერი უმჯობესდება ამ ქვეყანათა შორის საუკეთესო ქვეყანაში...

- აი, ეს მომწონს... პანგლოსი, ძმავ, ეს უკვდავი იმედია! თეთრი ღამე...

არა, ჩემთვის, გასართობად მხოლოდ როდი ვსწერ ამ სტრიქონებს. არც იმათთვის, ვინც მე მიყვარს - სრულიადაც არა. მე ხომ ბევრი მიყვარს, მე ხომ ველა ადამიანი მიყვარს!
ამ სტრიქონებს მე ვსწერ იმათთვის, ვისაც მე ვუყვარვარ... მოხვდებათ თუ არა ხელში იმათ ეს ფურცლები? ვუყვარვარ თუ არა ვისმე მე? ეს სტრიქონები პოემა როდია, მხატვრული ნაწარმოები როდია, ეს სტრიქონები უბრალო წერილებია გამწარებული ადამიანისა, რომელიც

ვერ მოთავსებულა სატუსაღოს ოთხ კედლებში, რომელიც ვერ შესჩვევია ტყვეობას, რომელიც მთელი მისი არსებით ილტვის იმათკენ, ვისაც ის უყვარს... ეს სტრიქონები მხატვრული ნაწარმოები როდია, ეს ნაწერია აჩქარებული ხელით, ჩხრეკისა და სხვა ასეთების მოლოდინში, რომ უცებ შესაძლებელი იყოს მათი მოსპობა - იმიტომ რომ მე არ მსურს წაიკითხოს ეს იმან, ვისაც არ ვუყვარვარ... თან არ ვიცი კი ვის გავუგზავნო ეს რვეული, რვეული, ნაწერი თეთრ ღამეებში, მწვავე წუთებში, როცა განსაკუთრებით ვგრძნობდი ხოლმე ტყვეობასა და დამცირებას...

თეთრი ღამე! რამდენი წელია ვიმყოფები თეთრ ღამეში. და არა ჩვეულებრივი მზე, არა ჩვეულებრივი მთვარე მინათებს მე სიბნელეს, არამედ ერთი გაუთავებელი, უკიდო და უძრავი თეთრი ღამე. ჩემი მზე მკვდრის მზეა.

იცით თქვენ რას ჰქვია მკვდრის მზე? როცა მზე დინჯად

და ლაღად ჩაწვება ხოლმე შავს ზღვაში, ააშფოთ-აადუღებს იმის ზვირთებს და ოქროსფრად შეღებილ ნაშხეფებს ზეცას შესტყორცნის, მაშინ მზის ალმაცერი სხივები ეცემიან აჭარა-გურიის მთების მწვერვალებს, ფერმკრთალი და მიბნედილი სხივები. ამ სხივებს ეძახიან გურიაში მკვდრის მზეს. აი, რა არის მკვდრის მზე!

თეთრი ღამე კი ამაზე უარესი რამეა!

თეთრი ღამე!

- ინებეთ!

- ეს მე? ვისგან არის?

- არ ვიცი.

- ვინ მოიტანა?

- არ შემიძლია ვიცოდე!

- ეს მე? ნეტავი რა უნდა იყოს?

- დიახ, თქვენ!.. რა არის კი, არ შემიძლია ვიცოდე - მე როდი ვათვალიერებ მაგეებს, სხვებმა გადმომცეს თქვენთვის.

- კარგი ძალიან. მოდი ერთად გავსინჯოთ, გამოვიკვლიოთ, ვნახოთ, ვინ როგორ მომიგონა.

- ბა! ეს ხომ კამფეტებია! და მთელი ორი კოლოფი. და ისე ეშმაკურად არის მოწყობილი, რომ გახსნით თუ არა, შენ ოქროს ასოებით გისურვებენ: “Bon appetit!” - გაამოსო, რაღა. და კოლოფებზეც ოქროს წარწერა: “ძმანი

კრახმალნიკოვები, ოდესაში” მაშ!..

ხუმრობენ, ალბათ, ძმანი კრახმალნიკოვები, აბა. ჩემთვის კამფეტები იმათ რად უნდა გამოეგზავნათ? განა იმათი მტერი არ ვარ მე? იმათ მუშებს განა არ ვიწვევდი გაფიცულიყვნენ?.. აი, მუშა-ქალებმა თუ გამოგზავნეს...

- Bon appetit, - ამხანაგებო!

ამოვიღე მთელი მუჭა და გადავეცი მცველს:

- Bon appetit!

- გმადლობთ!

კიდევ ამოვიღე და მივეცი.

- ეს შენს ბალღებს - Bon appetit!

- დიდად გმადლობთ!

კარები მიიხურა.

ურა! ურა! ურა! დიდისაგან დიდია ჩვენი ქვეყანა და მრავლისაგან მრავალ ხალხს იტევს იგი. და ერთი მათგანი დღეს მოადგა ციხის კარებსა და დამიძახა:

- Bon appetit, მიხა!

- Bon appetit, ჩემო ძვირფასო!

- გესმის ჩემი ხმა, ამხანაგო?

- მესმის... მესმის!..

მაგრამ შენ ვინ ხარ, ძამია! და როგორ მოახერხე კამფეტების გადმოცემა?.. ვინ ხარ შენ, მეგობარო?

სულერთია, ვინც უნდა იყო, შენთვის ვსწერ მე ამ სტრიქონებს, მე ვიცი, რომ შენ გიყვარვარ...

Bon appetit! Bon appetit!

მძიმე და საშიშარი წუთები, წუთები სულმოკლეობისა და დაცემის!

სატუსაღო იმით არის მძიმე, სატუსაღო იმიტომ არის წყეული, რომ უმდაბლესი და დამამცირებელი გრძნობა და გულისთქმა იქ უწმინდესი და უსპეტაკესი გგონია, ხანდახან მაინც.

აᲮ, მტრებო, მტრებო! ჩემო ბოროტო, ჩემო უღირსო, ჩემო სულმდაბალო, წვრილმანო მტრებო!.. რა უბედურებაა, რომ თქვენ მძულდე! ბედმა იმის ღირსიც კი არ გაგვᲮადა, რომ ჩვენი მტრები ღირსნი იყვნენ ჩვენი სიძულვილისა!..

ამ დილას იყო ჩემს საკანში ჩემი მტერი, ჩვენი უფროსი. თავდაᲮურული. ჯიბეში ცალᲮელ-ჩადებული, ის ისე შემოვიდა შიგ, თითქოს მე იქ არც ვყოფილიყო. ჯერ მაღლა ჭერს შეᲮედა, შემდეგ დაბლა, რამდენიმეჯერ ფეᲮით გასინჯა იატაკის სიმაგრე, შემდეგ კედლები აათვალიერ-ჩაათვალიერა და მივიდა სტოლთან, აიღო წიგნი და თითქოს ეშინია სუფთა თითები არ დამესვაროსო, ფრთᲮილად გადაშალა.

- ბუნების ფილოსოფია... Ჰმ! ოსტვალდისა... - ჩაილაპარაკა მან, მიანება წიგნს თავი და გაბრუნდა. კარებში შეჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო,

შემოტრიალდა და შემომხედა.

- ჰმ... მე მგონია, რომ ამ საკანში ძალიან ბევრი სინათლეა... ფანჯარა არის დიდი... თქვენი გვარი? - მკითხა უცებ მან.

- ჩემს გვარს აი ეს გეტყვით!.. - მივუთითე ციხის უფროსზე,

- Вот как... როგორი ყოფაქცევის არის ეს ტუსაღი?.. ვითომ ჩემი პასუხი არც კი სწყენოდეს.

- მე უმორჩილესად გთხოვთ ჩემს ყოფაქცევაზე ილაპარაკოთ სადმე სხვაგან და არა აქ...

- მე თქვენ გეკითხებით, როგორი ყოფაქცევის არის-მეთქი ეს ტუსაღი?

- არაფერს არ ემორჩილება, თქვენო აღმატებულებავ, ყოველ დღე შფოთავს და იბრძვის.

- გესმის რას ამბობენ შენზე?

- დიდად კმაყოფილი ვარ... მესმის...

- კმაყოფილი ხარ? ვნახოთ, იქნები თუ არა კმაყოფილი!

- თქვენო აღმატებულებავ, მიბრძანდით ჩემი საკნიდან...

მისი აღმატებულება წავიდა, კარები მიიხურა და მე მარტო დავრჩი. ვნახოთ, რა იქნება!.. კარცერი? დეე! წიგნებს წამართმევენ? ჯანდაბას მაგათი თავი, წაიღონ!

ბოლთას ვსცემ, ვშფოთავ. და უცებ, პირველად ამდენი

წლების განმავლობაში, თავში იბადება კითხვა: “რას იზამ, როგორ მოიქცევი, რომ “ისინი” შენს ხელში ჩამოვარდნენ? შენ ციხის უფროსი ხარ, მაგალითად, ისინი კი ტუსაღები, როგორ მოიქცევი?”

მინდოდა ამ კითხვის მოშორება თავიდან - აბა ეს როგორ შეიძლება? მაგრამ კითხვა ჯიუტობდა და არ მშორდებოდა, - არ იქნება ეს, რა თქმა უნდა, მაგრამ რომ მოხდეს, რას იზამ მაშინ? ნაბიჯი ამიჩქარდა, ხელი იკუმშებოდა და უცნობი, შურისძიებით გაჟღენთილი გულისწყრომა გულში ძლიერდებოდა, თან კი ჩემი თავი მუშაობდა კითხვაზე, თუ რას ვიზამ, “ისინი” რომ ხელში ჩამივარდნენ.

რას ვიზამ “ისინი” რომ ხელში ჩამივარდნენ? არაფერს. მხოლოდ ძალაში მოვიყვანდი, ერთი იოტის ოდენად არ შევამსუბუქებდი იმ კანონებსა და ცირკულიარებს,

რომლებიც იმათ ტუსაღების საწამებლად და დასამცირებლად შეუმუშავებიათ. მეტს არაფერს არ ვიზამდი.

- გამარჯობა, ტუსაღო ივანოვო! - ვეტყვი, - შენ გინდოდა ჩემი ნახვა?

- დიახ, მინდოდა.

- ივანოვო, უფროსებს აგრე არ ელაპარაკებიან. ხელები ძირს დაუშვი, დადექი სწორად!.. ორი კვირით გართმევ უფლებას ინახულო ვინმე შენიანი... ეხლა მითხარი - რად მეძახოდი?

- ზედამხედველმა ლიტვინოვმა დედა შემაგინა.

- ეს შეუძლებელია, ივანოვო, ზედამხედველებს არა აქვთ

ნება გინებისა, კანონი ასეთ უფლებას იმათ არ აძლევს.

- მაშ იმედია, დასჯით.

- რა. თქმა უნდა, დავსჯი, თუ ეს სიმართლეა, უნდა გამოვიკვლიოთ შენი საჩივარი, სად არის ლიტვინოვი, დაუძახეთ!

- მთელმა კორიდორმა გაიგონა, თუ როგორ შემომაგინა.

- რომელმა კორიდორმა? შენ ფიქრობ განა, რომ ტუსაღებს მოწმედ მივიღებ? ტუსაღი არ შეიძლება მოწმედ იყოს, ტუსაღი ხომ ყოველთვის ტუსაღის მხარს დაიჭერს. ამის შესახებ განა არ გახსოვს ცირკულიარი? რა იქნა ლიტვინოვი!

- რას მიბრძანებთ, თქვენო კეთილშობილებავ!

- ლიტვინოვ!.. შენ ხომ იცი... ჩამოუშვი ძირს ხელი, არ არის საჭირო... შენ ხომ იცი, რომ ტუსაღის გინება აკრძალულია.

- Так точно, ვიცი, თქვენო კეთ-ბავ!

- ძალიან კარგი, შენ ეს იცი... ტუსაღი ივანოვი კი სჩივის, ლიტვინოვმა დედა შემომაგინაო. მართალია ეს განა?

- Никак нет, თქვენო კეთ-ბავ! სტყუის ივანოვი, თქვენო კეთილშობილებავ!

- მეც ასე ვფიქრობდი... არც გრცხვენია ტყუილის ლაპარაკი, ივანოვო? შენი ხნის კაცი განა უნდა სტყუოდეს? ლიტვინოვ, წაიყვანე ივანოვი კარცერში სამი დღე-ღამით, სიცრუისათვის... ახ, შენ არ მოგწონს ჩემი

საქციელი? შენ პროტესტს აცხადებ? ტყუილად, ჩემო კარგო, არაფერი გამოვა მანდედან. შენ განა არ გახსოვს? შენი ხელმოწერილი არ არის განა ის ცირკულიარი, რომლის ძალითაც ტუსაღი ყოველთვის უნდა გამტყუნდეს ზედამხედველის წინააღმდეგ?.. რომ ადმინისტრაციის პრესტიჟი არ დაეცესო - ხე! ხე! ხე!.. ივანოვო, მე მჯერა, რომ ლიტვინოვმა შემოგაგინა. მაგრამ ის უარყოფს - არაფერი ასეთი არ ჩამიდენიაო. და ადმინისტრაციის პრესტიჟი, შენ მიერ გამოცემული ცირკულიარის ძალით თხოულობს, რომ დავენდო იმის სიტყვებს და არა შენსას. და თუ ის სიმართლეს ამბობს, გამოდის - შენ სტყუი, შენ უნდა დაისაჯო... ხე! ხე! ხე! ამიტომ მიბრძანდი კარცერში...

ერთი მითხარით - შეიძლება ამაზე შორს წასვლა, მეტი გახრწნა? კაცი ოცნებობდე და ამ ოცნებაში ნატრობდე სატუსაღოს უფროსობას! მხოლოდ სატუსაღო და მისი

თეთრი ღამეები გარყვნის ასე კაცს, მხოლოდ სატუსაღო!

ჩინეთში თურმე თეთრი ფერი სიმბოლოა სიკვდილისა, სიმბოლოა გლოვისა და ცრემლის ღვრის. მეც თეთრ ღამეში ვარ გახვეული, თეთრი ღამე არ მიშვებს თავის კლანჭებიდან... არ მიშვებს... ჩინეთში ხომ არ ვარ მე?

ჩემი ზღაპარი! ჩემი ზღაპარი! ქართულად თქმული ზღაპარი, სადაც რუსი ქალიშვილი მზეთუნახავობს, თინათინობს, ნესტანდარეჯნობს... ქართულად თქმული ზღაპარი, ქართულად იმიტომ რომ, იმიტომ რომ მე მსურს სიყვარულისა და ზღაპრის ენით ვილაპარაკო...

ჩემი ზღაპარი! ჩემი ზღაპარი!

რა თქმა უნდა, ეს ასე უნდა მომხდარიყო, როცა ასე ვგრძნობდი სიმძიმეს ჩემი ბედისას, აბა განა შეიძლებოდა

სხვაფრივ?

როცა მე ტუსაღობის ვადას გავათავებ და თქვენ მკითხავთ - რა უფრო მძიმეა სატუსაღოშიო, გიპასუხებთ: ყველაზე უფრო მძიმე სატუსაღოსა და ტუსაღობაში არის გამოღვიძება-მეთქი. დიახ, ასე გიპასუხებთ მე და ეს ჩემი პასუხი იქნება გულწრფელი პასუხი. სატუსაღოში კაცი ისეთ მშვენიერ სიზმრებს ხედავს და უცებ გაეღვიძება - რა შეიძლება აბა უმწარესი იმაზე, რომ სიზმრის ქვეყნიდან ტუსაღის ქვეყანაში გადადიხარ ერთბაშად. ერთხელ ერთი ტუსაღის ლექსი წავიკითხე:

დავწვები - მიმეძინება, სიზმრებს ვხედავ არეულს,
წითელ-ყვითლით გამოწყობილ შინაურს და გარეულს...

ამ მარტივსა და პრიმიტიულ ფორმაში იმ ტუსაღმა სავსებით გამოთქვა ის დიდი და მძიმე სულიერი განცდა,

რომელსაც ადამიანი გრძნობს ხოლმე სატუსაღოს სიზმარსა და ცხადში. დიახ, დიახ, ყველაზე უფრო მძიმე სატუსაღოში გამოღვიძებაა.

რა თქმა უნდა, მე ჩემი ზღაპარი უნდა მენახა აქაც ძილში, ეს არ შეიძლებოდა აგრე არ მომხდარიყო.

მაგრამ რად, რად მოდი ჩემთან, ჩემო ტკბილო ზღაპარო, ჩემო გაზაფხულის მზევ! აი, ამ წუთში რომ ჩემთან იყავ, ამ წუთას რომ იცინოდი და დამცინოდი, ეხლა სადღა ხარ შენ? განა იმიტომ მომეჩვენე, რომ მეტირა? რად აბჭყვრიალდი შუქურა ვარსკვლავივით ჩემს სიბნელეში? განა გსურს, რომ შემდეგ უფრო მეგრძნო სიბნელე ღამისა?.. შენ ისეთი კეთილი, შენ ისეთი კარგი, ისეთი საიმედო იყავი - ეხლა სად ხარ შენ, ელენა? ერთი ეს მითხარი, ჩემო ძვირფასო დაო, თავი რად მოიკალი?.. და თუ მოკვდი ასე ახლო, ასე განუყრელი რატომ ხარ ჩემთან,

ჩემო ზღაპარო, ჩემო მანათობელო ვარსკვლავო!..

გიამბოთ თუ არა ჩემი ზღაპარი? გიამბოთ თუ არა ზღაპარი სიყვარულისა და ზღაპრის ენაზე, იმ ენაზე, რომელზედაც შოთა და აკაკი ჰგალობდნენ?..

ჩემი ზღაპარი შორეულ ჩრდილოეთში დაიწყო - ფინლიანდიასა თუ შვეციაში... რაღაც ჯადოსნურია იქაურ გაზაფხულში - დადიხარ, თითქოს ვიღაც დიდიხნის უნახავის და სანატრელი ვისმეს შეხვედრას ელოდე. დადიხარ და გგონია - აი იქ, იმ მოხვეულში, იმ ნაძვნარში შეხვდები იმას, ვისაც ეძებ, ვინც გიყვარს და ვისაც ელოდები, აი იქ, ცოტა წინ გასწი და... რაღაც ჯადოსნურია იქაურ გაზაფხულში - აი, აი საცა არის დაინახავ... დაინახავ ჯერ იმის ღიმილს, დიახ, ჯერ იმის ღიმილს და მერმე...მერმე...

და იქ გადავეყარე მე ჩემს ზღაპარს.

ამ ზღაპარს თავისი ბოლოც აქვს, თავისი დასასრული. მისი დასასრული ერთ-ერთ საკატორღო ციხეშია, სადაც ხუთი წლით გაგზავნეს ჩემი ზღაპარი. მე იმისგან წერილი მივიღე, გამოსათხოვარი წერილი, რომელშიაც ის მე და სხვებს უკანასკნელ სალამს, უკანასკნელ ამბორს გვიგზავნიდა. ის მწერდა სიკვდილის წინ, - თავის მოკვლა გადაეწყვიტა. და როცა მივიღე მისი წერილი, მე დავიწყე ყვირილი, მე დავეცი გულჩაღმა და ავქვითინდი. მე ვმოვთქვამდი და ვემუდარებოდი - ამას ნუ ჩაიდენ-მეთქი. შენ, ელენა, თვითონ არ იცი, თუ რა საჭირო ხარ ჩვენთვის, შენ თვითონ არ იცი რა ძალას და იმედს წარმოადგენ, შენ უნდა იცოცხლო, შენ უნდა იცოცხლო!.. და როცა მე ასე ვემუდარებოდი, მე ვიცოდი, რომ ამაო იყო ყოველივე, ვიცოდი, რომ ის უკვე გათავებული იყო - ელენას არ უყვარდა ზეზეური ლაპარაკი...

ზღაპარი დასრულდა, ჩემო მეგობრებო, მაგრამ მე იმას კვლავ თავიდან ვიწყებ. ეს ზღაპარი მშობლიურ, ქართულ ენაზე უნდა ვთქვა, მშობლიურ, ქართულ ენაზე უნდა ვისაუბრო რუსის ქალიშვილის შესახებ, ეს იმიტომ რომ მე მსურს სიყვარულისა და ზღაპრის ენაზე ვილაპარაკო. რუსის ქალიშვილმა არ იცოდა ქართული.

- მითხარი, - მეუბნებოდა ის, - ქართულ ენაზე ანბანი არსებობს? ქართულად ლექსი არსებობს? როგორ არის ქართულად "ბრძოლა?" მე კი ქართველის სახელის გაგონებაზე მხოლოდ ხანჯალი მომაგონდება და მეტი არაფერი... ჰო, მართლა, კიდევ თამარი... თამარ მეფე!.. უ-უფ! როგორ მოღუშა წარბები, როგორ გაჯავრდა!

და აი ამ ქართულ ენაზე მინდა მოვყვე მე ზღაპარი რუსს ქალიშვილის შესახებ, რომელმაც ქართული არ იცოდა.

მან როდი იცოდა, რომ ის ჩემი ზღაპარი იყო. როდი იცოდა, როცა იმას ტუსაღის ტანისამოსი ჩააცვეს და ბორკილები შეუყარეს ფეხებში, თუ ეს ჩემი ზღაპარი გამოაწყვეს ასე საქორწილოდ... მან როდი იცოდა, რომ ჩემი ზღაპარი ამით უფრო განსპეტაკდა, გამშვენიერდა და გაიწმინდა, რომ ის სიყვარულისა და სიცოცხლის ზღაპრად იქცა...

ერთ საღამოს მე მივიღე დაკუმშული ქაღალდი. ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. იმაში ეწერა: "ურა, მეც თქვენთან ვარ, ჩემო ძვირფასებო!" აჰ! ეს ხომ ელენაა! ეს ხომ ელენაა! დავიწყე კაკუნი კედელზე - ტუკ! ტუკ! ტუკ! ელენა მოიყვანეს! ელენა მოიყვანეს!

- როდის? სად არის?

- არ ვიცი როდის, აქ კია... მწერს. ელენა აქ არის. ელენა აქ

არის. დილით გავიგეთ, რომ ელენა კარცერში ზის, იმიტომ რომ დილის “პროვერკის” დროს ფეხზე ადგომა არ ისურვა.

- თქვენ ვალდებული ხართ ადგეთ!

- მე არ ვფიქრობ, რომ ვალდებული ვიყო.

- ჩვენ იძულებული გავხდებით, დაგსაჯოთ...

- თუ ღმერთი გწამთ, ნუ მომკალით შიშით.

იძულებული გახდნენ კარცერში წაეყვანათ. განა შეიძლებოდა ასეთი თავხედობა? მეორე დღეს დააბრუნეს უკან და თვითონ ციხის უფროსის წინაშე გააჩერეს.

- თქვენ აქ სასტუმროში არ გეგონოს თავი, არ გირჩევთ

ასეთ ოცნებას, აქ სატუსაღოა. თქვენ ტუსაღი ხართ. და ეს თქვენ უნდა გახსოვდეთ, ე. ი. მორჩილი უნდა იყვეთ. თქვენ ფეხზე უნდა წამოდგეთ არა თუ ზედამხედველის წინაშე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა ზედამხედველის ქუდს გამოვგზავნი მხოლოდ საკანში...

- მშვიდობით ბრძანდებოდეთ!..

- ხომ გაიგონეთ, რაც ვთქვი...

- მე მგონია, თქვენ დაათავეთ...

- ეს რა ტონია… აქ სამეძაო სახლი როდია, აქ სატუსაღოა.

- Ду-рак! - მოკლედ მოუჭრა სიტყვა ელენამ.

- წაიყვანეთ უკან... კარცერში...

ასე დაიწყო ბრძოლა, რომელიც დაბოლოს ელენას გამარჯვებით გათავდა. დაიღალა ადმინისტრაცია და თავი მიანებეს. და ამ ბრძოლაში ჩვენ ვთხოვდით - გულგრილი ყოფილიყო, ბევრი რამ არ შეემჩნია, ესე იგი ვთხოვდით - დაუთმეო.

- კარგია ერთი, - გვწერდა ის, - თქვენ ფიქრობთ, ასე მძიმეა კარცერი? მარტო ერთი ის რად ღირს, რომ ამ მხეცურ ფიზიონომიებს არ ვხედავ ყოველ წუთას!

დიახ, ისევ ის იყო ჩვენი ელენა, რაც წინეთ. წინეთაც ის ერთნაირი თავგამოდებით იბრძოდა დიდისა თუ მცირე უსამართლობის წინააღმდეგ. ჩვენ წინეთაც ვუშლიდით იმას ხელს - ასე აბა როგორ შეიძლება, ამხანაგო, ყოველი წვრილმანის გამოკიდება. ხანდახან ამას პირდაპირი ზარალი მოაქვს და სარგებლობა კი არაოდეს...

მაგრამ სწორედ ამ “ნაკლის” გამო მგონი უფრო გვიყვარდა ის ჩვენ... მაგრამ ყველაზე უფრო ღრმად ის მამა-მისს, ბებერ გენერალს უყვარდა... და როცა ელენას მიუსაჯეს კატორღა, რამდენიმე დღის შემდეგ ის მოვიდა ქალიშვილთან და ნელი, გაუბედავი ხმით უთხრა მას, რომ ეს სასჯელი მას შეუმცირდება, საჭიროა მხოლოდ ელენამ ხელი მოაწეროს რაღაც ქაღალდს.

- მამა, მამილო, ამას რას ამბობ?..

- ელენა... ელენუშკა... შენ... ის... დამდევი ხათრი ბებერს.

- ტყვილა სწუხხარ, მამა, გენაცვალე!.. მე კიდევ მესმის, სიკვდილი რომ მომელოდეს, ან გრძელი ვადით კატორღა... რაღაც ხუთი წელი... ხუთ წელს ვიძინებ, მამილო, არც კი გადავბრუნდები...

- ელენა... უღმერთო... შენ ხომ ჩემი ერთადერთი ხარ... რა ვქნა მე ამ სიბერეში?

- შენც ერთადერთი მყავხარ, მამა, ჩემო ძვირფასო! მაგრამ აბა ერთი მითხარი, შენ რომ თურქებს ტყვედ ჩავარდნოდი, სთხოვდი განა იმათ შებრალებას და პატიებას?.. რა თქმა უნდა, არ სთხოვდი. და მე განა შენი შვილი არ ვარ?.. აბა ერთი მაკოცე, მამილო!.. ნახვამდი, ჩემო ძვირფასო მამა!..

ბებერი გენერალი შებრუნდა, ნელი ნაბიჯით გავიდა კანცელარიიდან და მისი ვეება ტვირთით გულსა და ბებერ მხრებზე წავიდა სახლისკენ... ელენამ კი იმ დღეს ერთი კვირის კარცერი დაიმსახურა.

შემდეგ ცენტრალურ ციხეშიც ის ხშირად ახერხებდა - არ

ეცქირა მხეცური ფიზიონომებისთვის, ხშირად იჯდა კარცერში. დროგამოშვებით ის ახერხებდა მოკლე წერილები მოეწვდინა ჩემთვის... ერთხელ მომწერა - რაღაც ახირებული სენი დამჩემდა და არ ვიცი რა არის, რა ნიადაგზეაო. შემდეგ კი გამოდგა, რომ ეს სენი იყო ვენერიული სენი. ვინ იცის, საწოლიდან გადაედო, საცვლებიდან თუ საჭმელიდან მას ეს უბედურება.

- აჰა! - იხუმრა ციხის უფროსმა, როცა ეს გაიგო, - დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოულობდნენ და დემოკრატიული სიფილისი მიიღეს - ხე! ხე! ხე! ეს კარგია!..

გამიგონე, ჩემო დაო, ჩემო მეგობარო! მე რაღაც მინდოდა მეთქვა შენს შესახებ, მე მსურდა მეფიქრა შენზე, ჩემო ზღაპარო! აი, ვიჯექი მე ეხლა და ვფიქრობდი იმის შესახებ, თუ როგორ მარტო ვარ მე, როგორ

მიტოვებული... და შენ მოდი ამ დროს - მე ძლიერ გამიკვირდა ეს. და რაკი დაგინახე, გადავწყვიტე აღარ დამეფარა სიხარული, ჩემი შენდამი სიყვარული.

- ელენა! ელენა! ნუთუ ეს შენ ხარ?

- ეს როგორ მიცქერი აგრე ტრაღიკულად!

- ელენა! ნუთუ ეს შენ ხარ?

- მაშ ვინ უნდა ვიყო მე, თუ არ ელენა! რა თქმა უნდა, მე ელენა ვარ.

- შენ აკი მოკვდი... შე უღმერთო, შენა, აკი თავი მოიკალ, მიგვატოვე... შე ლაჩარო, შენ!

- სულელო! კიდევ არ იცი განა, რომ არავითარი სიკვდილი

არ არის?.. აბა რა მიგავს მკვდარს, აბა შემომხედე!

- გამიგონე, დაო ჩემო, აი, ამ წუთს შენ აქ იყავი, ამ წუთას მესაუბრებოდი - სადღა წადი? რა იქენ, ელენა!.. ელენა! ელენა! ელენა!..

მე მინდოდა ზღაპარი, ერთი მშვენიერი ზღაპარი მეამბო თქვენთვის... თქვენ იცით თუ არა, რად ეუბნებიან ზღაპრებს ბავშვებს? იქნება თქვენ გჯერათ ის სულელური და სულელების შექმნილი აზრი, თითქოს გულუბრყვილო და გაუვარჯიშებელი ბავშვის გონება ზღაპარზე უფრო სერიოზულ რამეს ვერას გაიგებსო! იქნებ თქვენ ეს გჯერათ? მაგრამ განა შეიძლება ზღაპარზე უფრო სერიოზული რამ?.. ნუ გჯერათ, ძმებო, თუ ასე ამბობენ, - ზღაპარს ეუბნებიან ბავშვებს არა ამ მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ ბავშვი ერთადერთი სულდგმულია, რომელიც გვიყვარს ნამდვილი,

ჭეშმარიტი სიყვარულით. და ნაყოფი ადამიანის ოცნებათა და ნატვრათა, მისი ოქროს იმედები და მოლოდინი, ადამიანის სული და სინიდისი - ზღაპარი, ადამიანის შექმნილი - მიაქვთ ბავშვებთან, იმათ ეუბნებიან, იმათ, რომლებიც ნამდვილი, წრფელი სიყვარულით უყვართ. და როცა, ჩვენ, ძმებო, შეგვიყვარდება ერთმანეთი ისე, როგორც გვიყვარს ბავშვები, მაშინ ჩვენ ერთმანეთშიც ზღაპრებით ვილაპარაკებთ, მაშინ ჩვენთვისაც გაჩნდებიან ანდერსენები, ძმანი გრიმმები და სხვები... ამ წუთში კი მე მგონია, ამ წუთში მე მგონია, რომ ყველა თქვენგანი მიყვარს მე, მინდა გადაგისვათ შუბლზე ხელი, მოგეალერსოთ... და საუკეთესო ზღაპარი ჩემი მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ზღაპარი რუსის ქალიშვილზე, რომელიც ბრძოლის ველზე გამოვიდა. ახალგაზრდა, მშვენიერი, უმანკო და სპეტაკი, ის გამოვიდა საბრძოლველად სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. და

იმის შესახებ კი მტრები ამბობდნენ: შეხედეთ, ეს გოგო, ეს ურცხვი ჯარისკაცებსა და მატროსებში დაეხეტება, რომ... რომ...

ამ ქალიშვილის შესახებ მე ვიცი უმშვენიერესი ზღაპარი. და იმისი თქმა მინდოდა თქვენთვის და დახეთ, ჩემი სურვილიდან არაფერი გამოვიდა... ეს იმიტომ ხომ არა, რომ მე ავტირდი? ან, იქნებ სიყვარული თქვენდამი მაკლია?.. ისე მშვენივრად რომ ვიცი მე ეს ზღაპარი, რად ვერ შევძელი მისი თქმა?

რად, ამხანაგებო!..

თეთრი ღამე! თეთრი ღამე!

ღამეა კაეშნიანი,

თვალი ვერ ხედავს ვერასა
ქარი ჰქრის. ქარი ღრიალებს,

ქარი დასტირის ბნელასა!..

იცით თუ არა, რად მძულს ასე ღრმად, რად ვებრძვი არსებულ წესრიგს, არსებულ საზოგადოებას?

არსებული საზოგადოება, მისი წესრიგი ჰბადებს და სწვრთნის ქურდს... ქურდი! ქურდი! რა საშინელი, რა დამამცირებელი სახელია ეს სახელი! ქურდი - ეს ადამიანის საზიზღარი ჩირქია, ეს სიკვდილის განაჩენია იმ საზოგადოების, რომელიც ქურდს ჰბადებს... და მე მძაგს ეს საზოგადოება, მე ვებრძვი მას და ბოლომდე ვებრძოლები - დიახ, ვიბრძოლებ ქურდების შემქმნელ საზოგადოებასთან, იმიტომ რომ მე ადამიანი მიყვარს.

ერთმა საწყალზე უსაწყლესმა ქურდმა კინაღამ ცრემლებით მატირა. ის შემოვიდა ჩემ საკანში. ის ყოველდღე შემოდის, რომ მილაგ-მოალაგოს საკანი, დაჰგავოს, გაასუფთაოს. ამ შრომისთვის ის ჩემგან ღებულობს თვიურად ჩაის, შაქარს, თუთუნსა და ცოტა ფულსაც. დღეს თუ გუშინ მან ისარგებლა მარჯვე დროთი და მომპარა კამფეტები.

ცოტა დარცხვენილი კი იყო ის, ცოტათი შეშინებული, როცა ამის შემდეგ ჩემთან შემოვიდა. მაგრამ შემდეგ დარწმუნდა, რომ მე არაფერს ვეტყვი, გათამამდა, უფრო ერთგულად კი დაჰგავა ოთახი და ციხის რამდენიმე საიდუმლო გადმომცა.

ეხ, სულელი ვარ მე, უკაცრავად სიტყვაა და "პირი ხისკენ მიქნია". გადავწყვიტე ხელი არ მეხლო კამფეტებისთვის, მოვფრთხილებოდი ძმათა კრახმალნიკოვების

ნაწარმოებს, როგორც სახსოვარს. კამფეტები - ეს ჩემთვის საბუთი იყო იმისა, რომ გარეთ ცოცხალი ადამიანები არსებობენ, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც მე ვახსოვარ. ამიტომ ამ კამფეტების შეჭმა არ შეიძლებოდა. მე ხომ კულტურული ადამიანი ვარ, თუ უკაცრავად არ ვიყო. ეს იაკუტის მხარეში მოხდა, რომ ველურებმა შეჭამეს რამდენიმე ათას წელიწადს შენახული ნაშთი მამონტისა, დაცული ციმბირის ყინვის შემწეობით. მე ხომ იმ იაკუტელებს ვერ დავემსგავსები, მე, რომელსაც თავი კულტურულ ადამიანად მიმაჩნია!

მაგრამ... მაგრამ ის, რომ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. მოვიდა ერთი საწყალზე უსაწყლესი ქურდი და ჩემი კამფეტები თითქოს არ ყოფილიყოს. ისე გაქრა, ვითარცა გაქრა ამხანაგი ვასოს ცოლი.

და დადის ამხანაგი ვასო კუთხიდან კუთხეში, დადის

დილიდან საღამომდე და სწევს, სწევს თუთუნს, რამდენ თუთუნს სწევს ის! ისიც გაქურდეს, და გაქურდეს ის ამხანაგებმა - ცოლმა და მეგობარმა. ლაჩრულად, მდაბლად, ისე როგორც უნდა მოიქცეს ქურდი, მიეპარნენ ვასოსა და გაქურდეს იგი... და ამ ქურდობის შესახებ მე ყველას, ყველას ვუამბობ!

ვასომ მე გამომიგზავნა ადგილობრივი მუშათა გაზეთის ნომერი. იქ არის სტატია იმ ყმაწვილის, რომელმაც ვასო გაქურდა. ის სწერს, რომ აღდგომა მოახლოვდა, რომ ჩვენში ჩვეულებაა - ბატკნებს ჰკლავენ სააღდგომოდ და სასურველია პაწია ბავშვებს არ აცქერინონ ამ სურათზე, რათა იმათ გული არ გაუქვავდეს, სისხლს არ შეეჩვიონო. აი, რა ლბილი, რა კეთილი კაცია ჩვენი კ., რომელმაც ვასოს ცოლთან ერთად ვასო გაქურდა.

ვასოს ცოლი ერთხელ მოვიდა ქმართან და უთხრა:

- ვასო, მე ვიპოვე ოთახი აფიცრის ქუჩაზე, მე ის მოვრთე რამდენადაც შემეძლო. იქ თბილა, მაგრამ შენ იქ არ ხარ და ამიტომ მგონია სასაფლაოზე ვარ, მგონია სიცივით ვკვდები... არ გეცოდები, ვასო? როდის მოხვალ, შე უღმერთო, სახლში?

და ისეთი ალერსით, ისეთი სინაზით შეხედა ქმარს თვალებში. და აცახცახდა ვასოს მკერდში გული და შერცხვა იმას თავისი ფიქრების...

შერცხვა იმ უსახელო წერილის მიერ გამოწვეული ფიქრების, რომლებიც ხანდახან მას ებადებოდნენ თავში. და უთხრა ვასომ თავის თავს: “შეგრცხვეს, შე მხეცო, განა შეიძლება ასე სტყუოდეს ადამიანი! არ შეგრცხვება ეხლა?”

ვასომ ვერ შესძლო, თვალები ცრემლებით აევსო.

- ვასო, რა მოგდის... შემომხედე... ეს რა არის?

- არა... არაფერი... ეს მხეცები... ეს იმათი ბრალია... ლიზა, მე ისეთი საძაგელი წერილი მივიღე.

- წერილი? ვისგან? რა წერილი?

- უსახელო... მე ის დავხიე... მე...

- ნუთუ ჩემ შესახებ?

- შენ შესახებ, ლიზა...

- მე ვიცი, ვინ იზამდა ამას.

- ვინ?

- ჯაშუშები, სხვა არავინ. .

- ჯაშუშებს რა უნდათ?

- იცი, აი რაშია საქმე. აქამდე არ მინდოდა შენთვის მეთქვა. დიდიხანია ვიღაც მდევდა, ფანჯარაშიც კი იცქირებოდა ხოლმე, მოსვენებას არ მაძლევდა, ამას წინეთ ვეღარ მოვითმინე. მივუბრუნდი და ვუთხარი:

- რას დაეთრევი ჩემს უკან, ვიღაცა ხარ, დღითა და ღამით? ვინ ხარ? თუ გიბრძანეს, თვალი მადევნო, ისე მადევნე თვალი, მე ვერ შევამჩნიო, თორემ წავალ ჟანდარმებთან და ვეტყვი, როგორ იქცევი...

ამის შემდეგ ის აღარ დამინახავს, მაგრამ მგონია, რომ ის

შურს ძიობს. რამე სისაძაგლეს იწერება, ალბათ, ხომ?

- მაგათი სულიც არ იყოს, არ ღირს ამაზე ლაპარაკი!

გამოდგა, რომ სტყუოდა ლიზა. სრულიათაც არ გრძნობდა თურმე მარტოობას და სევდას ახალ ბინაზე... გამოდგა, რომ სტყუოდა ის, ატყუებდა ქმარს.

ქურდი! ქურდი!

უსახელო წერილებს რიგიანი კაცები თურმე არ კითხულობენ და თუ წაიკითხეს - შინაარსს მაინც ყურადღებას არ აქცევენ. ასე იქცევიან რიგიანი კაცები ჩვეულებრივ პირობებში, ხოლო არაჩვეულებრივ პირობებში როგორ იქცევიან, ამის შესახებ მე არაფერი ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ ვასომ მიიღო უსახელო წერილი სატუსაღოში. ამ წერილზე მსხვილი ასოებით აღნიშნული

იყო ის ფაქტი, რომ წერილი წაკითხული ჰქონდა პროკურორს, ამ წარწერას ის ბეჭდის დასმით ამტკიცებდა. ციხის ადმინისტრაციის ბეჭედი კიდევ ცხადჰყოფდა იმ ფაქტს, რომ წერილი ციხის ადმინისტრაციასაც წაკითხული ჰქონდა და ამას გარდა თვითონ შინაარსი წერილისა იყო ისეთი, რომ იმას დიდი სიამოვნებით იკითხავდნენ გზაში და დიდი სიამოვნებით გადასცემდნენ ვასოს.

ამ წერილში ვიღაც ოხუნჯი შენატროდა სოციალ-დემოკრატებს და სხვა ასეთ პირებს, რომელთაც "მომავლის კლიტე უჭირავთ ხელში". სოციალ-დემოკრატები ბედნიერი ხალხიაო, თუმცა იბრძვიან. მაგრამ გული საგულეს აქვთ, აბა სატუსაღო იმათ როგორ შეაშინებს. როცა ამხანაგები რჩებათ კარში, თანამოაზრენი და ხელის შემწყობნი, რომლებიც შიმშილით არ მოჰკლავენ არც იმათ, არც იმათ ცოლ-შვილს. იმათი

ცოლები უქმრობას ვერც კი იგრძნობენ და რომ ღამღამობით არ შეეშინოთ იმათ მარტო დარჩენა, ღამესაც კი ათევენ იმათ ოთახში, როგორც, მაგალითად, ამას სჩადის ვასოს ძვირფასი მეგობარი კ., მეტ სახელად "მფრთხალი კურდღელი"... ლაჩარიაო, ამბობდნენ იმის შესახებ ზოგიერთები, მაგრამ ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს, რომ ეს არ არის სიმართლე, რომ ბნელ ოთახში, უმწეო ქალთან შეუძლია ღამე გაათიოს და არ შეეშინოსო...

რიგიანი კაცები არ კითხულობენ თურმე უსახელო წერილებს. ვასომ კი წაიკითხა. შემდეგ ეს წერილი დახია. სცადა, არ ეფიქრა ამაზე, მაგრამ ხანდახან ფიქრი მაინც სძლევდა. დაბოლოს გამოდგა, რომ ცოლი ატყუებდა მას...

ცოლი ატყუებდა! არაფერი ახალი არ არის, რა თქმა უნდა, ამ ფაქტში. აბა რამდენი ქალი ატყუებს კაცს და რამდენი

კაცი ქალს - განა ამაზე ღირს შეჩერება!

ნუ შეჩერდებით! მე ვთქვი და თქვენ ნუ შეჩერდებით თუ გინდათ ამ ფაქტზე - განა მარტო ვასოს დამართია ეს?

სული წმინდის მოფენა! სამების დღესასწაული!

და კეთილზე უკეთილესმა სატუსაღოს ადმინისტრაციამ ღირსეულად აღნიშნა ეს მხიარული, უთვალავი ღიმილით მოღიმარი ბრწყინვალე გაზაფხულის დღესასწაული... ღამით სამი კაცი, სამი დამნაშავე დააბრჩვეს, დღეს კი მთელი სატუსაღო, - კანცელარია, ჩვენი საკნის ფანჯრები, ჭიშკრები, ყველაფერი მწვანით არის მორთული. თვითონ "უფალი უფროსი ზედამხედველი", რომელსაც ვიღაცამ მეტსახელად "გიტარა" დაარქვა, უფროსი ზედამხედველიც ამწვანებული ძეწნის ტოტით ხელში დადის, ისიც კაშკაშა მზის სხივებს შეჰხარის და

გაზაფხულის დადგომას დღესასწაულობს!

მე კი, სხვათა შორის, ამ ზედამხედველის დანახვითაც ვსტკბები - მაშ! განა ისიც ღვთის გაჩენილი არ არის? განა ისიც იმ მზის ქვეშ არ დაიბადა, რომლის სხივებმა მეც გამათბეს? ერთი დედამიწის შვილები არ ვართ განა ჩვენ? რად უნდა მძულდეს აბა ის, რად არ უნდა მიყვარდეს? დღეს სატუსაღოშიაც სული წმინდის მოფენაა, სამების დღესასწაული!

ღამით კი ჰყვიროდა და ღელავდა სატუსაღო: როგორც გიჟები, ვსცემდით ჩვენ კარებზე წიხლებს, სკამებს, დავამტვრიეთ ფანჯრის მინები და ჩვენზე იერიშით მოვიდნენ... ეხლა კი, ეხლა ისეთი ბრწყინვალე დღეა, ეხლა ისეთი ნათელი, ისეთი მხიარული სახე აქვს არემარეს, ეხლა არც კი მჯერა, რომ ღამით აქ სამი კაცი გამოგუდეს... დიახ, არც კი მჯერა... რა ვუყო, რა ჩემი

ბრალია, თუ ეხლა მე ვერ ვგრძნობ გუშინდელ დანაკარგს, თუ ვერ ვგრძნობ, რომ გუშინ ღამით სამშობლომ დაჰკარგა სამი ერთგული შვილი, სამი მისი მებრძოლი, მისი აშიყი? ერთ იმათგანს პაწია შვილი დარჩა. ის ბაჯბაჯით მოვა სატუსაღოს ჭიშკართან და დაიწყებს ყვირილს: “მა-მა-ა! მა-მიი-ლო!” და მისი “მამილო” კი ვეღარ გაიგონებს იმის წკრიალა ხმას ვერაოდეს, მისი გული ვეღარ აჩქარდება ამ პაწია შვილის ძახილზე, მისი თვალები ვეღარ გაბრწყინდებიან იმიტომ, რომ ის წუხელის დაახრჩვეს და ეხლა ის მიწაში გდია... ვერაოდეს ვერაფერს ვეღარ გაიგონებს ის, იმიტომ რომ წუხელის ის სიკვდილით დასაჯეს!.. და ეს მე მაგონდება, როგორც სიზმარი, როგორც შორეული რამ ამბავი.

სული წმინდის მოფენა! სამების დღესასწაული!

და რა განცვიფრებით მაგონდება ეხლა მე, რომ წუხელის

სიცოცხლეზე უარს ვამბობდი, მგონია კი, რომ ეს იყო გუშინ კი არა, არამედ დიდი, დიდიხნის წინეთ და თან კი ყველაფერი ისე ნათლად, ისე აშკარად მახსოვს. მე არ მინდოდა სიცოცხლე, ჩემს თვალში იმან დაჰკარგა ყოველივე ფასი და მე ვიცოდი მხოლოდ ერთი, მხოლოდ ის, რომ ყველა სულდგმული, ყველა არსება დაბოლოს სიკვდილის მსხვერპლი გახდება... არა, არც ასე. მე რომ მოვკვდები, რომ ყველანი მომაკვდავნი ვართ, ეს მე ყოველთვის ვიცოდი და ეხლაც ვიცი. მაგრამ წუხელის რაღაც განსაკუთრებით ვგრძნობდი ამას, წუხელის ყოველივე სხვაზე ბატონობდა ის შეგნება, რომ სიკვდილის წინაშე ყოველივემ ქედი უნდა მოიხაროს... და ამიტომ... დიახ, ამიტომ მე მსურდა მოვმკვდარიყავი, მსურდა რომ სიკვდილი ჩქარა მოსულიყო, რომ ვისმეს მოვეკალი, მეც დავეხრჩვე იმ სამ ამხანაგთან ერთად. ერთხელ მიამბო ამხანაგმა, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, თუ ხანდახან როგორ დაჟინებით სურდა იმას

ჩქარა დაესაჯათ ის, ჩქარა მოეკლათ. მაშინ ვერ მივხვდი რაში იყო საქმე, ეხლა მესმის.

აი, როგორ იყო გუშინ საქმე.

და ცოტათი ადრე კი, სანამ ამ წუთებს განვიცდიდი, საშინელმა შიშმა შემიპყრო, შემეშინა სიკვდილის და დასაკლავი საქონელივით ვკანკალებდი იმ ფიქრზე, რომ უცებ გაიღება კარები, შემოვლენ ჩემთან და მომკლავენ. და ეს ველური, პირუტყვული შიში სიკვდილისა, შემდეგ იქცა სიკვდილის სურვილად... ახირებული რამ იყო ეს ღამე...

ათასნაირი ღიმილით იღიმება დღევანდელი დღე - სამების დღესასწაული! მწვანე ტოტებით მოცულ რკინის უჯრებში მიგზავნის ის თავის ოქროსფერ ალერსს, თავის ცხოველმყოფელ სხივებს. და დადიან ეს სხივები ჩემ

საკანში, დადიან, იღიმებიან და გვაიძულებენ ჩვენც გავიღიმოთ... გმადლობ, გმადლობ შენ, შემოქმედო, რომ ცოცხალი შემინახე, რომ საშუალება მომეცი ვიხილო ყოველივე ეს! გმადლობ შენ, შემოქმედო ჩემო, გმადლობ შენ!.. აი რომ ეხლა ქუჩაში გამიყვანა! თუ გინდ ერთი საათით, თუ გინდ ერთი წამით!.. ქუჩაში... დავდგები ქუჩის კუთხეში და ხელებს აუცილებლად ჯიბეებში ჩავიწყობ... და დავუწყებ ადამიანებს თვალებში ცქერას. გავუღიმებ იმათ და როცა ლამაზი სახე ჩამივლის გვერდში, დავიწყებ ფურჩულს: “ათასი მადლობა შენ, რომ მე, ასეთ მახინჯსა და საწყალს, საშუალება მომეცი შენი სახე დამენახა, ათასი მადლობა შენ! რამდენი წელია, რომ მხოლოდ ჩემი მცველების ფრთხილსა და უნდო სახეს ვხედავ, მხოლოდ იმათ შევცქერი... ათასი მადლობა შენ, რომ ეს მშვენიერი სახე დამანახე! ქუჩაში, ეხ! ქუჩაში ნეტავი ერთი მე, თუ გინდ ერთი საათით, თუ გინდ ერთი წამით!..

გუშინ კი სიკვდილის მეტი არაფერი არ მინდოდა, ღმერთმანი, თითქოს ცეცხლი მეკიდა, მე ვწრიალებდი, ვყვიროდი, ვშფოთავდი, ვთხოულობდი, რომ დამსაჯონ, მომკლან და ეს იყო ჩემი გულწრფელი სურვილი, ჩემი თხოვნა.

და მხოლოდ მაშინ, მხოლოდ მაშინ, როცა მე ძალ-ღონე გამოლეული, მიბნედილი დავეცი ძირს, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი მე, თუ რა იყო სიკვდილი, გავიგე, რომ სიკვდილთან ერთად ვიკარგებოდი მე... "ცოცხალთა უწყიან, რომ მოკვდებიან, მკვდართა კი არა იციან რა"... და გამოდგა, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა მე თითქოს ისე მენატრებოდა სიკვდილი, ჩემს შეგნებაში იდგა ერთი აჩრდილი, ერთი მოგონება, რომელიც ებრძოდა სიკვდილს, რომელიც არ ანებებდა ჩემს თავს დაცემულიყო და გულზე ხელი დაეკრიფა...

ვიღაც მებრძოდა...

“ხმა მომესმა ძილსა შინა
საუცხოო, ღვთიური რამ:
“ვერ გიმეტებ სასიკვდილოდ,
ჯერ ადრეა, ვერ გაგწირამ!”

სამების დღე - სული წმინდის დღესასწაული! კეთილმა ადმინისტრაციამ მწვანით შეამკო ჩვენი სატუსაღო, იმანაც იდღესასწაულა დიდი დღესასწაული... რა ვუყოთ, რომ ღამით სამი ამხანაგი დაახრჩვეს - ეს ხომ ღამით იყო! რა ვუყოთ, რომ კარცერები სავსეა ხალხით, რომ მთელი სატუსაღოც კარცერის მდგომარეობაზეა გადაყვანილი - სატუსაღოს შენობა მაინც მწვანით არის მორთული, სატუსაღოში მაინც დღესასწაულია, სული წმინდის დღესასწაული, და სიცოცხლის წყურვილი სწყურია ჩემ

სულს, სიცოცხლით სავსეა ჩემი გული, ვიცი - სიხარული გამოკრთის ჩემ თვალთაგან, ჩემო ძვირფასებო, ვის გადაგეხვიო, ვინ გადამკოცნის! ჩემო საყვარელნო! გუშინ ხომ მე, სულელს, სიკვდილი მწყუროდა, გუშინ მე შეურაცხყოფას ვაყენებდი სულს წმინდას... ეხლა კი მგონია, რომ, ეს დიდიხანია, დიდიხანია, რაც მოხდა, თუმცა კი ისე გარკვევით მახსოვს ყველაფერი, ისე ნათლად. ახ, კარგი სიზმრები ასე რად არ რჩებიან მეხსიერებაში! გუშინ მე სიკვდილი მინდოდა, მაგრამ მომაგონდა ერთი სიზმარი და ეხლა... ეხლა არ მჯერა - განა ცოცხალს ოდესმე მოსწყურდება სიკვდილი და არყოფნა?

დილა მშვიდობის, მანუშაკ! იცი, გუშინ სიკვდილს ვნატრობდი, მაგრამ მოდი თუ არა შენ, დამესიზმრე თუ არა შენ, წამსვე სიცოცხლე აფრთხიალდა ჩემს გულში, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ისეთი, ისეთი ღიმილით

ჩამხედა თვალებში... და ამიტომ სალამი შენ, მანუშაკ!

დილა მშვიდობის!

საყვარელნო, თქვენ ვერ იცნობთ მანუშაკს? თქვენ იგი არაოდეს არ გინახავთ? სატუსაღოში არავინ მჯდარხართ? სამება ღამით სამი თქვენი ამხანაგი თქვენს თვალწინ არ ჩამოუხრჩვიათ? ამის გამო თავზარი არ დაგცემიათ? დროებითი სიგიჟე არ გამოგიცდიათ და საავათმყოფოში არ გადაუყვანიხართ ამის გამო? უარ არ გიყვიათ ცხოვრება, მისი სიხარული? და მერმე... მერმე არ მოგგონებიათ ერთი უცხო ქალიშვილი, მშვენიერი ასული?

...ახ, საყვარელნო, რა მშვენიერება რამ არის ნიჭი მოგონებისა! აი, თუ გინდ ამ წუთას, მაგონდება მე ერთი საღამო ტფილისში. იმ საღამოს ჩვენ ქალაქ-გარეთ

სასეირნოდ გავედით, რომ ამ დროს კოკისპირულმა წვიმამ მოგვისწრო. ვქენით პირი ქალაქისკენ, მაგრამ რა გამოვიდა, შორს წავსულიყავით, ვსველდებოდით, - ნინა კი ისე მსუბუქად იყო ჩაცმული. გავიძრე პიდჟაკი, მივირბინე იმასთან და ისე უსიტყვოდ მოვახურე მხრებზე მას, მე კი რაც შემეძლო გავიქეცი წინ... მომესმა მუქარა, პიდჟაკს გადავაგდებ, თუ არ წაგიღიაო. მე, რა თქმა უნდა, მუქარას არ შევუშინდი, მან თავისი აასრულა და ჩემი პიდჟაკი ვიღაცა მესამემ შემოიტანა ქალაქში. წვიმა და ელვა-ჭექა ძლიერდებოდა და როცა, დაბოლოს, ჩვენ შევედით ქალაქში, ჩვენზე საწყალი და სასაცილო არავინ ყოფილა. და როცა ღამით, საცვლებ-გამოცვლილი და ტანგაბანილი გავეხვიე საბანში და იმ საღამოს სეირნობა მომაგონდა, ისე გავთბი, ისეთი სინაზე იგრძნო სულმა. მე წამოვდექი, მივადექი ფანჯარას, დიდხანს ვიცქირებოდი ბნელ სივრცეში და მომინდა მეთქვა რამ, მეთქვა ისეთი სიტყვა, რომელსაც შესძლებოდა მთელი

ჩემი სინაზის, მთელი ჩემი სულიერი სითბოსა და სიხარულის გადმოცემა... და მეც წამოვიძახე: “ნინა! ნინა! და წამოვიძახე ეს თუ არა, საჩქაროდ მივუბრუნდი საწოლს, კვლავ გავეხვიე მსუბუქ, საზაფხულო საბანში და ტკბილად, ტკბილად დავიძინე... გარედან ისმოდა წვიმის ერთგული სისინი და შორს, სადღაც მეხი გრიალებდა... დიახ, რა თქმა უნდა, უბრალო შემთხვევაა, სულ უბრალო, გეთანხმებით, მაგრამ იცით? როცა ეს ამბავი მოგონებაში იღვიძებს, მაშინ ახირებული რამ ხდება, ხდება ის, რომ ეს წვიმა, ეს ტალახი, ეს ბნელი ღამე, ყველაფერი ეს ჯადოსნურად ნათდება კაშკაშა მზის სხივებით, თითქოს მზის სხივებს ქვეშ მომხდარიყოს ყველაფერი ეს, თითქოს იმ ბნელ ღამესაც ჩვენი ქვეყნის მხურვალე მზე ანათებდა და ათბობდა...

...მგონი ჰეინეს უთქვამს: “სიმღერა მშვენიერი იმიტომ არის, რომ ის ისეთი მოკლეაო”. მოკლესა და ამიტომ

მშვენიერ სტრიქონს ჩემი ცხოვრებისას ვიგონებ ამ წუთას მე და არ შემიძლია დავაღწიო თავი ამ მოგონებას. საყვარელნო, თქვენ ვერ იცნობთ მანუშაკს?

ის იყო შავთვალ-წარბა და შავგვრემანი. ახალგაზრდა იყო ის, სიცოცხლით სავსე. მაგრამ იმ დროს მეც ახალგაზრდა ვიყავი, სიცოცხლით მეც სავსე ვიყავ და არც იმდენად მახინჯი ვყოფილვარ... ამას გარდა იმას ჰქონდა ტიპიური ცხვირი სომხისა, მე კი ჩვეულებრივი, როგორიც ყველა რიგიან ადამიანებს. ის სომხის ქალი იყო, მე ქართველი გახლდით. და როდესაც იმან შემომიტია, როცა იერიშით ჩემზე წამოვიდა, მე ასე ვთქვი: "ქართველი ვიქნები განა მე, თუ ბრძოლის ველიდან გავიქეცი? ჩვენი მამაპაპა გარბოდა განა ბრძოლის ველიდან? განა სიცრუეს არ სწერს ლერმონტოვი, როცა ამბობს: "გაიქცნენ ლაჩარი ქართველებიო? არა და არა, ბრძოლის ველიდან არ გავიქცევი, მით უმეტეს - თავს დამცემი სომხის ქალია!"

ასე ვთქვი მე ეს და გავიდგი ფეხი. ტყვილა ხომ არ მიკითხავს იმდენი შოვინისტურ-ბაქიაური ლექსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ გმირთა-გმირი ჩვენ ვართ მხოლოდ, ქართველები და დანარჩენი ხალხი კი, მათ რიცხვში სომხებიც, ლაჩრები და ნაცარქექიებია. ჩვენზე, ქართველებზე, მოდიოდნენ უთვალავი მტრები, თითო კაცზე ათი თუ ოცი, მაგრამ მადლობა ღმერთს, სული გვიდგია. მაშ ვიღაც სომხის ქალს გავექცევი განა? და რომ ის მოდიოდა ჩემზე, ეს იქიდან ჩანდა, რომ როცა გვერდში ჩამივლიდა, თითქოს არც ვყოფილიყო ამ ქვეყნად, ისე გაივლიდა და წავიდოდა... განა ეს ომის გამოცხადება არ იყო? ვინ გდიხარ, შენ ვერც კი გამჩნევ, ქალი ვარ და სული მიდგიაო!

ძალიან კარგი, აგრე იყოს!

და როცა ერთ საღამოს ჩვენს საერთო ბაღში შემოვიდა.

ვერც მე შევამჩნიე ის, ავდექი და ოთახისკენ წავედი... ავიღე ხელში გიტარა და ნელი ხმით დავამღერე... ძალიან მედარდება, თუ ფანჯრის გადაღმა ვიღაც ქალიშვილი სეირნობს, თითქოს არ მენახოს მასეთები... ისეირნე, გენაცვა, აი დარდი!

მაგრამ არც იმას აინტერესებდა ჩემი გიტარა და სიმღერა. და თუ ის ისე ახლო მოვიდა ჩემს ფანჯარასთან, ეს იმიტომ, რომ იქ მშვენიერი ყვავილები აღმოაჩინა - მამალა ყვავილები! მაშ! ია კი არ ყოფილა, არც ვარდი, რომ ყურადღება მიექცია - მამალა! მომჯადოებელი ყვავილები - მაშ!

მაგრამ ჩემს გულს ეს რაღა მოუვიდა! მან ერთი წუთით რაღაცას სულგანაბულმა დაუგდო ყური და შემდეგ შეხტა, ათამაშდა, დაიწყო რეკა, თითქოს აღდგომის ზარები ყოფილიყოს ჩემს მკერდში დაკიდული...

- ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა!

- დიახ! დიახ! დიახ!

- ქრისტე აღდგა მკვდრეთით...

- დიახ! დიახ! დიახ!..

...ჩემი სიმღერა მას როდი აინტერესებდა. მაგრამ მე მაინც მომაგონდა ცნობილი სიმღერა სომხებისა - წიწერნაკი. ნელა, ნელა დავუსვი სიმებს...

- ახ, მერცხალო, მერცხალო!

გამეგზავნე ჩემო ჟღურტულა მეგობარო, გამეგზავნე მოციქულად! დედასთან როდი გაგზავნი, მამასთან როდი

გაბარებ სიტყვას, შორეულ სამშობლოში კი არა, რომ გარდახვეწილის ამბავი იქ მიიტანო, მიმეგზავნე, ჟღურტულა ფრთოსანო, უცნობ ქალიშვილთან, იმასთან, რომელიც ჩემი ფანჯრის ქვეშ იდგა ამ წუთას და შეიძლება ეხლაც დგას ყვავილებით მოხიბლული.

- მერცხალო! მერცხალო! ცელქო კუდრაჭა, მიფრინდი იმასთან... წაიღე თან ეს ჯადო-მაისი მისი ყვავილებით, ჩემი ასაკობა, ეს საღამო, წაიღე და ჩემს შესახებ უამბე იმას, უცნობ ქალიშვილს, რომელიც იერიშით მოვიდა ჩემზე.

“ახ, მერცხალო, მერცხალო! გაზაფხულის ფრინველო!”

გიტარა კუთხეში მივაგდე, ჯოხს ხელი ვტაცე და ქუჩაში გამოვირბინე! გავუარე ახლოს, მაგრამ ისე, რომ თითქოს არც კი შემიმჩნევია, განა ცოტა ქალიშვილებს ვიცნობ, რომ

ახალი ნაცნობობა ვეძებო? გმადლობთ, ჩემო ქალბატონო, თუ არ გსურს შემამჩნიო, არც მე მსურს!

თვალი თვალისა წილ! ეს ნიშნავს - როცა ქალი შენი სულის სიმშვიდეს არღვევს, ეცადე სამაგიერო გადაუხადო, შენც დაარღვიე მისი სულის სიმშვიდე და თუ შენ ქართველი ხარ და ის კი სომეხი, მით უმეტეს. დეე სოციალ-დემოკრატებმა შოვინისტის სახელით მოგნათლონ, შენ ასე უპასუხე: თვალი თვალისა წილ, ამხანაგებო-თქვა! გაგაწვალებს ქალი, გააწვალე შენც, - აი კანონი შეურყეველი და სავალდებულო! თვალი თვალისა წილ!

ერთხელ იმას გოლოვინის პროსპექტზე გადავეყარე. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და იმის თვალებში თითქოს ეწერა: "ეჰ, რა ლაჩარი ხარ! აბა თუ გამელაპარაკო, თუ გაბედო"! ის გაწითლდა უცებ,

თითქოს იგრძნო, რომ მე წავიკითხე მისი ნაფიქრალი.

ის გაწითლდა! განა ეს არ კმაროდა! განა შემეძლო ამის შემდეგ ქუჩაზე დავრჩენილიყავ? ბაღისაკენ გავწიე. მაგრამ ბაღი ხალხით იყო სავსე, იქ სული შემეხუთა, - მტკვარს მივაშურე, მაგრამ როცა მტკვრის აბდა-უბდა საუბარი მომესმა, ვეღარც იქ შევიძელი დარჩენა და ოთახისკენ გავწიე.

მაგრამ ოთახში აბა რა გამაძლებინებდა! ის ხომ ჩვენს ეზოში არ იყო, ვიცოდი. ცხადია, აქ ვერაფერი გამაჩერებდა... ის გაწითლდა, გაიგონეთ, ის გაწითლდა. ამ სიწითლემ მე რაღაც თავბრუდამხვევი მითხრა, ამან მე დამათრო... რა მექნა? დავუწყე დიასახლისს ზღაპრების ლაპარაკი. მან გაკვირვებით შემომხედა - ქა, ეს რა ამბავია, სხვა დროს როდის ყოფილა ეს ასეთი!

- რა დაგემართათ?

- როგორ?

- ასეთი მხიარული რად ხართ?

- არ გაგიგიათ? მართლა? მე აკი ორასი ათასი მანეთი მოვიგე, ღმერთმანი. მართლა ვხუმრობ - მე შეყვარებული ვარ.

- ვინ შეგიყვარდათ?

- ყველა ქალზე ულამაზესი ქალი ამ ქვეყნად.

- მომილოცნია, მაგრამ ვინ არის ასეთი?

- ღმერთმანი, არ ვიცი, ვინ არის. პროსპექტზე დავინახე,

ეტლით მიდიოდა, ჩემთვის არც კი შემოუხედნია.

დიასახლისი ხარხარებს, სიცილი მას შვენის, ლამაზად იცინის ჩემი დიასახლისი. ის ქვრივია ოხერი და თან ახალგაზრდა, ლამაზი, ჯანსაღი. და ამიტომ მე ფრთხილად ვიყავი - ქვრივი ქალები ოსტატნი არიან, ამიტომ საშიშნიც... ეხლაც მაგონდება ეს საფრთხე და ხუმრობას თავს ვანებებ. ვბრუნდები ოთახში.

აჰა! ეს ახალი წიგნაკი ახალ გამომცხვარი პოეტისა. აბა, ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ, ჩემო მგოსანო! სადაური ბრძანდებით თქვენ, რომელი ბაღიდან! ქართველ ბულბულთა ჯგუფისაკენ მიიმართები, გეყოფა ძალა და ღონე?.. ვნახოთ!

ვკითხულობ. პოეტი სიყვარულზე ლაპარაკობს, მთვარიან ღამეზე, “იმასთან” სეირნობაზე, კოცნაზე... ღმერთმანი,

მოთმინებიდან გამომიყვანს, აბა რა იცი შენ, ბრიყვო, რა არის სიყვარული? განა შეგხვედრია შენ ვინმე ქუჩაზე? და გაწითლებულა ის შენს დანახვაზე? და შემდეგ ამისა შენ გაქცეულხარ ბაღში? და სული შეგხუთვია ბაღში? მტკვარმა მოგაძულა განა თავი? გიგრძვნია გულის ფართხალი, სიხარული, სევდა, შიში ერთად არეული, სიცილისა და ტირილის მოწოლა გულზე? იცი შენ, რა არის სიყვარული?

და კიდევ რაღაც შეჯიბრების გრძნობის მაგვარი ვიგრძენი მე პოეტისადმი, თითქოს ის მედავებოდა ჩემს სიყვარულში... აბა, აბა, ერთი სცადე, თუ ბიჭი ხარ!

გავისროლე წიგნი განზე და გამოვედი ქუჩაში. ღამდებოდა. ქუჩის მოსახვევში შევხვდი მას, შინ ბრუნდებოდა. დავინახე ის თუ არა, უცებ ვკითხე თავს: დაველაპარაკები იმას თუ არა? დაველაპარაკები თუ არა?

და პასუხის მიცემა ამ კითხვაზე ვერც კი მოვასწარი, რომ უცებ შევჩერდი და ვუთხარი:

- რამდენი ხანია არ მინახავხართ!

თითქოს არ მოელოდა ის ამას, დაიბნა, უმწეოდ მიმოიხედა.

- თუ ღმერთი გწამთ, მაპატიეთ... მე... მე... ღმერთმანი!..

ალბათ, სასაცილო სახე შემექმნა ამ დროს - იმას გულიანად გაეცინა.

და იმ წუთშივე მე დავინახე, ცაში ახლადანთებულ ვარსკვლავებსაც გაეცინათ. იმათ დასცინეს ალბათ სიყვარულის გაუთავებელ, მუდამ ახალსა და მუდამ სპეტაკ ზღაპარს. და ეს სიცილი მოესმა მთელ ტფილისს -

იმიტომ მიყუჩდა ირგვლივ ყველაფერი: ტრამვაი, ეტლები, ფეხთა ხმა, სიცილი... მთელმა ტფილისმა დაუგდო წამით ყური ვარსკვლავთა სიცილს და გაიგო რა, რაში იყო საქმე, დააქნია ხელი - ახმაურდა ეტლი, ტრამვაი, სადღაც დიდი ბრძოლით იწყო გზის გაკაფვა ავტომობილმა, გაისმა ადამიანის სიცილი... მეც ეს მინდოდა! ძალიან კარგი! აბა რა ოხრად მინდოდა მე მოწამე ამ დროს, დეე ყველა თავის გზას ეწიოს და ჩვენ თავი დაგვანებოს.

- როგორც გეტყობათ, გაბედული უნდა იყოთ, - მომესმა.

- გმადლობთ კომპლიმენტისათვის...

- სად გაგონილა, ადამიანს ასე ქუჩაში დახვდე...

- აკი თქვით, გაბედული უნდა იყოთო.

- ჰო, მაგრამ ასეთ გაბედულებს შესაფერ პასუხსაც აძლევენ.

- იმედი მაქვს ამ შემთხვევაშიც მივიღებ მე შესაფერ პასუხს - თქვენ მეტყვით თუ რა გქვიათ.

- ესე იგი, როგორ?

- მე მეძახიან სტეპას, თქვენ?

- მე?.. მე... - მას სიცილი აუტყდა.

- ოღონდაც!.. ჩემთვის ეგ სულ ერთია... თქვენი სახელი მე ისედაც ვიცი.

- რა მქვია, მაშ?

- თქვენ გქვიათ შუშანიკა.

- ხა! ხა! ხა! ძალიან არ გცოდნიათ? ხა! ხა! ხა!

- რამდენიც გენებოთ - იცინეთ, მაგრამ ეს ასეა. თქვენი სახელია შუშანიკა.

- ვინ გასწავლათ? იმან ხომ არა... აი, ბებერმა, თქვენმა დიასახლისმა?

- ჯერ ერთი, რომ ის სრულიადაც ბებერი არ არის, არამედ ახალგაზრდა, ლამაზი ქვრივია...

- წარმომიდგენია...

- მეორე - არაოდეს თქვენს შესახებ იმასთან მე არ

მილაპარაკნია...

- რა თქმა უნდა... ეწყინებოდა...

- იმიტომ რომ თქვენ, შუშანიკა, ჩემი საიდუმლო ხართ. ეს მე თვითონ მივხვდი, რომ თქვენ ეს გქვიათ. სომხის ქალი, ახალგაზრდა, ლამაზი, ხოლო როცა სომხის ქალი ახალგაზრდა და ლამაზია, ის აუცილებლად სახელად შუშანიკას ატარებს - ლამაზზე ულამაზესს სახელს. აგრე არ არის?

ის წითლდება და ნელა, ნელა იცინის. და ბნელში, მესმის რა მისი სიცილი, მგონია თითქოს უღრანსა და მომჯადოებელ ტყეში, ბუჩქის ძირას მოჩუხჩუხე ნაკადულს გადავყროდე, მისი ბუტბუტი გამეგონოს.

- მართალს ვამბობ თუ არა, შუშანიკა!

- რა ახირებული ვინმე ყოფილხართ, ბ-ნო სტეპა!

- ღამე მშვიდობის, მშვენიერო ქალწულო!

- საით მიიჩქარით?

სადმე ქალაქ გარეთ, მინდვრად... იქ საღამოობით ჩამოდის ხოლმე ძირს ღმერთი და ადამიანს ესაუბრება. - როგორ ცხოვრობ, სტეპა? მკითხავს ის. - გმადლობ შენ, შემოქმედო, რომ მე შუშანიკას შემახვედრე და შემაყვარე - ჩემი სიცოცხლე ნეტარებაა! ოღონდ მოაწყვე ისე, ყოველის შემძლევ, რომ იმასაც შევუყვარდე და ვიძლევი სიტყვას - შენ მიერ მოცემული სიცოცხლე უქმად არ გავლიო ამ ქვეყნად... აი, რას ვეტყვი ღმერთს. - რად იცინით? შემდეგ კი სახლში დავბრუნდები და ვიმღერებ რამეს... მოგწონთ ჩემი სიმღერა?

- ძალიან მომწონს.

- მამალა ყვავილი უფრო მოგწონთ, თუ სიმღერა?

- რას ამბობთ... რა ყვავილი?

- არა... არაფერი... აჰ, რა... რა კარგი ბიჭი ვარ მე, შუშანიკა! ხომ ასეა?

- ნუ ინებებთ თავის დამცირებას... - კისკისით ამბობს ის.

- მაგრამ თქვენ მაინც ჩემზე უკეთესი ხართ.

- მერსი! მერსი!

- ჩემზედაც და ყველა ჩემს ნაცნობებზე... ნახვამდი!

შუშანიკა, მივდივარ, დამილოცეთ გზა.

და მე გავუყევი გზას. მაგრამ მხიარული სიცილი მისი გამომედევნა უკან, დამეწია, შეხტა გულში და იქ დაიფანტა, დაიფშვნა...

და მე შევჩერდი, დავბრუნდი უკან და ოთახში მივედი - აღარსად წასვლა აღარ მინდოდა.

“ახ, მერცხალო, მერცხალო! გაზაფხულის ფრინველო! მითხარ, საით მიფრინავ აგრე გაჩქარებული!..” მოითმინე, მე შენ რაღაც უნდა გიამბო!

და ვუამბე მე იმას ერთი საწყალი ბიჭის ისტორია, რომელიც უდედ-მამოდ ამოიზარდა, რომელიც დიდი ტანჯვით გამოვიდა გზაზე. უცნობი და მიუსაფარია ის ამ ქვეყნად, მაგრამ თვითონ ის ბევრს იცნობს და ბევრი რამ

უყვარს იმას. ამ სიყვარულის სახელით დგას ბრძოლის ველზე, ელოდება გამარჯვებას, თუმცა არც დამარცხების ეშინია მას. გამარჯვება ვერ დააბრმავებს მას, ვერც დამარცხება გასთელავს იმის ცხოველ სულს... თავისებურად ისიც ბედნიერია ამ ქვეყნად, ის საწყალი ბიჭი. რომელიც ამ საღამოს ქუჩაზე სომხის ასულს გადაეყარა... შიშისაგან კანკალს დაიწყებს ლამაზი გოგო, თუ გაიგო, რომ მისი აშიყი სტეპა, სრულიადაც სტეპა არ არის, არამედ დევნილი სოციალ-დემოკრატი, რომელსაც სატუსაღოში მოელოდებიან... ასე ვუამბე მე ერთი საწყალი ბიჭის ისტორია მერცხალს, გიტარის სიმების დახმარებით და ამ ისტორიიდან სომხის ასულს ესმოდა მხოლოდ აღთქმა სიყვარულისა და ალერსისა. და როცა მე, აღსარების გათავების შემდეგ, ფანჯარას მივადექი, ფანჯარაში შემოვარდა პაწია კონა ყვავილებისა, დაეცა იატაკზე. მსწრაფლ დავწვდი მას, ავიღე ხელში და ვაკოცე. და შევხედე ზეცას და ცის სიღრმეში ვხედავდი მე, თუ

როგორ დამცინოდნენ მოქათქათე ვარსკვლავები, ისინი დასცინოდნენ კიდევ სიყვარულის მუდამ ახალს, მუდამ ტკბილს, მუდამ გაუთავებელსა და მომჯადოებელ ზღაპარს...

- მითხარით, სად შემიძლია შეგხვდეთ?

- საღამოს, მთაწმინდაზე.

ძალიან კარგი. მაგრამ ერთი მიბრძანეთ, საღამომდე როგორ მოვკლა დრო, საღამომდე რა ვიღონო? ეხლა მხოლოდ დილის ცხრა საათია - მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, მასწავლეთ, როგორ მივაღწიო საღამომდე!

წავედი რედაქციაში და ავიღე ოცდახუთი მანეთი - აურაცხელი სიმდიდრე! მე თანამშრომელი ვიყავი, ვსწერდი მოკლე მოთხრობებსა და კიდევ რეცენზიებს

ახალ-გამოსულ წიგნების შესახებ. ოი, ვილანძღებოდი უბედურად, ცოდვა გამოტეხილი სჯობია და რამდენიმე მოკლე წერილის საფასურად, რედაქციაში მოსამსახურე ქალიშვილმა 25 მანეთი მომცა - მთელი ქონება! რაკი ასე გავმდიდრდი, შესაძლებლად ვსცანი ეს ქალი თეატრში დამეპატიჟებინა - მეცით პატივი, გამაბედნიერეთ, მომეცით საშუალება თქვენს გვერდში გავატარო ერთი საღამო-მეთქი. ერთი კი უნდა გთხოვოთ, არამც და არამც არ შემიყვაროთ, ვინაიდან უკვე შეყვარებული ვარ და ცოდვა იქნება ისეთი მშვენიერი ქმნილების შეწუხება, როგორიც თქვენა ხართ-მეთქი. საბრალო ქალმა საჭიროდ დაინახა ცოტათი გაწითლებულიყო, დაპატიჟება ჩემი კი არ უარყო და მახლობელი დღესასწაული დანიშნა, ესე იგი ისეთი დრო, როცა მე ჩემი სიმდიდრიდან ერთი კაპეიკიც კი აღარ დამრჩებოდა. შემდეგ ამისა ის ტელეგრამების თარგმნას შეუდგა, მე კი დავბრუნდი სახლში...

რა ვიღონო, რომ საღამომდე არ მოვკვდე?

და მომაგონდა ახალგაზრდა პოეტი და იმისი წიგნაკი. მომაწოდეთ აბა ერთი ეს წიგნაკი - აი, რა ფულებით დავპატიჟებ იმ ქალიშვილს თეატრში... ავიღე ხელში კალამი და მთელი ორი ფურცელი ავაჭრელე გულმოსული, ბრაზიანი ფრაზებით. აბა ერთი შეხედეთ-მეთქი ამ ყმაწვილს, რა მშვენიერი რამ არის! ოთხმოცდახუთი სტრიქონია წიგნაკი და სულ სიყვარული, სულ სიყვარული! ირგვლივ ბრძოლისა და თავგამოდების წყურვილით არის გაჟღენთილი ყველაფერი, ეს ყმაწვილი კი მხოლოდ დედაკაცის ტუჩებსა და კოცნაზე გალობს, ვიღაცა ორგულსა და მოღალატეზე ჩივის, ვიღაც საყვარელ ქალების შესახებ, რომელთაც მან ღვთაების ხარისხი მიანიჭა და რომლებმაც როდი დაუფასეს მას ეს სიკეთე. ღმერთო, და მაჰმადიანი ხომ არ არის ეს პოეტი, რომ ამდენი ქალი ერთად

შეუყვარებია! რა თქმა უნდა, გაბედული ყოფილა, მაგრამ ეს სისულელეა მისი მხრით, რომ დედაკაცი ღვთაებად უქცევია. ეს სისულელეა, ეს უჭკუობაა, ეს შეურაცხყოფაა. მე ერთხელ მესიზმრა ღვთაება-ქალი, რომელიც ტიროდა...

- შენ რა გატირებს, ღვთაება-ქალო? - ვკითხე მე.

- მოდი და ნუ იტირებ, როცა ასეთი უბედურება დაგატყდება თავს!

- რა დაგემართა, ღვთაება-ქალო?

- თვითონ გამსაჯე, კეთილო ადამიანო, უბრალო ქალი ვიყავი და მშვენივრად ვგრძნობდი თავს. მეარშიყებოდნენ, მეალერსებოდნენ, მეთამაშებოდნენ და აჰა, ერთხელ მოვიდა ჩემთან ვიღაც ბოროტი კაცი და ღვთაებად მაქცია. ღვთაება ხომ ქალი არ არის, ღვთაება

როდი უყვართ, იმისი ეშინიათ, მას პატივსცემენ, მასზე ლოცულობენ. თხოვნით მიმართავენ, მაგრამ არაოდეს, არაოდეს არ ჰკოცნიან ტუჩებში, გულში ვერ ჩაიკრავენ, ვერ გაბედავენ. და თან კი არსება ღვთაებისა - ქალურია, სიყვარული იმას სწყურია, ვინაიდან რა არის ქალისთვის იმაზე უფრო ტკბილი, როცა ის გრძნობს, რომ ის უყვართ! ღვთაება-ქალები კი როდი უყვართ, როდი უყვართ...

და უფრო ცხარედ, უფრო გულამოსკვნით ატირდა ის და ისე მოალბო ჩემი გული, ისე შემაბრალა თავი, რომ პატიოსანი სიტყვა მივეცი მას, გავწკეპლო ყველა, მათ რიცხვში პოეტებიც, რომლებიც საყვარელ ქალებს გააღმერთებენ. და ამ პოეტზე, რომლის წიგნაკიც მედო წინ, მე დავამტკიცე, თუ როგორ ვიცი სიტყვის ასრულება. ავიღე მასხარად მისი პათეტიური ფრაზები, მისი უშნო სურათები, შედარებანი, მისი ლექსის ნაძალადეობა და არაბუნებრიობა. მომაგონდა ნიცშე და იმისი ფრაზა:

“პოეტები განგებ იმღვრევენ თავიანთ წყალს, რომ ნაცნობებს ღრმა ეგონოს ისო”. და დავუმატე ამას - “სიღრმე”, ეს ჩვენს პოეტს უნდა იმიტომ, რომ სურს ტიტველი დედაკაცი აბანაოს შიგ-მეთქი.

ასე ვწერდი მე და თან საათში ვიცქირებოდი. და მეგონა, რომ ძლივს დადიოდა, ტაატით მიაბიჯებდა ისარი... ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს, რომ საათი ასე ნელა იძვრის? ნეტავ რა უნდა იყოს ამის მიზეზი? აჰ, მივხვდი, მივხვდი! იმას, საათს, არაოდეს არ ჰყვარებია - მესმის... ეს ჰეინემ ახსნა დიდიხანია მისი მოდუნებული ნაბიჯის მიზეზი...

დავკეცე დაწერილი ფურცლები და ჯიბეში ჩავიდევი. წავიდე, დავტოვო რედაქციაში? დეე, დაიბეჭდოს ეს, მიიღოს აჰალგაზრდა პოეტმა ჩემდა საჰსოვრად, ნუ სწერს ასეთ სისულელეს და არც არავინ რამეს ჰკადრებს. ყველა

სულელს როდი შეუძლია სიყვარული, და მისწრაფება ქალისადმი სიყვარული როდია. აი აგერ მეც მიყვარს, მაგრამ... მაგრამ... მეც მიყვარს, მაგრამ...

მაგრამ ეხლა უნდა ვთქვა შემდეგი: არც ერთი ადამიანის გრძნობა არ ატარებს თან იმდენ უსამართლობასა და მიკერძებას, რამდენსაც გრძნობა სიყვარულისა... მეც მიყვარდა შუშანიკა, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო მაშინ. ის მე წინ მწევდა, მიზნისკენ მასწრაფებდა უფრო ძლიერ, უფრო თავგამოდებით, ამ სიყვარულით მე უფრო მიმიხაროდა მსხვერპლისა და ტანჯვისაკენ, ის ჰაერი იყო, სუფთა მთის ჰაერი, რომელიც ძალსა და მხნეობას მიმატებდა, ის კი...

და უცებ ისევ დამებადა თავში შედარება, და მე კიდევ გავშალე საწერი ქაღალდი - საღამომდე ხომ ისე შორს იყო, დრო უნდა მომეკლა ხომ, პოეტი კი არავითარი შეღავათის

ღირსი არ იყო. მაშ განვაგრძობ, რაღა.

შეხვდებით დუქნებში გასასყიდ პაპიროსებს - ოცი პაპიროსი ერთ შაურად, კაპეიკად ოთხი. აი ამ პაპიროსების კოლოფებზე ორი ადამიანია დახატული - ქალი და კაცი. ისინი კეკ-უოკს თამაშობენ, ცალი ფეხი მამაკაცს მაღლა აუწევია, ქალიც ამის შესაფერ მომენტს გამოხატავს... და ისეთი, ისეთი სულელური სახე აქვთ მათ, ამ ორ ადამიანს... შენ მხიარული ხარ. ისინიც ხომ მხიარულნი არიან - კეკ-უოკს თამაშობენ. შენ სევდა-ბოღმა გაწევს გულზე, ისინი მაინც მხიარულნი არიან, ისეთივე სულელური გამომეტყველებით კეკ-უოკს თამაშობენ. შენ გშია, შენ მიცვალებული გისვენია სახლში, ისინი მაინც მხიარულნი არიან და მომღიმარე, სულელური ფიზიონომია მათი შემოგცქერის სახეში. აი, ამ ფიზიონომიებს შევადარე მე ჩვენი პოეტი... მიწისძვრა იყო, სოფელ-ქალაქები ნაცარტუტად იქცნენ, ხოლერა

მუსრს ავლებს მტყუანსა და მართალს - პოეტს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი, ის შეყვარებულია. ყველაფერი ირგვლივ სიხარულითა და ტკბილი მოლოდინით გაჟღენთილა - რას ჩადის ჩვენი პოეტი? ეხლა ის ტირის. დიდისაგან დიდი მწუხარება სწვევია მას - ვიღაც ლამაზ ქალს გადაეყარა, რომელმაც არც კი შემოხედა ჩვენს პოეტს..

კვლავ ჩავიდე ჯიბეში ქაღალდი და თუთუნი ავაბოლე. დავხედე საათს. წყეული!

«Но Оры - оне никогда не любили!..»

წყეული! გაიგო ხომ ჰეინემ მიზეზი დროის გულცივობისა და აუჩქარებლობისა; ღვთისაგან დაწყევლილს, იმას არაოდეს არ ჰყვარებია, არაოდეს ის ცოცხალი არ ყოფილა, ვინაიდან სიცოცხლე სიყვარულის გარეშე სიცოცხლე არ

არის. ეს ასეა. მაგრამ მერმე მე რა ამით?

- წავიდეთ, ვისადილოთ.

- ვისადილოთ? არა, გმადლობთ ძალიან, დღეს მე სადილი არ მინდა.

- რას ამბობთ? ასეთი გრძელი დღე და უსადილოდ დარჩეთ?

- მერწმუნეთ, რიგიანი ადამიანები ყოველდღე როდი სადილობენ.

- კარგი ერთი, ნუ ხუმრობთ. განგებ თქვენთვის მწვანილი ვაყიდვინე.

- ძირს მწვანილი - განა რიგიანი ხალხი მწვანილს სჭამს?

- აკი ამბობდით, ძალიან მიყვარსო?

- ეხ, ერთი თქვენცა... განა ყველაფერი დაეჯერება რიგიან ხალხს?

დიასახლისი იცინის და ხელს მკიდებს.

- წავიდეთ ერთი და...

ღმერთმანი, ღონიერია ეს ქალი. და სიცილიც რა კარგი აქვს და წყეული, მიყვარს როცა ქალს სიცილი შვენის...

- კარგია, წავიდეთ...

- წამოვალ, მაგრამ ერთი პირობით...

- რა პირობით?

- თუ ერთხელ კიდევ გაიცინებთ.

- რას ამბობთ, ვერ გამიგია... - წითლდება დიასახლისი.

- სიცილი ძლიერ გიხდებათ.

ის მაშორებს ხელსა და დაბნეულად იღიმება. და კიდევ მეტად წითლდება. ჩემთვის აშკარაა, რომ ქალური ინსტინქტით იგრძნო მან, რომ ეხლა სჯობია ის პასიური იყოს, დამალოს ის ძალა, რომელიც გამოაჩინა, როცა მკლავში ხელი მომკიდა. და მისი ხმაც ამის გამო უფრო განაზ-გალბილდა, როცა ისევ გამიმეორა:

- წავიდეთ, სტეპა, ვისადილოთ.

და ისმის ამ ხმაში თხოვნაც და აღთქმაც... მივდივართ. დღეს ჩვენ მარტო ვსადილობთ. და როცა მე მინდა ამის შესახებ ვიფიქრო რაღაც, უცებ ჩემს შეგნებაში იღვიძებს მომავალი საღამო მთაწმინდაზე და.. სირცხვილი, წყრომა დიასახლისისადმი და კიდევ რაღაცა ცუდი მიპყრობს. დუმილიც დიასახლისისა ჩემზე შეურაცხმყოფელად მოქმედობს და ისიც, რომ ის ლამაზი არის...

- არა, არ შემიძლია სადილის ჭამა... - უზრდელად ვამბობ მე და გავრბივარ უკან...

მომავალმა საოცნებო საღამომ შიკრიკად სიო გამოგზავნა - მოვდივარ, მომიხარიანო. ტფილისმა ცოტათი შემსუბუქება იგრძნო, ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქა - ჩქარა, ჩქარა, საცაა საღამო მოვა, მოვა ოცნებითა და ტკბილი ფიქრებით აღსავსე საღამო ტფილისის განაპირა მიდამოებისა, მთაწმინდის,

ბოტანიკური ბაღის, ორთაჭალის, საბურთალო-ვერისა. ჩქარა! ჩქარა!

და გამოვდივარ ქუჩაზე. ეხლა მე მძლავრიცა ვარ და თავის თავისაც მჯერა, გულუხვი და აღტაცებული, მე ვიგონებ ელადის იმ ღმერთებს, რომლებიც ისე ერთობოდნენ ზევსეს ნადიმებზე, ისე ამაყობდნენ და ლაღობდნენ. და არავისი, არავისი არ მეშინია - არც ბატონი პოლიციელის. მხიარული და აღტაცებული გავუყევი მე გოლოვინისაკენ, ხოლო როცა მე მხიარული და გატაცებული ვარ, ელოდეთ ჩემგან უაღრეს სისულელეს, ბავშვურ საქციელს - მხიარულობა ხომ იგივე სიმთვრალეა!..

მივდივარ ქუჩაზე და ვმღერი, ესე იგი მღერის ჩემი გული, მღერის უხმოდ, უსიტყვოდ, მღერის, რომ ის ახალგაზრდაა და მოწიფული, რომ იმედიც მისი

ახალგაზრდა და მოწიფული იმედია, მღერის, რომ ის შეყვარებულია, რომ ის ცოცხალია. მივდივარ - მივიმღერი. აი, ჩვენი გოლოვინის პროსპექტიც... უჰ, რამდენი ხალხი გამოსულა საღამოს მოლოდინში. გამარჯვება! ბიჭოს, ეს ვინ არის? ეს ხომ ჩემი, ასე ვთქვათ, "უფროსია", ეს ხომ ვანოა, "კომიტეტის" წევრი! როგორ დაეძებენ ამასა და ეს კი, შეხედეთ, ზედ პროსპექტზე სეირნობს თავისი სათვალებითა და ლურჯი ხალათით, მისი ვეებერთელა ჯოხით, დაუვარცხნელი თმითა და ძველის-ძველი პიჯაკით, რომელიც ციმბირიდან მოიტანა ორი წლის წინეთ. დაგეშილ ძაღლებივით სდევენ მაგას წუნკლები, ეს კი, ერთი შეხედეთ... გადავეხვიო, გადავკოცნო თუ არა ჩვენი ვანო?..

გადაკოცნე, თუ ვარგიხარ, აბა გაბედე! ახირებული კაცია ვანო, ყველამ ვიცით მისი ხასიათი. ის ღრმად დარწმუნებულია, რომ დიდისაგან დიდი ნიჭი აქვს,

ჯაშუშებსა და კვალის მაძიებლებს თვალი აუხვიოს, დააბნიოს ისინი და ხელიდან გაუძვრეს, თავისი თავი დიდებულ მესაიდუმლედ - კონსპირატორად მიაჩნია და თავისუფალ დროს გვაბეზრებს თავს კონსპირაციის შესახებ ლექციებით, და ყოველ ასეთ ლექციას ის აუცილებლად ათავებს შემდეგი საშინელი ფრაზით: “ცუდი კონსპირატორი, ამხანაგებო, მტერზე უარესია”.

და რაც ყველაზე უფრო გასაკვირელია, ეს ის, რომ ის ამდენხანს არ დაუჭერიათ. ხელში ვეებერთელა ბზის ჯოხი უჭირავს, მისი განუყრელი იარაღი, ძველის-ძველი ქუდი თვალებამდი ჩამოფხატული აქვს. გრძელი, აბურძგვნილი თმები მხრებზე სცემს, ძველ პიჯაკს ქვეშ ლურჯი ხალათი, მოქსოვილი სარტყელით. და ბალნისაგან თითქმის ერთიან დაფარულ სახეზე ის ატარებს შავ სათვალეებს. ყველა გამვლელის ყურადღებას იქცევს იგი, თუმცა ისიც კია, რომ თვითონაც

ყველა გამვლელს ათვალიერებს გულდასმით - რა არი, ჯაშუში, კვალის მძებნელი აღმოაჩინოს და ხელიდან გაუძვრეს. ხშირად გაჩერდება ხოლმე დიდი მაღაზიების წინ, განსაკუთრებით, წიგნის, და გამოფენილ წიგნების სათაურებს ათვალიერებს - შემომხედეთ, რაღა, ბ-ნო ჯაშუშებო, რა შინაარსის წიგნები მაინტერესებენ, აქედან მიხვდეთ უნდა, რომ არავითარი დამოკიდებულება არ მაქვს სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათის კითხვებთანო. გული გიკვდებოდა, როცა ამ ყოვლად პატიოსანსა და საჭიროების დროს წარმოუდგენელი გაბედულების კაცს ხედავდი ქუჩაში ასეთი პრიმიტიული საშუალებით შეიარაღებულს ჯაშუშების წინააღმდეგ. ერთხელ ის იძულებული შეიქნა ეყიდა ვეებერთელა წიგნი ტეხნოლოგიის შესახებ რომელიღაც ბუკინისტისაგან.

“ამეკვიატა ვიღაც წუნკალი, - გვიამბო მან, - ვერ მოვიშორე, არ იქნა. საითკენაც კი ფეხი გადავდგი, ისიც

იქით მოდის. ცუდად არის საქმე, ვიფიქრე, უნდა რამე ვიღონო. მივადექი ბუკინისტის მაღაზიას, ისიც შორი ახლოს გამიჩერდა. დავაცქერდი ამ წიგნს, შემდეგ შევედი მაღაზიაში, ვხედავ: იმანაც ამ წიგნს დახედა და შემდეგ შემომყვა აკი. მოვატანიე ვაჭარს წიგნი, გადავიხადე ორი მანეთი და ნახევარი, გამოვედი... და, როგორ ფიქრობთ, - გაბრწყინვებული თვალებით ათავებს ის, - ჩამომშორდა აკი, ოჯახქორი...”

ეს “ოჯახქორი” კი, რომელიც ასე “დაატყუა” ვანომ, ბათუმიდან ჩამოსული ამხანაგი გამოდგა, რომელიც გადაჰყროდა ვანოს ქუჩაზე და ესარგებლა იმით, რომ ვანო იმას ვერ იცნობდა... როგორც იყო დავფარეთ ეს ამბავი, ვანოს არ გაუგია ამ უალაგო და უხერხული ხუმრობის შესახებ არაფერი, თუმცა ჩვენ უნებურად გვეცინებოდა, როცა ეს გავიგეთ.

მაგრამ ჩვენ მაინც ღრმად გვიყვარდა ჩვენი ვანო, ეს თავდადებული და ჭკუიანი რევოლუციონერი და ეს სიყვარული აფრთქიალდა ჩემს გულში, როცა ის ქუჩაში დავინახე. ვისაც არალეგალური ცხოვრება გამოუცდია, ის მიხვდება ამ გრძნობას. რაც უნდა კარგ გუნებაზე იყო, რაც უნდა ღრმად სძინავდეს გულში გრძნობას შიშისას, რომ სადმე ვინმე ნაცნობი მტერი გადაგეყრება და ხელად მოგისპობს საშუალებას ქუჩაში სეირნობისას, რაც უნდა უშიშრად გრძნობდე თავს, გულში მაინც ფხიზლობს ერთი მუდმივი შეგნება, შეგნება ობლობისა და უმწეობისა, იმის შეგნება, რომ რაც უნდა ბევრი ამხანაგი და თანამოაზრე გყავდეს ირგვლივ, მაინც საკმაოა ერთი კოჭლი პოლიციელის სურვილი, რომ თავისუფლება მოგესპოს. და ყოველთვის, როცა გადაეყრები ქუჩაში ვისმე შენსავით დევნილს, გულში იღვიძებს სინაზე, სინაზე თითქოს იმისადმი, მაგრამ ნამდვილად კი ეს სინაზე არის უმთავრესად თავისთავისადმი

სიყვარულითა და სიფრთხილით გამოწვეული... აი, ეს გრძნობა იყო, რომ გულში დამიბადა სურვილი ვანოს გადავხვეოდი. მაგრამ წამსვე მომაგონდა ერთი იმის მოთხოვნილებათაგანი - არაოდეს ქუჩაში არ უნდა მიესალმო შენს ამხანაგს, არ უნდა გამოაჩინო, რომ იმას იცნობ, - ჩაუარე გვერდი და გასწი შენს გზაზე... ვანოს შესახებ ამ პირობას ჩვენ ვიცავდით, მაგრამ ამჟამად მე ხომ სულ სხვა გუნებაზე ვიყავ, მე ხომ მხიარული ვიყავი ისე, როგორც ათიოდე დღის კვიცი... მე მგონია, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანი არღვევს კანონს მხიარულებისა და სიხარულის წუთებში. მე მხიარული ვიყავ. ამიტომ გავუსწორდი თუ არა იმას, შევხედე პირდაპირ თვალებში, მოვიხადე ქუდი და თავი დავუკარი.

ეხლა ყველაფერი გათავდა ჩემთვის, იქნება მოღალატე იხილოთ გნებავდეთ? მე გახლავარ. ყოვლად ბინძური

კაპიტალისტური წესწყობილების განხორციელებაც მე ვარ. ვეღარ გამოვისყიდი მე ჩემს დანაშაულს ჩვენი საქმის წინაშე - ეს ცხადათ სჩანს ვანოს სახეზე. მაშ ვივლი ისევ ბოლომდე, ორჯერ ხომ ვერ მომჭრიან დამნაშავე თავს!

- ამხანაგო, ვანო... მე ფულები მაქვს... მთელი ოცდახუთი მანეთი. მოდი ერთი შევიაროთ სადმე სარდაფში, გადავკრათ, რაღა, საერთაშორისო პროლეტარიატის სადღეგრძელო.

და სიცილ-ხარხარით ჯიბეზე ხელს ვიკრავ.

ღვთის წყევა! ჯოჯოხეთი! ყველა წუნკალი, ყველა ქვეწარმავალი, ყველა ჯაშუში და გამცემი, ყველა ესენი ამ წუთს ჩვენ გარშემო იდგნენ და ესმოდათ ჩემი სიტყვები. და ხვალ დილით ჩვენ სატუსაღოში გამოგვეღვიძება. და ყველაფერი ეს ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია... მაგრამ

ახირებულია, მე “მიწა როდი მისკდება”, მე მხოლოდ სიცილის გუნებაზე მოვყავარ ვანოს გაბრაზებულ ფიზიონომიას, ვერავითარ ქენჯნას სინიდისისას ვერ ვგრძნობ, ვერავითარ დანაშაულს... კაცი გიყვარდეს, მისი შეხვედრა გესიამოვნოს და ისე კი უნდა ჩაუარო გვერდით, თითქოს ვერ იცნობდე! გულგრილად შეხედო და ჩაიარო? რწმენა, მიმართულება გქონდეს და ისე უნდა ჰფარავდე, როგორც ნაქურდალ ნივთს? კმარა, ვინ სთქვა ეს? ვინ შეთხზა ადამიანის საზოგადოებაზე ასეთი ზღაპარი?.. ვინ დასწამა ცილი ადამიანს? ასეთი მშვენიერი საღამო დგება - როდის უნდა გაიშალოს ადამიანის გული, თუ არ ეხლა? როდის უნდა შეიქნას ის სპეტაკი და გამსჭვირვალე, თუ არ ამ საღამოს? როდის, როდის უნდა გაამჟღავნოს მან მისი დიდი, მისი ფაქიზი, მისი უმწიკვლო სიყვარული? და ეს დანაშაულია? ამისთვის სატუსაღო მოგველის? რას ზღაპრობთ, ერთი მითხარით, ვინ გინდათ დაატყუოთ?

- დამეთანხმე, ამხანაგო, რომ შენი საქციელი არაფერს არ ჰგავს!.. - მესმის ვანოს ბრაზიანი ფურჩული.

- გეთანხმები...

- რომ ეს პროვოკაციაზე უარესია...

- წადი შენ და შენი პროვოკაციაც...

- მოითმინე, შენ მთვრალი ხომ არ ხარ?

- რა თქმა უნდა...

ისევ მოვუხადე ქუდი და გავშორდი. გინდოდა გაგეფუჭებინა საღამო, მაგრამ ვერ მოგართვი. ისევ მღერის, ისევ თამაშობს გული. ღმერთო, რა კარგია

თავისუფლად სიარული!.. ღმერთო, რა კარგია!..

ხმაურობს და მხიარულობს გოლოვინის პროსპექტი, აზვირთებული მოძრაობს ის და თავის თავს, თავის სილამაზე-სიმდიდრეს ეტრფის. ფუფუნება ქუჩაზე გამოეფინა, ფუფუნება ფანჯრებთან დგას, ფუფუნება ეტლითა და ავტომობილით დაჰქრის, ფუფუნება მოსვენებულა ქალის მშვენიერ გულ-მკერდზე, გველივით შემოჭდია იმის გედისებურ კისერს, იმის შროშანის მსგავს თითებს, ფუფუნება ირგვლივ, ყველგან. ის ეხლა ქუჩაშია. ჩქარა აგარაკზე გაემგზავრება. ლამაზი ცხენები, ლამაზი ქალები, მორთულ-მოხდენილი ალფონსები და სუტენერები, ქართველი თავადები და სომეხი ვაჭრები - ყველაფერი ეს არეულია, ერთმანეთს სდევს, ერთმანეთს ეტრფის. სანახევროდ ტიტველი ქალები, ისეთი, ისეთი ლამაზები, მდიდრები ერთი-მეორეს ახარბებენ იმათ, ერთი-მეორეს აჩვენებენ - აბა შეხედე, ღირს თუ არა იმ

ფულებად, რომლებიც დამიხარჯავს ამაზე, ღირს თუ არა იმ სიმდიდრედ, რომელსაც მაგაზე ვხარჯავ, ხომ ლამაზი საქონელიაო! აი, აბა შეხედეთ, ამ ლამაზს, ამ ნაზ ქმნილებას, აი ამას, ჩემს საყვარელს შეხედე - ჯიღა თვალებით, მოხდენილს, მაღალს და ისეთ მშვენიერს, როგორც ცნობილი ჯიშის ცხენი და როგორც კარგი ჯიშის ცხენი, ძვირსა და ძნელად საშოვარს... და ის ჩემი სურვილების, ჩემი გარყვნილი ღამეების მონაა, იმიტომ რომ ფულები მაქვს მე...

ჰაერი სუნნელოვანი წყლების სუნით გაჟღენთილა. ისმის სიცილი, ხუმრობა, მხიარულება...

შევცქერი ყველა ამას და მაგონდებიან ზოგიერთი ბრიყვები, რომლებიც მშვიდობიანი საშუალებით ჰფიქრობენ მოსპონ დიდი დავა სიმდიდრე-სიღარიბეს შორის. მართლა ეგრე ფიქრობთ, ყმაწვილებო! აი, ესენი

დათმობენ რამეს ნებაყოფლობით? თუ მაგარი მუჯლუგუნი არ უთავაზე იმათ, მიხვდებიან განა ისინი, რომ ცხოვრების სუფრაზე სხვათაც უნდათ ალაგი? დიდება შენ სახელს, ღმერთო, რომ ასეთ ჭკუა-თხელ ხალხს აჩენ ქვეყნად - მშვიდობიანი გზით უნდა მოსპონ ომი შრომასა და შრომის პარაზიტებს შორის. შუშანიკა! შუშანიკა! ეპატიოს თუ არა ასეთი ფიქრი ამ ხეპრე ხალხს? არა, შუშანიკა, არ უნდა ეპატიოს! ანათემა იმათ, ანათემა! სისულელე რა მათი ბრალია, ეს ღვთისაგან არისო, მეტყვი შენ. ღვთისაგან არის, მართალია, მაგრამ არის დრო, არის ისეთი წამი ისტორიაში, როცა სისულელე დიდი დანაშაულია, მაშინ სისულელე არ ეპატიება არავის და ეს წამი დგას ეხლაც. მაშ ძირს ყველა სულელი - კეთილია ის თუ ბოროტი, ანათემა, ანათემა იმათ, შუშანიკა!..

გულში ცეცხლი ინთება, შუშანიკა! შეხე, მე ბრძოლის ველზე ვდგევარ, იცი თუ არა რამდენი საქმე გვიდევს წინ?

რამდენი მუხა უნდა წავაქციოთ, რამდენჯერ უნდა იჭექოს მეხმა! იცი თუ არა შენ, რომ მე ჯარისკაცი ვარ და დიდი ომების მონაწილე?.. უჰ, რა ძლიერებია ისინი, შუშანიკა, ჩვენი მტრები. ძლიერნი არიან ისინი, მაგრამ ჩვენ დავამარცხებთ. მდიდარნი არიან, - ვერ უშველის იმათ სიმდიდრე მათი. ჭკუიანი არიან და ბრძენნი ისინი, შუშანიკა, მაგრამ ვერც ჭკუა, ვერც სიბრძნე მათი ვერ იხსნის მათ. ისინი უნდა მოკვდნენ და ვერავითარი ძალა ვერ იხსნის მათ. მათ ხელში აქვთ ძალა და უფლება, მათ ხელში აქვთ ბრძოლის იარაღები, მოსყიდულ მეცნიერთა რაზმები, მორალისტები და მქადაგებლები, არტისტები და მომღერლები, მწერლები და ტეხნიკის განმავითარებელნი, ყველაფერი ეს მათ ეხმარება, მათ იციან ბორკილების ჭედვა, მათი თითქოს სათუთი და სუფთა ხელით უკმეხი და უსულო სატუსაღოები შენდება, მაგრამ მაინც მათი აღსასრული ახლოა. ისინი მოკვდებიან და ისე მოკვდებიან, რომ ჭირისუფლები,

დამტირებლებიც კი არ დარჩებათ ამ ქვეყნად, ისინი კვდებიან უმემკვიდროდ. აი ამიტომ არის, რომ ისინი წინდაწინ ბადებენ ისეთებს, რომლებიც დღეს დასტირიან მათ მომავალ სიკვდილს, მდიდართა კლასის გაქრობას. ხომ იცი მოლა ნასრედინის ანეკდოტი, სიცოცხლეში რომ შავი ჩაიცვა თავისი მომავალი სიკვდილის საგლოვად! აი, იმის მაგალითს მიბაძეს ჩვენმა მტრებმაც, წინდაწინ იცმენ შავს, წინდაწინ დასტირიან თავის მომავალს და ამ გლოვას ჩვენ ვისმენთ პესიმისტების ნაწერებსა და სიტყვებში. ამ მომავალი მათი სიკვდილის წინამორბედია მოსაწყენი ხალხი - დეკადენტები, გულგატეხილი ფილოსოფოსები და მოქეიფე ბიჭები. ღვინოსა და ბოზებში, გარყვნილებასა და ღალატში ახრჩობენ ისინი თავის დარდსა და მწუხარებას აუცილებელ, მომავლის გამო... მათ კუბოზე ხომ არავინ იტირებს, უმემკვიდროდ ისპობიან ისინი, მაგრამ ბრძოლა მათთან მძიმე და ძნელი ბრძოლაა... და ამიტომ ჩვენ ბევრი საქმეები გვაქვს,

შუშანიკა, ბევრი საფიქრალი, ბევრისაგან ბევრი ცხარე ბრძოლა მოგველის ჩვენ. და მე კი, გითხარი, ჯარისკაცი ვარ-მეთქი.

Не бойся полюбить сверх меры,
Ты молод - надо не робеть!..

ახ, როგორ ფართხალობს მკერდში გული, რამდენი სიხარულია შიგ!

რა თქმა უნდა, მე მელოდებოდა, მე მიცდიდა ის ია, რომელიც ბუჩქის ძირას შევამჩნიე მამადავითის ახლო. მისი ცისფერი თვალებით ჩემს მოსვლას ნატრობდა ხანში შესული კეკლუცი.

სალამით დავწვდი მას და მოვგლიჯე, - მაპატიე თუ ცოდვა არის ეს, წმინდაო მამაო დავით!

და პირველი სიტყვა, რომლითაც მე შუშანიკას შევხვდი, იყო ეს:

- მითხარით მე, შუშანიკა, რა ჰქვია სომხურად იას?

- ახ, გაიგეთ კიდეც! ვინ გითხრათ? - და ის გაწითლდა.

- რა უნდა ეთქვათ? მე გეკითხებით - იას რა ჰქვია-მეთქი სომხურად?

- ჰოდა მეც იმას გეკითხებით, ვინ გითხრათ-მეთქი, რომ იას იგივე ჰქვია სომხურად, რაც მე.

ეჰე, აი საქმე როგორ ყოფილა, მე კი შუშანიკას ვეძახოდი ამ ქალს. ახ, შე ქართველო ვირო, ბრიყვო და სულელო!

- მაშ მითხარით მე თქვენი სახელი.

- არ გეტყვი.

ია მაინც როგორ არის სომხურად?

- არა, არ გეტყვი.

- მითხარით-მეთქი.

- მე კი არ გეტყვი... - და მის თვალებში ინთება ცეცხლი, საცაა გაიკისკასებს, თავს ვერ დაიჭერს და ეს კი საფრთხილოა - მისი სიცილი მე მაღელვებს... მე გადავდგი მისკენ ნაბიჯი.

- რას სჩადით... აქ ხალხია...

- მითხარით-მეთქი, გეუბნებით... რა ოხრად მეპრიანება ხალხია აქ თუ არა... მეტყვით თუ არა?

- ჩემი სახელია მანუშაკ.

მანუშაკ! მოდი და ნუ აკოცებ ქალიშვილს, რომელსაც... რომელსაც ასეთი ცხვირი... დიახ, ასეთი ცხვირი, ასეთი თვალები და ასეთი შესანიშნავი სახელი აქვს და რომელიც გარდა ამისა კიდევ გიყვარს. მანუშაკ!

- გავიაროთ! - მესმის მე, - იცით, დღეს მთელი დღე და საღამო ამხანაგთან ვარ, ეგზამენებისთვის ვემზადები და... და თქვენთან კი მოვედი.

- ყოჩაღ, მანუშაკ!

წყეული, ეს ენა რად მებმის, ეს რა მომდის,- როგორ

დავიბენი.

ჩვენ მივდივართ მთის ზურგზე. და მწვანე, მშვიდი, ლაღი სივრცე თითქოს ისვენებს მშვიდი, ბავშვური ძილით...

- რა მშვენიერი საღამოა!.. - ამბობს ის.

- აბ, მართლა, მე თქვენთვის ია მაქვს, მანუშაკ! ინებეთ!

- სტეპა, სად იშოვეთ ეს ამ დროს?..

ის აღტაცებულია. არც სუნი, არც ფერი ჩვეულებრივი იის არა აქვს, ის ხანში შესულ, ყოფილ ლამაზს მოგაგონებს, მაგრამ... მაგრამ ის მაინც აღტაცებაში მოდის... და ვხედავ რა იმის აღტაცებას, აღტაცება მიპყრობს მეც... აბა, რა ვიცი მე, თუ რად მოსწონს მამაკაცს ესა თუ ის მხარე ამა თუ იმ ქალის ხასიათისა! რამდენი ქალიშვილი ვიცი -

სისულელედ და სიყალბედ ჩავუთვლიდი ამ მჭკნარი იით აღტაცებას, აქ კი ისე მიამა მანუშაკის სიხარული. მანუშაკ! მანუშაკ! სიყვარული უსამართლოა!

კარგა მანძილი გაგვივლია, ხალხი უკან ჩამოგვრჩენია. მგონი ყველა განმარტოებას სცდილობდა, ყველა ჯგუფი, და მთაწმინდაზე კი, მადლობა ღმერთს, ალაგი ყველას ეყოფა.

შევდექით. ჩვენ წინ ღელავდა და ბობოქრობდა ტფილისი. შეიძლება სიყვარულით ვიყო ასეთი ბრმა, მაგრამ ტფილისი ულამაზესი ქალაქი მგონია ამ ქვეყნად. მიყვარს მისი დაკლაკნილი, ოღროჩოღრო ქუჩები, მისი დიდუბე, სადაც თამარ მეფემ იქორწილა, "ასი სული ცხვარი დაჰკლა და ორასი ნიშა-ხარი". მიყვარს მისი ავლაბარი, სოლოლაკი, ხარფუხი, ნაძალადევი... მიყვარს იმ სისხლის გამო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაუღვრია

ჩემს ძველებს მის დასაცავად, წმინდა, ქართული სისხლის გამო... მიყვარს დავსცქეროდე იმას თავზე, მესმოდეს მისი ხმაურობა, მისი ქოთქოთი, მისი შფოთიანი მოძრაობა. ხორცსა და ძვალს ისხამს ის ჩემს წარმოდგენაში და როგორც ცოცხალი, ძვირფასი არსება დგება ჩემს წინაშე - მახლობელი. საყვარელი, ფასდაუდები. და გული ჩემი მაშინ სცემს უფრო მხნედ და უფრო პატიოსნად - არავითარი სიმდიდრე მე იქ არ მაბადია და რამდენიმე ღამე ქუჩაში გამიტარებია, მაგრამ ის მაინც ჩემი მგონია, ჩემი საკუთრება. იქ არ აფრიალდა პირველად ის დროშა, რომელსაც მე თავი შევაფარე, რომლის ქვეშ ვცდილობ მე, არ-არის პატრონი, ქვეყნიერებას დავეპატრონო?.. ტფილისი - განა ის არ არის ჩვენი ბელადი, ჩვენი წინამძღვარი?.. და ტფილისივე ამ საღამოს არ მაძლევდა მანუშაკს? ტფილისო! ტფილისო, ჩვენო დედაქალაქო!

“ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს”.

შენ გადმოგხედოს და არ იგრძნოს გრძნობა შვილისა მამისადმი!.. აი, შენ ხმაურობ და შფოთავ, რაზე სჩივი, ვის ესაყვედურები, ჩემო დედაქალაქო!..

მზე ამოეფარა მთის გრეხილს - საღამო თავის უფლებაში შევიდა. გამოჩნდა სადღაც შორს მიბნედილი, მოქანცული ვარსკვლავი. შორს, შორს კრთოდა ის, და მე, მის შემხედვარს, თითქოს მარტოობის გრძნობა აღმეძრა გულში. და იმ წუთსავე მომაგონდა, რომ ჩემს გვერდით მანუშაკი იყო...

- იცი, მანუშაკ, რარიგ მიყვარხარ?

მას მხოლოდ ღიმი გაეკრა სახეზე, სიწითლემ გამოატანა იმის შავგვრემან კანში პირისახეზე. და უსიტყვოდ

მომეკრა...

ჯიბისკენ ხელი წავიღე, პაპიროსის ამოღება მინდოდა, თან კი თავს ვუჯავრდებოდი - შე ვირო, სემინარიელი ხომ არა ხარ, აბა ამ დროს რა დროს პაპიროსია-მეთქი. პაპიროსის მაგიერ ხელში მთელი კეცა ქაღალდი მომყვა... აჰა, ძალიან კარგი, აღარ ვპატიჟობ ქალიშვილს თეატრში, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ფული არ მექნება იმ დღისთვის... ამოვიღე ქაღალდი, გავშალე და გავუქნიე წუმწუმას. ცეცხლი მხიარული, ცელქი სიცილით ჩამოეკიდა ყურში ქაღალდს და ტორტმანით გაჰყვა ზევით...

- ალლილუია... ალლილუია! უფალო შეგვიწყალენ!

- ეს რას სწვავთ, სტეპა!

- არაფერსაც არ ვსწვავ, ჩემო მანუშაკ, ეს ცეცხლი როდია. ეს ამნისტია არის... ამ საღამოს სახსოვრად მე, სტეპა, ვათავისუფლებ ჩემი წყრომისაგან ახალგაზრდა პოეტს, რომელმაც სცადა ქართველ ბულბულთა რიცხვში ამოეყო თავი, თუმცა ის უბრალო ბეღურა არის და მეტი არაფერი. ვათავისუფლებ სასჯელისაგან მას და მადლობა კი გეკუთვნის შენ, მანუშაკ... ეს შენ მოალბე აგრე ჩემი გული, შენ გამაკეთილე... შენ, მანუშაკ, გაგიგონია ერთი ბერის ამბავი, რომელიც დამასკოში ცხოვრობდა?

- აბა, რა ვიცი, მე ხომ მონაზვნად არ ვაპირებ წასვლას?

- ერთი წახვიდე და... ყველა მონასტრებს გადავბუგავ... ჰო, დამასკოში ცხოვრობდა ერთი ბერი, იოანე, იოანე დამასკელი. ეს ბერი პოეტი იყო. და როცა ის გადაავლებდა თვალს ღვთის მიერ გაჩენილ ქვეყნიერებას, მის სიმშვენიერეს წარმოიდგენდა, მაშინ იღვიძებდა იმის

გულში სიმღერა - ლოცვა, ყველაფერში ღმერთს ხედავდა და ღმერთს ამკობდა, ყველაფერი უყვარდა და ყველაფერს აკურთხებდა... ამ წუთას მეც ასეთი მინდა ვიყო - დეე, ბელურამაც ადიდოს ღმერთი, დეე, თუ გინდ იფიქროს, თავი ინუგეშოს, რომ ის ბელურა კი არა, ბულბულია... შენი წყალობით მე კეთილი ვარ ამ წუთას, მაგრამ ერთი მითხარი, მანუშაკ... ერთი რამ უნდა გკითხო, ოღონდ სიმართლე კი მიპასუხე...

- რა უნდა მკითხო?

- უკოცნია შენთვის ვინმე მამაკაცს, ან და გიმნაზიელს?

- ხა! ხა! ხა! კი უკოცნია...

- როდის? ვის?

- აი, სტეპამ მაკოცა ამ საღამოს.

- აჰ, შე კუდიანო, შენა!.. ერთი ამიხსენი, მანუშაკ, საიდან სადაო სომხებს აგეთი ცხვირი?..

- რას ამბობ? რა ცხვირი?

- აი, მაგალითად, ასეთი, როგორც შენი...

- რა ვიცი აბა მე, საიდან უნდა გვქონდეს ჩვენ ასეთი ცხვირი!

- გინდა, მე გეტყვი.

- ალბათ, რაიმე სისულელეს მეტყვი, - გატყობ რაც ჭკუიანი ხარ.

- ჯერ მოისმინო უნდა, ქალბატონო, იქნება არც ისეთი სისულელე გამოდგეს ჩემი ნაამბობი. მაგრამ ჯერ კი თავი დადე აგრე... აი აგრე, მუხლებზე... ეხლა მიცქირე თვალებში, მაგრამ არ გაიცინო კი, თორემ გაკოცებ კიდევ... აი, აგრე გაკოცებ, ეხლა ხომ მიხვდი? ნუ იცინი-მეთქი, თორემ სალაპარაკოდ ვერ მოვიცლი... ახ, მაინც არ იშლი? მაშ აი შენ! აი შენ იგემე, გენაცვა! კმარა, დამიგდე ყური. შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ ქრისტე იერუსალიმში ჯვარს აცვეს. აი, სწორედ იმ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა ერთი სომეხი, ხელობით მჭედელი, მიმართულებით დაშნაკელი...

- განა მაშინაც იყვნენ დაშნაკელები?

- ალბათ იყვნენ, რაკი ვამბობ. და როცა გაიგო ქრისტესა და იმის წვალების შესახებ, გამჭრიახმა სომეხმა გაითვალისწინა, თუ რა მაღლა დადგეს ქრისტეს ჯვარი,

რომ იმაზე მიჭედილი მაცხოვარი მრავალი საუკუნეების მანძილზე იქნება ხილული, რომ მასთან ერთად ხილული იქნებიან ყველანი, ვისაც კი ამ ჯვარის გარშემო მოუწევს დგომა და რომ საჭიროა სომეხიც არ გამოეთიშოს სხვებს, ისიც იდგეს სხვების გვერდში...

- ყოჩაღ, სომეხო, აბა ქართველი მიხვდებოდა ამას?

- ამ მოსაზრებით გამოსჭედა მან ლურსმანი და გასწია გოლგოთისაკენ. ქრისტე ჯვარცმული იყო უკვე, მაგრამ ცოცხალი. იხილა რა სომეხი ლურსმნით ხელში, მან გაიღიმა, მიუხვდა გულის წადილს. შეუმჩნევლად გაინთავისუფლა ხელი და სტაცა ცხვირში სომეხს, აი, აგრე...

- ოი, რას სჩადი სტეპა... გიჟო!

- აი, აგრე, და მოსწია...

- სტეპა, გამიშვი ხელი... გამიშვი-მეთქი, სტეპა!

- აი, რად არის, რომ სომხებს გრძელი ცხვირები გაქვთ.

- სულელური ზღაპარია და მეტი არაფერი.

- რა თქმა უნდა, სულელური ზღაპარია, მანუშაკ, ეს, სომხების მტრის მიერ შეთხზული, მაგრამ მე მიყვარხარ შენ, მანუშაკ, და შეიძლება უფრო იმიტომ, რომ შენ ასეთი ცხვირი გაქვს, ასეთი თვალები, სახე, ეს კი არ არის არც სისულელე, არც ზღაპარი და დამამტკიცებლად ჩემი სიტყვებისა მე შენ გკოცნი...

ვარსკვლავები უკვე იცინოდნენ... ისინი დაგვცინოდნენ ჩვენ და კიდევ ბევრს ჩვენთაგანს მთაწმინდაზე ამ

საღამოს, ისინი დასცინოდნენ გაუთავებელ ზღაპარს სიყვარულისას, სულელ შეყვარებულებს... და მე ვხედავდი ყოველივე ამას და მაინც შევხაროდი ვარსკვლავებს, რომლებიც მოწმე იყვნენ ჩემი სიხარულისა.

- შენ სადაური ხარ, მანუშაკ!

- ან - ელი.

- დედ-მამა გყავს?

- მყავს!

- აბ, რა მიყვარს ისინი, იცოდე!

- ერთი ამ ყოფაში დაანახათ შენი თავი, გაჩვენებენ

სიყვარულს! - სიცილით მეუბნება ის.

- ახ, რა მიყვარს ისინი, იცოდე! რა მოხელე ხალხია?

- მამა ვაჭრობს.

- ზაფხულზე, რა თქმა უნდა, წახვალ სახლში.

- აბა რა ვქნა?

- მე კი თან წამიყვან?

- წაგიყვან.

- გზაზე არ დაგეკარგები?

- არა, არ დამეკარგები... გულში ჩაგისვამ და აღარ

დამეკარგები.

- განა შენც გული გაქვს?

- მაქვს, სტეპა, წარმოიდგინე, მაქვს!..

- მაპატიე, მაგრამ თუ თვითონ არ დავრწმუნდი, ისე ვერ დაგიჯერებ.

მივადევ ყური მკერდს - სცემს და ფართხალობს რაღაც იქ. ჩიტივით ფრთხიალებს და მე მესმის: “მაქვს! მაქვს! მაქვს!”

- მანუშაკ! შენ იცი განა, რარიგ მიყვარხარ?

მისი ხელი სახეზე გადამესვა. და მგონია, რომ მხოლოდ ეხლა, მხოლოდ ამ ხელის გადასმით მომეალერსა ის

პირველად ამ საღამოს... იმიტომ ხომ არა, რომ ამ ალერსში მე დედის ალერსი მომესმა! იმიტომ ხომ არა, რომ საყვარელი ქალის ალერსში აუცილებლად დედის ალერსიც უნდა ერიოს?..

- წავიდეთ, სტეპა!

- ცოტა დაიცა!

- გვიანია...

- აბ, ეს წყეული დრო! როგორ იჩქარის! და მერმე სად მიეჩქარება, რომ არ იცის?

არაოდეს, წყეულს, არ ჰყვარებია, არაოდეს!

- მანუშაკ! ამაღამ დაგეძინება კი?

- არ ვიცი!

- არა, შენ მითხარი, არა-თქვა.

- არ ვიცი, სტეპა.

- ეს საღამო, მანუშაკ, სიზმარია ვითომ?

- არ ვიცი...

“არ ვიცი”! მე კი ვიცი მშვენივრად. მე ვიცი, რომ მანუშაკი ჯანსაღი ქალია, რომ მას საღი ნერვები აქვს და როგორც ყველა ჯანსაღ ადამიანს, მის ტვინს არ შეუძლია ბევრი ოცნებობა და ფანტაზიორობა, და ვიცი მე, რომ ის მშვენივრად ივახშმებს ამეღამ, მაგრად დაიძინებს და თამამად მივა ხვალ ეგზამენზე. ის ჯანსაღი ადამიანია და

ალერსი სჭირია ჯანსაღ ადამიანს, ეს ისეთი ბუნებრივი რამ არის... მე კი ცოტა დავიღალე, ნერვები ასე თუ ისე დაქანცული არის, თითქოს ნარკოზის გავლენის ქვეშ, და ვიცი, რომ ვერ ვიქცევი ისე, როგორც საჭიროა...

გოლოვინის პროსპექტზე გამოვეთხოვე იმას და აღვუთქვი, რომ შინ დაბრუნებისას ვიმღერებ, თუ გინდ მდგმურებმა პოლიციას დაუძახონ...

მაგრამ აღთქმა ვერ შევასრულე. ის ღამე გავატარე განსაკუთრებულ პირობებში, მთვრალებისა და პროსტიტუტკების საზოგადოებაში. ვიღაცამ ზრდილობიანად მთხოვა პოლიციაში წავყოლოდი. უარის თქმა შეუძლებელი იყო. მე გავყევი, და როცა მივდიოდი, ვიღაც მთვრალმა დედაკაცმა გზაში ენა მიჩვენა... დილით სულ უბრალოდ დამიმტკიცეს, რომ მე სტეპა როდი ვარ. და გამგზავნეს მეტეხის სასტუმროში, საიდანაც

რამდენიმე თვის შემდეგ არხანგელსკის გუბერნიაში მიკრეს თავი.

იქიდან კი გავიქეცი, როცა ამის საშუალება მომეცა...

...ახირებულზე უახირებულესი, მისტიური თეთრი ღამე!

ზღაპრულად ფერავდა თეთრი სხივი თეთრი მზისა უზარმაზარ ქალაქს, ქალაქზე დაწოლილ თეთრ ნისლს...

ეს იყო ქალაქი პეტერბურგი.

და მეგონა, რომ ოკეანეს ძირში ვიმყოფები-მეთქი. და მეგონა, რომ ეს იყო სიზმარი, უჩვეულო მოჩვენება. რომ საცაა გავაჭყეტ თვალებს და გამომეღვიძება-მეთქი. და მეგონა აგრეთვე ისიც, რომ ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ წინეთაც მინახავს სადღაც, მინახავს და გამომიცდია და

რომ ეხლა ყველა ეს მხოლოდ მოგონებაა ერთხელ გამონაცადის-მეთქი. და ეს ვეებერთელა სახლები და სასახლეები, ეს ქალები და კაცები, გრძელი, ფართე ქუჩები, ავტომობილ-ეტლები, ეს ხშირი სუნთქვა ლოკომოტივებისა და ორთქლის ნავებისა, ეს სიცილი და ხმაურობა ირგვლივ, ეს მთვრალი სიმღერა პროსტიტუტკისა და ის, რომ ვიღაც ხულიგანი, გულგრილ პოლიციელის წინაშე, სასტიკად ამათრახებდა ვიღაც დედაკაცს, და აგრეთვე ისიც, რომ ვიღაც გოგონა თავის თავს მაწოდებდა, მეფიცებოდა, რომ ის მხოლოდ ცამეტი წლის არის, მხოლოდ ცამეტის, რომ ყველა ეს იყო მხოლოდ მოგონება და არავითარი მსგავსი ნამდვილად, ამ წუთში არ ხდება-მეთქი... და ირგვლივ კი, ზევით, ქვევით იყო თეთრი ღამე, ახირებული, მისტიური თეთრი ღამე, აღსავსე სევდითა და მოლოდინით, აღსავსე გამოუთქმელი, შეუცნობი სურვილებით...

- ყმაწვილო, პაპიროსს ხომ ვერ მომაწოდებთ!

- ინებეთ!

- მერსი! აბ, რა მშვენიერ ღამეა!..

Ах зачем эта но-очь,
Была так хо-ро-шш-а!..

- ხომ არ გაისეირნებთ ჩემთან?

- გმადლობთ, არ მცალია.

- "არ მცალია"... თვითონ კი ისე დადის, როგორც დამხრჩვალი წყალში... გავიაროთ, არაფერია!

- ვთქვი, არ მცალია-მეთქი.

- არ გინდა? აი დარდი, თუ არ გინდა...

Ах зачем эта но-очь!..

და ისევ მგონია, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მოჩვენებაა და სიზმარი და ამასთან ერთად “ფეხის ფრჩხილებამდე” ვგრძნობ მარტოობასა და მიუსაფრობას, ცივს, მძიმე ობლობას სულისას. მარტო ვარ, მარტო!.. და ვხედავ ამ ვეება ქალაქს, ქალაქს სავსეს ისეთივე ადამიანებით, როგორც მე, და მე კი მარტო, სულ მარტო ვიყავი... და ვიცოდი აგრეთვე, რომ აქ ყველა მარტოობას გრძნობდა, რომ ყველას სევდა მარტოობისა გულს აწვა და რომ ყველა ჩქარობდა აქ იმიტომ, რომ ეჩქარებოდა გასცლოდა ამ მოჯადოებულ ალაგს, ამ მოჩვენება სიცოცხლეს, ამ სიზმარს, სულით ობლობით გაჟღენთილს... ყველაფერი ეს ხომ სიზმარია, მხოლოდ სიზმარი და მოჩვენება, და

ყველა მივისწრაფოდით სახლისაკენ, სამშობლოსაკენ, თავშესაფარისაკენ...

- ა-ა, ყმაწვილო კაცო... მა-მაპატიეთ, ყმა-ყმაწვილო კა-კაცო, პარდონ... არა, მო-მომითმინეთ და მომისმინეთ, თუ შეიძლებოდეს - განა მე, წი-წინაშე თქვენსა მდგომარე, ღორი, ღო-ღორი ვარ მე განა?..

ძლივს იმაგრებს თავს, საცა არის დაეცემა ეს ვეება კაცი, მოხელის ტანსაცმელში, ლოთიჯანი სახისა... არაყის სუნითა და კიდევ უფრო მყრალი რაღაცათი ის მაიძულებს პირი ავარიდო მას, ის კი მიწვდის ხელს...

- გკითხოთ უნდა ერთი, ყმა-ყმაწვილო კაცო, განა მე ღორი ვარ? ვგევარ განა ღორს? თქვენ უნდა მა-მაპატიოთ, მაგრამ ა-ამიხსნათ კი უნდა ეს!

- საიდან წარმოიდგინეთ, რომ ღორი ხართ? - ვეუბნები მე და ვცდილობ გავშორდე.

- Та-ак! მაშ თქვენი ხელი, ხე-ხელი თქვენი, ძვირფასო, სა-საყვარელო... წა-წამომყვეთ უნდა სახლში... ერთი შე-შევარცხვინოთ ის ურცხვი და... უნდა გამოვტყდე, რომ მე ცოლიანი ვარ, ყმაწვილო კაცო... დი-დიახ, ოდესღაც ასეთი სი-სისულელე ჩავიდინე... უნდა გა-გამოვტყდე, რომ... რომ მე მართლაც ღორი ვარ... ხე! ხე! ხე! ყმა-ყმაწვილო კაცო, ნა-ნამდვილი პირუტყვი. მოახლოვდება თუ არა ოცი რიცხვი, მე ჯიბეში ფულები მაქვს, ყორყში კი ხე-ხე-ხე - ფხანა ამიტყდება... აქედან კი გამოდის, რომ მე ვარ ღორი... დედაკაცი კი ამაებს ყურადღებას არ აქცევს ოდნავად არ აქცევს და რა გინდა ქნა?.. და დღეს სახლიდან გამომაგდო, წარმოიდგინეთ! წადი, დაიკარგე ჩემი თვალიდან, შე ღორო, შე ღორის შვილო! - რაებს ბედავ-მეთქი, დავუყვირე მე - დიახ, ასე შევსძახე - რაებს

ბედავ-მეთქი. ვინც უნდა ვიყო, მოხელე კაცი, მთავრობისათვის საჭირო მაინც ვარ და თან კიდევ შენი კანონიერი ქმარი-მეთქი... აი ეს ვუთხარი და წარმოიდგინეთ, აკი ცოცხს მოჰკიდა ხელი და მომცხო კისერში... მომცხო და მომცხო! მოითმინეთ - სადღაა კანონი? სადღაა, ერთი მიბრძანეთ კონ-სტიტუ-ცი-ა! კონ-სტი-ტუ-ცია სად არის-მეთქი, მე ვიძლევი კითხვას. ასე უნდა ექცეოდეს ცოლი ქმარს? მე ღორი ვარ, ის მაშ წმინდანია, არა? თითქოს არ იცოდეს ყველამ, ვისთან დაძვრება, ვის ეკურკურება? თითქოს არ ვიცოდე ყველა იმისი ოინები. მე ღორი ვარ, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, ივან პავლოვიჩი ვინღაა, დედოფალო? ივან პავლოვიჩი ვინ არის, ა?.. მაპატიეთ... პარდონ!..

და მე ვავიწყდები, ის მიაბიჯებს წინ... თეთრი ღამე კი ფურჩულებს, მეფურჩულება მეცა და სხვებს, რომ აქედან საჩქაროდ წასვლაა საჭირო, საჩქაროდ თავის დაღწევა ამ

მოჩვენება, ამ სიზმარ ქალაქიდან...

ეს არის პეტერბურგი!

არხანგელსკის გუბერნიიდან მე პირდაპირ პეტერბურგში მივედი, და როცა პეტერბურგის დამპალ ზეცას შევხედე, ტირილი მომინდა - სადღაც, ოდესღაც რაღაც ამგვარი მენახა თითქოს და იქ მე ვიტანჯოდი, ვიტანჯოდი. პეტერბურგის ზეცამ ეს დიდი ხნის წარსული გააღვიძა ჩემში, - სადღაც ოდესღაც, სწორედ ასეთი ზეცის კალთებს ქვეშ ვიყავ მე მარტო, სულით ობოლი, განწირული და ვიტანჯოდი. მაგრამ სად იყო ეს? როდის იყო?

და როცა უცებ ქუჩაზე მოცინარე ბავშვის სახე დავინახე, ძლიერ გამიკვირდა - ნუთუ პეტერბურგშიც იცინიან?

პეტერბურგი ახირებული ქალაქია, შეიძლება ერთად-

ერთი ამ ქვეყნად. და ეხლა მგონია, რომ ეს ქალაქი მიყვარს მე. ეს მისტიური, მოჩვენება ქალაქი. და ხალხიც აქაური სხვანაირი მგონია - ქალი და კაცი - ყველა პატიოსანი. ეს ახირებულებაა, მაგრამ ეგ აგრეა. მე მგონია, მაგალითად, რომ პეტერბურგელი ქალები არ გიღალატებენ. მე მგონია, რომ მათი თვალები სუფთაა, ღრმა და სანდო, ისე როგორც ყველა პატიოსანი ადამიანის თვალი. დიახ, დიახ, მე ეს აგრე მგონია, რომ მათი თვალები სუფთაა, ღრმა და სანდო და ამ თვალების პატრონ ქალებს არ შეუძლიათ სიცრუე.

ერთ საღამოს კი ამ ქალაქში ერთმა ვინმემ თავი მოიკლა. ის შეუმჩნევლად გაჰყვა კვალდაკვალ ორ ადამიანს. ერთი მათგანი იმისი ცოლი იყო, მეორე კი მეგობარი. ქუჩიდან ქუჩაზე მისდევდა იმათ, შეჰყვა ბაღში და როდესაც ისინი ჩამოჯდნენ კუთხეში სკამზე, როდესაც იმათ ერთმანეთს აკოცეს, მან მიიდო რევოლვერი საფეთქელზე და თავი

მოიკლა... დიახ, ეს ასე იყო. და ამ კაცსაც უყვარდა ცოლი, ძლიერ უყვარდა. და იმას ეგონა, რომ იმის ცოლს ჰქონდა სუფთა, ღრმა და სანდო თვალები და რომ ის არაოდეს, არაოდეს არ იცრუებდა. და ამ თვალების გამო, ამ სუფთა და პატიოსანი თვალების გამო, მას კიდევ უფრო უყვარდა ახალგაზრდა ცოლი. და ჰქონდა ნდობა მისდამი, განუსაზღვრელი ნდობა. და იმ საღამოს, როცა იმათ გაჰყვა, თვითონაც არ იცოდა, რად მისდევდა იმათ, რა უნდოდა გაეგო და ემხილებინა - ის ხომ საყვარელი და მოყვარული ცოლი იყო, ხოლო მეორე მისი ერთგული, გამონაცადი ამხანაგი. და როცა ის კვდებოდა - დამიჯერებთ თუ არა? - როცა ის კვდებოდა, ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ის კი არ კვდება, რომ საკუთარი თავი როდი მოუკლავს, არამედ მოჰკლა ისინი - ფლიდნი და მოღალატენი. ამ რწმენით მოკვდა ის და ეს რწმენა აშკარად მოჩანდა იმის გაფითრებულ სახეზე, როცა ის მკვდარი ზეცას შესცქეროდა...

ეჰ, ეს რა ამბავს მოვყოლივარ... განა მე იმის შესახებ არ ვლაპარაკობდი, თუ როგორ მოვხვდი პირველად პეტერბურგში? და აი, ერთხელ ამ ქალაქში სეირნობის დროს ვეებერთელა სასახლეს გადავეყარე, რომელიც მუზეუმი აღმოჩნდა. შევედი ამ სასახლეში, ვიყიდე კატალოგი, ავყევი კიბესა და მოვუხვიე მარჯვნით. გავიარე პირველი დარბაზი - იმდენი არაფერი. მეორეც - არაფერი. თითქოს ყველაფერი ეს დიდიხანია ნახული და შესწავლილი მქონდა. წავედი წინ... უცებ შემკრთალი შევდექი, მივიხედ-მოვიხედე. ეს რა ამბავია? ამბობენ - ვერეშჩაგინის სურათებიაო. მაგრამ ამიხსენით, ეს რა ამბავია? გაქცევა მინდოდა და ფეხს კი ვერ ვიცვლიდი. თმა ყალყზე დამიდგა, თრთოლა-კანკალმა შემიპყრო... აი, თურმე, რა ყოფილა ომი! აი, თურმე, ომი რა ყოფილა! და, ღმერთო ძლიერო, რამდენი კეთილშობილი, ჰუმანიური კაცი ამკობს და ადიდებს ომს, იმის სილამაზეს! აბა

მოიგონეთ რუსთაველი და იმისი გმირები! “შიგან ასე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოვტყორცნე, ცხენ კაცისა დავდგი გორი”. მოიგონეთ აბა აკაკი: “და გაიელვა ზედი-ზედ მტერზე, მისმა მახვილმა ძველებურათა!”.. რამდენი აღტაცებაა ომისა და მეომრების წინაშე აქ! აბა, პუშკინი და მისი “პოლტავის ომი” მოიგონეთ!.. და აჰა, წარმოდგა წინ ვერეშჩაგინი, გადაშალა ომი, გვიჩვენა ის სიგრძე-სიგანით და გვითხრა: “შეხედეთ, როგორ სტყუიან დიდებული პოეტები, დიდებული ჰუმანისტებიო”.

იქავე საყესავით იდგა სრულიად ახალგაზრდა აფიცერი, ისეთი კეთილი და განცვიფრებული გამომეტყველებით...

გული მძიმე სევდით აღმევსო და უკვე აღარაფერი აღარ მაინტერესებდა, როცა ამ საზარელ სურათებს გავშორდი. მივდიოდი მექანიკურად, შეუგნებლად, სანამ ერთმა

უბრალო მოძრაობამ ვიღაც ქალისამ, რომელიც იდგა სტუდენტის გვერდით, ჩემკენ ზურგშემოქცეული, არ გამომაღვიძა, რაღაც არ მომაგონა... ნაცნობი იყო ეს უბრალო, მაგრამ ელასტიური მიმოხვრა, რაღაც დიდი რამ იყო შეკავშირებული თითქოს ამასთან. ვიცოდი და არც ვიცოდი, რაში იყო საქმე. და უფრო დაკვირვებით დავუწყე იმათ ცქერა. თითქმის ცხვირი მიეტანათ სურათთან, - განა აგრე უცქერიან სურათს, განა პერსპექტივის კანონი არ იცით? სტუდენტი მაინც არ იყოს ეს ყმაწვილი? მაგრამ ვიცი, შვილოსან, ვიცი რაშიც არის საქმე - თქვენ შეყვარებულნი ხართ, თქვენ ერთმანეთთან ახლოს იყოთ გსურთ, სურათი ფეხებზე გკიდიათ! სურათი მხოლოდ საბაბია და მეტი არაფერი.

მაგრამ ასე რამ გამაბოროტა, ასე რად გავჯავრდი ამ სტუდენტზე! ეს, ეს იჭვიანობა რაღა არის?

კატასავით ფრთხილად მივუახლოვდი იმათ და სახეზე შევხედე. გული აჩქარებით სცემდა მკერდში, - ერთი სტუდენტია, მეორე... მეორე?.. ელვის სისწრაფით მაგონდება საღამო ტფილისში და ბაგეზე კი ღიმილს ვგრძნობ...

- მანუშაკ!.. მანუშაკ!

მინდოდა მივარდნილიყავი იმასთან, - ეს ხომ მანუშაკია! ნამდვილად კი ნაბიჯს უკან ვდგამ, ვბრუნდები უკან და ძველი გზით მივდივარ კარში. გავედი ქუჩაში და შევჩერდი. მანუშაკ! მანუშაკ! მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ დამენახო მინდა. მხოლოდ ერთხელ მინდა ვიხილო შენი თვალის ციმციმი, დავინახო თუ როგორ ათამაშდება ხოლმე შენი წარბი, როცა რაიმე გაგაკვირვებს. მხოლოდ ერთხელ შენი სიცილი გავიგონო მინდა... ნუთუ ეს ბევრია, მანუშაკ! მხოლოდ ერთხელ,

მხოლოდ ერთხელ დამანახე შენი სახე, შენი სიარული!..

არა, არ წავალ აქედან, ფეხსაც არ მოვიცვლი, მოვუცდი იმათ და როცა ის გამოვა, როცა გამისწორდება, მაშინ... მაშინ კი არ ვიცოდი რას ვიქმდი...

თუთუნს ცეცხლი მოვუკიდე, მაგრამ მწარეა თუთუნი...

მანუშაკ! მანუშაკ!

მაგრამ როცა ისინი ხელი ხელ ჩაკიდებულნი გამოვიდნენ ჭიშკარში, მე ხელები ჯიბეებში ჩავიწყვე და ქუჩის მეორე მხარეზე გადავედი. ისინი წავიდნენ, არც კი შევუმჩნევივართ. მაგრამ მე მომესმა იმისი სიცილი... და მომელანდა ტყე და ტყეში აყვავებული იელის ბუჩქნარი და ამ ბუჩქნარში მოჩუხჩუხე, მხიარული ნაკადულის ზღაპარი - სიმღერა...

უჰ რა სიცივეა!

ეს იმიტომ რომ დიდიხანია კედელზე აწოლილი თურმე ვარ და კედელი კი ისეთი ნოტიოა, ისეთი ცივი...

რა მძიმე ლოდი მაწევს გულზე და რა სირცხვილს ვგრძნობ!.. თითქოს მთელი ღამე ღვინოსა და გარყვნილებში გამეტარებიოს... დიახ, გარყვნილებაა ის, რაც მომივიდა, დანაშაულია, ვაღიარებ აშკარად და საქვეყნოდ.

დამიგდეთ ყური... გუშინ ღამით, სამების დღესასწაულის წინ, ჩამოახრჩვეს სამი კაცი. ეს მოხდა ამნაირად: მომჯადოებელი, მთვარიანი ღამე იყო, სატუსაღოს კარგს გუნებაზე დაეძინა. შუაღამისას კი ჩვენ გაგვაღვიძა ნაცნობმა კაკუნმა - სახრჩობელას აგებდნენ. იმათ, ვინც

უნდა დაეხრჩოთ, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, არავითარი ხმაურობა არ აუტეხიათ, რათა ჩვენ არ გავეღვიძებინეთ, ჩვენი ტკბილი ძილი არ დაერღვიათ. ყველაზე მეტად მე სწორედ ამან გამაოცა, ამ მათმა სურვილმა, რომ ჩვენ არ შევეწუხებინეთ. ადამიანს ახრჩობენ და ის კი ჩემს ამხანაგებს არ გაეღვიძოსო, უსიტყვოდ ემორჩილება ჯალათებს!.. არა, ეს ასე არ შეიძლება, ეს ჩემთვის გაუგებარია... მე შემრცხვა, შემრცხვა ჩემი თავის წინაშე, დასახრჩობ ამხანაგების წინაშე, იმათ წანაშე, რომლებიც ხვალ დილით ამომავალ მზეს გაუღიმებენ, ღმერთს მადლობას შესწირავენ, რომ ცოცხალნი არიან... მაგრამ, რა უნდა მექნა?.. მივირბინე ფანჯარასთან და ვიყვირე: “ამხანაგებო, მშვიდობით!” თითქოს ამ ძახილს ელოდა სატუსაღო, ამიტომ იყო სულგანაბული და უხმო. ყვირილი, წყევა, კარების მტვრევა, სტვენა, ლანძღვა და მუქარა ერთმანეთში აირია... აქედან იწყება ის, რაც წინეთ არაოდეს არ

დამმართია. მე შიშმა შემიპყრო. შემეშინდა, მაგრამ რისი მეშინოდა? განა არ ვიცოდი, რომ მე ვერავინ დამახრჩობდა? რომ არც მომელის ასეთი სასჯელი მომავალში? განა არ ვიცოდი ეს? ვიცოდი, რა თქმა უნდა, მაგრამ მე მაინც შემეშინდა იმის, რომ მე მომკლავენ... ხოლო ის შეგნება, რომ ჩემი დახრჩობის უფლება არავის არა აქვს, ეს შეგნება ოდნავადაც არ მამშვიდებდა, თუმცა ჩემში ის ცოცხლობდა და თითქოს მამშვიდებდა. ეს შეგნება ვერ სძლევდა შიშისა და ძრწოლის გრძნობას აუცილებელი სიკვდილის წინაშე. თითქოს ეს ორი გრძნობა, გრძნობა, რომ მოკვლა არ შეუძლიათ და გრძნობა, რომ ამ წუთას მომკლავენ, არსებობდნენ ორს სხვადასხვა გულში, თუმცა ორივეს ვგრძნობდი და განვიცდიდი მე ერთი... დიახ, მეც ჩამომახრჩობენ - ეს ხალხი, ყველა ეს მცველები, ესენი განა რაიმეზე ფიქრობენ? უცებ ციხის უფროსი უბრძანებს იმათ, რომ დამახრჩონ, რა შემიძლია მათ წინააღმდეგ, რით დავიცავ

თავს?.. ნუ, ნუ ყვირით, თქვე ოხრებო, ნუ ყვირით, ნუ ღრიალებთ! ამ თქვენ ყვირილსა და ღრიალში მოვლენ და დამახრჩობენ, ვერავინ ვერაფერსაც ვერ გაიგებს... ღმერთო, ნეტავი მალე გათენდეს ერთი! ეჰ, გაათავეთ ეს კაკუნი, დაახრჩვეთ ბარემ, ვისაც ახრჩობთ... ღმერთო, რით დავიცვა თავი, რით?.. ვერ დამახრჩობენ? კანონი ნებას არ აძლევს? ვერა? მადლობა ღმერთს! მაგრამ ვინ დაუშლის იმათ, მოვიდნენ და დამახრჩონ?.. აკი იმათ ახრჩობენ?.. მეშინია! მეშინია! მეშინია! თავბრუდამხვევ ღრიალსა და შფოთში მე ფრთხილად მივადექი ფანჯარას და უცებ შევამჩნიე მთვარე. ნუთუ ამ მთვარეს ქვეშ ახრჩობენ ადამიანს? ნუთუ ეს ნაზი, ეს ალერსიანი სხივები იცქირებიან ეხლა ღია კუბოებში, ღია სამარეში? ნუთუ ეს სხივები ანთებენ ჯალათებსა და იმათ მსხვერპლთაც? არა, ეს შეუძლებელია!.. და თუ ეს შესაძლებელია, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ მეც დამახრჩობენ, მეც, მეც... ამხანაგებო, მიშველეთ,

მახრჩობენ! მე მახრჩობენ! თქვე მხეცებო და პირუტყვებო, რა უფლება გაქვთ, რომ დამახრჩოთ!..

და შემდეგ კი აი, რა მოხდა: გამოვამტვრიე მინები ფანჯარაში, გავტეხე სტოლი და სკამი, გავტეხე ყველაფერი, რის გატეხაც შეიძლებოდა. შემდეგ გავიხადე საცვალი, მოვუყარე ერთათ თავი საცვლებსა და საწოლს, წავუკიდე ცეცხლი და მე კი, ტიტველმა, ვიწყე ხარხარი და ტირილი...

- შენ ამას რას სჩადი?..

- არ მინდა! არ მინდა! არ მინდა სიკვდილი, არ მინდა!

შემკრეს და წამიღეს, მესმოდა, რომ საავადმყოფოში მივყავდი იმათ, მაგრამ მეგონა სახრჩობელასკენ მივდიოდით... მაგრამ ეხლა უკვე ისე დავიღალ-

დავიქანცე, ისეთი გულგრილობა ვიგრძენი უცებ, რომ ყოველივე გაქრა - შიშიცა და სურვილიც... მხოლოდ ცრემლი ისევ მდიოდა თვალთაგან, მე ისევ ვკრთოდი... ჩამოსახრჩობად მიგყევართ? მომკალით, ჩემი სიცოცხლე ხომ ერთ ფარათაც არ ღირს, დამსაჯეთ, თუ ღმერთი გწამთ! მიმტკიცებენ, რომ არავის აზრადაც არ მოსვლია ჩემი დასჯა... ოჰ, არა, არა, - ვქვითინებ მე, - დამსაჯეთ, თუ ღმერთი გწამთ, ჩემი სიცოცხლე ხომ ფარათაც არ ღირს... მხოლოდ სიკვდილის წინ ერთი მანახეთ ვასო, კეთილი საქმე ჩაიდინეთ - მანახეთ ვასო, მე ის ძლიერ მიყვარს და დავემშვიდობები იმას... ის კარგი ბიჭია, თქვენ ეს არ იცით, ცუდად, მხეცურად მოექცნენ იმას, ის ეხლა უბედურია და მინდა იმას დავემშვიდობო... თქვენ ამბობთ, რომ მე არავინ მკლავს - რას მანუგეშებთ! სულერთია ეხლა ჩემთვის სიკვდილი, სიცოცხლე! ჩემი სიცოცხლე ერთ ფარათაც კი არ ღირს, ვის რად უნდა!..

როგორც იქნა დამაძინა ექიმმა და ძილშიაც მე უარს ვამბობდი სიცოცხლეზე, რომელმაც ყოველივე ღირებულება დაჰკარგა ჩემს თვალში, სანამ ჩემს თვალწინ ერთმა სურათმა არ წამოჰყო თავი, ერთმა უბრალო წამმა ჩემი წარსულიდან... აბა რა დიდი რამ არის, რომ ოდესღაც, რომელიღაც ქალიშვილმა მაკოცა!.. და ამ ქალიშვილის სახემ, შემთხვევით გაღვიძებულმა ჩემს გონებაში, ამ სახემ მომაბრუნა სიცოცხლისაკენ... რამდენი მაღალი და კეთილშობილი წუთი გამომიცდია, როცა ყველაფერი, რაც კი ღვთიურია ადამიანში, ფეხზე ამდგარა ჩემში, როცა ერთი სიცოცხლე არ მყოფნიდა და ათასი მინდოდა მქონიყო, რომ ერთი სამსხვერპლოს წინაშე დამედო, ერთი ღვთისათვის შემეწირა და არც ერთი ეს ამ საშინელ ღამეს მე არ მომგონებია და მხოლოდ ერთი შავგვრემანი გოგოს მოგონებამ დამიბრუნა სიცოცხლის სურვილი... სულ ყველაფერი სხვა დამავიწყდა ამ საშინელ ღამეს...

გამომეღვიძა - მზის სხივი მიცინოდა, როგორც დედა და კიდევ რამდენიმე სნეულმა მომილოცა:

- ჩვენ გვეგონა, ამხანაგო მიხა, რომ ჭკუაზე შესცდით!

და მე შემიპყრო გიჟურმა სიხარულმა - ცოცხალი ვარ! ცოცხალი ვარ! სიცოცხლე მინდა და სხვა არაფერი!.. სიცოცხლეს ხომ მხოლოდ ერთხელ გამოცდის ადამიანი, მხოლოდ ერთხელ! ნუ მართმევთ ამ სიცოცხლეს, ის ისეთი მშვენიერებაა! ყველაფერი ფეხებზე მკიდია, მხოლოდ სიცოცხლე დამანებეთ, დამანებეთ ვისუნთქო და ქვეყნიერებას ვუცქირო...

ეჰ, ეხლა მესმის მე ის ვაკხანალია, ის გარყვნილი ქეიფი, რომელმაც მოიცვა საზოგადოება რეაქციის შავ დღეებში... და მე მრცხვენია...

ასე ჩავწეროთ, ამხანაგო მიხა, შენ მხოლოდ მანუშაკმა დაგიბრუნა სიცოცხლე, მხოლოდ მან!.. შენ მხოლოდ ის მოგაგონდა...

მოკვდა ტუსაღი მოკროუსოვი და მისი ცხედარი გაგზავნეს სამკვდრეში.

ერთი თვისა და ათი დღის შემდეგ ათავებდა ის სასჯელის ვადას და გამოსვლისას პატიოსან შრომას ეპირებოდა, პატიოსან ცხოვრებას. არა, ქურდობას შემდეგში ის აღარ მოჰკიდებდა ხელს, წყეულიმც იყოს ქურდობის მომგონი და მისი თაყვანისმცემელი... აი, თუ ღმერთმა ქნა და ფეხი მოიკიდა იმან თავისუფლად, თუ ამ ჯოჯოხეთს თავი დააღწია, წავა ის კერჩსა თუ ფეოდოსიაში, სადაც მას ვიღაც ნათესავი ქალი მოელოდა, ისესხებს იმისგან ხუთ თუ ექვს თუმანს, დაიწყებს ვაჭრობას, ერთხელ მაინც

დაიძინებს ადამიანურად...

- ისე ვიცხოვრებ, როგორც გრაფი... რაო? ძველ ხელობას? ქურდობას?.. არაოდეს, აი ფიცი, არაოდეს აწი მე არ ვიქურდებ... განა მე, ბ-ნო მიხეილ, განა მე ქურდი ვიყავი, ქურდობაზე მიფიქრია წინეთ, რომ იმ წყეულ ქალებს არ დავეღუპე?.. იმათ დამღუპეს, აი, იმათი სინსილაც კი გაწყდეს... მე წინეთ ნოქარი ვიყავი, გადავეყარე ვიღაც აშარს, რომელმაც ტყავი გამაძრო. ჯამაგირი რომ აღარ ამითავდა, სხვის ქონებას ვსტაცე ხელი... და მერმე, როგორც მოგეხსენებათ...

შემდეგ კი საქმე ჩვეულებრივ დატრიალდა. აგერ ათი წელი იქნება, რაც ის თითქმის სატუსაღოშია. ის რეციდივისტი ქურდია. მაგრამ ეხლა ბასტა. მობეზრდა ციხეებში წანწალი, ეყოფა რაც სცემეს პოლიცია-სატუსაღოებში - მთელი ალაგი ტანზე არა აქვს. ერთიან

დაბეჟილია... ახ, იცოდეთ, რა უღმერთო ცემა იციან, რა მწარე ცემა იმ ურჯულოებმა!

- აწი კი პატიოსან საქმეს მოვკიდებ ხელს, მეყოფა.

- აღარ იქურდებ, რაღა? - ჰკითხავდა დაცინვით ქურდების მეთაური ზაიკინი, რომელიც, ნაცემი მაძებარ პოლიციელებისაგან, ამჟამად გვერდებს იმთელებდა საავადმყოფოში.

- არ ვიქურდებ...

- პატიოსანი კაცი გინდა გახდე, რაღა?

- მინდა და კიდეც გავხდები!

- ახ, შენი ბრიყვი გოგრა, შე ვირო და მუტრუკო, შენა!

ერთი შეხედეთ ამ წუნკალს, ბიჭო, შე მუტრუკო, როდის იყო ქურდი კაცად იქცა, ბოზი პატიოსან დედაკაცად და პოლიციელი წმინდანად? ქურდი ქურდად უნდა მოკვდეს, არ იცი შენ ეს? და თუ გინდა ვაჭრობაც დაიწყო, ამით ქურდობას აშორდები გგონია? ვაჭრებიც იგივე ქურდები არ არიან? მღვდლებიც, ჩინოვნიკებიც? განა ყველა ამ ქვეყნად, გარდა პროლეტარიატისა იგივე ქურდები არ არიან? და პროლეტარებშიც ცოტაა ქურდები? და მაგას კი უნდა პატიოსან კაცად გახდეს!..

ზაიკინმა გადმომხედა - ერთი შემომხედე, ქურდი ვარ მართალია, მაგრამ ცოტა რამ მეც გამეგება ამ ქვეყნად, ქურდი ვარ, ასე ვთქვათ, სოციალისტურ მარილ-ნაჭამიო...

- პატიოსანი კაცი კი არა, შენი დედაც ასე და ასე... აი, რა გახდები შენ, როცა აქედან გაეთრევი!

და სნეულების ხარხარსა და სიცილში ზაიკინმა უალაგო ალაგას დაიკრა ხელი...

- Дурак! - მოკლედ და გულგრილად გასცა პასუხი მოკროუსოვმა მას და გადააფურთხა...

ჰოდა ის ფიქრობდა ქურდობას გამოსთხოვებოდა, პატიოსან საქმეს შესდგომოდა. მაგრამ ჭაჭების ანთებამ ეს იმედი მოუკვეთა და თავისუფლების დღემდე იმას არ აცალა... დღეს დილით ის პირის დასაბანად გავიდა, სადაც გრძნობა დაჰკარგოდა და უკან უკვე ორმა კაცმა შემოიტანა. დაუძახეს ექიმსა და მღვდელს. ეს უკანასკნელი უფრო ადრე მოვიდა ციხის უფროსის თანხლებით.

- მოკროუსოვ, გამარჯობა! - მიმართა ციხის უფროსმა. - განა ვერ მიცანი მე?

- არაფერს არ გრძნობს, თქვენო კეთილშობილებავ! - აუხსნა ვიღაც ტუსაღმა.

- შენ ვინ გეკითხება? - სასტიკად შენიშნა უფროსმა.

- სანამ გონება არ დაჰკარგა, რად არ შემატყობინეთ? - იკითხა მღვდელმა.

- ვინ იცოდა, რომ ასე ჩქარა მოკვდებოდა.

- ვინ არის ეს? პოლიტიკურია?

- მამაო, ეს მომაკვდავი კაცია!.. - უცებ მკვახედ წამოიძახა ზაიკინმა.

- შენ ეი... ენას კბილი დაადგი, თორემ...

ხუცესმა მოკლე ლოცვა წაიკითხა, ხოლო ზიარების მიცემაზე უარი თქვა - გონება აღარ აქვს, არ შემიძლიაო, გადასახა მომაკვდავს ჯვარი, შემდეგ ჩვენც გვაკურთხა და გავიდა... ამასობაში ექიმიც მოვიდა, დაჰედა მომაკვდავს, უიმედოდ ხელი დააქნია და ისიც წავიდა.

ციხის უფროსმა უბრძანა ერთ მოხუც სნეულს, თვალი ედევნებინა მომაკვდავისთვის...

ბუზებს დღესასწაული გაუჩნდა... უძვრებოდნენ მომაკვდავს ცხვირსა და პირში, ისვრებოდნენ იმის ოფლში, მხიარულად ტრიალებდნენ ჰაერში, იქ ერთდებოდნენ და მოკროუსოვის სახეზე ეცემოდნენ, რათა სიყვარულის აქტი დაეთავებიათ...

- ახ, თქვე წყეულებო... - და მოხუცმა მოკროუსოვს სახეზე

საბანი გადააფარა.

- ამას რას სჩადი, შე ბებერო ქოფაკო! რად აბრჩობ ისედაც მომაკვდავ კაცს! - აღელდნენ ტუსაღები.

- მა რა ვქნა... წაბილწონ ქრისტიანი კაცი ამ ბინძურმა მწერებმა?.. თვითონ კოფაკებო!

- გადააძვრე ამ წუთსავე საბანი!

- არ გადავაძრობ და მოიკალით თავი!

- მოიცა, ბებერო ძაღლო, მალე შენი ბოლოც მოაღწევს, მოგიგონებთ ამას...

და ვიღაცამ, გაჯავრებულმა, ისეთი ძალით დააქანა საბანი სნეულის სახიდან, რომ საბანს თან გადმოყვა და ძირს

დაეცა ძვალ-ტყავადქცეული მოკროუსოვი... ვიღაცამ სიცილი ვერ შეიმაგრა. ვიღაცამ შეიძახა, ეცნენ სნეულს. სტაცეს ხელი, მაგრამ სანამ ტახტზე დადებდნენ, მოკროუსოვი გათავდა...

მისი ნეშთი ტახტზე იდო, საავადმყოფოს ხალათში, ზეწარ-გადაფარებული. მოვიდა უფროსი ზედამხედველი.

- მოკვდა?

- მოკვდა! - მიუგო მცველმა.

- შეიძლება არც მომკვდარა, ტყუის... ეი, მოკროუსოვ!

და მან წაღის წვერით გადახადა სახიდან ზეწარი, ცხვირს გაჰკრა ფეხი.

- რას სჩადი... - იყვირა ზაიკინმა.

- გაჩუმდი! გაჩუმდი!

- ძაღლი ხომ არ დამხრჩვალა, ადამიანი იყო!

- გაჩუმდი-მეთქი, გეუბნებიან.

- უჰ, შე გიტარა, შენ!..

- რაო? რა თქვი? გიტარა ვის დაუძახე?

- რა ამბავია? რას ყვირით? - მოისმა კარებში ციხის უფროსის გაბრაზებული ხმა. უფროსმა ზედამხედველმა საჩქაროდ მიიბრუნა იმისკენ პირი, ხელი ქუდზე მიიდო, გამოიჭიმა და მიმართა:

- თქვენო კეთ - ბავ! ციხის საავადმყოფოში 10 სნეულია. მოკროუსოვი მოკვდა... ზაიკინი თავხედობს და ილანძღება, გიტარა დამიძახა...

- აბა მიჩვენე, რომელია ზაიკინი!

- აი ეს არის, თქვენო კ- ბავ!

- კარცერში, ჩქარა!

- მე სნეული ვარ...

- არა უშავს... კარცერში მორჩები...

ზაიკინი წაიყვანეს კარცერში, მიცვალებული - სამკვდროში...

ჩვენ სატუსაღოს საავადმყოფოში დავრჩით, ეხლა უკვე ცხრა კაცი...

ღამეა კაეშნიანი,
თვალი ვერ ხედავს ვერასა...
ქარი ჰქრის, ქარი ღრიალებს,
ქარი დასტირის ბნელასა!..

- ეი, შენ, გაშორდი ფანჯარას! გესმის?

- რად ხარ ასეთი ბოროტი, მეგობარო! ვერ ხედავ, რა მშვენიერი საღამოა! განა შენ დაგაკლდება რამ, მე რომ აქ ვიდგე?

- შენ გეუბნებიან - წახვიდე მანდედან, თორემ...

- თორემ მესვრი, არა?.. აჰა ჩემი მკერდი, მესროლე... სამ

მანეთს საჩუქრად მიიღებ. მესროლე, რაღა!

- აჰ, შენი დედა, შენი მამა... ასეთი სულელის მოკვლისათვის სამ მანეთს კი არა, სამ კაპეიკსაც არავინ მომცემს და ტყვიის ფულსაც გადამახდევინებენ... ანასინ, ბაბასინ, შენ ვერ მიგახვდინე, რომ ნება არა მაქვს ტუსაღი ფანჯარასთან მივუშვა...

- ამხანაგო ჯარისკაცო, მაპატიე!.. ამ წუთას წავალ აქედან, ნახვამდი... პაპიროსი გადმოგიგდო?

- კანონი არ არის...

- არაფერია, აბა ვინ დაინახავს...

- დარაჯო! ვის ელაპარაკები?

- თქვენო კეთილშობილებავ, ტუსაღი ფანჯარას მოადგა.

- სადა? რომელი?

- მე ვუბრძანე, წასულიყო და ისიც წავიდა, თქვენო კ - ბავ!

- ძალიან კარგი. ხოლო თუ არ დაგიჯეროს, ესროლე, მოკალი მამაძაღლი..

- მესმის, თქვენო კ - ბავ!

ეხლა მინდა ფანჯარას მივადგე. დეე მომკლას. მაგრამ ის... მაგრამ ის, ვინაც მე უნდა მომკლას, მას არ უნდა მკვლელი იყოს, არ უნდა... და იძულებული კი იქნება მომკლას... ვალდებულია! კარგი იქნება ჩემი მხრით ასე მოვიქცე?..

დადგა შემოდგომა. მე კი ჩქარა მოვკვდები. ეს იმიტომ, რომ არავის ვუყვარვარ, არავის! ავად როდი ვარ, როდი ვწევარ, ისე, ფეხზე ვჭკნები. ეს იმიტომ, რომ არავის ვუყვარვარ, არავის! და მე ჩქარა მოვკვდები. იმიტომ, რომ არავის ვუყვარვარ. დილიდან საღამომდე, ძილში თუ ცხადში, ყოველ წუთში მე ვგრძნობ, რომ არავის ვუყვარვარ, რომ ჩქარა მოვკვდები.

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

არავის ვუყვარვარ, არავის! ეს რა შეუსაბამობაა - ცოცხლობდე კაცი და ფიქრობდე მოვკვდებიო. და მე კი სულ ამაზე ვფიქრობ, იმიტომ რომ მე არავის ვუყვარვარ.

Где твое личико смуглое,

Нынче смеется кому?

ზაფხულზე მთელი თვე ვიწექი, ეხლა კი ავად აღარ ვარ, მაგრამ ვიცი მაინც, რომ ჩქარა მოვკვდები. ვიცი, იმიტომ რომ არავის, არავის ვუყვარვარ, არავის. და მენატრება ვიღაც, ან რაღაც, კარგად არ ვიცი... რა არის ნატვრა?.. “სევდა, გამოწვეული იმის სიშორით, ვინც გიყვარს, არის ნატვრაო” - ამბობს სპინოზა. მაგრამ მე ვინ მიყვარს? ვისზე ვარ მე დაშორებული?.. მენატრება კი ვიღაც თუ რაღაც... ეს იმიტომ, რომ არავის ვუყვარვარ...

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

მე არავის ვუყვარვარ და ვიცი, რომ ჩქარა, ჩქარა მოვკვდები, ვიცი!..

ეს სტრიქონები დასწერა კაცმა, რომელმაც საშინელი ღამე გაატარა, მთელი ღამე ის ფიქრობდა მხოლოდ ერთ რამეზე, მთელ ღამეს ერთი მძიმე ფიქრი აწვა მას გულზე - ის ფიქრობდა აუცილებელ სიკვდილზე, ის ფიქრობდა, რომ მარტოა, მოძულებული და რომ არავის, არავის ამ ქვეყნად ის არ ახსოვს, არავის ის არ უყვარს... იყო და არა იყო რა, შაშვი იყო მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, იყო ერთი ვინმე, სატუსაღოში დამწყვდეული, და კაცი იგი იყო სულით ობოლი და უბედური...

და ოხერ შემოდგომის ღამეს ეს მან განსაკუთრებით იგრძნო. და იგრძნო რა ეს, ის ერთი-ორად გაბოროტდა... ხომ აქვს ადამიანს ისეთი წამი სიცოცხლეში, როცა მას განგებ სურს უბედურად იგრძნოს თავი, შეურაცხყოფილად, დაცემულად... ბევრი დარდი, ბევრი მწუხარება აწევს იმას გულზე, მას კი სურს ეს დარდი და

ეს მწუხარება გაუორკეცდეს... გაუსამკეცდეს... თვალს ავლებს ის წარსულს - იქ მხოლოდ ტანჯვა და მწუხარება. აწმყოც მისი ასეთივეა. მომავალი კიდევ უარესი იქნება. და საზოგადოდ, აბა რა არის ცხოვრებაში კარგი და საამური? იუდამ ქრისტე გაჰყიდა, ხოლო მოციქულმა პეტრემ, რომელსაც "ქვას" უწოდებდნენ, სამჯერ უარჰყო მოძღვარი მისი.

დიდებული მეცნიერი ბეკონი მექრთამე იყო და კონტის ცოლი ფულებზე იყიდებოდა. გარიბალდის სატუსაღოში ამწყვდევდნენ, აზეფი კიდევ ჯაშუში გამოდგა და მოღალატე... ხომ არის ადამიანის სიცოცხლეში ისეთი წამი, როცა მისი გონების წინაშე დგებიან მარტოოდენ სისაძაგლენი ისტორიისა და დამნაშავენი ისტორიის, სისაძაგლენი, როგორც მსოფლიო ისტორიის, ისე კერძოდ მისი...

ეს სტრიქონები დასწერა კაცმა, რომელმაც ველური ღამე გაატარა. გათენებამდე იმას არ დაუხუჭია თვალი, ფანჯარას კი სცემდა და ეხეთქებოდა ავი სულებით აღსავსე შემოდგომის ღამე, ქარი კვნესითა და ქვითინით დაძრწოდა, წვიმა ბოროტი სისინით სცემდა, ამათრახებდა ვიღაცას, ხოლო ბებერი, უკბილო კუდიანი ჩამომჯდარიყო ტელეგრაფის ბოძებზე და თავისი ძვალ-ტყავა თითებით ამღერებდა ტელეგრაფის მავთულებს რაღაც საშინელ სიმღერას. და მთელი ღამის განმავლობაში ესმოდა ეს საშინელი სიმღერა იმ კაცს, რომელმაც დასწერა ეს სტრიქონები. ის ციხის ოთხ კედელში იყო გამომწყვდეული და საშინელ სევდას გრძნობდა, საშინელ წუთებს განიცდიდა.

იმას, ამ სტრიქონების დამწერ კაცს, ერთი დიდისაგან დიდი თხოვნა აქვს ჭკუიან, ნასწავლ კაცებისადმი. მას სურს აუხსნან ჭკუიანმა კაცებმა, თუ როგორ, რა

ნიადაგზე იბადებიან ადამიანის თავში ისეთი ფიქრები, როგორიც დაებადა მას იმ ღამეს. ის, მაგალითად, შეიპყრო ასეთმა ფიქრმა: “რამდენი წელია ვზივარ მე აქ, ირგვლივ კი ისეთი საშინელი ღამეა. და თუ ეხლა, ამ წუთას ვისმეს არ სძინავს გარეთ, იქ, სადაც თავისუფალი ადამიანები ცხოვრობენ, თუ ვისმეს არ სძინავს ეხლა, ვინც უნდა იყოს ის, მტერი თუ მოყვარე, დიახ, მტერი თუ მოყვარე, ის მომიგონებს მე, ტუსაღსა და დასჯილს და იტყვის: იგი შენ! ასე გეკადრება!.. ასე იტყვის ის და უფრო თბილად გაეხვევა საბანში და იგრძნობს განსაკუთრებულ სიხარულს, რომ მე ვზივარ სატუსაღოში და არა ის... - ის ზის და არა მე! ის და არა მე! რამდენიმეჯერ გაიმეორებს ისა და უფრო და უფრო შემოიხვევს საბანს. და იმისი საბანი კი ისეთი ლბილი და თბილი, ისეთი მსუბუქი და სუფთაა, ისე ეალერსება იმის სხეულს, ისე ანებივრებს! ისეთი, ისეთი ძვირფასი საბანია მისი საბანი!..”

აი, ასეთი ფიქრები მოსდიოდა იმას თავში იმ წყეულ ღამეს, ესე იგი, წუხელ.

- სიწამხდრე და სისაძაგლეა ასეთი ფიქრი. ეს ხომ ცილისწამებაა! - თითქოს გაუელვა იმას თავში, მაგრამ როცა კუდიანმა ცეკვაც დაიწყო, როცა იმან დაჰკივლა და დაიღმუილა, როცა ის ჯარასავით დატრიალდა ერთ ალაგას და დაიწყო ხარხარი, ხარხარი - ხა-ხა-ხა!.. ის კაცი, ამ სტრიქონების დამწერი, წამოიჭრა ზედ, წამოიჭრა და გადააფურთხა... მან გადააფურთხა ყველა იმათ, ვინც ამ ღამეს თბილისა და მსუბუქ საბნებში ნებივრობდნენ, ყველას - მტერსაცა და მოყვარესაც, მოყვარეს კიდევ უფრო გულდაგულ... რად წევხართ და რად დასცინით იმას, რად დასცინით - ფუ თქვენ!.

და როცა იმის წინ საიდგანღაც გაჩნდა ნაცნობი ქალი, ერთ დროს მისი მეგობარი, ვასოს ნაცოლევი, მან შესძახა მას

შეუბრალებლად და ცინიკურად:

- აᲮ, შე ბოᲬᲝ და როსკიპᲝ!

ის შეკრთა და გაფითრდა.

- მიᲮა! მიᲮა! არ გრცᲮვენია? რას მერჩი?

- Წადი, მომშორდი, შე ბოᲬᲝ!.. შენ, რომელიც ატყუებდი არა თუ ქმარს, არამედ ყველას, შენ...

- შეიძლება, მიᲮა არც იმდენად დანაშაული ვიყო... მტყუანი ვარ, მართალია, მაგრამ... ის ტუსაღი იყო, მიᲮა, მე ის მეცოდებოდა... მე მეგონა, რომ... აᲮ, მე უბედური, განა მე არ ვიტანჯები, მიᲮა?.. ერთᲮელ ვცოცᲮლობთ ამ ქვეყნად, მიᲮა...

- სწორედ იმიტომ, რომ ერთხელ ვცოცხლობთ ამ ქვეყნად, ღორობას უნდა ვერიდოთ... ხა! ხა! ხა! ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოხვიდე ამ ქვეყნად და წაიღო უნდა თან ღორის სახელი, ფუ!..

- მიხა... მე მტყუანი ვარ, მაგრამ ჰკითხევი შენს სინიდისს, მართლა იმდენად დამნაშავე ვარ, რომ... რომ...

რომ ატირდა, ვითომ რაო? ვითომ რაო, რომ გულში რაღაც დაიბადა, რაღაც კითხვა, რომელიც აქამდე არ დამბადებია!..

რა იქნა ჩემი კუდიანი!.. სად არის?

ისევ ჩამოჰკრა მან მავთულის სიმებს თითები და კვლავ დაგუგუნდა ველური სიმღერა... და ბოროტმა სულმა ერთი ორად მოიკალათა იმ კაცის გულში, რომელმაც

დასწერა ეს სტრიქონები...

ეს სტრიქონები დასწერა იმ კაცმა, რომელსაც ეხლა რცხვენია, საშინლად რცხვენია გუშინდელი ღამის, რომელსაც რცხვენია და კიდევ ეშინია, საშინლად ეშინია - ეს ღამე არ განმეორდეს...

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

მე ჩქარა მოვკვდები, იმიტომ რომ არავის მე არ ვუყვარვარ, არავის...

არავის! არავის!..

Где твое личико смуглое,
Нынче смеется кому?

მე ჩქარა მოვკვდები... ჩქარა!.

1911 წ.

სახრჩობელის წინაშე

(ვუძღვნი ყველას, ვისაც უგრძვნია და გამოუცდია)

დილა. ორშაბათი.

ეხლა ყოველივეს ნათლად ვგრძნობ - მე დამახრჩობენ. დიახ, დამახრჩობენ! იყო კაცი და აღარ არის კაცი!

ეს მე ვიგრძენი დღეს დილას ძილში და იმ წუთშივე დაჭრილივით წამოვვარდი ტახტიდან, საჩქაროდ ჩავიცვი ტანზე, გაურკვევლად მივედი პირის საბან აუზთან და შევუდექი პირის ბანას. რაც მეტს ვივლებდი სახეზე ცივ წყალს, მით უფრო ნათლად ვგრძნობდი ჩემს მდგომარეობას, მით უფრო გარკვევით მიდგებოდა

თვალწინ ჩემი აუცილებელი ხვედრი - სახრჩობელაზე სიკვდილი. გადავიკეცე პერანგის საყელო და დიდხანს, დიდხანს ვივლებდი კისერში ხელს, ვივლებდი ხელს და თითქოს სიამოვნებას მგვრიდა ის, რომ თითებს ქვეშ ხორცი თამაშობდა, მიხაროდა, რომ ვარჩევდი კისრის თითოეულ ძარღვს და ვგრძნობდი სისხლის დენას. ვსიამოვნებდი, თან კი არ მჯეროდა ამ საათივით აწყობილი მექანიზმის დაშლა, დარღვევა, თუმცა ამავე დროს თითქოს იდგა ვიღაცა ჩემს გვერდით და მეუბნებოდა - ტყუილად ეარშიყები შენ თავს, ის შენი აღარ არის, ის კანონის არის, ჯალათის... შენ ხომ უნდა დაგახრჩონ!.. და მე ავიღე ხელში პაწია სარკე, დიდხანს, დიდხანს ვიცქირე შიგ, ვუცქირე ჩემ სახეს ხარბი, გაუმაძღარი თვალებით, როგორც ახალ-შეყვარებული თავის სატრფოს, როგორც გლეხი თავის ნაკვდავ მამულს, რომელიც ხვალ მევახშემ უნდა აუწეროს და სამუდამოდ ხელიდან გამოაცალოს... ვუცქერდი ჩემს სახეს და არ

მსურდა დამეჯერა, რომ მეც გამომაცლის ჩემს თავს კანონის მიერ მოგზავნილი წუნკალი, რომელსაც ჯალათს ეძახიან. არ მსურდა დამეჯერა, რომ გაიღება კარი გამიყვანენ აქედან და დამახრჩობენ. არ მსურდა დამეჯერა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ დამახრჩობდნენ, ეს მე ვიცოდი! და მე ვიცქირებოდი სარკეში ხარბად, გაუმაძღრად ვაკვირდებოდი ჩემს სახეს, როგორც ახალ-შეყვარებული თავის სატრფოს, როგორც გლეხი თავის ნაკვდავ მამულს, რომელიც ხვალ მევახშემ უნდა აუწეროს ვალში...

- ესენი სამაგალითოდ უნდა დასჯილ იქნან! - წამოიძახა პროკურორმა და ჩვენკენ ხელი მოაშვირა, - მაგათ ფეხ-ქვეშ გათელეს ერის წმინდათა-წმინდა, მისი რწმენა, ჭირსა და ლხინში მისი იმედი, მისი რელიგია შეურაცხყვეს ამათ. არაფერს არ ზოგავენ, არაფერს არ ერიდებიან, იერიშით მიდიან ოჯახსა და საკუთრებაზე,

ღმერთსა და მეფეზე, იერიშით მიდიან კულტურასა და კაცობრიობის უდიდესი შრომით შექმნილ და მოწესრიგებულ საზოგადოებაზე. ამ ახალი სიოს ვანდალებმა იერიში მიიტანეს ზნეობაზე და სინიდისზე. ქრისტეს მაღალი მცნება ურთიერთის სიყვარულისა სიძულვილით შესცვალეს, მისი პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის ნაცვლად ხელში აიღეს ბომბები და ბრაუნინგ-მაუზერები. მაგათი შიშით სამშობლო ქვეყნის პატიოსან მოსამსახურეს მოსვენებით ვერ დაუძინია, არავინ იცის, როდის ააფეთქებენ, როდის აუტირებენ ოჯახს. შეპყრობილნი პირადი ანგარიშებითა და ჟინით, ესენი სხვადასხვა ცრუ დაპირებებით იტაცებენ და რყვნიან საზოგადოების შეუგნებელ ელემენტებს, აგროვებენ უმეცართა არმიას და კულტურა-ცივილიზაციას ომით ემუქრებიან. ნუთუ არ არის დრო კანონმა აიღოს ხმალი და საზოგადოება დაიცვას? კმარა დაზოგვა და გულჩვილობა! საზოგადოებას დაეკარგა

მოთმინება, ის სამართლიანად მოითხოვს კანონისაგან დაცვას. გულჩვილობა ასეთ შემთხვევებში დანაშაულია საზოგადოების წინაშე და ამიტომ, ბ-ნო მსაჯულნო, მე ვთხოულობ მაგათთვის უმაღლეს სასჯელს - სიკვდილს!

ახირებული აქ იყო მხოლოდ ის, რომ საზოგადოებას, რომლის სახელითაც პროკურორი ლაპარაკობდა, ამ საზოგადოებას დაუკეტეს კარები და საქმის გარჩევაზე არ დაისწრეს. ამიტომ, როცა მომიწია ლაპარაკი, მე სამსაჯულოს მივუთითე დახურულ კარებზე და შევნიშნე, რომ თუ პროკურორის სიტყვები სიმართლე იქნებოდა, იმ შემთხვევაში საჭირო არ იყო მისი (საზოგადოების) აქ არდაშვება, ასეთ შემთხვევებში სასამართლო არ უნდა იმალებოდეს, ბნელაში როდი უნდა ასამართლებდეს დამნაშავეთ, ღამით როდი უნდა ატუსაღებდეს, - არამედ ცხადად, აშკარად უნდა მოქმედებდეს, რომ ვერავინ ვერ შეიძლოს სასამართლოზე

ეჭვის მიტანა-მეთქი. თავმჯდომარემ შემაჩერა, ეს არ ეხება საგანს, თავის გასამართლებელი თუ რამ გაქვთ, იმაზე ილაპარაკეთო. მე განვაგრძე:

- გამიგონია, ბატონო მსაჯულნო, ძველად თურმე, ერთ საღამოს, ვიღაც მქადაგებელი გაშორდა ადამიანებს და დასასვენებლად მთაზე ავიდა, მზე უხვად აპნევდა გარშემო ოქროსფერ სხივებს, ჩიტები გალობითა და მხიარული ჟრიამულით ავსებდნენ ბუნებას, ჰაერი მომხიბლავ ყვავილების სუნით გაჟღენთილიყო... ყველაფერი ტკბებოდა და სიამოვნებდა, ყველაფერში ჩანდა საზრი და სიბრძნე, ჰარმონია და წესრიგი; თავისუფლებით სუნთქავდა ყოველივე და ვერ გაუძლო თურმე აღგზნებულმა მქადაგებელმა დიად სურათს, აღაღო მან ბაგე და სიტყვა ჭეშმარიტების უქადაგა მოჭიკჭიკე ჩიტებს, ყვავილებსა და ბუჩქებს, მზის სხივებსა და ტყეს... ეს მოხდა, ბ-ნო მსაჯულნო: ჩიტთა და

ყვავილთ ისმინეს სიტყვა ჭეშმარიტებისა, მაგრამ, აბა ერთი მითხარით, ვის მოუვა აზრად ჭეშმარიტება უქადაგოს ქვეწარმავალთ, გველთა და ბაყაყთ, მხეც...

- მე თქვენ გართმევთ სიტყვას! გაჩუმდით! - დაიყვირა თავმჯდომარემ. მსაჯულები შეინძრნენ, პროკურორი გაფითრდა.

- მე უკვე გავათავე! - ვუპასუხე მე და დავჯექი.

ილაპარაკეს ჩვენმა დამცველებმაც, ერთხელ კიდევ უპასუხა მათ პროკურორმა.

ხუთი დღის შემდეგ ჩვენი საქმის გარჩევის დაწყებისა, შაბათს, ღამის ათ საათზე მსაჯულებმა გამოაცხადეს, საქმე გამორკვეულიაო და განაჩენის მოსასმენლად კვირას, ნაშუადღევის ორ საათისათვის დაგვიბარეს...

თავმჯდომარე წამოდგა და მასთან ერთად სხვებიც. ეს იყო ბებერი, ზედმიწევნით მშვიდი და სათნო სახის პატრონი გენერალი. ქაღალდი უკანკალებდა ხელში, ნელი, დაბალი ხმით კითხულობდა ის განჩინებას. როცა ჩემი გვარი ამოიკითხა, ის ერთ წამს თითქოს შეჩერდა და შემხედა. მე მგონია, მხოლოდ ეხლა, მხოლოდ ამ წუთას დამინახა მან პირველად, როგორც ადამიანი, როგორც სულიერი არსება. მაგრამ ეს იყო ერთი წუთის საქმე, რომელიც ჩემს მეტს, მგონი, არც შეუმჩნევია. მან განაგრძო კითხვა ისეთივე ნელი ხმით, აღნიშნა ჩემი უაღრესი დანაშაული სხვებთან შედარებით და თანახმად კანონისა, მარგუნა ყოველივე ღირსების ახდა და სახრჩობელაზე სიკვდილი...

არ ვიცი, რა ვიგრძენი მე იმ წუთს, არ მახსოვს. ვიდექი და მხოლოდ ვხედავდი, რომ ბებერი გენერალი აკანკალებულ

ხელებში ფურცლავდა ქაღალდს, აღებდა პირს და რაღაცას ლაპარაკობდა, რაიც მე არ მესმოდა... შემდეგ ვიღაც მოვიდა და გადამკოცნა, კიდევ მოვიდა და გადამკოცნა, კიდევ მოვიდა და მან სამჯერ მაკოცა... ეს მემშვიდობებოდნენ გამართლებული ამხანაგები.

შემოდგომის გრილმა ჰაერმა ცოტათი გამომაფხიზლა. საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი, რის გამო ჯარისკაცებს ვსთხოვე - ნელა წასულიყვნენ. სიკვდილზე კი ოდნავადაც არ ვფიქრობდი, არ ვგრძნობდი, რომ ის მხარდამხარ მიმყვებოდა. მე ვუცქერდი ცას, ხოლო ანკარა ცის ტალღებში მსგავსი არაფერი სჩანდა, მხოლოდ ქუჩის ბოლოში ატეხილი მხიარული ჭიჭყინი რუსული გარმონიკისა ცოტათი მიკაწრავდა ნერვებს, ცოტათი მეხამუშებოდა ყურში. არავინ შემიმჩნევია გზაში, არავის დავკვირვებივარ, არც ამხანაგებისათვის მითქვამს რაიმე და, მართალი ვთქვა, არც მახსოვდა იმ დროს, რომ ისინი

ჩემთან ერთად მიდიოდნენ...

ციხის კარები გაიღო და ხრიალით დაიკეტა ჩემს უკან.

ჩვენს წინანდელ გალიაში როდი შემიყვანეს, ქვედა სართულში, ნოტიო და ბნელი საკანის კარი გამიღეს, სადაც უკვე გადაეტანათ ჩემი მცირე ბარგი. აქედან არც გადახედვა იყო შესაძლებელი, არც ვისმესთან გამოლაპარაკება, თუ განწირულ ადამიანივით ღრიალს არ დავიწყებდი. ორმაგი ფანჯრის მინები გარედან ცარცით იყო გათეთრებული, თვით ფანჯარა კი მჭიდროდ დაკეტილი, რომ დღის სინათლე არ დამენახა. წინანდელი გალია კი, ესე იგი ის, რომელშიაც ეხლა ვზივარ, მეხუთე სართულზეა, ფანჯარა მისაწვდომია და თან ღია, საიდანაც კიდეც - გადაიხედავ, შენს გაღმა პირდაპირ ამხანაგების სახესაც დაინახავ, ვისაც გსურს კიდეც დაელაპარაკები. ზეცა და ვარსკვლავები აქედან კარგად

მოსჩანს, თუ დედამიწა და ადამიანები ვერა. მაგრამ ამ გარემოებისათვის სრულიადაც ყურადღება არ მიმიქცევია, თავი მტკიოდა, დაღლილობას ვგრძნობდი და ძილიც მინდოდა. საათი ოთხსა თუ ხუთს მიჩვენებდა. შევედი თუ არა შიგ, იმ წამსვე დავეშვი ტახტზე და თვალები ჭერს მივაშტერე. კიდეც ვფიქრობდი რაღაცას და არც ვფიქრობდი. არ მახსოვს.

სატუსაღო ყვირილმა და ჟრიამულმა მოიცვა. შიგა-და-შიგ ჩემი სახელი ისმოდა. მეძახოდნენ:

- ამხანაგო ჯეირან! ამხანაგო ჯეირან! ჯეირან!

- რა! რა ამბავია? - დავიყვირე მე, რამდენიც შემეძლო.

- ამხანაგო ჯეირან, სადა ხარ, რომელ ნომერში?

- ძირს... მეშვიდე ნომერში, მეშვიდეში.

მთელმა სატუსაღომ ერთხმად მოითხოვა ჩემი ძველ გალიაში გადაყვანა, გამოითხოვეს ციხის უფროსი და გამოუცხადეს - სანამ ეს არ ასრულდება, არ დავწყნარდებითო. პატარა ხანს შემდეგ ჩემთან შემოვიდა ციხის უფროსი და მითხრა, რომ ისევ ძველ ბინაზე დამაბრუნებს, რომ ის აქ არ ყოფილა და ეს მისი თანაშემწის განკარგულებაა ჩემი ბინის გამოცვლა. აგრე იციან, როცა მათი არ გადის, ერთიმეორეს აბრალებენ ყველაფერს. მაგრამ ყოველივე ეს ჩემთვის სულ ერთი იყო მაშინ, მე დასვენება მინდოდა მხოლოდ. თითქოს მთელ დღეს ქვას ვზიდავდი, ისე მტკიოდა ძვალი და რბილი.

საჩქაროდ გადმომიყვანეს ისევ ჩემ გალიაში, სადაც ეს უკანასკნელი რვა თვე გავატარე. მინახულა დამცველმა და მითხრა არაფრის შეგეშინდეს, საქმეს გავასაჩივრებ და

სიკვდილს აუცილებლად აგაცილებო. ესევე დამიძახეს ამხანაგებმა - არ შეშინდეო. აი, ჩემს ზევით ზის ამხანაგი სპირიდონი. ის მაინც სულ ამ სიტყვად იქცა და მოსვენება არ მომცა. დადის ეს წვერ-ძაღლი წინ და უკან, დადის, უცებ მოადგება ფანჯარას და გადმომძახებს - არ შეშინდეო, გამამხნევებს, დამაიმედებს და ისევ დადის. აბიჯებს მაგრად ფეხებს და თითქოს ტვინში მცემს, შეჩერდება და ისევ მეძახის... და ეს გაგრძელდა მანამდი, სანამ არ ვსთხოვე, ნელა ევლო და "არ შეშინდეს" ძახილს დასთხოვოდა, არაფრის არ მეშინოდა, მხოლოდ დაღლილი ვიყავი და ძილი მინდოდა...

მე გავიხადე ტანზე, გავეხვიე საბანში და ღრმად, უგრძნობლად დავიძინე...

მხოლოდ დღეს დილას, ძილში ვიგრძენი ყველაფერი: ნათლად, გარკვევით წარმოვიდგინე: მე დამახრჩობენ.

გულგრილად გამომიყვანენ აქედან განთიადისას, წინდაწინ დამიმზადებენ საფლავს: ხელებს ზურგს უკან გამიკვრენ, მიმიყვანენ სახრჩობელასთან, ერთხელ კიდევ წამიკითხავენ განჩინებას, რათა არ დამავიწყდეს, რომ ამ სიკეთეს ყაჩაღი კი არ სჩადის, არამედ კანონი, ჩამომაფარებენ სახეზე ტომარას, შემაყენებენ სკამზე და ორ ბოძ-შუა გადმოკიდულ გასანთლულ ბაწარში გამიყოფენ თავს. ჯალათი გამომაცლის სკამს ფეხ-ქვეშ, დამეკიდება ფეხებზე, რომ თოკი უფრო შემომეხვიოს კისერზე და შემდეგ გამაკონწიალებს... მე შემეკმევა სული, მოვინდომებ კისრისკენ ხელის წაღებას, მაგრამ ხელები მაგრად იქნება გაკრული, დავწვრილდები, დავიღმიჭები, მოვინდომებ ყვირილს, კვნესას, ვერ შევიძლებ, ენას ძაღლივით წამოვაგდებ, თვალები გადმომცვივა ბუდიდან, დავიწყებ ტრიალს და რამდენიმე წუთს შემდეგ გავჩერდები ჰაერში. ყველაფერი გათავებული იქნება და ამ სურათის წინაშე

გულგრილად იქნებიან გაჩერებულნი პროკურორი, მღვდელი ჯვარით ხელში, ციხის უფროსი, ექიმი, ჯარისკაცები. ყველა დაინახავს, როგორ ვტრიალობ, როგორ მინდა სუნთქვა, მიწაზე ფეხის დაბიჯება, ყველა დაინახავს, როგორ იხრჩობა მათივე მსგავსი ადამიანი, ყველა დაინახავს, რომ შველა შესაძლებელია და არავინ, არავინ არ დამეხმარება, არავინ არ მოვა გადასარჩენად... ყველაფერი გათავდება. იყო კაცი და აღარ არის კაცი! და წავა კვლავ ცხოვრება თავის გზით; მომავალ ზამთარს კვლავ შესცვლის გაზაფხული, მორცხვი ია კდემამოსილი ღიმილით გაუცინებს გამაცოცხლებელ მზის სხივებს, გაყინულ გულში კვლავ შეატანს სითბოს, კვლავ გაცოცხლდება სიყვარული და მხიარული სიმღერა შეყვარებულისა კვლავ გაისმის არემარეში... ვერ გავიღვიძებ მხოლოდ მე, დამახინჯებული სახით და სახრჩობელას თოკით კისერში, მე, რომელსაც ერთი თვის შემდეგ ოცდახუთი წელი შემისრულდებოდა, რომელსაც

არც მაციებს, არც მაცხელებს, არც წელი მტკივა, არც გული, რომელსაც მიყვარს და მწყურია სიცოცხლე; არ ვიქნები მე, მე, რომელიც სახრჩობელას თოკით კისერში, სახე-დაღრეჯილი, ენა-გადმოგდებული, თვალებ-გადმოცვენილი და ხელებ-შეკრული გულაღმა ვეგდები მიწაში უშნოდ, ულაზათოდ, მაშინ, როცა ყველაფერი გალამაზდება და გაარშიყდება, აყვავილდება და ამწვანდება და მკვდარსაც მე ვერავინ მომილოცავს გაზაფხულს, ვერავინ მიაგნებს ჩემს საფლავს, რომ ყვავილები, გადმომაყაროს... ყველაფერი გათავებული იქნება... დიახ, ამიტომ მეძახდნენ თურმე ამხანაგები - არ შეშინდეო. ისინი გრძნობენ, რომ მე დამახრჩობენ. არაფერი, არაფერი არ გამაჩნია თავის დასაცავად, არაფერი არ შემიძლია მე, ღირსება-ახდილს და კანონს გარეშე დაყენებულს. ჩემი ოთახის გასაღები მათ ხელშია, როცა უნდათ მაშინ შემოვლენ და მე, უმწეოს, იარაღ-აყრილს, დამარცხებულ მტერს, ისინი შეიარაღებულნი და

გამარჯვებულნი, რაც უნდათ იმას მიქმენ, როცა უნდათ მაშინ ჩამომახრჩობენ...

“ორშაბათ დილა გათენდა, რა ავი დარი დგებაო”.

11 საათი.

როცა ჩემს წასაყვანად მოვლენ, ჩუმად გავყვები, არავის არ დავემშვიდობები. ვიცი, ატყდება ერთი ალიაქოთი, ყვირილი. დაამტვრევენ სკამებსა და ფანჯრების მინებს, მე უფრო ავღელდები და შევწუხდები, არაფერი კი არ გამოვა, გარდა ამისა, რომ რამდენიმე კაცს კარცერში დაამწყვდევენ, მე კი მაინც დამახრჩობენ, ვითარცა ავაზაკს. ამიტომ წავალ ჩუმად, ძილს არ შევუშფოთებ ამხანაგებს, არ ავაღელვებ! რა თქმა უნდა, აგრე სჯობია, თორემ მახსოვს, რა დღე დაგვადგა, როცა გავიგეთ, რომ პავლე მიყავდათ დასახრჩობად. მე თვითონ დავამტვრიე

ჩემს გალიაში რასაც მოვერიე: მინები, სკამი, სტაქანი, ხატი... უღონოდ დავეშვი იატაკზე და ავტირდი... ვიყვირე... ის მაინც დააჩრჩვეს, მე კი ყველაფერი გადამახდევინეს... მაშ აგრე - ვერავინ გაიგებს ჩემს წაყვანას... დილას გაიღვიძებთ, დამიძახებთ მე, ჩემო ამხანაგებო, და ვერ გაიგონებთ ჩემს ხმას. მაშ გადაწყდა!..

2 საათი.

ეჰ, как хороши, как свежи были розы! დღეს სულ სიყვარულზე ვფიქრობდი. მელა კვდებოდა, თავი საქათმეში მიჰქონდაო. დიდიხანია მას შემდეგ, ერთხელ, როცა მაციებდა და ქალაქიდან სოფელში წავედი, ერთ მოგონებას, ერთ სურათს მე, მწოლარემ, ერთი ლექსი ვუძღვენი. დავწერე მთრთოლვარე ხელით და არც გამიგზავნია ვინმესთვის, არც მიჩვენებია, შევინახე გულში, ფარულად, ფრთხილად, როგორც ის სურათი.

ვერც ეხლა გავუგზავნი ვისმე იმ ლექსს... და ისე კი... ისე კი... ეჰ,! как хороши, как свежи были розы! რა ვიცი, მე ასე მეგონა და მგონია ეხლაც, რა ვიცი... რა ვიცი!..

დღეს სულ სიყვარულზე ვფიქრობდი და ეხლაც ჩემი გული იმაზე ფიქრობს. ის ლექსი მადგია ენაზე, იმას ჩამძახის რაღაც ყურში. გულის კუნჭულიდან გამოძვრა ის და აი, ჩემს წინ დგას.

ვინმე კი გეტყვის, როს უდროოდ დავხუჭავ თვალებს,

ტოლ-ამხანაგებს გამომაკლებს შავი სიკვდილი...
ნუ დაიჯერებ, თუ ვინმემ თქვას, რომ თითქოს სენმა,
რომ თითქოს სენმა მომგვარა მე მუდმივი ძილი.

ოჰ, რომ ნახავდე გაზაფხულზე ჩემს ობოლ საფლავს,
იას შეამჩნევ, ჩემო იავ, მასზე ამოსულს,

ის ია გეტყვის, რომ არც სენსა, არც რამე მაგგვარს, -
მე მოუკლავარ შენზე ფიქრსა და შენს სიყვარულს!..

რად ამოძვრა გულიდან ეს ლექსი... არა, ლექსი კი არა, ის არაფერია, ის ოდნავადაც არ არის იმის გამომხატველი, რამაც ის დამაწერინა. რად ამოძვრა გულიდან თვითონ ის გრძნობა, ის დამალული გრძნობა, რომელიც არავის სცოდნია და კარგა ხანია არც მე მსურდა მცოდნოდა?.. სიყვარული!.. სიყვარული! ვითომ რა იქნებოდა, რომ მივსულიყავ მასთან და მეთქვა ყველაფერი!.. ჩემებურად, ჯიქურად, ბოსიაკურად მივსულიყავ და მეთქვა - ცოდვა გამოტეხილი სჯობია, წავწყდი კაცი, მიყვარხარ-მეთქი. ვითომ რა იქნებოდა! მაგრამ... მაგრამ ის, რომ არც მივედი, არც ვუთხარი, ერთი ნაბიჯიც კი არ გადავდგი. ვერა, მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას. მაგრამ სიმხდალე იყო ვითომ? რა ვიცი!.. эх, как хороши, как свежи были розы!

10 საათი.

საშინელებაა, გამოუთქმელი, წარმოუდგენელი საშინელება. რა უნდოდათ? რას გვერჩოდნენ? რა დავაშავეთ, რომ ასე მოგვექცნენ, რომ ასე ურცხვად... არც ერთხელ ჩემ სიცოცხლეში, არც ერთხელ არ მიგრძვნია ასე მარტივად, ასე მკაფიოდ, ასე გარკვეულად ჩემი უღონობა და სისუსტე, და არც ერთხელ ჩემ სიცოცხლეში, არც ერთხელ არ გამომიცდია ასეთი შეურაცხყოფა, ასეთი წყურვილი საშინელი, უსაზღვრო, გაუმაძღარი, დაუზოგავი შურისძიებისა, წყურვილი სისხლისა და სამაგიეროს გადახდის... რა, რა დავაშავეთ, გეკითხებით მე თქვენ, რა დავაშავეთ, თქვე მხეცებო, რას გვერჩოდით?..

არაჩვეულებრივ მშვიდი და წყნარი საღამო დადგა დღეს.

მზემ ჩვენთვისაც გამოიმეტა სხივები, ჩვენც გაგვიღიმა, სარკმელებთან მიგვიპატიჟა და მოგვეალერსა. და ჩვენც მივადექით სარკმელებს, ვუცქერდით ამ მშვენიერ, თავისუფალ და ალერსიან სხივებს, ვსუნთქავდით სუფთა ჰაერს, ვტკბებოდით. და ალბათ გაუთამაშა გულმა ამხანაგ კოზმას, ოცნებაში წასულს, მას გადაავიწყდა სატუსაღო და მისი ინსტრუქციები, გადაავიწყდა ყოველივე და ახალგაზრდა, წკრიალა ხმით სიმღერა შემოსძახა. მისი მშვენიერი, ტკბილი ხმა მოგვხვდა გულში, მოგვესალმა, მოგვეალერსა. სულგანაბული, გაკვირვებული ვუგდებდით ჩვენ მას ყურს, ამ იშვიათ სიამოვნებას, სიმღერას, სატუსაღოში აკრძალულს. რამდენიმეჯერ კიდევ გაიმეორა მან მხიარული სიმღერა და უცებ ეს ხმა შეიცვალა ნაღვლიანი, გულამდე ჩამწვდენი კვნესით, ისეთი სიმღერით, რომელიც შეუძლია იმღეროს მხოლოდ ტუსაღმა, მხოლოდ იმან, ვინც თავისუფლება დაჰკარგა.

“Соловушка в дубравушке звонко свищет,
А девушка в теремушке слезно плачет”.

ჯერ კიდევ კვნესოდა ჩვენს ყურში უკანასკნელი ამოძახილი ამ დედის ალერსივით ტკბილი ხმისა, ჯერ კიდევ ვისმენდით გათავებულ სიმღერას, რომ უცებ თავგანწირული ღრიალი და გმინვა გაისმა:

- ამხანაგებო, მცემენ!.. ამხანაგებო, მცემენ ეს ჯალათ...

დიახ, სცემდნენ კოზმას იმიტომ, რომ მან იმღერა. ის გააფრთხილეს, გაჩუმდიო, მან მაინც განაგრძო სიმღერა სანამ არ გაათავა, გააღეს კარები და შევიდნენ, კარცერში წაყვანა მოუნდომეს, როცა გაძალდა, ცემა დაუწყეს... სცემეს იმიტომ, რომ იმღერა. ატყდა წარმოუდგენელი ღრიალი, ყვირილი, მინების მტვრევა და ჭახჭუხი.

კოზმას ოთახიდან კი არაფერი ისმოდა, იქ არავინ ყვიროდა.

- ამხანაგებო, კოზმას პირი აუხვიეს, რომ ვერ იყვიროს... სიკვდილი ჯალათებს! დაჰკარით წიხლი კარებს, დაამტვრიეთ ყველაფერი!

დიახ, როცა უნდათ, აგვიხვევენ პირს, ხელებს შეგვიკრავენ და მათი მურტალი ხელებით გვცემენ, რამდენიც უნდათ, როგორც ძაღლს, გაგვათრევენ და კარცერში ჩაგვამწყვდევენ შეურაცხყოფილსა და დამდაბლებულს, დიახ, მათი მურტალი ხელებით გცემენ შენ, პირ-ახვეულსა და ხელებ-გაკრულს, გაგიხსნიან გულსა და შიგ გულში ჩაგაფურთხებენ, გაგიხსნიან გულსა და მათი ბინძური ხელებით ჩაყრიან შიგ სიბინძურეს... დიახ, ყველაფერს სჩადიან!

გაშტერებული, აკანკალებული ვიდექი ერთ ალაგას და ხმაც კი ვერ ამომეღო, მაშინ როცა მთელი სატუსაღო ღელავდა, ვიდექ და რაღაცაზე ვფიქრობდი. იმიტომ რომ იმღერა, აუხვიეს ამხანაგს პირი, შეუკრეს ხელები და მათი მურტალი ხელებით სცემეს, სანამ დაიღლებოდნენ, შეურაცხყოფილი და დამდაბლებული გაათრიეს ის, როგორც ძაღლი, და კარცერში დაამწყვდიეს. რად, რა დააშავა? რა დააშავა, თქვენი ღვთის გულისათვის, მითხარით, რა დააშავა? მოჰკლა ვინმე? შეურაცხყო ვინმე? მან მხოლოდ იმღერა ჯავრიან გულზე! მაშ, რა გინდოდათ, რას ერჩოდით, თქვენი ღვთის გულისათვის, მითხარით, რას ერჩოდით? კარგი, ჩვენ ურწმუნონი ვართ, უღმერთონი, მაგრამ თქვენ ხომ ამბობთ ქრისტიანები ვართო, ღმერთი გვწამსო? მაშ, მითხარით, რომელი ღმერთი გაამართლებს თქვენს საქციელს?

სევდა! სევდა! სევდა! საზიზღარი, აუტანელი სევდა,

რომელსაც თმის ბალანიც კი გრძნობს! როგორც ღალატი საყვარელი ადამიანისა; ისე იკბინება შიგ გულში, როგორც განწირულება, ის ადუნებს ყველაფერს, ღონეს მართმევს... სიკვდილსაც ვერ ეღირსები მოსვენებით! სადა ხართ ეხლა, ამხანაგებო, რად არ ხედავთ, თუ როგორ დაგვამცირეს დღეს? თუ როგორ გაგვიხსნეს მკერდი და შიგ გულში ჩაგვაფურთხეს, თავიანთი ბინძური ფეხებით ჩასწიხლეს ყვავილი ჩვენი გულისა, ჩვენი წმინდათა წმინდა შელახეს და შებღალეს თავიანთი ყიზილბაშის ხელებით... პირი აგვიხვიეს, ხელები შეგვიკრეს და ისე გვცემეს... ჩვენ ვერაფერი ვუთხარით, ვერაფერი შევიძელით, ჩვენი კარები გარედან იკეტება და გასაღები მათ ხელშია. როცა უნდათ, მაშინ გააღებენ, შემოვლენ, გადაგვიხსნიან მკერდს და შიგ სინიდისში ჩაგვაფურთხებენ, შეგვიკრავენ ხელებს და მერე გვცემენ.

მაგრამ მე ვერ ვამბობ იმას, რასაც ვგრძნობ, ყველა ეს

უფერულია და მცირე იმ დიდი შეურაცხყოფის წინაშე, რომელიც მოგვაყენეს... და სევდა! სევდა! სევდა! ბინძური, მახინჯი და აუტანელი სევდა შემოეხვია გულს. მძიმე, როგორც განწირულება, მახინჯი, როგორც სილაჩრე და აუტანელი, როგორც ნოტიო. როგორც ღალატი საყვარელი ადამიანისა, შუბლ-გადარეცხილი, თმა-აბურძგვნილი, ახმახი და საზიზღარი სევდა გამეფდა გულში!..

ეჰ, დროვ, დროვ! რა ჩქარი ნაბიჯით იარე შენ! გადაცურე ზღვა და ხმელი, გადალახე მთები და მინდვრები, სოფლები და ქალაქები, უკან დატოვე ყველაფერი და აქ, ამ პატარა გალიაში გაჩერდი, რომელიც გარედან იკეტება, რომლის გასაღები სხვის ხელშია, რომელსაც როცა უნდათ მაშინ გააღებენ და შემოვლენ შიგ, აგვიხვევენ პირს, გაგვიკრავენ ხელებს, გაგვიხსნიან მკერდსა და შიგ გულში ჩაგვაფურთხებენ, მათი მურტალი, ყიზილბაშის

ხელებით დაგვამცირებენ... ოჰ, რა უბედური ყოფილა ის, ვინც სუსტია, ვისი ოთახის კლიტე სხვის ხელშია, ის, ვინც დამარცხებულია!

...იცინის, ვიღაც იცინის გულში, სიცილით კვდება. უბედური! უბედური! უბედური! იძახის ის და იცინის, იცინის. იგემე თუ არა? გემრიელია? მიირთვი, გენაცვალე! მიირთვი და შეირგე! და ის იცინის, იცინის, სიცილით კვდება. იგემე, გენაცვალე, გემრიელია? ასეთია გამარჯვებული, ის სულშიაც ჩამოგყურებს, გულშიაც, რასაც უნდა იმას ჩაიდენს, ვინაიდან მის ხელშია შენი ოთახის გასაღები, ვინაიდან არ დაწერილა უფლება დამარცხებულისა. ასეთია გამარჯვებული! შენ სიმღერა გსურს? მაგრამ ვინ მოისწრა სურვილი დამარცხებულისა? სიყვარული გნებავს?.. ხა! ხა! ხა! სიყვარული ნებავს ამას, დამარცხებულს... და ის იცინის, იცინის... დიახ, ასეთია გამარჯვებული! შენ კი სუსტი ხარ და უღონო, შენ

დამარცხებული ხარ... ასეთია ნადიმი გამარჯვებულისა, ასეთია სურვილი მისი, ვინც ღონიერია და მძლავრი... გემრიელია? იგემე, გენაცვალე მიირთვი!

სინათლეს აქრობენ კამერებში - დაიძინეთო. არა, თქვენ დაიძინეთ ამეღამ, მე კი არ შემიძლია.

მართლა, ვითარცა სასიკვდილოს, მე სინათლეს არ გამიქრობენ ოთახში. აი, ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ეს არის.

12 საათი.

რამდენი ცვლილება მოხდა ბუნებაში - აკი გაწვიმდა კიდეც. ქარი უკვე ზის სახურავზე და გულმოსული რაღაცას ლაპარაკობს გაუგებარ ენაზე.

მაინც რა სევდიანი წვიმა იცის შემოდგომამ. ჯერ შემოიხვევს ნაცრისფერ ბურუსს, შემდეგ ატირდება. სისინებს, ქვითინებს, თითქოს სულიერი არსება იყოს. მე მიყვარს შემოდგომის წვიმა, მისი ნაღვლიანი, მოწყენილი ხმა, მისი გულამოსკვნილი ქვითინი, ჩივილი. მე მიყვარს ამ დროს ტიალ მინდორში ყოფნა, განმარტოებული ხეტიალი, მიყვარს ცქერა, თუ როგორ ათამაშებს ქარი მოწყვეტილ, გაყვითლებულ ფურცელს... რა გზა-კვალ დაბნეული დაძრწის, ხან მაღლა, ხან დაღმა, ხან აღმა მიფრინავს ჩქარი ტრიალით, ხან კი ძირს ეშვება, სანამ ისევ არ შეუბერავს ქარი და არ აიტაცებს მაღლა, რომ კვლავ ძირს დასცეს ის... მიყვარს გატიტვლებულ-გაძარცული უღრანი ტყის ცქერა, მისი ხმა, როცა ის ქარს ებრძვის, მისი ოხვრა და ყრუ, ყრუ გამოძახილი. გინახავთ, თუ როგორ ძრწის ის, როგორ იკლაკნება, როგორ ჰხრის კენწეროს, თითქო მორჩილებას აცხადებს? რად გრძნობ ამ დროს სევდასა და სიმძიმეს? რად გგონია ამ დროს თავი

ობოლი და მარტო მთელ ქვეყანაზე? რად გგონია, რომ იქ, იმ ტყეში, ტყე კი არ კვნესის, ის კი არ მღერის ნაღვლიან სიმღერას, რომ ის კი არ ჰხრის თავს? რატომ გგონია, რომ ჰაერი გაჟღენთილია უთვალავი სულიერებით, რომ იქ, იმ ტყეში, თავი მოუყრია უთვალავ ქვრივსა და ობერს, მთელი ქვეყნის ობვრასა და ტანჯვას რომ ეს ისინი ობრავენ, მათ ამოუღიათ ხმა და ისინი ჩივიან ისე გულდაწყვეტით, ისე გულწრფელად, ისე ღრმად და ისე უნუგეშოდ. და იღვიძებს გულში უთვალავი ჭრილობა, გაგონდება შეურაცხყოფა და დაცინვა, დატყუება და ღალატი. და, მიუხედავად ამ შავი და მწარე ფიქრებისა, მაინც გსურს დიდხანს, დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში, დიდხანს გრძნობდე ტკივილებს, მარტოობას და სულის ობლობას. დიდხანს გსურს გრძნობდე, რომ მარტო ხარ, სულ მარტო, რომ უპასუხოა შენი ძახილი სიყვარულისა და ბედნიერებისადმი, რომ გვერდს გივლიან, რომ ვერ გცნობენ, რომ არც გყავს და არც გეყოლება ამ ქვეყნად

ამხანაგი, რომელსაც ყველაზე უფრო შენ უყვარდე, რომელიც არავისზე გაგცვლის, რომელიც არ გიღალატებს... ეჰ, ერთი ნეტავი სავსებით, სავსებით გამომეცადა ის სიყვარული, რომელსაც ვგრძნობდი, რომელიც მწყუროდა და რომელიც ჩემს გულში ჩარჩა, ჩაიმალა... ვერა, მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას...

მე მივეცი თავი შემოდგომის ღამეს და იმის წვიმას, გადავაწევი ფანჯარას და ხარბად, გაუმაძღრად დავუგდე ყური იმის სისინს... სახლის სახურავზე ქარი იჯდა და გულმოსულად ლაპარაკობდა გაუგებარ ენაზე, ტელეგრაფის სიმები ძრწოდნენ და ზუზუნებდნენ და ამ ზუზუნში, არ ვიცი რად, მე გარკვევით მესმოდა ჯარისკაცების "ურა! ურა-ა-ა!"

ღამეა. წვიმა სისინებს, ტირის,
ზეცას ჩამოსდის ცრემლისა ღვარი,

გლოვა-გოდებას მოუცავს არე
და სახურავზე სასტიკობს ქარი.

ფანჯარასთან ვარ გაჩერებული,
შორს, სამშობლოსკენ მიპყრია თვალი,

არა მოსჩანს რა, მხოლოდ გარშემო

გულის საკლავი ისმის ღრიალი.
და ჩემ თვალთაგან ქურდულად, ფრთხილად

მოწყდა, დაგროვდა ცრემლი ობოლი,

სახეს გამეკრა, ჩამიჩურჩულა:

- სადა, გყავს, სადა, გულისა ტოლი?!
ვიცი... იქ მთვარე კაშკაშებს ეხლა,

ბულბულის ისმის სტვენა-გალობა,

ყვავილში მცურავ ტურფა სამშობლოს

ატკბობს ბუნების უხვი წყალობა.
ვხედავ გულის ტოლს - ფანჯარასთან დგას,

შორს იცქირება და ფიქრი მწარი

შემოხვევია, ეჩურჩულება:

- სადა გყავს ეხლა, სად, მეგობარი?!

ესე იგი მინდა, რომ აგრე იყოს. ნამდვილად კი არავინ არ დგას სამშობლოში ფანჯარასთან და არავინ არ ფიქრობს ჩემზე... არავინ არ ფიქრობს...

სპირიდონმა არაქათი წამართვა. დადის ეს ჩემი ცოდვით სავსე, დადის წინ და უკან ჩქარი ნაბიჯით, დადის და თითქოს ტვინში მცემს. გავუგზავნი ისევ ჩემს კალოშებს, ჩაიცვას ის და ველარ შემაწუხებს მისი ფეხის ხმა, - ან კი რა ოხრად მინდა?

დარაჯი მიშლის ლაპარაკს, მაგრამ რას დავუჯერებ! მე შენ გეტყვი, იმაზე მეტად დამსჯიან, რაც მომელის. ის არ იშლის თავისას, მებრძვის.

- თუ შენ ბოროტი და ავი კაცი არ იყო, რა გენაღვლება - ამხანაგს დაველაპარაკო, რა დაშავდება?

- არ შეიძლება! нешто это!.. ბრძანებაა!

- განა ყველა ბრძანებას ასრულებ?

- А как же? მიბრძანებენ - თაყვანს გცემ. რასაც მიბრძანებენ, ის უნდა ავასრულო... Мы люди подневольные.

- საცოდავი! რა უნდა ვუთხრა პასუხად!

...სწორედ აგრე წვიმდა იმ საღამოს ტფილისში. მთელი დღე სახლში ვიჯექი. ერთი მხრით დასვენება მინდოდა, მეორე მხრით კი ვამჩნევდი რა პოლიციის მოწყალე ყურადღებას, უსაქმოდ არც ისე ვეტანებოდი ქუჩას. მართალია, ჩემს მაშინდელ მდგომარეობაში საშიში არაფერი იყო, მაგრამ ჭირივით მეჯავრება, როცა გაპირუტყვებული ადამიანი, ჯაშუში შორი-ახლოს მიგყვება და უიმედო შეყვარებულივით გიცქერის ქურდულად, თითქოს გემუდარება - რა არის, შე უმადურო, ერთი წამაკითხე სახეზე, მე რომ მიამება,

ისეთი რამეო. საწყალი მშიერი ადამიანი. მაგრამ მაინც საზიზღარი და ბინძური!

მხოლოდ დაღამებისას გამოვედი ქუჩაზე, რომ დაპირებისამებრ ამხანაგ მუშებთან სასაუბროდ წავსულიყავ. დღის განმავლობაში არც კი მომგონებია ეს, არ დავფიქრებულვარ, მასალა არ დამიმუშავებია. გზადაგზა მოვინდომე ეს, მაგრამ გამოვედი თუ არა ქუჩაზე, მომესმა თუ არა მისი ხმაურობა, შემხვდა თუ არა მიმავალ-მომავალი ხალხი, კვლავ გადამავიწყდა ჩემი საფიქრალი და გარშემო ცქერა დავიწყე. არის რაღაც მიმტაცი და პოეტური ხალხით სავსე ქუჩის ხმაურობაში, იმ უთვალავ ხალხში, რომელიც მიდის წინ და უკან, ზოგი მიიჩქარის, ზოგი ნელა აბიჯებს ფეხებს და არც ერთს კი შენი დარდი არა აქვს, თითქოს არც ერთს არ აინტერესებს თავიანთი თანამგზავრები, მიდის და თან მიაქვს თითქოს რაღაც თავისი ტვირთი, თავის საკუთარი რამ, რომელიც

არავისთვის, არავისთვის არ არის ხელმისაწვდომი... მე მიყვარს ცქერა ქუჩის. რაღაც საერთო, რაღაც ნათესავური იღვიძებს გულში მის დანახვაზე, მე მიხარია რაღაც. რა ვიცი, რა მიხარია, რა მაქვს საერთო ამასთან... რა ვიცი, რა მიტაცებს...

წვიმას ეპირებოდა. მამადავითის გორას, საითკენაც მე მქონდა გზა, მკრთალი, გამჭვირვალე ნისლი ეფინებოდა, რომელიც ნელ-ნელა ფრთხილად ეშვებოდა ქვევით, დაბლობისაკენ, რომ მთელი ქალაქი თავის იღლიაში მოემწყვდია... ნელი ქარი სისინებდა. პატარა ხანს შემდეგ გოლოვინის პროსპექტზე, ელექტრონის ფანრების შუქი უკვე გორავდა და ნებივრობდა ნისლის ტალღებში, მხიარული თამაშით ცურაობდა ის, მიმტაც სურათებად ეფინებოდა გარემოს. ქუჩა სავსე იყო ხალხით; ყველას ჩაფიქრებული, საქმიანი სახე ჰქონდა, ყველა თავ-ჩაღუნული მიიჩქაროდა სადღაც. ვაჭრებიც კი

გამოსულიყვნენ მაღაზიების წინ, ახალ, კრიალა კალოშებით და თბილი პალტოებით, ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილნი, ისინი დაღვრემილნი დადიოდნენ წინ და უკან, რათა ამით ნათელეყოთ ის ფაქტი, რომ მათაც, პატივცემულ ტფილისის ვაჭრებსაც, აქვთ ნერვები, რომ შემოდგომის სევდიანი საღამო მათზეც მოქმედობს... შემპარავი, ხელობის მიერ შექმნილი ღიმილი გადაკვროდათ ფიქრებში წასულ სახეზე და, ასე გეგონა, ვერ ამჩნევდნენ, რომ მათ გვერდში ხალხი მოძრაობდა... მხოლოდ ლოყა-წითელი, მხიარული და ტანადი ქალიშვილები, მარტო ესენი იცქირებოდნენ მხიარული ცნობისმოყვარეობით, ათვალიერებდნენ გამვლელთ და ჟღურტულით მიდიოდნენ წინ თუ უკან. იცინოდნენ, სიამოვნებდნენ... ჩავერიე თუ არა ხალხში, შევატყვე, რომ რამდენიმე ჯაშუში დამედევნა. ერთი მათგანი ფეხდაფეხ გამომყვა, მალულად შემხედა. გამისწრო წინ, შეჩერდა და დამიცადა...

შია და სცივა ადამიანს, ობოლია და უპატრონო ის, უთანაგრძნობოდ, უალერსოდ დარჩენილა ის, რაც დაიბადა არ უნახავს ალერსი შეყვარებულისა, არ სმენია ტკბილი სიტყვა, ის გაძარცვეს, გაატიტვლეს, მოპარეს სული და გული, მოპარეს გრძნობა, ქუჩაში გაუძახეს... მოშივდა, მოსწყურდა მას, შესცივდა, სიცოცხლე მაინც შეეხარბა. და ამიტომ ის ჯაშუშია, პირუტყვია, მოღალატეა და დამზვერავი, კაენის ბეჭედი შუბლზე აზის მას, ეს ვიცით ჩვენც, იცის იმანაც. ჯერ არ მახსოვს ჯაშუშს პირდაპირი შეხედვისათვის გაეძლოს, თვალი არ დაერიდებიოს... იმასაც აუხვიეს პირი, გაუკრეს ხელები და შიგ სინიდისში ჩააფურთხეს, სული მოპარეს, მკერდიდან გული ამოაცალეს და ის, უსულგულო, სინიდისშერცხვენილი, ქუჩაში ჯაშუშად გაუშვეს, სინდისთან საბრძოლველად შეაიარაღეს, ამიტომ ის საფრთხილოა, ის ჯაშუშია... მე შეუმჩნევლად შევჩერდი,

ვიფარე მომავალი ხალხი, გავედი ქუჩის მეორე მხარეზე, გადავუხვიე მეორე ქუჩაში და უიმედო შეყვარებული მოვიშორე...

როცა უკან დავბრუნდი, უკვე წვიმდა, ნემსივით წვრილი სისინით სცემდა ქვაფენილზე. შევჩერდი და გადავიხედე გალმა. ნაძალადევიდან ძლივს, ძლივს იჭვრიტებოდნენ სანთლები, მომაკვდავი კაცის ღიმილივით კრთოდნენ ისინი და ახირებულ ფიქრებს მიძრავდნენ თავში. რა ხალხი ზის ეხლა იმ სანთლებთან? აი იქ, განმარტოებით რომ სინათლე ციმციმებს, იქ ვინ არის? კეთილი ადამიანი, თუ ბოროტი? რას ფიქრობს? შეყვარებულია თუ არა? ან და ეგებ ეხლა ისმენს სიყვარულს, ეხლა უცქერის შეყვარებულს, რომელმაც აი, ამ წუთას გამოუცხადა მას თავისი გრძნობა! არ ვიცი რად, მე გამწია რაღაცამ იმ სინათლისაკენ, თითქოს იქ ვიღაც დიდი, დიდიხანია მელოდება, დიდიხანია უნდა მნახოს და გულში ჩამიკრას,

მაგრამ ჩემ ფიქრებში უცებ გუგუნით შემოიჭრა მოულოდნელი ხმა. არივდარია იქ ყველაფერი და გაბედულად, ახოვანად გაერია წვიმის სისინს, შესცურა ღამის ტალღებში და შორს სადღაც ქალაქს იქით წავიდა, გადაიკარგა. სამხედრო მუსიკა შეეჯიბრა შემოდგომის ბუნების სიმღერას...

- რას გაჩერებულხარ, ვერ ხედავ წვიმს? წამო ოთახში. - ვიღაცამ ხელი მკრა. მე შევკრთი და მოვიხედე. ჩემს გვერდში იდგა შავი აჩრდილი, რომელსაც თითქოს ხელის მოკიდება უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა, ვერ ბედავდა. დავაკვირდი, მაგრამ ვერ ვიცანი.

- უკაცრავად... ღამეა, ვერ გიცანით! - მოვახერხე მეთქვა.

- წამო ოთახში და გამიცანი, ამას რა დიდი ანი და ბანი უნდა. - და მან უკმეხად, ულაზათოდ გაიცინა. ეხლა

მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე. ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა გამირბინა, მინდოდა, უკმეხი მწარე სიტყვებით მომეშორებია თავიდან, მაგრამ გაჯავრება ვერ შევიძელი, ვუცქერდი მხოლოდ ბნელაში და მეგონა, თუ ჩქარა არ გავიქეცი, მიკბენს, რაღაც ზიანს მომაყენებს-მეთქი.

- წამო ჰო, - მითხრა მან და, გათამამებულმა ჩემი ყოყმანით, მკლავში ხელი მომკიდა, - წამო, დასველდები.

გულში სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა იბადებოდა... ჩემი მოგონება, ის მოგონება, რომელიც არა ერთხელ ძილში გამახსენდება და თმას ყალყზე დამიყენებს, ის მოგონება დამიდგა თვალწინ. ჩვენ, ახალგაზრდები, ხშირად ვფარავთ ჩვენს სისაძაგლეს რაიმე მაღალი მოსაზრებით. მაგალითად, საროსკიპოში ჩვენ "მეცნიერული" მიზნით დავდივართ, "ტიპების"

შესწავლა გვინდა, სითამამისთვის კი წასვლისას ცოტა ღვინოს გადავკრავთ. და აი, ერთხელ, მე და ერთი სტუდენტი, რუსეთის ერთ ქალაქში, "სამეცნიერო" მიზნით, "ტიპების" შესასწავლად წავედით იქ. შევედით თუ არა, ჩემმა თანამგზავრმა გადაიხადა ფული და კადრილის ხმები დააკვრევინა როიალზე. ატყდა ცეკვა-თამაში, გიჟური ხტუნაობით ტრიალებდნენ ქალები და კაცები აშმორებულ დარბაზში, უწმაწური სიტყვებითა და მანჭვით გადახვეულნი გარბოდნენ იქით-აქეთ ქალი და კაცი. მხოლოდ ერთი, რომელსაც გიმნაზიელის ფორმა ეცვა, ის ერთი იჯდა კუთხეში, განმარტოებით, თავზე ხელი შემოედვა და ღრმა ფიქრებში წასული ვერ ამჩნევდა, რა ხდებოდა გარშემო. როგორც ქორი შეამჩნევს განმარტოებულ წიწილას მინდორში და ფრთებმოკუმშული დაეცემა მას თავზე, ისე შევამჩნიე მეც ის და რაღაც ძალამ გამწია მისკენ, მძლავრად, შეუჩერებლად გამაქანა იქითკენ. მე დავჯექი მის

გვერდით, მას კიდევ არ შეუმჩნევივარ, ავიღე ხელი და მხარზე დავადე. ის შეკრთა, შეშინებულად შემომხედა და, მაშინ, როცა იმის თვალებში მე წავიკითხე შიში და შიშში არეული ზიზღი მონისა ბატონის წინააღმდეგ, ბაგეზე ღიმილი გაათამაშა მან, შემხედა, შემოტრიალდა ჩემსკენ და... და თვალებში კი მაინც ვხედავდი შიშსა და ზიზღს, ზიზღსა და შიშს.

- რაზე დაფიქრებულხარ? - დავეკითხე მე, - მოგწყინდა?

- წავიდეთ! - მომიგო მან ჩემს კითხვაზე და მკლავში ხელი გამიყარა.

არა, ეს არ იყო ჩემი კითხვის პასუხი, მე მინდოდა მისი გული გადამეშალა ჩემთვის, მე დავეკითხე მას და ის კი წავიდეთო, მეუბნება. იმან იცის, რომ არავის დარდი არა აქვს იმისი, თუ რაზე ფიქრობს ვიღაც მაწანწალა, მან იცის,

რომ თუ მასთან მოდიან, მოდიან იმიტომ, რომ “წავიდნენ”... და ჩვენც წავედით... წავედით მიუხედავად იმისა, რომ ერთი წუთის წინეთ ის ადამიანურ ფიქრებში იყო წასული, მისი ოცნება სადღაც შორს, შორს ჰქროდა, ის შორს სეირნობდა და თამაშობდა და არ უნდოდა იქიდან არსად წასვლა... ჩემს გონებაში ერთ წუთას დადგა თვალწინ ეს ჩემი “მეცნიერული” მოგზაურობა და სირცხვილის, დანაშაულის გრძნობამ შემიპყრო...

- წამო, გაცივდები! - მომესმა ისევ, - წამო, გაგათბობ ოთახში, ხომ ხედავ, ცივი ღამეა. წამო, გენაცვალე.

- გშია, მეგობარო? ძალიან გშია? - წამოვიძახე უცებ მე და თითონაც გამიკვირდა, ეს რა ვთქვი, ან რად ვთქვი-მეთქი.

- წამო, წამო, ერთი! წამო, იქ ვილაპარაკოთ... ლოგინში.

- სიყვარული გაკლია, დაია? არც ვისმე უყვარხარ, არც ვინმე გიყვარს, ხომ? პატრონი არ გყავს, ობოლი ხარ, ხომ? გცივა ამ შემოდგომის ღამეში? გშია და ფული არ გაგაჩნია, ხომ?

- ღმერთო, დამიცევი, ეს გიჟი ხომ არ არის!

მე ჩავიდე ჯიბეში ხელი და ვერცხლის მანეთიანი ამოვიღე.

- გშია, დაია? თუ გვერდში არ დაუწეჭ ვინმეს, ისე შიმშილით მოკვდები, ხომ? - და მე გადავდგი მისკენ ნაბიჯი, ის კი იხევდა უკან და იმეორებდა:

- ღმერთო, გადამარჩინე, ღმერთო, გიჟია, გიჟია!

- დიახ, მე გიჟი ვარ... მე მიყვარს შემოდგომის ღამეში

სიარული და ხალხის შეშინება. მე საშიში კაცი ვარ. აჰა! წაიღე ეს, თბილად დაწექი და დაიძინე. მე რად გინდივარ, მე დაგახრჩობ, თუ წამოვედი. - და გაშეშებულ ადამიანს ჩავუდე ხელში ფული, საჩქაროდ გადავდგი ფეხი უკან, გავიჩქარე. თან კი თითქოს ვხედავდი შიშითა და ზიზღით სავსე თვალებს, მოცინარე სახეს და მესმოდა ნელი, მოწყენილი ხმა:

- წავიდეთ!

გავრბოდი, სულელივით გავრბოდი, მეშინოდა, თითქოს უკან მომდევდა ვიღაცა, რომელსაც სურდა ეკბინა ჩემთვის...

გოლოვინის პროსპექტი დაცარიელებული იყო. ნელი ნაბიჯით გავიარე ის, რამდენჯერმე ჩავუარე თეატრს, საიდანაც გახურებული ტაშისცემა და ვაშას ძახილი

მესმოდა თითქოს. ვცადე შესვლა, მაგრამ ხელმისაწვდომი ფასის ბილეთი ვერ ვიშოვე, გავყევ ისევ გზას. და ის იყო უნდა გადამეხვია ვერის დაღმართში, რომ ჩემს წინ, შორს ორი აჩრდილი გამოჩნდა, რომელიც, ეტყობოდა, ჩემსკენ მოდიოდა. მე გავყევი კიდევ წინ და გავარჩიე - ქალიშვილები იყვნენ...

დამიახლოვდნენ ლამაზი, ტანადი გოგოები, მე ვიცანი: საბებიო სკოლის მოწაფეები იყვნენ, ალბათ საავადმყოფოში მორიგეობდნენ და ეხლა ბრუნდებოდნენ. პალტოში გამოხვეულნი, იაფფასიანი შლიაპით თავზე და რვეულებით იღლიაში, ისინი ახოვანად, მარდად მიაბიჯებდნენ. გული ამიტოკდა. რაღაც გამოუურკვეველი სიმპატიის გრძნობამ გაიელვა გულში, თითქოს ორივე ჩემი ნაცნობი ყოფილიყოს, ორივე მახლობელი მეგობარი. და მე დამებადა თავში სულელური აზრი, მომინდა მათი გამოხმაურება,

გამოჯავრება... შევჩერდი, ღიღინი დავიწყე, ჩვეულებრივი, შემპარავი ღიმილი ქუჩის დონ ჟუანების. დამიპირდაპირდნენ თუ არა, ცალ ფეხზე შევდექი, ქუდი მოვუხადე, შევტრიალდი, გავყევი ფეხდაფეხ და ჩავულაპარაკე:

- ხომ არ გინდათ გაგაცილოთ?

- იქით დაიკარგე! - შემომიბღვირა ერთმა მათგანმა და ორივემ უფრო გაიჩქარეს. ჩვეულებრივი კითხვაა მათთვის, ვინ იცის, რამდენჯერ გაუგონიათ!

- რა არის, გაგაცილებ, გაგართობთ.

- იქით დაიკარგე, გესმის, თუ არა?

- ეტლს დავუძახებ... მე ძალიან მომეწონეთ თქვენ. რა

არის ვითომ, ხომ არ შეგჭამთ?

- იქით დაიკარგე, შე მხეცო! გოროდოვოი!..

მე ჩამოვშორდი. არ ვიცი, რად და ორივე მიყვარდა იმ წუთს, ორივე მაღელვებდა, თითქოს ნათესავს, მეგობარ-ნათესავს ვუცქეროდი, ვემშვიდობებოდი. ვინ იყვნენ ისინი, სად არიან ეხლა, რას ფიქრობენ? ახსოვთ თუ არა ეს შემთხვევა, და თუ ახსოვთ, გაიგებენ თუ არა ოდესმე, რომ ის მხეცი, რომელმაც ისინი იმ ღამეს შეურაცხყო, დღეს საბრჩობელას წინაშე დგას და თითონაც არ იცის, რად გაახსენდა ახირებული და სულელური ხუმრობა!..

სატუსაღოს სძინავს, არ მძინავს მხოლოდ მე და ჩემს საათს, რომელიც განუწყვეტლად ძგერს და ჭიკჭიკობს: არ სძინავს შემოდგომის ღამის სევდიანსა და მოგონებათა აღმძვრელ წვიმას, ის სისინებს და ტირის, ტირის და

სისინებს.

მიდის დრო, მიდის დრო, მიდის დრო...

მიდის დრო და მე ვუახლოვდები ჩემს სახრჩობელას, ჯალათს, ის სანთლავს ბაწარს და მელოდება, რომ დახრჩობის შემდეგ გამხადოს ტანზე, ჩემი ტანსაცმელი დაისაკუთროს, მე კი ტიტვლად სამარეში გამიძახოს...

შია და სწყურია ადამიანს, ყველა მას ახრჩობდა, ისიც მე მახრჩობს; ყველა ძარცვავდა და ისიც მე მძარცვავს; ყველა კიდებდა მას ყანყრატოში ხელს და ისიც აგრე იქცევა. თუ ყველა ასე, ამნაირი გზით ირჩენს თავს, მან რა დააშავა, ის ვისი ანგელოზია? მასაც შია და სწყურია, სცივა და თბილი ბინა უნდა...

მიდის დრო, მიდის დრო, მიდის დრო...

ეჰ, ჩქარი ნაბიჯით მიდის ის წინ, მიდის და უკან სტოვებს სიყმაწვილეს, იმედებს, სიყვარულს, სიძულვილს, ფართე, რთულ გეგმებს და ფიქრებს, მიდის და სახრჩობელას წინაშე ჩერდება...

და მოდის სიკვდილი, შავი, ახმახი ბებერი, რომელიც წარსულსაც დასცინის და მომავალსაც, რომელიც ყველაფერს ნთქავს და ინელებს, დედის ცრემლებსა და ჯალათის ხორცს, შეყვარებულის ალერსსა და ჯაშუშის თვალებს...

მიდის დრო, მიდის დრო, მიდის დრო...

...დარაჯმა ისევ შემოიჭვრიტა. ჰმ, მიფრთხილდება ბატონი კანონი, რომ დიდი სიამოვნება არ დავუკარგო, მიფრთხილდება - ჯალათობაში არ შევეჯიბრო, მას

თვითონ სურს ჩემი დახრჩობა, თვითონ სურს იყოს მკვლელი და ეშინია, თავი არ მოვიკლა. ამიტომ დარაჯს უბრძანა - თვალი ატანე, თავი არ მოიკლას და ამით არ დამაკლდეს ის დიდი სიამოვნება, რომელსაც მომაყენებს მისი ჩემი ხელით გამოგუდვაო... კანონს ეშინია - არავინ წაართვას მას დიდი თანამდებობა ჯალათისა... ათივე თითით დამილოცნია მისთვის!..

ნეტავი რად მიტაცებდა სასაფლაო, რად მიყვარდა იქ ხეტიალი და ძეგლების თვალიერება, რომლებიც ბერძნული ენის გამოშტერებული მასწავლებლებივით გაშეშებულნი დგანან და თითქოს შეგჩივიან რაღაცას. რა გაუგებარი ძალა მიტაცებდა მე იქ? ამხანაგები დამცინოდნენ ამ ჩვეულებისათვის, "უმიცვალებულო ჭირისუფალს" მიძახდნენ. ალბათ, ბავშვობისას, როცა დედა მომიკვდა, იქიდან დამჩემდა მე ეს ჩვეულება... ჩვენი ეკლესია საუკეთესო ალაგს არის მთელ სოფელში,

მგონია მთელ არემარეში. ის მაღალი მთის წვერზეა, გარშემო კი სოფელი არტყია. იქიდან მოსჩანს ქალაქი, მთელი ჩვენი ქვეყანა და ზღვა, შორს კი - დარაჯივით წამოყუდებული დინჯი და დარბაისელი კავკასიონი, მისი თეთრი ტანსაცმელით...

გაზაფხულზე დაასაფლავეს დედაჩემი და მეც ხშირად ავდიოდი იქ, პირველად ბებიაჩემთან ერთად, მერმე კი, როცა გავთამამდი და შევეჩვიე - მარტო. იქ ნაძვის ძირას ვეებერთელა ფართე ქვაა ჩამარხული მიწაში, რომლის ნახევარი მოსჩანს. ეს ქვა ჩვენი მოხუცებულების სიტყვით, თვითონ წმინდა გიორგის ამოუტანია აქ ცალი ხელით და ისე მაგრად დაურტყამს მიწაზე, რომ მისი ნახევარი მიწაში დაუმალავს. და თუმცა ეს ქვა "წმინდანიანი" ქვაა, როგორც გვარწმუნებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ბოლო დროს თამამად ჯდებიან ზედ, წინათ კი მხოლოდ საკურთხის დაწყობა იცოდნენ

იქ, საიდანაც ჩვენი მღვდელი გადააწყობდა მას თავის ხურჯინში. აი, ამ ქვაზე ჩამოვჯდებოდი მე და იქიდან ვიცქირებოდი. აქ, ამ ალაგს შემიყვარდა მე ისე მძლავრად ბუნება, ამ სასაფლაოდან ჩამებეჭდა გონებაში ისე ღრმად მისი სიმშვენიერე. და მე არ შემიძლია წარმოვიდგინო ვისიმე საფლავი ისე, რომ ამ სასაფლაოსთან ერთად არ ადგეს ჩემს გონებაში ბუნება, მთელი მისი სილამაზითა და ჯადოსნური მიმზიდველობით. და ამას გარდა, ვინც დაკვირვებია, ის შეამჩნევდა, რომ განგებ თუ შემთხვევით, სასაფლაოს ყოველგან საუკეთესო ალაგი აქვს დათმობილი. ასეა ქუთაისში, ბათუმში, ტფილისში, ყოველგან, სადაც კი მინახავს. ეჰ, ერთი ნეტავი დედიჩემის საფლავზე მიმიყვანა!..

ის იწვა. მეზობლები, ნათესავები, ყველანი გარს ეხვიენ მას, ყველანი მალულად იწმენდნენ ცრემლს, მხოლოდ ბებიაჩემი - დედიჩემის დედა, - ის ერთი ვერ იმაგრებდა

თავს, გასულიყო გარეთ და გმინავდა, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

- შვილო, დედა! შვილო, დედა! შვილო! - და იკაწრავდა სახეს. გახსნილ მკერდზე იცემდა მუშტს და თავს განწირულად აქნევდა.

განცვიფრებული და გაოცებული, მე ვიდექი შორი-ახლოს და მიკვირდა, თუ რად სტიროდნენ. აბა ვინ დამაჯერებდა, რომ ის, დედაჩემი, რომელიც მე ისე გაგიჟებით მიყვარდა, მოკვდებოდა. შევხედავდი ხან ერთს, ხან მეორეს, ხან დედაჩემს, რომელმაც დაბოლოს მომაგნო თვალებით და სუსტი ხმით დამიძახა:

- მოდი, შვილო ჯეირან! - და მან გადამისვა თავზე ხელი, ვინ მოგიარს, ნენა, შენ ჩემსავით, ვინ მოგეფერება! - მისი ხმა აკანკალდა, მაყურებლებმა ვეღარ შეიკავეს თავი,

მამაჩემიც, გულქვა, სასტიკი მამაჩემიც, რომელიც ამდენხანს მაგრად იდგა და არას იმჩნევდა, აქვითინდა, ხმამაღლა ატირდა. საერთო ცრემლებმა ჩემზეც იმოქმედეს, ჩავდევი თავი დედის ბალიშში და ავღრიალდი.

- სუ,- ნუ ტირი... მე მალე მოვრჩები, ნუ გეშინია! შეეხვეწე ღმერთს ჩემი მორჩენა, შენ გაგიგონებს!.. ჩემო ქოჩორავ, ნუ ტირი, ნენა!

ვიღაცეებმა მომკიდეს ხელი და კარში გამიყვანეს. ცა უთვალავი ვარსკვლავებით გადაჭედილიყო, გარკვევით გადასწოლოდა ზეცის ზურგს "ქრისტეს ფეხის ნაბიჯი". ერთი ფოთოლიც კი არ ინძრეოდა, თითქოს ყველაფერი განგებ მიყუჩებულიყო, რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში და ამ დუმილში, როგორც გარეშე, როგორც უცხო, მხოლოდ ხანდახან ერეოდა ბებიაჩემის ჩახლეჩილი

ხმა:

- შვილო, დედა, შვილო, რას მიპირებ, ნენა, ვის უტოვებ დედაშენს! შვილო, ნაკვდაო შვილო! - მე ვიცქირებოდი მაღლა და დედაჩემის სიტყვებზე ვფიქრობდი. ილოცეო, მითხრა მან, ღმერთს სთხოვე ჩემი მორჩენაო, და მე მიკვირდა, რომ ეგ უებარი საშუალება ამდენხანს არ მომგონებია, თუმც კარგად ვიცოდი, რომ ღმერთს ყველაფერი შეეძლო და, გარდა ამისა ისიც, რომ მას ბავშვები ყველაზე უფრო უყვარდა. ისე მწამდა ღმერთი, ისე მიყვარდა და ერთხელაც არ გამივლია აზრად დედაჩემის შესახებ შევვედრებოდი...

უნდა ვილოცო, უნდა ვთხოვო!..

უთვალავმა ვარსკვლავებმა გამიღიმეს, ციმციმით მანიშნეს - მელოცა. აურაცხელი თვალებით მიცქერდა

ზეცა და მაიმედებდა. მიცქერდა ზეციდან ანგელოზთა გუნდი, ჩვენ რომ ვარსკვლავებს ვეძახით, მიცქერდა და მეუბნებოდა:

“ილოცე, ბავშვო მაღლით ყურს გიგდებს
ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი.
წვეთ-წვეთად ითვლის შენს წმინდა ცრემლებს,
არ დაგეკარგვის მასთან არც ერთი!”

ტანში ჟრუანტელმა დამიარა და მე ხელებ-გაშლილი დავეცი მუხლებზე... ღმერთი რომ მართლა იყოს, იმღამინდელი სურათით იამაყებდა, თავს მოიწონებდა. არაფერი მსგავსი მას შემდეგ არ გამომიცდია, ასეთი გატაცება არ მახსოვს. მე ხომ ის საკუთარი თვალებით დავინახე, ის სულ ახლო მოვიდა ჩემთან, მე ვამჩნევდი იმის თვალებში ცრემლს. ის მიცქერდა და თავს მიქნევდა... ოჰ, მუდამ, მუდამ შენი ყმა ვიქნები, შენი

მონა, მომირჩინე დედა...

ჩემს უკან მოშორებით კი ისევ ისმოდა:

- შვილო, დედა! შვილო, დედა! შვილო!

- ბებია, სუ! ნუ ტირი, მორჩება დედა... მე ვიცი, მორჩება! - მინდოდა დამეძახა, მივსულიყავ მასთან და სახლში წამეყვანა, ყველაფერი მეამბო, რომ უცებ შევკრთი... სახლში საშინელი ყვირილი და ჟრიამული ატყდა, ღრიალი და კივილი ერთმანეთში აირია. საიდანღაც ღმუილით წამოიჭრა ნამძინარევი ძაღლი და შეშინებული ყეფით ჭიშკრისკენ გაიქცა, მეზობლების ძაღლებიც აყეფდნენ... ყველაფერი შეინძრა, შეწრიალდა...

დიდხანს, დიდხანს შემდეგ შევედი სახლში, მივედი ლოგინთან და დავიძახე:

- დედა! დედა! დედა!

მაგრამ უძრავი იყო დედაჩემი, მას არაფერი ესმოდა. მის გაცივებულ გვამს დაკონებოდა ბებიაჩემი, მიედო ტუჩი ყურთან და ჩახლეჩილი ხმით ჩასძახოდა:

- შვილო, ნენა! შვილო, ჩემო სიმწრით გამოზრდილო, ნაკვდავო შვილო, რა მიქენი, ნენა, აი, არ გრცხვენია, გოგოვ! მეც წამიყვანე, ნენა, შენთან, არ გეცოდები? ამიზა გაკვდი? ამიზა გაგზარდე, ნენა? არ გრცხვენია, შენ დაგენაცვლოს დედაშენი? მე უნდა გტიროდე, თუ შენ? მე უნდა გმარხავდე, თუ შენ? დევიწვი, ნენა, დევიწვი, შვილო, ნენა!..

ეჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ვიცოდე - სიკვდილის შემდეგ დედა დამიტირებს:

- შვილო, ჯეირან, შვილო, სიმწრით გამოზრდილო შვილო!

მაგრამ ჩემს ცხედარს არ გაეკვრის დედაჩემის მოყვარული ხელი, მას არ გავახსენდები რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც ის ახსოვდა ბებიაჩემს, არავინ დააფრქვევს ჩემს საფლავს მწუხარე ცრემლს, ცრემლს უნუგეშო დედისას ვერ შეიშრობს ჩემი სასაფლაოს მიწა.

მას სძინავს მუდმივი ძილით, არც ვახსოვარ, არც ვუყვარვარ, არც სწუხს...

მიდის დრო, მიდის დრო, მიდის დრო!

ის ყლაპავს სიყვარულსა და სიძულვილს, სიხარულსა და მწუხარებას, გულგრილი და გულქვა, ის ერთნაირად უცქერის ავსა და კარგს დინჯად, გულდამშვიდებით

კაფავს ყველაფერს და მიდის წინ, მიდის შეუჩერებლად უხმო, უსიტყვო და უკვალო, ყრუ და მუნჯი, უგრძნობი და შეუბრალებელი.

- შვილო, ჯეირან, შვილო! ჩემო ნაკვდაო შვილო! სად წადი?

ეჰ, ერთი ნეტავი დედაჩემის საფლავზე მიმიყვანა, იქიდან გადამახედა, იქიდან დამანახა გაზაფხული და ჩემი ქვეყანა! გაზაფხული, ჩვენი ქვეყნისთანა გაზაფხული იქნება სადმე ქვეყანაზე! ეჰ, იცის თუ არა ჩემმა ქვეყანამ, თუ რა ძლიერ მიყვარს, იცის თუ არა? გაიგებს თუ არა ოდესმე, ეტყვის თუ არა რაიმეს ამის შესახებ ჩემი უდროო საფლავი, ჩემი სახრჩობელა?.. სახრჩობელა!

დიახ, მე დამახრჩობენ! ამ წუთას კი ეს როდი მახსოვდა. დამახრჩობენ. რას ნიშნავს ეგ სიტყვა: და-მა-ხრჩო-ბე-ნო!

ვინ დამახრჩობს, რად დამახრჩობს?.. მე დამახრჩობს, მე, სიცოცხლით სავსე ადამიანს? მე გამიყოფენ გასანთლულ ბაწარში თავს, წამიჭერენ ღვლერჭს... აი, ამას ჰქვია დახრჩობა. ამას კანონი ჩადის... არა, ეგ არ მესმის მე, ზღაპარია ეს, სიზმარია! ვინ იკისრებს ამას? მე სიცოცხლე მინდა, მე სიცოცხლეს ვთხოულობდი, მე იმათ ვებრძოდი, ვინც სიცოცხლეს არ გვანებებს, და სამაგიეროდ სიკვდილი! რა სისულელეა! აბა, ვინ გაბედავს ამას? რა სისულელეა!

სისულელეა! მიუხედავად ამისა ეს სიმართლეა, მე დამახრჩობენ. ეს სიმართლეა! მოვა მღვდელი, ჯვარით ხელში, ანაფორით მორთული, მოწყენილი სახით მოვა მღვდელი, ჯვარით ხელში. ჯვარით ხელში მოვა ის, ჯვარცმულის მოადგილე, მოვა მღვდელი და მეტყვის: მოემზადე, შვილო, ღმერთის წინაშე წასადგომადაო.

ჯვარით ხელში მოვა მღვდელი და მეტყვის ამას. და მე დამახრჩობენ.

მოვა ექიმი, მოვა ექიმი, მაჯაზე ხელს მომკიდებს, გულს გამისინჯავს და იტყვის - დამხრჩვალიაო.

დიახ, დამახრჩობენ. გასანთლული ბაწრით დამახრჩობენ მე განთიადისას. საუკუნოდ დამაძინებენ იმ დროს, როცა ყველაფერი იღვიძებს, განთიადზე დამახრჩობენ მე... მოვა მღვდელი, მოვა მღვდელი ჯვარით ხელში, ანაფორით მორთული, თმაგაშლილი და მოწყენილი სახით, ჯვარით ხელში მოვა მღვდელი. მე დამახრჩობენ. რა სისულელეა! ვინ დამახრჩობს? ვინ დაანებებს ჩემს დახრჩობას? მე ვიყვირებ, ქვეყანას გავაგებიებ რაშია საქმე, გზაში ყვირილით შევძრავ ყველაფერს, გავაღვიძებ ადამიანებს, გავაგებიებ, რომ მახრჩობენ. ღამით მომიპარეს-მეთქი, დავიძახებ მე, ყველას რომ ეძინა, იმ დროს შემოვიდნენ

ჩემს ოთახში და ჩუმად წამიყვანეს-მეთქი. სატუსაღოში კარები დაკეტეს, შეიარაღებული ჯარისკაცებით შეკრეს ის სახლი, სადაც მასამართლებდნენ. ასე ჩუმად, ქურდულად, ბნელაში, როგორც ყაჩაღებმა და ავაზაკებმა გამასამართლეს და სიკვდილი მომისაჯეს და აი, ბნელშივე მახრჩობენ-მეთქი... დიახ, მე ვიყვირებ, ყველაფერს შევძრავ, ყველას ავამოძრავებ - ვინ გაბედავს დახრჩობას? ვინ გაიგონა ადამიანის დახრჩობა?

მაგრამ აკი დაახრჩვეს სხვები! აკი სამი კვირის წინეთ პავლე დაახრჩვეს, ისეთივე ახალგაზრდა, როგორც მე! განთიადზე წაიყვანეს და დაახრჩვეს, დაახრჩვეს ისე, რომ ამხანაგებთან დამშვიდობებაც არ აცალეს. კისერში წაუჭირეს გასანთლული ბაწარი და თვალები ბუდიდან გადმოაგდებინეს, ენა ძაღლივით წამოაგდებინეს... და იქ იყო მღვდელი, ჯვარით ხელში, პროკურორი, ექიმი, ჯარისკაცი და ჯალათი, - ყველა ხედავდა ადამიანის

ტანჯვას, ყველა ხედავდა, როგორ უნდოდა მას ამოსუნთქვა, ხედავდნენ როგორ წრიალებდა ის, როგორ იტანჯებოდა, ხედავდნენ და თითსაც არ სძრავდნენ დასახმარებლად, ხედავდნენ და ჯალათს აჩქარებდნენ, - ჩქარა გაათავეო. რა არის ეს?.. რა არის ეს?..

დამახრჩობენ? ეს სიმართლეა, რომ მართლაც დამახრჩობენ! აბა, რად დამზოგავენ? ქვეყანაზე ორი მოპირდაპირე ძალა არსებობს, ორი მოსისხლე, დაუძინებელი მტერი: სიმდიდრე და სიღარიბე, ძლიერი და სუსტი. ძლიერს ჰყავს ჯარი, კანონი, მღვდელი ჯვარით ხელში, პროკურორი. მე სუსტი ვარ და ამიტომ მახრჩობენ, გავძალდები - მაინც დამახრჩობენ. პირს ამიხვევენ, ხელებს უკან გამიკრავენ, გამიხსნიან გულს და შიგ გულში ჩამაფურთხებენ... პირში ბურთს ჩამჩრიან და მერე მცემენ, რომ ძახილი ჩემი ვერავინ ისმინოს. ეს იმიტომ, რომ ის გამარჯვებულია... ასეთია ნადიმი

გამარჯვებულისა!.. დამახრჩობენ!..

არა, არ დავიძინებ ამაღამ. მე სიფრთხილე მმართებს, ვინ იცის, იქნებ მომეპარონ... დედა, სადა ხარ, ჩემო დედა! ამხანაგებო, მე მარტო ვარ, მარტო ვარ სიკვდილის წინაშე!.. დედა!.. არა, არ დავიძინებ ამაღამ!

“რაჲსთვის ბოროტი უყავ მსახურსა შენსა და რაჲსთვის არა ჰპოვე მადლი წინაშე შენსა და დასდევ სიმძაფრე ერისა ამის ჩემზედა.

ნუ უკუნ მე მუცლათ მყვანდა ყოველი ესე ერი, ანუ მე ვშვენ ესენი, რომ მეუბენ მე შთაისვენე ეგენი წიაღთა შენდა, ვითარცა დედამ ძუძუმწოვარი ჩვილი და შეიყვანენ ეგენი ქვეყანასა მას, რომლისათვის ვუფიცე მამათა მათთა.

“ვითარ მივცე მე ხორცი ყოველსა ამას ერსა?..

“ვერ ძალმიძს მე მარტოსა ტვირთად ერი ესე, რამეთუ მძიმე არს ჩემდა ესენ”1.

აჰ, გავტყდი ნეტავი? რად წამოვიძახე ეს სიტყვები, რად გამახსენდა ეხლა, ამ წუთში?

ეჰ, შენ, დიდო ბაღო, მწვანით მოსილო დიდო ბაღო გეთსიმანიისა! შენ, რომელსაც შეგიძლია უკვდავება მიანიჭო ადამიანს და იმის სულს, რა ძნელი ყოფილა შენს მწვანეზე მუხლის მოდრეკა მაშინ, როცა ირგვლივ ყველას სძინავს, რა ძნელი ყოფილა ღამის დუმილში ბეჯითი, ამაყი სიტყვების თქმა: “აღსრულდეს ნება შენი, მეუფეო!” რა ძნელი ყოფილა, რა ძნელი!

...არა, არ დავიძინებ ამაღამ... მე მიყვარს სიცოცხლე. ძილი

კი? რა არის ძილი, ძილი სიკვდილის ნაწილია. არა, არ დავიძინებ, ვუდარაჯებ სიცოცხლეს... მე მიყვარს სიცოცხლე! ის ისეთი მშვენიერია... და არ მინდა მე სიკვდილი, არ მინდა!..

ყველას სძინავს, ყველას. არ გვძინავს მხოლოდ ჩვენ, მე, ჩემს საათს და კიდევ შემოდგომის წვიმას... ჩვენ არ გვძინავს! ქალაქში კი, გარეთ ეხლა შეყვარებულები ტკბებიან თბილ ლოგინში, ტკბილი სიზმრებით გარემოცულნი... ჩვენ არ გვძინავს მხოლოდ, ჩვენ სამს, მე, ჩემს საათს და შემოდგომის წვიმას... ჩვენ არ გვძინავს! დრო კი მიდის, დრო მიდის!... დრო მიდის!..

დილა, 5 საათი.

სტოლზე ჩამომძინებია, ამ წუთს პავლე იყო ჩემთან. ის საიდგანღაც გაჩნდა ჩემთან, გაჩერდა ჩემს წინ, ხელები

გულზე დაიკრიფა, წყენა-ნარევი ღიმილით შემომხედა, რამდენიმეჯერ გააქნია თავი და სთქვა:

- ე - ე! არ მოველოდი, მართალი გითხრა, შენგან არ მოველოდი მაგას!

მე მივხვდი. ის არ მოელოდა, თუ მე ასე შემეშინდებოდა სიკვდილის. მე ხომ ერთიან კანკალი დავიწყე, გიჟივით ვიცქირებოდი გარშემო, პირუტყვულმა შიშმა შემიპყრო და, როცა ძირს ვიღაცაების ფეხის ხმა მომესმა, გადავწყვიტე, ჩემთან მოდიან-მეთქი და ლოგინის ქვეშ მინდოდა დავმალულიყავ... დიახ, დიახ, მე, ჯეირანს მინდოდა ტახტს ქვეშ შეძრომა და ჯალათისაგან თავის გადარჩენა. და თუ არ შევძვერი, ეს იმიტომ, რომ მივხვდი, დავრწმუნდი, უაზრო იყო, რომ არას გზით დამალვა არ შემეძლო. დიახ, მხოლოდ ამიტომ არ შევძვერი. თორემ მე, ჯეირან ვარდოსანიძეს, კი არ შემრცხვენია ამის, კი არ

მიფიქრია, რომ ეს არ შეშვენოდა მებრძოლს. არა, მე მივხვდი მხოლოდ, რომ ამით თავს ვერ გადავირჩენდი, და თავის გადარჩენა კი მინდოდა, მინდოდა აუცილებლად რით, რით გადამერჩინა თავი? არც კარების გადაკეტვა იყო შესაძლებელი, ის გარედან იკეტება და გასაღებიც იმათ ხელშია, როცა უნდათ მაშინ შემოვლენ... როცა უნდათ მაშინ წამიყვანენ... რაც უნდათ, იმას ჩაიდენენ. და როცა ყოველივე ეს ნათლად წარმოვიდგინე, როცა დავრწმუნდი, რომ არაფერი, არაფერი არ მიშველიდა, მე შეშლილივით გავიცინე, შეშლილივით დავიწყე სირბილი... არ მახსოვს და არც მინდა მოვიგონო მეტი... დაღლილს, დაქანცულს ჩამომძინებოდა და აი, პავლე მესტუმრა.

- არ მოველოდი, მართალი გითხრა, შენგან არ მოველოდი მაგას! - და მან კიდევ დააქნია თავი, წყენა-ნარევი ღიმილით შემომხედა, გულზე ხელდაკრეფილი გაჩერდა

და ამოიოხრა...

მე მინდოდა მეთქვა რამ, მეპასუხა, მაგრამ გამომეღვიძა...

მაგრამ რა უნდა მეთქვა შენთვის, ამხანაგო პავლე! მე პირუტყვს განა მეთქმის რამ? მებრძოლს მეძახდნენ, ამაყს, უშიშარს და ტახტს ქვეშ მინდოდა დამალვა!... არა, რა უნდა მეთქვა, რა პირით უნდა შემეხედა შენთვის, ამხანაგო პავლე!.. ვაი, სირცხვილო! სირცხვილო! რა ტყუილად ვატყუებდი თურმე თავსა და სხვებს. ვაი, სირცხვილო!

ჰმ! ვინ იცის, ხვალ და ზეგ ეგების უფრო დავეცე სულით და მტერი ვასიამოვნო. ხვალ და ზეგ ეგების უფრო ვუღალატო მებრძოლთა ფიცს - ვერ გვნახოს მტერმა ძაბუნად! ეგების განგებ უნდათ რამდენიმე დღეს კიდევ ვიცოცხლო, რომ იხილონ ჩემი ათრთოლებული ბაგე,

პირუტყვული შიში!.. ვინ იცის... ვინ იცის!

თენდება. სინათლე მატულობს ჩემს გალიაში. და სინათლესთან ერთად მატულობს ჩემი სირცხვილიც... ნუთუ მართლა მე ვიყავი ის? მე მივძვრებოდი ტახტს ქვეშ? მე ვკანკალებდი ისე? ეს მე, ჯეირან ვარდოსანიძეს, მინდოდა დავცემულიყავ მუხლებზე და სიცოცხლე მეთხოვა? მე მინდოდა ეს?... დიახ, მე მინდოდა... მე მინდოდა! სირცხვილო! სირცხვილო!

შუადღე

...რა იქნება ვითომ? შევდგები ფანჯარაზე და ჯარისკაცებს გავაჯავრებ. გამაფრთხილებს, კიდევ მეტს ვეტყვი, გავუწევ აგიტაციას, ერთს ძველებურად გადავძახებ და.. ბაც! გავარდება თოფი და... იყო კაცი, რომელიც ტახტსქვეშ აპირებდა დამალოდა სიკვდილს და აღარ არის კაცი.

ჯალათის ხელით სიკვდილს ასეთი სიკვდილი არ სჯობია? სილაჩრე იქნება ვითომ ეს ჩემი მხრით! აჰ! რა იქნება ვითომ? მივდგები სარკმელზე და რამდენიმე წუთის შემდეგ აღარ ვიქნები... მოდი, ვცდი, ვსინჯავ. იქნებ არც მომკლას, იქნებ დამჭრას, იქნებ სრულიადაც არ მესროლოს, ვინ იცის... ის ჯარისკაცი ეგების გულში ჩვენი მომხრე იყოს და განგებ ამაცილოს ტყვია, მოდი, რა იქნება ერთი, ვცდი... У горя было три ключа. У горя было три ключа... მწუხარებას ჰქონდა სამი გასაღები... პირველი იყო სიკვდილი, მეორე იყო სიკვდილი, მესამე იყო სიკვდილი. У горя было три ключа. რა მშვენიერი ლექსია, რა მწყენია, რომ ამის მეტი არ მახსოვს. У горя было три ключа... ვცადო?!.

.....

ფუ! კინაღამ გავბრიყვდი! რით გაირჩევა ეს ტახტს ქვეშ

შეძრომსაგან, ჩემი ხელით მოვიკლა თავი? განა მე მსურს სიკვდილი? მე მსურს სიკვდილი? მე სიცოცხლე მინდა... ჩემი სისხლი სწყურია კანონს, ეს იმას უნდა გამომგუდოს, ენა ძაღლივით გადმომაგდებინოს, თვალები ბუდიდან გადმომიყაროს და კბილებდაჩეჭენილი, საშიშარი, საზიზღარი სახით გამგზავნოს საიქიოს, რომ ღმერთს, თავის ღმერთს უთხრას, აი, რა მხატვარი გახლავარ, აი, რანაირ სახის ადამიანებს ვქმნიო... და დაე, თვითონ მან ჩაიდინოს თავის საქმე, დალიოს ჩემი სისხლი, დალიოს და დატკბეს. როგორ არის ის? წინასწარმეტყველ იეზეკიილს აქვს ერთი ალაგი, ერთი გავიხსენო... "და გავიარე მე შენს გვერდით, და გიხილე შენ სისხლში, და გითხარ შენ - შენ სისხლში ცოცხლობდე. ასე გითხარ შენ - შენ სისხლში ცოცხლობდე"... მგონია ასეა, არ მახსოვს კარგად... იცოცხლე სისხლში, ღვარე სისხლი და მიირთვი ის! იყავი ჯალათი, რომ უფრო გაგიცნონ, მოიპარე ადამიანები,

ჩუმად, მალულად გაასამართლე ისინი და დახოცე... დახოცე, სანამ მოერიო მათ!.. იბანავე სისხლში... მოდი, რაღა, მომკალ!

5 საათი.

სასეირნოდ ვიყავ. ყველაზე მეტად ვხტუნაობდი და ვოხუნჯობდი. დღეს განგებ გამოვამზეურე მთელი ჩემი სისწრაფე და ოხუნჯობით ხომ ყველანი გავაჯავრე. გაკვირვებული აღტაცებით მიცქეროდნენ ამხანაგები, ერთი-მეორეს თვალებით უამბობდნენ ჩემს დაუდევრობას, ჩემს გულის სიმაგრეს სიკვდილის წინაშე. ერთი სიტყვით, გმირი ვიყავი. მხოლოდ შენ იცი, ჩემო გადია, თუ რა გმირი ვარ მე, შენ იცი, რომ მე წუხელის ტახტს ქვეშ ვემალებოდი სიკვდილს... ამხანაგებმა კი ეს არ იციან. ვუამბე თითქოს კიდეც და სიცილი დაიწყეს, ესეც ოხუნჯობა ეგონათ. რა თქმა უნდა, არც ისე

დაბეჯითებით მიამბნია, რომ დარწმუნებულიყვნენ, ცოდვა გამოტეხილი სჯობია. მაგრამ რად არ დაეჭვდნენ - ეგების მართალიაო?

მაინც დღეს თითქოს გამოვიცვალე. დღეს მე გარკვევით გავარჩიე ჩემში ორი ადამიანი, ორი სულიერი. ერთი შეყვარებულია მეორეზე და ეალერსება, ეთამაშება. როცა, მაგალითად, მე დღეს ერთი საჟენის სიმაღლეზე გადავხტი, მე ნათლად ვგრძნობდი, რომ "ის", მეორე იქვე იდგა და მეუბნებოდა: აი, ყოჩაღ, ყოჩაღ! აი, აგრე უნდა!.. როცა მე მოსწრებულ სიტყვას ვიტყოდი და სხვები გულიანად ხარხარებდნენ, "ისიც" იცინოდა და მიწონებდა. დღემდის კი ეს არ მიგრძვნია. ჩემდა შეუმჩნევლად შემოიპარა ის ჩემს გულში და, როცა ტახტზე გულაღმა ვიწექ, ალერსი დამიწყო.

როცა ძილი მომეპარა და თვლემა დავიწყე, მან თვალებზე

გადამისვა ხელი, ნანინა მიმღერა, და როცა დამეძინა, მე, როგორც ნამტირალევსა და დამწუხრებულ ბავშვს, რომელსაც თავი უსამართლოდ შეურაცხყოფილად მიაჩნია, ძილშიაც მესმოდა:

- დამშვიდდი, დაიძინე, ყვავილო! ჩემო მინდვრის იავ, შენ პოეტები გეარშიყებიან... დილის ცვარო, პირი დაბანე ქვეყნიერებას! გაზაფხულის მერცხალო, იჭიკჭიკე!.. ადი, ადი სახრჩობელაზე, დაენახე ქვეყანას... ყვავილო მოწყვეტილო, დაფიქრდებიან, შენ რომ დამჭკნარს გიხილვენ...

და ის მღეროდა. ალერსიანი ტკბილი ხმით მღეროდა ჩემს საყვარელ ლექსს, ჩემს საყვარელ სიმღერას:

“ბევრჯერ შიმშილს და წყურვილსა
ძაღლივით ავუღრენივარ,

მაგრამ იმავ დროს სხვა ძალას
მე მაღლა აუფრენივარ”.

- გაგონდება? - მეკითხებოდა ის და მეალერსებოდა, - გაგონდება? ამას შენ მღეროდი ყოველთვის, როცა ხიფათი რამ გელოდა. ამას მღეროდი მაშინაც, როცა ხიფათს გადარჩენილი იყავი, ამას მღეროდი ყოველთვის, როცა კარგ ხასიათზე იყავი, ეს შენთვის დასწერა შენმა საყვარელმა პოეტმა. აბა დამიგდე ყური. - და ის მღეროდა:

“სიტყვები სასაყვედურო,
სათქმელად მომზადებული,
უკუქცეულა, გამქრალა,
გადამწმენდია რა გული!”

- გესმის? ხომ გესმის? დამშვიდდი, დატკბი, იძინე, ყვავილო! შენ პოეტები გეარშიყებიან, შენ გულის

ფიქრებს მშვენიერი ქალები ამღერებენ ჩონგურზე, შენ საყვარელ ჩონგურზე, აბა დაუგდე ყური? - და ის მღეროდა:

“და მითქვამს: თუ რომ უმსხვერპლოთ
ვერ გაიხარებს ქვეყანა,
ღმერთო, მიმიღე ზვარაკათ,
გულში დამერჭოს მე დანა”.

- აი, გესმის, რა მშვენიერია! აკი გითხარ, პოეტები გეარშიყებიან-მეთქი. ჩემო მინდვრის იავ, მოწყვეტილო ყვავილო, შენ რომ დამჭკნარს გიხილვენ, დაფიქრდებიან... იძინე, გამაგრდი, დამშვიდდი. - და ის მღეროდა ჩემს საყვარელ სიმღერას, მინანინავებდა, მამშვიდებდა:

“და მით აღსრულდეს ანდერძი,

გადმონაცემი ძველთაგან,
იხსენ, უფალო, ჩემ გამო
ქვეყანა განსაცდელთაგან”.1

მშვენიერ ხასიათზე ავდექი. სიცილი მინდა, ოხუნჯობა, თამაში.

- სპირიდონ! სპირიდონ!

- მესმის.

- აღდგომას ერთად წავიდეთ ეკლესიაზე.

სპირიდონი არ იძლევა პასუხს.

- სპირიდონ!

- მესმის.

- თანახმა ხარ თუ არა? აღდგომას ერთად წავიდეთ ეკლესიაზე!

- რა თქმა უნდა, - მოკლედ იძლევა პასუხს სპირიდონი.

- სპირიდონ!

- მესმის.

- როცა დამახრჩობენ, ჩემი შესანდობარი დალიე, ცოდვილი კაცი ვარ, გესმის?

- კარგია ერთი, ჯეირან!..

- არა, რა სასაცილო იქნება, ბიჭო, როცა ღმერთის წინაშე

წავდგები ენა-წამოგდებული, კბილებ-დაჩჭენილი, თვალებ-გადმოცვენილი, “მურავიოვის გალსტუხით” კისერში, მე გამოვიჯგიმები იმის წინაშე და ვეტყვი: მაქვს პატივი უღირსსა მონასა შენსა მოგახსენო, მეუფეო, რომ როცა ვირთვებოდი ამრიგად, თუმც მე არ მომწონდა მორთულობა ჩემი, მაგრამ იქვე მდგომარე სულიერი მამა ჩვენი, მღვდელი ჯვარით ხელში, კანონი, რომლის მორჩილება გვიბრძანე შენ მონათა შენთა, შენ მიერ შექმნილი და მოვლინებული მთავრობა და ეკლესია იქვე იდგნენ, მაგრამ არც ერთს მათგანს შენიშვნა არ შემოუტანიათ და ასე ამრიგად გამომიძახეს წინაშე შენსა-მეთქი... როგორ ფიქრობ, იქაც ხომ არ გადამიწყვეტენ ჩამოხრჩობას, თუ იცი... კადნიერებად ხომ არ ჩამითვლიან ამ სიტყვებს? რას იტყვი, სპირიდონ, “ჟენიხივით” ვიქნები ხომ გამოწყობილი?

- ეჰ, სასტიკი კაცი ხარ შენ, ჯეირან, სასტიკი! დაანებე

თავი, აგერ ნახავ, რომ არ დაგახრჩობენ...

ეს ორი დღეა სპირიდონი ხუმრობის ხასიათზე არ არის.

- სპირიდონ! ა-ა, სპირიდონ!

- მესმის.

- რავა ინდოურივით ჩამოგიშვია ცხვირი! შენს უთვალავ საცოლოებში რომელიმე ხომ არ გაგითხოვდა? რამ მოგაწყინა?

დარაჯი ჩამოერია. არამც და არამც არ მანებებს ლაპარაკს ეს ოჯახქორი.

7 საათი.

მართალი ვთქვა, როგორც ეხლა ვხედავ, ასეთი ბოლო ჩემთვის არ ყოფილა მოულოდნელი. მე რომ აგრე გავათავებდი სიცოცხლეს, წინეთაც უნდა მცოდნოდა, წინეთ უნდა მეგრძნო ეს... რა იყო აბა ის, რომ როცა სიკვდილით სასჯელის შესახებ გავიგებდი, ყოველთვის რაღაც გამოურკვეველი ფიქრები შემიპყრობდა, თითქოს მეშინოდა რისიმე. თითქოს მე მეხებოდა ის. ნუთუ ეს იყო წინათ გრძნობა, რად მგონია, რომ მთელი ჩემი არსება დიდიხნიდან ემზადებოდა ამ დღისთვის და ყველაფერი ეს, რაც მოხდა და მოხდება დღეს თუ ხვალ, ასე მგონია სიზმარში მენახოს, თავიდან ბოლომდე გამომეცადოს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც ვერ გამოვრკვეულვარ. მე ჯანმრთელი ვარ, სხეულის არც ერთი ნაწილი ჩემში არ არის შერყეული, ყველა ორგანო ნათლად და სწორად ასრულებს თავის დანიშნულებას. თავი მუშაობს ისე, როგორც არაოდეს, გული კვლავ

განაგრძობს სიყვარულსა და სიძულვილს. არც ერთი ყვავილი არ დამჭკნარა იქ, ყველაფერი ცოცხლობს და ჰყვავის. სურს იცოცხლოს, და თუმცა ვიცი რომ მომკლავენ, მაინც ვერ გამიგია, ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ყოველივე ეს ერთ დილას უნდა შეწყდეს, ეს საათივით აწყობილი მექანიზმი უნდა სამუდამოდ შედგეს, შენობა უნდა დაინგრეს. შიშია ეს? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ამას ვერაოდეს, ვერაოდეს ვერ შეურიგდება ჩემი გონება. ეს აზრი ისეთი ველურია, გაუგებარია. შორიდან უბრალო რამ მეგონა სიკვდილი, მაგრამ რამდენადაც პირისპირ ვუდგები მას, რამდენადაც ვუახლოვდები და ვგრძნობ მის ცივ ქშენას, იმდენად ვრწმუნდები, რომ ის ზედმიწევნით რთული რამ ყოფილა, უფრო რთული, ვიდრე თვით სიცოცხლე, მისი მრავალფეროვნობითა და სხვადასხვაობით. საკმაოა მხოლოდ წარმოიდგინო მიცვალებულის სახე, სახე, რომელზედაც არც სიყვარული სწერია, არც სიძულვილი,

არც სიხარული, არც ტკივილი, არაფერი არ სწერია, საკმაოა წარმოიდგინო ყოველივე ეს, რომ ამაში დარწმუნდე... კაცი - მოქალაქე, მებრძოლი, პარტიული კაცი, ხარ ხან მოცინარი, ხან აღელვებული და მიცვალებული, რომელზედაც არაფერი, არაფერი არა სჩანს, არაფერი არ აწერია სახეზე, არაფერზე გული აღარ შესტკივა... სად გაჰქრა, სად წავიდა, რა იქნა ყველაფერი ეს? რა არის ეს, ჩვენ წინ რომ დევს, რომელიც ჰგავს იმას, ვისაც ჩვენ ვიცნობდით და ის კი არ არის, არც სხვა ვინმე? ის მიცვალებულია მხოლოდ... საიდუმლოებით მოცული, მიცვალებული!.. და გიკვირს, არ გჯერა, რომ შენც ამას უნდა დაემსგავსო... არა, ამას ვერაოდეს, ვერაოდეს ვერ შემარიგებს მე ვერავინ, ეს ველური აზრია ჩემთვის...

ბედს კი არ ვემდური, განა! ის კი არა, ხელახლა თავიდან რომ დავიწყო სიცოცხლე ისე, რომ ყოველივე ეს მახსოვდეს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ისევ აქ

მოვალ. არა, ბედს არ ვემდური. მე ვიცოცხლე ისე, როგორც მე მინდოდა და მესმოდა სიცოცხლე. თუ ვინმე დამტკბარა სიცოცხლით, მეც ერთი იმათგანი ვარ, თუ ვინმეს გამოუცდია შვება და სიხარული, მეც გამომიცდია. ჩემი სიყვარულიც სრული იყო და სიძულვილიც, რწმენაცა და უარისყოფაც. აბა ერთი ის რად ღირს, რომ მე ვიცი - ჩემი საშუალებით ბევრი, ბევრი თავი ამუშავებულა, ბევრი დაფიქრებულა! განა მე არ ვიყავი ბედნიერი, რომლის გატაცებულ სიტყვებზე იმდენს ანთებია თვალები და გულში ბრძოლის ცეცხლი აგზნებია, სისხლი ამუშავებია, ასჩქარებია! მე ერთი იმ ბედნიერთაგანი გახლავარ, რომელსაც მიმიღია რწმენა, ატოკებული, გატაცებული შემითვისებია ის და შემდეგ სხვებისთვისაც გადამიცია ის და ამნაირად მეც გადამიბამს ახალი რგოლები იმ დიდი და მჭიდრო ჯაჭვისათვის, რომელსაც მუშათა პარტია ეწოდება, მუშათა მებრძოლი არმია! მე, რომელსაც ისეთ ჯანსაღ, ისეთ მომავალ ბედნიერების

მატარებელ წრეში მიმუშავია და მისი სიყვარული მინახავს, განა მე არ ვარ ბედნიერი? არა, ბედს არ ვემდური, ასეთ ცილს ვერ დავწამებ მას, ასეთი უმადური მე არ შემიძლია ვიყო... მაგრამ სიკვდილი... სიკვდილი ახირებული რამ არის, ის სულ სხვა ყოფილა, სულ სხვა ხრიკი... მივედი თუ არა იმის კარებთან, მივადექი თუ არა მკერდით მას, სანამ კარს გავაღებდი, დავფიქრდი, დავფიქრდი და გამოდგა, რომ ის რაღაც მეტი ყოფილა იმაზე, რაც მეგონა... შიშია ეს? რა ვიცი. შეიძლება შიშია, შეიძლება არ არის შიში... წუხელწინ ღამით კი, ოჰ წუხელწინ ღამით არა თუ მეშინოდა, არამედ პირუტყვი ვიყავ, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ისე ვკრთოდი, როგორც დასაკლავი ძროხა... მე, რომელიც სასიკვდილო საქმეებზე წავსულვარ ისე, რომ წარბიც არ შემიხრია, ბარიკადზე ვმდგარვარ, როცა მას ტყვიას უშენდნენ, რომელსაც გვერდში მომიკლეს ამხანაგი და არ მიგრძვნია შიში, აი, მე როცა დავრწმუნდი, რომ მართლა

მომკლავდნენ, როგორც დასაკლავი ძროხა ავკანკალდი... სიკვდილის წინაშე უკან დავიხიე და... რაღა ბევრი გავაგრძელო, გავტყდი.

მაგონდება ერთი ოხერი საღამო, ხუთი თანშეზრდილი და შესისხლხორცებული ამხანაგი, ერთი სახიფათო საქმის სისრულეში მოსაყვანად, ჩავსხედით ნავში, რომ ღამის კალთებს ქვეშ უფრო ადვილად აგვეცილებია მოსალოდნელი ხიფათი. ჩვენ მოველოდით თავდასხმას, სროლას, ერთი სიტყვით, სიკვდილს მოველოდით. მაგრამ მტერი სულ სხვა მხრიდან დაგვეცა თავზე: შევცურეთ თუ არა ზღვაში, ამინდი შეიცვალა, ამოიჭრა ძლიერი ქარი, ზღვა აღელდა და ჩვენი ნავი ნაფოტივით გაისროლა წინ, ზღვის უსაზღვრო სივრცისკენ... ვისხედით ნავში, ანუ უკეთ ვთქვა, ვეყარენით ძირში და ველოდით აუცილებელ სიკვდილს. ზღვა კი გიჟური ხარხარით ხტოდა და თამაშობდა, ტორტმანით სცემდა ნავს, სწევდა

ხან აღმა, ხან დაღმა, როგორც კატა თაგვს ათამაშებს, და მას თითქო სურდა დიდხანს ვეწვალებიეთ, უფრო დიდხანს ვეტანჯეთ, უფრო დიდხანს დამტკბარიყო ჩვენი შეშინებული სახის ცქერით... არ ვიცი, სასწაულმა გადაგვარჩინა თუ რამ, მაგრამ როცა ჩვენ იმ ღამეს მხიარული, გუზგუზა ცეცხლის წინ ვისხედით და თავიანთ შთაბეჭდილებას ვუზიარებდით ერთმანეთს, ერთმა ჩვენგანმა იკითხა:

- გახსოვს თუ არა ჩემი კითხვა: ცურვა ვინ იცისო? - და როცა მიიღო პასუხი, რომ გვახსოვდა, განაგრძო: - აი, როცა მე გავიგე, რომ დათიკოსა და შენ, - მან ჩემკენ გამოიხედა, - ცურვა არ გცოდნოდათ, იმ წუთსავე გადავჯექი მეორე მხრით, რომ ზღვაში ჩაცვენის დროს, რომელიმე თქვენგანს ჩემთვის ხელი არ შეეშალა და მეც თქვენთან ერთად არ დავმხრჩვალიყავი... ცურვა უკანასკნელი იმედი იყო ჩემი. ხოლო თავი კი ისე მიყვარდა იმ დროს,

რომ არავისი დარდი არ მქონდა, ოღონდ გადავრჩენილიყავი...

აი, ასეთია სიკვდილი, ეს შავი და რთული მოვლენა.

მაგრამ კმარა ამაზეც. მე მინდა გავერთო ცოტათი, ცოტა უკან მივიხედო, იქ, გარეთ ვის სცალია მოსაგონებლად, ვის ახსოვს წარსული, როცა დღიური ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული, როცა ხვალინდელ დღეზე ფიქრი ნთქავს ყველაფერს. აქ კი სხვაა, აქ წარსულში ვხედავ რაღაცას, ხვალინდელ დღეს კი - საბრჩობელას, ამაზე ფიქრი კი არ მინდა. აი, ჩემს წინ დგება შორეული წარსული. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ვიქნებოდი მგონი. მაგონდება №-ის ბულვარი, როცა ერთ გირვანქა ახალგამომცხვარ პურს ვიყიდდით და განგებ, დემონსტრატიულად, პურით ხელში ჩავისეირნებდით მოარშიყე ქალ-ვაჟთა წინაშე, რომ ამით დაგვემტკიცებინა

ჩვენი საზოგადოებრივი ზრდილობის გარეშე ყოფნა... ერთხელ, ღამის ორ საათზე მე და ერთმა ამხანაგმა პროკლამაციები მოვაპნიეთ ქალაქში და ერთი ბ-ნ პოლიცმეისტერსაც აუწებეთ კარებზე. ეი, ეი, რა მეშინოდა მაშინ - ეს პირველი დანაშაული იყო ჩემი კანონის წინაშე. და იმ ღამეს მე მესიზმრა ჟანდარმი. მოვიდა ის ჩემთან, ამოიღო ჯიბიდან პროკლამაცია და მითხრა: - აი, აი, აი, ახალგაზრდა კაცო, რას სჩადიხარ შენ ამას? იცი, რა მოგელის ამისათვის? იცი, რა სწერია ამაში? - და მან წამიკითხა პროკლამაცია, კითხულობდა და სადაც "მაგარი" სიტყვები ეწერა, შეჩერდებოდა და დააქნევდა თავს და მეტყოდა: - აი, აი, ამას რას სჩადიხარ? იცი, რა მოგელის ამისთვის? - და ჟანდარმის თვალებში ცრემლიც დავინახე. როცა დილას ეს ვუამბე ამხანაგებს, მახსოვს, როგორ დამაყარეს სიცილი და მეც როგორ ვიცინოდი, ეს კი მაინც ფაქტია, მე ჟანდარმის თვალებში ცრემლი დავინახე... სიზმარში, მართალია, მაგრამ სხვებს არც

სიზმარში მოლანდებიათ ასეთი სასწაული.

აი, თითქოს გუშინ იყო ეს! მოდის, მოიჯგიმება რაინდი უებრო და უშიშარი, ჩვენი პაწია ჩუდაკ ივანიჩი.

- მოდი, კაცო, მეჭიდავე და თუ წაგაქციო, რას მერჩი, ძმავ! - მეუბნება ის და დოინჯ-შემოყრილი დგას, მელოდება. ფეხებ-გაშლილი, ის იცქირება იქით-აქეთ, დინჯად, ამაყად მელოდება. ერთი სიტყვით, არ ხუმრობს ეს ციდა-მტკაველა კაცი.

მეც ვემზადები. გავდივარ წინ და იმართება ჭიდაობა. დიდი წვალების და ბრძოლის შემდეგ ჩუდაკ ივანიჩი წაიქცა, მაგრამ როდი მეშვება, ეხლა წაქცეულს სურს გადამიბრუნდეს, ზევიდან მომექცეს, თუ ეს არ ქნა, მოიჯაყა ჩვენი განთქმული ფალავანი, საცოლო ბიჭი, ჩუდაკ ივანიჩი, სადღა გააჭყიტოს თვალი? და, ბოლოს,

მართლაც მიაღწია საწადელს, დამაჯდა გულზე და გადაიძახა:

- აჰა, რა გეგონა აბა შენ, ყაძახო! აბა, რა გეგონა! - და აწითლებული ლოყებით, აჩქარებული სუნთქვით, ის იწყებს ჩემ მიერ მისთვის გადაკეთებულ ლექსს:

“მოვა დრო, გავიზრდები,
მკლავი გამიმაგრდება,
შენისთანა ბებრები
ვეღარ დამიმაგრდება”.

სად არის ეხლა ის, ჩემი მეგობარი ჩუდაკ ივანიჩი, ახსოვს თუ არა ჯეირანი და მასთან ჭიდაობა? ეჰ, დროვ, დროვ, რა ჩქარი ნაბიჯით გასწიე წინ, გადალახე მთა და ბარი, გადალახე, ახალგაზრდობა, სიყვარული, გატაცება და აქ, სახრჩობელას წინაშე მოიკეცე ფეხი...

რად ამოძვრა გულიდან ის გრძნობა, რად ამოძვრა რომ არ ვეხვეწები! Как хороши, как свежи были розы!... სად არის ეხლა ნეტავი ის ეგრეთწოდებული “მაქციერა”? გათხოვდა თუ არა? რად არ მავიწყდება? მე და ის ხომ ერთმანეთთან გაცნობილიც არ ვყოფილვართ, ერთხელაც კი არ გავლაპარაკებივარ მას! ხშირად ვხედავდით მე და ის ერთმანეთს მხოლოდ ბულვარში. მას უყვარდა ბევრ ქალიშვილებში ყოფნა. ყელ-მოღერებული, ცოცხალი, შავი თვალებით, ის მუდამ მხიარული იყო მეგონა, მუდამ ჰქროდა იმის სახეზე ღიმილი. დავინახავდი თუ არა მას, მის შორი-ახლო მიყვარდა სეირნობა, მისი ცქერა. და მიხაროდა, რომ არც ერთხელ იმასთან მოარშიყე ახალგაზრდა არ დამინახავს... ჩვენ შევამჩნიეთ ერთმანეთი. ჩავუარდი ახლოს, თითქოს სულ სხვაზე ვფიქრობდი, გული კი უფრო მიძგერდა, უფრო სცემდა. და მე მწამდა, რომ ისიც ამასვე გრძნობდა. ერთხელ

საბუთი ჩავიგდე ხელში. როცა თეატრში შემთხვევით მის ახლო მომიწია ყოფნა, მე დავიჭირე მისი შემოხედვა, დავიჭირე და გული ისე აფრთხიალდა, როგორც ძუაში გაბმული ჩიტი. შევხედე მას იმ დროს, როცა თურმე ისიც მიცქერდა და სახეზე წითელი ალმური გადაეკრა... აი, ეხლაც ვხედავ იმ სახეს, ეხლაც მესმის ჩემი გულის ძგერა... რად, რად არ მივედი იმასთან, რად არ მივედი იმ წუთსავე და არ ვუთხარი: ზურგი აქციე საზოგადოებას და იმის ჩვეულებას... გამოტყდი. დაიდე გულზე ხელი და მითხარი: მოგწონვარ, თუ არა?

მაგრამ მეორეჯერ შეხედვაც ვერ გავბედე, მხოლოდ ჩუმად, შეუმჩნევლად ჩავისვი მისი სურათი გულში, დავარქვი მას "მაქციერა" და როცა სოფელში წავედი ციების თავიდან ასაშორებლად, ათრთოლებული ხელით დავწერე ლექსი, ვუძღვენი მას და იქვე შევინახე, სადაც ის... სად არის ეხლა ის? გათხოვდა ნეტავი?.. რა თქმა

უნდა, გათხოვდებოდა და სრულიადაც არ ახსოვს, ალბათ, რომ ერთხელ მას შევხედე იმ დროს, როცა ის მიცქერდა და ისე შერცხვა ამ "დანაშაულის", რომ მაისის ვარდივით გაწითლდა... ეჰ, მიდის, ჩემო მაქციერა, დრო, მიდის დრო... მიდის დრო... გულგრილი და გულქვაა ის, მისი კუჭი ყოველივეს ნთქავს და ინელებს სიყვარულსა და სიძულვილს, აღმაფრენასა და გატაცებას, ახალგაზრდობასა და იმის სიზმრებს... ნთქავს, ყლაპავს, ინელებს ყოველივეს და მიდის, მიდის წინ, მას ვერც შავი თვალები დააინტერესებს, ვერც მოღერებული ყელი, ვერც ქარის მიერ ათამაშებული, ოქრონარევი თმა, ეშხიანად გადმოყრილი ლამაზ სახეზე, მისი გული არ ძგერს სიყვარულით და ცივია მისი სისხლი...

ის მიდის, ის მიდის, ის მიდის! და არ იცის მან ვის ვინ უყვარდა, ვინ ვისთვის იტანჯებოდა, ვინ ვისკენ ილტვოდა, არაფერი არ იცის მან და, რაც ყველაზე

უარესია, არც სურს იცოდეს!.. ოდნავადაც არ სურს იცოდეს... ის ჯალათია!..

მაგრამ მე მსურს ვიცოდე, მე ყველაფერი მაინტერესებს, ყველაფერი სიცოცხლისკენ მიტაცებს, იქით მწევს. მახსოვს ერთი ლექსის ერთი ნაწყვეტი:

“Что бьется за стеною,
Не все ли мне равно?
Только смерти лишь открою
Потайное окно!”

აი სისულელე და სიცრუე! რა უნდა დაანახო სიკვდილს, როცა ის ბრმაა, რა უნდა უთხრა მას, როცა ის ყრუა, რა პასუხს მოგცემს, როცა ის მუნჯია და რას მიხვდება, როცა ის უგრძნობია? რა უნდა უთხრა მას, როცა ის სიკვდილია! არა, სიცოცხლეს, სიცოცხლეს სალამი, სიცოცხლეს

გაუმარჯოს, მან გაიგოს ყველაფერი, მან შეაღოს საიდუმლო კარები, მან ჩაიხედოს გულში და მან განსაჯოს ყოველივე! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ! სიცოცხლისაკენ გასწიოს ყველამ, ის გაამდიდრეთ, ის შეამკეთ, ის შეაყვარეთ ყველას! დეე, ნუ დაამძიმებს ის ნურვის, დეე, ნუ იხილავს ის ცრემლებს ცოცხალთა! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ! იქ ყველაფერი კარგი უნდა იყოს, ის უნდა მოეწყოს, მოწესრიგდეს!.. მაშ ასწიეთ, მაღლა ასწიეთ დროშა სიცოცხლისა და ბრძოლა სიკვდილს! ასწით მაღლა დროშა სიცოცხლისა და სიკვდილი სიკვდილს! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ, ამხანაგებო, დაუტოვეთ სიკვდილი მკვდართ!.. ასწით, მაღლა ასწით ზარი სიცოცხლისაკენ მომწვევი და მედგრად, უშიშრად შემოჰკარით მას, შემოჰკარით მას, რომ ყველამ ისმინოს, ყველამ გაიგოს, ყველამ იქით ჰქნას პირი! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ და ბრძოლა სიკვდილს!..

ღმერთო! რა მიხარია! რა სიხარულსა და აღტაცებას ვგრძნობ, მთელი არსება ნეტარებას განიცდის. ეხლა სად არის ჩემი პროკურორი, აბა ერთი ნახოს - დამძლია თუ არა! აბა ერთი ჩამოიხედოს ჩემს გულში! აბა ერთი ჩამოიხედოს და დაინახავს, თუ რა დარცხვენით მიიპარება მის მიერ შექმნილი ცილისწამება ჩვენს შესახებ, მისი კანონი, რომლითაც ის სახრჩობელაზე მგზავნის! მხოლოდ... მხოლოდ გუშინწინ... გუშინწინ მე ვკანკალებდი, გუშინწინ ბევრს, ბევრს შევნატრე, ბევრი დარიგება გუშინწინ დამიჯდა გუნებაში... გუშინწინ...

- ჩვენ არავინ ჩამოგვახრჩობს, - მესმოდა მე გუშინ წინ, - ათასი მეხი რომ გავარდეს, ჩვენ არ დაგვეცემა... ხი, ხი, ხი!.. არ დაგვეცემა იმიტომ, რომ ჩვენ დაბალი ვართ, ხი, ხი, ხი! მეხი კი... მეხი კი მაღალ საგნებს ეტანება... ხი, ხი, ხი! ჩვენ არავინ დაგვახრჩობს! და მხიარული, ბედნიერი,

კმაყოფილი ხალხი განაგრძობდა ტრიალს ჩემს წინაშე, განაგრძობდა თავის ბედის ქებას, მესმოდა მე ის გუშინწინ და, ღმერთო მაღალო, მესმოდა ეს და... მთელ ღამეს, როცა სიკვდილის წინაშე ვკრთოდი და ვკანკალებდი, მე ამაოდ ვცდილობდი ძვირფასი სურათების აღდგენას გონებაში სულის სიმდაბლესთან საბრძოლველად, მათ მაგიერ მაძღარი, ბედით კმაყოფილი, ჭკუიანი ხალხი მოდიოდა, მწყობრად, რიგ-რიგად, მოდიოდნენ ისინი, მაგონებდნენ ძველ დარიგებას, გაფრთხილებას და მიდიოდნენ.

- აკი გეუბნებოდით, - მესმოდა მე, - აკი გაფრთხილებდით!... მე შენ სიძედ მინდოდი, ფულებს მოგცემდი, ლამაზ ქალიშვილს... რად წაიხდინე თავი... ვინ დაგიკავებდა შენ ადგილს და ჯამაგირს... ეხლა კი შენ თავს დააბრალე ყოველივე, შენ თავს დაემდურე, - და ამ სიტყვებით მიდიოდნენ ისინი, ჭკუა-დამჯდარი,

გამოცდილი, ბედით კმაყოფილი ადამიანები - ქალები და კაცები, ცოლები და ქმრები, გასათხოვარნი და საცოლონი. და სახეზე გარკვევით, ნათლად ეწერათ: მადლობა ღმერთს, ჩვენ არავინ დაგვახრჩობს, ათასჯერ რომ იჭექოს მეხმა, ჩვენ არა გვიშავს რა, იმიტომ რომ ჩვენ ჭკუიანები ვართ, ჩვენ ვიცით, როგორ უნდა თამაში, ვიცით ცხოვრების ხვრელები და დავძვრებით, მადლობა ღმერთს, დავძვრებით ისე, რომ ფეხს არ წავიტეხთ, არაფერი დაგვიშავდება.

- მოიტანეთ ხომ ჩემზე იერიში? მნახეთ განა ძაბუნად?.. ძალიან კარგი, ეხლა მე მოვდივარ თქვენზე და დამაგრდით, ეხლა ილაშქრებს თქვენს წინააღმდეგ ჩემი გამოუცდელობა, ჩემი წინდაუხედაობა, უჭკუობა; ჯიქურად, აშკარად მოვდივარ მე და დამაგრდით, აბა!

ბევრი ხართ თქვენ! ფულები გაქვთ თქვენ, და ღმერთიც

თქვენს მხარეზეა, იმიტომ რომ ფულები გაქვთ თქვენ, ბევრისაგან ბევრი მეცნიერი და სწავლული ამართლებს თქვენს არსებობას ქვეყანაზე, იმიტომ რომ ფულები გაქვთ თქვენ! მშვენიერსა და მდიდარ დარბაზებში, მაღალ ოთახებში სჩადიხართ თქვენ დაბალ საქმეებს, რყვნით ლამაზ მოსამსახურე გოგოებს, ისე როგორც თქვენი ცოლები რყვნიან ახალგაზრდა ბიჭებს... თქვენ ბევრი შეგნატრით, ბევრი გაქებთ და გემხრობათ, იმიტომ რომ ფულები გაქვთ თქვენ, თქვენ ბედნიერნი ხართ იმიტომ, რომ გაქურდეთ, გაძარცვეთ უბედურნი, თქვენ ტყავი გააძვრეთ მუშას, ამიტომ ფულები გაქვთ თქვენ, ამიტომ ბედნიერნი ხართ, ამიტომ თქვენსკენ არის კანონი და სამართალი, მღვდელი და ეკლესია, ამიტომ ძლიერნი ხართ თქვენ! დიახ! ბედნიერნი ხართ თქვენ! მაგრამ ჩემს სახრჩობელას მე არ გავსცვლი თქვენს ბედნიერებაზე, თქვენ, რომელთაც ბედნიერება აგიშენებიათ სხვის უბედურებაზე, რომელთაც აატირეთ ქვეყანა, დედას

დაუკარგეთ ალერსი მშობლისა და ქმარს წაართვით ცოლი, რომელთაც მოპარეთ ლუკმა ულუკმოდ ნაშრომი მშრომელთ, და როცა იხილეთ კონკი თქვენ მიერ გაძარცულისა, დასცინეთ მას, სულელი უწოდეთ! თქვენ, რომელთაც ისე მოაწყვეთ საზოგადოება, რომ საროსკიპოც კი ამშვენებს თქვენს წესრიგს, რომლითაც ნამუსი ახადეთ ქალებსა და ქუჩას აჩუქეთ ისინი, თქვენს ბედნიერებაზე მე არ გავცვლი ჩემს საბრჩობელას. ეს თქვენი ჭკუაა, ასე რომ აწამა ქვეყნიერება, თქვენმა ჭკუამ შექმნა მშიერთა არმია, თქვენმა ჭკუამ მოწამლა ჰაერი. ეს თქვენი ჭკუაა!.. ვინ გაგამართლებს თქვენ, როცა პასუხს მოგთხოვენ, ვინ გაბედავს თქვენს სასარგებლოდ ხმის ამოღებას?.. აბა ერთი მიმოიხედეთ გარშემო, აბა დაფიქრდით, რა იქნება, თუ თქვენ მიერ გაუბედურებული ქვეყანა ალაპარაკდა. თუ მან ამოიღო ხმა და ანგარიშის გასწორება მოითხოვა!.. ევედრეთ, ევედრეთ ღმერთს, რომ მომავალმა მსაჯულებმა თქვენი

მსაჯულებიდან არ გადაიღონ სასჯელი დამნაშავეთა, ევედრეთ ღმერთს!.. ეჰ, იცოდეთ ერთი, რა მძაგხართ თქვენ! მე არ გავცვლი ჩემს სიგიჟეს თქვენს ჭკუასა და გამოცდილებაზე, ჩემს მწარე ფიქრებს - სიკვდილის მოლოდინში - თქვენს ლამაზ ცოლებზე, ყასაბურ შემოხედვას ჩემი ჯალათისას - თქვენი ქალიშვილების მწველ თვალებზე! თქვენი სიყვარულიც მძაგს და სიძულვილიც, თქვენ მიერ შექმნილი ზნეობაცა და კანონიც, მძაგს თქვენი ღმერთი, რომელმაც იქადაგა ყოვლად ბინძური სიტყვა - მოთმინება თქვენი სისაძაგლისა! იუდა ვერ იქნებოდა იუდა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, თქვენ, რომლებიც ისე აძაგებთ და ანათემას უთვლით მას ეხლა, როცა ქრისტე აღარა არის საშიში თქვენთვის, როცა ის თქვენი მომხრეა, ეხლა აღარ გჭირიათ იუდა და აძაგებთ მას!.. ქურდები ადამიანის ბედნიერებისა, თქვენ სჯით იმას, ვინც ნაქურდლისაკენ ხელს გაიწვდის, გამყიდველნი, გამაუპატიურებელნი.

მეცნიერებისა და ნათელი აზრის თქვენ კანონს იხმარიებთ მაშინ, როცა პატრონი თავის საქონელს მიაგნებს. და თავის უფლების აღდგენას მოინდომებს!.. ასი ათასი ენა რომ მქონდეს, ასი ათასი ენით შეგძახებთ მე თქვენ:

- ანათემა თქვენ, ანათემა, ანათემა!

ასი ათასი ენა რომ მქონდეს, ასი ათასი ენით შეგძახებდით მე თქვენ: - სიკვდილი თქვენ, მკვლელებო! ბრძოლა თქვენ, ქურდებო და ავაზაკებო!..

თქვენმა წრემ დაბადა და აღზარდა სიცრუე, ეს თქვენ გამოიგონეთ ეკლესია, რათა მიწიერი ქურდობა თქვენი ციური სიცრუით დაგეფარათ! ეს თქვენ შეჰქმენით სახელმწიფო და კანონები, რომ თქვენი დამნაშავე არსებობა დაგეცვათ, რომ თქვენი სიცოცხლე დღეგრძელ-

გეყოთ...

ასი ათასი ენა რომ მქონდეს, ასი ათასი ენით შეგძახებდით მე თქვენ: - გაფურთხებ, გაფურთხებ, გაფურთხებ თქვენ, ჭკუიანებო და გამოცდილებო, ბედნიერნო და კმაყოფილნო, ზიზღი და შეჩვენება თქვენ აწ და მარადის!..

ისევ თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, უჭკუონო და გამოუცდელნო, გაძარცულნო და შეურაცხყოფილნო!.. თქვენ, ვინც ვერაოდეს ვერ ისწავლით სხვის უბედურებაზე ბედნიერების აგებას, სხვისი ნაშრომით ცხოვრებას; თქვენ, ვინც შრომობთ და ნაშრომს გართმევენ, ვინც ოფლს ღვრით და მაინც გშიათ, ვისაც მღვდლები გიქადაგებთ მოთმინებას, მორჩილებას, მდიდრები -შრომას და ნაშრომის იმათ საკუჭნაოში დატოვებას, თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, მაღლა,

მაღლა ასწით დროშა ბრძოლისა და მედგრად, ამაყად შემოკრბით მის გარშემო. შემოჰკარით ზარს ბრძოლისკენ მომწვევს და დასძახეთ ქვეყანას გაბედულად და უშიშრად! დასძახეთ, ბიჭებო, ყიჟინა და მიესიეთ მტერს!.. ასწიეთ, მაღლა ასწიეთ დროშა ბრძოლისა, მოიწვიეთ ყველა უჭკუო და გამოუცდელი, ყველა ის, ვისაც მეხი ეტანება, ვინც მაღალია, დაუძახეთ ქვრივებსა და ობლებს, ჩაგრულთა და დატანჯულთ, ერთად შეაგუბეთ ცრემლი კაცობრიობისა, ქვითინი დედათა, ოფლი მუშაკთა და ოხვრა შეურაცხყოფილთა!.. შეჰკარით მჭიდრო წრე და ბედნიერების სახელით შემუსრეთ ნადიმი ბედნიერთა!.. ეს მაგათ გასჭედეს ბორკილი და ააგეს საპყრობილე! მაგათ აწოვეს ძუძუ ჯალათს და უმღერეს ნანინა, მაგათ აღმართეს სახრჩობელა და გასანთლეს ბაწარი, მაგათ შეურაცხყვეს ცხოვრება!.. ეს მაგათ გამოიგონეს უსაძაგლესი და უგარყვნილესი სიტყვა - მოთმინება!.. მაშ, მაღლა ასწით ბრძოლის დროშა, მედგრად, ამაყად

დასძახეთ სიმღერა ბრძოლისა და გასწით წინ!..

ვერა, ვერავითარი ჯალათი ვერ დაგიცავსთ თქვენ!.. ევედრეთ ღმერთს, ევედრეთ, რომ თქვენ მიერ დაყენებული მსაჯულებიდან მომავალმა მსაჯულებმა არ გადაიღონ სასჯელი დამნაშავეთა! ევედრეთ ღმერთს!

...მოდი, მოდი, ჩემო ძველო ოცნებავ, მოდი, მომიალერსე! შემიჯინე ზურგზე და შენი მსუბუქი ფრთებით მატარე ჩემს საყვარელ ქვეყანაში, დამანახე სიცოცხლე, მისი ხელჩართული ბრძოლა, შემრიე შიგ, შემაცურე იმის მორევში, მაცინე, მატირე, მტანჯე, დამატკბე!.. მოდი, მოდი, ჩამიკარ გულში, მომეალერსე!.. მიმღერე ძველებურად, მომაგონე მტერი და მოყვარე, ამიძგერე, ამიძგერე გული!.. მოდი, და მასწავლე სიკვდილი!..

რა, რა იქენი, სახრჩობელავ, ჯალათო! რად დაჰკარგე შენი

საშიშარი სახე, რად მიცქერი აგრე უფერული და უშინაარსო?.. და შენც, სიკვდილო, ნუთუ ასეთი სუსტი ხარ?.. რად ვეღარ მაშინებს შენი გულგრილი სახე, შენი ცივი ქშენა?.. ვერა, ვეღარ დამძლევ, ბებერო, ვეღარ! ამაყად, უშიშრად გიყურებ თვალებში, ამაყად, უშიშრად ავაბიჯებ ფეხს სკამზე!.. იცურავეთ სისხლში, იბანავეთ სისხლში მოძმეთა თქვენისა, დათვერით სისხლით, სანამ თქვენ მიერ დაღვრილ სისხლს არ დაუხრჩვიხართ თქვენ! ეარშიყეთ თქვენ ლამაზ ცოლებს, დატკბით თქვენი ნაქურდალი სიტკბოებით, სანამ უფრო ლამაზ არსებას - შურისძიებას - არ მოუმწყვდევიხართ მკლავებში. იმღერეთ, დაისვენეთ, იძინეთ ტკბილად, სანამ მედგარ ხმას, ბრძოლის ველზე მდგარ უჭკუოთა და უბედურთა, არ მოუღწევია თქვენამდე!.. იქადაგეთ მოთმინება ეკლესიიდან, იქადაგეთ მორჩილება და მონობა, სიმდაბლე და სიმშვიდე, აქციეთ ღმერთი დარაჯად თქვენი გარყვნილი არსებობისა, მოისყიდეთ ეკლესია და

სწავლულნი - ეცადეთ!.. და ევედრეთ ღმერთს, იმ ღმერთს, რომლითაც ამდენხანს ატყუებდით ქვეყნიერებას!..

მოდი, მოდი, ჩემო ძველო ოცნებავ! მოდი, მომეალერსე! მოდი, ამოძვერ გულიდან, ჩემო "მაქციერა" მოდი... ა-ა! გაწითლდი განა? დაგიჭირე... რად მიცქერ? გატყდი, რად გაწითლდი, სთქვი! სადა ხარ ეხლა შენ? ისეთივე ლამაზი ხარ, როგორც მაშინ?.. ვინ გიყვარს ეხლა შენ? გახსოვს "დანაშაულზე" რომ დაგიჭირეს?

ვერა, ვერ დამძლევ, ბებერო სიკვდილო, ვერ დამძლევ!..

დილა.

პროკურორი იყო და წინადადება მომცა - მიეცი თხოვნა სიკვდილი გაპატიონო. ზრდილობიანი უარით

გავისტუმრე ჩემი კეთილის მსურველი, რომელიც ისეთი დაჟინებით თხოულობდა ჩემს სიკვდილს, ჩემს სისხლს.

ბურჟუაზიულმა შარლატანებმა შეგაბრალონ თქვენ სიკვდილით დასასჯელნი, იმათ ითხოვონ მოწყალება! მე კი მოვკვდები, როგორც შეშვენის სიკვდილი დამარცხებულ მებრძოლს... "ჩვენ არ დაგზოგავთ თქვენ, ამიტომ არც თქვენგან ვთხოულობთ დაზოგვას!"... არა, ბურჟუაზიულმა შარლატანებმა სწერონ ლექსები და პოემები, იმათ სთხოვონ მოწყალება გამარჯვებულთ... ეს იმათი საქმეა - შეუნდევით დანაშაული, ნუ წაართმევთ ადამიანს სიცოცხლეს!.. იმათ აქციონ სიკვდილით სასჯელის გაუქმება ზნეობრივ საკითხად, მოწყალების გრძნობაზე ააშენონ თავიანთი მოთხოვნილება... ბურჟუაზიულმა შარლატანებმა იაზრონ და იმოქმედონ აგრე, მე კი მოვკვდები, როგორც დამარცხებული სოციალისტი... ჰე, ჯალათო, მზათაა კისერი...

2 საათი.

ყოველივე გათავდა, უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ჩემი დამცველის საჩივარი... იყო კაცი და აღარ არის კაცი! გაუმარჯოს სიკვდილს!.. აღელვებული იყო ჩემი დამცველი, როცა ეს მითხრა, ბაგე-ჩათეთრებული, ის ჩემი პირდაპირ შეხედვით კრთებოდა. სამჯერ გადამკოცნა და კიდევ მითხრა, - გულს ნუ გაიტეხო... გაუმარჯოს სიკვდილს!..

3 საათი.

შენი ჭირიმე, ბიჭო! ვოინოვმა ციხის უფროსი მოიხმო თავის კამერაში და როცა ის შევიდა, სახეში შემოჰკრა, ჩინები დაუგლიჯა და უთხრა: - ეს კოზმას სამაგიეროაო.

როცა მხლებლები გონს მოვიდნენ, საქმე გათავებული იყო, ვოინოვი კარცერში ზის...

შენი ჭირიმე, ბიჭო!

5 საათი.

- სპირიდონ! სპირიდონ!

- მესმის.

- მომილოცე, სიკვდილი ოცი წლის კატორღაზე შემიცვალეს მაგ ოხრებმა!

- მართალია? აკი გეუბნებოდი... მომილოცავს... მომილოცავს... ეხლა რავა ხარ გუნებაზე?

- ჯგირად! მხოლოდ მენატრება ერთი ჩვილი ყველი, “ჩხავრის” ღვინო, საღამოს პირად მწვადი და ახალი გამომცხვარი ცხელი კვერი... ლამაზი საცოლე კიდევ. აი, თუ გურიაში გნახე ოდესმე, დაგპატიჟებ ასეთ ქეიფზე... თანახმა ხარ?

- Еще бы!

- იცი? არც მე მჯეროდა, კაცო, რომ მართლა მომკლავდნენ... სპირიდონ, წაიღე ჩემი საათი სამახსოვროდ, მე სულ ერთია აღარ მაქვს ნება საათის ტარების, ვითარცა საკატორღოს... დამეკარგება სადმე...

- კარგი, შევინახავ ამნისტიამდე... შენ ფიქრი ნუ გაქვს, ოც წელიწადს კატორღაში არ დაგტოვებენ... პროლეტარიატი კარგად იყოს და თავისუფლებას ოხრად მოვიპოვებთ!..

- ცოცხლობდეს პროლეტარიატი! მე ეგებას გადამგზავნონ მეორე ციხეში, ხვალ მაინც აუცილებლად. ყოველ შემთხვევაში რომ დაგიძახო, ძაფი ჩამოუშვი და საათს გამოგიგზავნი.

- კარგი...

ერთ წუთში გაიგო სატუსაღომ, რომ მე სიკვდილი კატორღაზე შემიცვალეს.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო!.. გაიღვიძებთ ხვალ და მე აღარ ვიქნები. მშვიდობით!.

გაზეთებიდან: “გუშინ, დილის ხუთ საათზე, №-ის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ჯეირან ვარდოსანიძეს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, სისრულეში მოიყვანეს, - ვარდოსანიძე ჩამოახრჩვეს”...

1907 წ.

1 მოსე წინ-ელი. წიგნი მეოთხე “რიცხვთა”, თავი II, მუხლი II და შემდ.

1 აკაკი

აღსარება

(ესკიზი)

...წვიმა ნაღვლიანად შემომსისინებს, არემარე შავ ბურუსს მოუცავს, ქარი სევდის მომგვრელი ზუზუნით დაქრის ტიალ მინდორში, ხან გიჟური ხარხარით დაეტაკება მინდვრის ბოლოში გადმოყუდებულ ცხვირპირ დამსხვრეულ კლდეს, ხან დაჭრილი ადამიანის კვნესით გაეკვრება მინდორსა და ტირის, ტირის, და მე კი მგონია, რომ სადღაც შორს, ჩემი გულის ერთ-ერთ კუნჭულში ვიღაც უცნობი, მაგრამ ძალიან მახლობელი, უხილავი, მაგრამ მუდამ განუშორებელი ადამიანი მიმჯდარა იქ და მწარედ, მწარედ ქვითინებს-მეთქი, ხან შორდება ქალაქის განაპირას, მიდის შუა ქალაქში და იქ - "ჟესტის" სახურავზე გაწოლილი - სტვენს, საზარლად სტვენს.

მეგობარო! შენ სად ხარ ამ დროს? სწორედ ამ დროს, როცა წვიმა ასეთ ნაღვლიან ხმაზე მღერის თავის სიმღერას, როცა ქარის ღმუილი ჩემსავე გულში ჩამჯდარი ადამიანის ქვითინი მგონია. როცა არემარე ასეთი შავი ჯანღით არის მოცული, სწორედ ამ დროს მჭირიხარ მე შენ!

მაშ სადა ხარ, სადა, შენ, ჩემო მეგობარო?

ღამდება. შავებში გახვეულმა ღამემ გააკეთა წრე და ყოველი მხრით აწვება ჩემს ოთახს. ის მოდის, თანდათან უახლოვდება მას, კიდევ რამდენიმე წამი და ჩემი ოთახი უკუნეთ ბნელში ამოყოფს თავს. დაღამდება. ყველა ოთახებში გაიღიმებს მხიარული სინათლე. ოჯახი ბედნიერი თვალებით შეხედავს თბილ კერას, გუზგუზა ცეცხლი ტკაცუნით გამოეხმაურება ადამიანებს. ქმარი ალერსით ჩახედავს თავის ცოლს თვალებში, ცოლიც

თამამად გაუსწორებს მას თვალს და პაწია, უცოდველ ბავშვს გულში ჩაიკრავს - შეეშინდება, ქმარმა არ გამომტაცოს ხელიდან ეს ბედნიერებაო, ძუნწი რამ არის დედა! იმას ქმრისთვისაც კი შურს შვილის ალერსი, იმას არავინ უნდა მოზიარედ ამ საკუთრებაში... ეჰ, გაიყავით. გაიყავით, გეთაყვა, თქვენი სიმდიდრე, ნუ ხარბობ შენ, ბედნიერო დედავ, შვილი შენია, ვერავინ წაგართმევს! რა გენაღვლება მამაც მიეალერსოს თავის შვილს?.. შენ იმითაც ბედნიერი არა ხარ განა, რომ ერთხელაც რა არის, ერთხელაც არ მოგძულებია შენი შვილი, და მე კი ვიცი დედა, რომელსაც არა ერთხელ წამოცდენია მომაკვდინებელი ცოდვა:

- რა უბედურ დღეზე გამიჩნდი შენ!..

შენ ამბობ, ამის მთქმელი დედა ჩამოსახრჩობიაო. ეჰ, კეთილო ადამიანო, ასე უცბად ნუ გაასამართლებ

ადამიანს! განა იმას კი არ უყვარდა თავის შვილი? განა იმას კი არ უნდოდა ჩაეკრა ის გულში? განა იმას არ ჰგვრიდა ტანში ნეტარების ჟრუანტელს, როცა მისი პაწია თავის პაწაწკინტელა ხელებს მოუფათურებდა სახეზე? განა ის არ ჩაშტერებია თავის შვილს თვალებში, დიდხანს, ღრმად არ ჩაშტერებია? განა ამის შემდეგ არ დაკონებია ის თავის შვილს და მხურვალე კოცნით არ ამოუწმენდია იმის თვალები? ოღონდაც, რომ კი, ბედნიერო დედავ, მაგრამ... მაგრამ, როდესაც შენ მხურვალე კოცნით თვალებს წმენდ შენ შვილს, როცა შენ იმის ხელების ფათურზე ნეტარების ჟრუანტელი დაგივლის და თავ-დავიწყებით ჩაეკონები შენ შვილს, ამ დროს ნეტარების ღიმილი გიჭრის ბაგეზე, შენ დღესასწაულობ და ის კი სწორედ ამ დროს, ასეთ შემთხვევაში ტირის... ტირის დაკარგულ ქალწულობას, ტირის ადამიანის შეურაცხყოფას, ტირის შეგინებულ გრძნობას, შელახულ დედობას, ტირის რომ... ის უკანონო დედაა! თუ სადმე

ადამიანის ცრემლი იკრებს თავს, თუ სადმე შეურაცხყოფილთა და დამდაბლებულთა კვნესა არის შეგუბებული, - იქ ბედკრული დედაკაცის ცრემლსა და კვნესას საპატიო ალაგი ექნება დათმობილი, და თუ ოდესმე აივსო ეს "მოთმინების ზღვა", თუ ოდესმე გადმოლახა ის მაღალი კედელი, რომელსაც ადამიანის გულცივობას და გულქვაობას ეძახიან, მაშინ დააკვირდით, ვინც მოესწროთ ამ ბედნიერ დღეს - ერთ-ერთი იმ ძლიერ ნაკადულთაგანი, რომელიც იმ დროს გადმოხეთქავს, იქნება დედაკაცის ცრემლი, ის იქნება მდუღარე, რომელიც სხვა ნაკადულებთან შეერთებული ყველაფერს მოსწვავს დედამიწაზე და ნიადაგს მოუმზადებს ახალ ცხოვრებას... დიახ, დიდია, დიდი, უსამართლობის დანაშაული ქალის წინაშე!.. დიახ, უკანონო დედაა ის დედა, და მოიცა, კეთილო ადამიანო, უცბად ნუ ასამართლებ დამნაშავეს! კარგი მსაჯული მხოლოდ ის არის, ვინც ბრალდებულისთვის მეტ

გამამართლებელ საბუთებს ეძებს, და მე არ მინდა, რომ კარგი დედა ცუდი მსაჯული იყოს...

დიახ, დაღამდება... შეყვარებული ადამიანი აიღებს წმინდა ფოსტის ქაღალდს და ზედ ლამაზად გამოხატავს: “ჩემო ძვირფასო №, №!” ერთს დაფიქრდება: შეიძლება უფრო მეტის გამომხატველი სიტყვებით დავიწყოო. იფიქრებს, იფიქრებს და ისევ დატოვებს პირველ ფრაზას. ის მისწერს თავის სატრფოს წერილს, მხურვალე ალერსით სავსე წერილს, ჩადებს შიგ თავის გრძნობას, თავის სიყვარულს, თავის სულსა და გულს, აუწერს, თუ როგორ იტანჯება უიმისოდ, როგორ ჩაეკონება გულში, როცა შეხვდება, თუ რა მოუთმენლად მოელის იმ სანატრელ წამს, როცა ისინი... ეჰ, ვინ იცის, რამდენ სისულელეს დასწერს სიყვარულით გატაცებული ადამიანი!.. მე თუმცა არტისტი არა ვარ, მაგრამ ხანდახან ძალიან გამიტაცებს ხოლმე როლი. და აი, ამ სისულელის

წყალობით ერთ საღამოს, როცა, როგორც დღეს, წვიმა ნაღვლიანად შემომსისინებდა ფანჯარაში, როცა არემარე შავი ბურუსით იყო მოცული, როცა ქარი გულმოკლულად ზმუოდა არემარეში და მეგონა, რომ ის ჩემ გულში ჩამჯდარი, ვიღაც უცნობი, მაგრამ ძალიან მახლობელი, უხილავი, მაგრამ განუშორებელი ადამიანი ქვითინებს-მეთქი, ასეთ საღამოს უცბად ჩემი თავი წარმოვიდგინე შეყვარებულად, მივუჯექი სტოლს, რომელიც - დამჭირდებოდა, საწერი სტოლის მაგიერობას მისრულებდა, დამჭირდებოდა - საჭმელისას და ღამ-ღამობით კიდევაც ვწვებოდი ზედ, მივუჯექი ამ სტოლსა და ერთ ნაცნობ ქალიშვილს მივწერე მხურვალე წერილი. არა, კვეხნად ნუ ჩამომართმევთ და ბევრი ვერ დასწერს ასეთ წერილს, ეს ნამდვილი პოემა იყო, მაგრამ თურმე უმთავრესი გამომრჩენოდა, დამვიწყებოდა იმის მიწერა, ბლომად მიჩხრიალებს თუ არა ჯიბეში გროშები, და ამის გამო ღირსეული პასუხიც მივიღე:

- როგორ ბედავ, შე ბრიყვო! - აი სიტყვა-სიტყვით პასუხი ჩემს წერილზე.

ეჰ, მართლაც რომ ბრიყვი ვარ, - აქ რა მოსატანი იყო ეს სულელური ამბავი!

ჰო, დაღამდება... შეყვარებული გაათავებს წერას, ჩადებს კონვერტში, დააწერს ადრესს და თვალებ-მიბნედილი დიდხანს, დიდხანს დარჩება ერთ მდგომარეობაში. არც რამეს ფიქრობს, არც რამეს გრძნობს. არ ესმის, რომ წვიმა ისე სევდიანად სისინებს, თითქოს შემოსვლას იხვეწებოდეს, არ ესმის ქარის ზუზუნი და არც ჰგონია ის მის გულში ჩამჯდარი ადამიანის ქვითინი! ბედნიერი შეყვარებული!..

იმას სრულიადაც არ ახსოვს ეხლა, რომ გარეთ, ამ

სიბნელეში, ამ ცივ დარში, ერთი ფარაჯაში გახვეული ბებერი დადის და დროგამოშვებით თავის მსხვილ-თავიან ჯოხს არაკუნებს ქვა-ფენილზე... არაკუნებს და თვის ბოლოს გაელება კარები, იმას მისცემენ რვა მანეთ-ნახვარს კაკუნისთვის...

არა, არ შემცდარა ის ჩემი "სატრფო", მართლაც რომ ბრიყვი ვარ, აბა ერთი მითხარით, რა ედარდება ბედნიერ შეყვარებულს, რომ ქუჩაზე ვიღაცა ბებერი აკაკუნებს!

დაღამდება... ყველა ცდილობს შეძლებისდაგვარად ბედნიერად იგრძნოს თავი, ყველა ცდილობს რაიმე ამბებით გაართონ, დაამშვიდონ ნერვები, ბებია ათასნაირად აუწერს შვილი-შვილებს ნაცარქექიას ეშმაკობას და მეც ვცდილობ, მეც მინდა რაღაც...

მეგობარო, შენ სადა ხარ ამ დროს?

მეც კაცი ვარ, ღმერთმანი! მეც ისეთივე ხელები მასხია, როგორც სხვებს, მეც ისევე ვლაპარაკობ და დავდივარ, როგორც სხვები. ამიტომ მეც, როგორც სხვებს, ხანდახან მომინდება ხოლმე, რომ შეყვარებული ვიყო, ვიჯდე სადმე ბაღის ბნელ კუნჭულში, გვერდში ვინმე ნაზი არსება მყავდეს, მეალერსებოდეს, მეტიტინებოდეს სხვადასხვა სისულელეს, სხვადასხვა არ არსებულ საგანზე, რომლებიც ისე ბლომად ფუსფუსებენ შეყვარებულების ბედნიერ თავში... მეც მინდა მყავდეს მეგობარი, ერთგული საიმედო მეგობარი, აი ისეთი, რომელიც, როცა წვიმა შემომსისინებს ნაღვლიან სიმღერას, როცა არე-მარე შავ ბურუსშია გახვეული, როცა ტიალ მინდორში ქარი ღმუის და მე კი მგონია, რომ ჩემ გულში ჩამჯდარა ვიღაც და მწარედ, მწარედ ქვითინებს- მეთქი, - რომელიც ამ დროს მოვა ჩემთან, მხარზე ხელს ჩამომადებს, გამამხნევებს და მეტყვის:

- მეგობარო, ეს წვიმა, ეს ქარი დროებითია! გამოვა დარი... იმედი და სულ იმედიო!

დიახ, მეც კაცი ვარ, ღმერთმანი!.. მაშასადამე, მეცა მაქვს გრძნობა, - წინააღმდეგ ჩემ ნაცნობთა და ნათესავთა, მე საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ მეცა მაქვს დარდი და მერე რა დიდი დარდი!..

როცა ერთმა ჩვენმა დიპლომიანმა მეზობელმა თავის განათლებულ გონებაში განსხვავება ვერ ნახა თავის ცოლის ზურგსა და "დარაბანდს" შორის და დილიდან საღამომდე ყური გამოგვიჭედა ამ ახირებული "დარაბანდის" ხმით, მთხოვეს:

- შენ მაინც არაფერი დარდი გაქვს, კაცო, დაგითხოვენ ალაგიდან თუ არა - შენთვის სულ ერთია, ცოლი არ

გაწუხებს და შვილი, მაშ მოდი და დასწერე რამე ამის შესახებო!

მე დავამტკიცე, რომ ეს არ იყო ჩემთვის სულ ერთი. მკითხველმა იცის, რომ არაფერი დამიწერია და არც დავწერ, არც დავწერ... ის ექიმია, იმას უმაღლესი სასწავლებელი გაუთავებია, ის ცოლს სცემს, ის გავლენიანი კაცია, ის მომერევა, არა, არ დავწერ, არ დავწერ... დაე, სცემოს თავის ცოლს, დაე, მთელი ღამეები გამიტეხოს საცოდავი ქალის ქვითინმა, დაე, იყვიროს ბატონმა დიპლომიანმა, მე არ დავწერ, არ დავწერ!.. სრულიადაც არ მინდა ამ ჩაზამთრებაზე გამიძახონ კარში! დაე, რაც უნდა ქნას მის ოჯახში, ის თავის სამფლობელოშია, თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ეს უფლება მას კანონმა მიანიჭა, მე არ მინდა შევეხო უფლებას!

თქვენ მხდალნი ხართ, თქვენ ყველაფერი გაშინებთ, თქვენ გეზიზღებათ მისი საქციელი, მაგრამ მაინც გინდათ მისი ხელის ჩამორთმევა, იმიტომ რომ ის ექიმია, ის დიპლომიანი, გავლენიანი კაცია... და ისიც გინდათ, რომ სხვისი ხელით ნარი მოგლიჯოთ!.. თქვენ, ბატონებო, კურდღლები ხართ, რომელთაც წყალში გადამხტარი ბაყაყიც კი აგიტეხთ გულის კანკალს და მე კი მაქეზებთ, - არა, არ დავწერ, არაფერსაც არ დავწერ!..

“დაწერე, დაწერე”!.. მიბრძანდით და დაწერეთ, თუ ასე გაღელვებთ უსამართლობა! ალიას დარდი ფლავიაო და ალიასაც ფლავი უნდა მოენახა, თუ ის შეადგენდა იმის სადარდელს... ჩემი დარდი ეხლა ჩემი ოც-მანეთიანი ალაგია და იმისთვის ვწუხვარ... ჰო, ხომ დავამტკიცე, რომ მეც მქონია დარდი? იმედია, შემდეგში აღარ გაიმეორებთ მაინც მაგას. ხომ ხედავთ, რა ნაღვლიანად სისინებს წვიმა; ხომ ხედავთ, რა გულსაკლავად ზმუის ქარი ტიალ

მინდორში?.. ეს მე მაფრთხილებენ:

- არ შეცდე, ალაგი არ შესწირო, თორემ ჩვენი კერძი შეიქნებიო!..

არა, არ დავწერ, არაფერსაც არ დავწერ!..

ჰო, მეც კაცი ვარ, ღმერთმანი!.. და მეც მინდა, რომ ალაგი შემრჩეს, არ დამეკარგოს, მეც მინდა ვიცოცხლო და ვიარო ამ ქვეყანაზე, მინდა ჩავყლაპო წმინდა ჰაერი, მინდა ლოგინზე დავწვე და სტოლი გავანთავისუფლო. დიახ, მინდა და კიდეც მივაღწევ ამ მიზანს. დღეს არაფერს დავწერ ბატონ ექიმზე, ხვალ გავუჩუმდები საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ფულს უგალობს ჰიმნს, ზეგ იუდა ისკარიოტელს ვეტყვი "რეჩს", დავლევ იმის სადღეგრძელოს და შიგ შუა ტუჩებში ვაკოცებ. მეც თქვენსავით მოვიქცევი, მეც თქვენსავით ვივლი და აღარ

მომაქცევენ ყურადღებას? დიახ, ასე მოვიქცევი, ვინაიდან ადამიანს სჭირია სიცოცხლე, სჭირია სასუნთქავი ჰაერი, სჭირია ჭამა-სმა...

მეგობარო, შენ სადა ხარ ამ დროს? რატომ არ გამამხნევებ, რატომ არ შემომიდგები მხარში, რატომ არ შემიმსუბუქებ მძიმე ტვირთს, რომელიც ვიკისრე?.. რატომ, ჩემო მეგობარო, რატომ? განა ამ გზაზე შემდგართ არა ჰყავთ უთვალავი მეგობრები? მაშ, რატომ მე გგონივართ გამონაკლისი? რატომ მე შევადგენ გამონაკლისს?

წვიმა ნაღვლიანად შემომსისინებს, არემარე შავ ბურუსს მოუცავს, ქარი სევდის მომგვრელ ზუზუნით დაქრის ტიალ მინდორში, ხან გიჟური ხარხარით დაეტაკება მინდვრის ბოლოში გადმოყუდებულ ცხვირ-პირ დამტვრეულ კლდეს, ხან დაჭრილ ადამიანის კვნესით გაეკვრება მინდორსა და ტირის, და მე კი მგონია, რომ

სადღაც შორს, ჩემი გულის ერთ-ერთ კუნჭულში, ვიღაც უცნობი, მაგრამ ჩემი ძალიან მახლობელი, უხილავი, მაგრამ მუდამ განუშორებელი ადამიანი მიმჯდარა და მწარედ, მწარედ ქვითინებს-მეთქი.

მეგობარო! შენ სად ხარ ამ დროს?

1902 წ.

უსათაურო

И что я поддельной болью считал,
Та боль оказалась живая…

ჰაინე

...ერთბაშად, უეცრად დაბნელდა.

ან და შეიძლება ყურადღება არ მიმიქცევია, თუ როგორ თანდათან იკუმშებოდნენ ზეცაში მსუქანი, ტყვიისფერი ღრუბლები, როგორ აწვებოდნენ თავზე ქალაქს.

შევხედე ზეცას - ელვამ დაჰკრა. ცეცხლის გველივით, კლაკვნით გაირბინა მან ღრუბლებში და ელვასთან

ერთად გაისმა მკვახე ჭექა, რომელიც დაბოლოს ხარხარს, საშინელ ხარხარს უჩინარ, მაგრამ უკმეხ არსებისას დაემსგავსა.

- ხე! ხე! ხე! ხე! - მომესმა მე, მკერდში გული მოიკუმშა, რაღაც ეტკინა მას.

- ხე! ხე! ხე!..

- ...ეჰ, ყველაფერი ეს დიდიხნის ამბავია. ეხლა გაზაფხულია, მშვენიერი ბრჭყვიალა გაზაფხულის დილის მზე ისე უღიმის დედამიწას, როგორც დედის კალთაში ჩაგორებული, გამაძღარი ჯანსაღი ბავშვი დედამისს. ეხლა გაზაფხულია და ყველაფერი ისეა მორთული, როგორც გაზაფხულს შეშვენის.

და ჩვენი მტკვარი, ჩვეულებრივ ისეთი დინჯი და

ჭკუადამჯდარი, როგორც ჩაფიქრებული ტეტია, ეხლა თითქოს დამთვრალიყოს, ხმაურობს, ჰყვირის, მიჰქრის აქაფებული და მიაჩქარებს ამღვრეულ ზვირთებს შორეულ კასპიისაკენ. მე კი ვზივარ სატუსაღოში და ვწერ ამ სტრიქონებს. ვაღვიძებ მოგონებას მხოლოდ იმიტომ, რომ მსურს რაიმე საშუალებით გავშორდე ამ გაზაფხულს, არ გავიგონო იმისი ძახილი, იმისი ჯადოსნური სიმღერა... მე ხომ არ შემიძლია ამ ძახილს გამოვეხმაურო, ამ პატიჟზე გავიდე და დავტკბე, გულში ჩავეკრა მრავალხმოვან, მრავალფეროვან, მრავალსახოვან მშობელ გაზაფხულს მშობელი ქვეყნისას. არ შემიძლია ეს, ასეთი კანონი არ არსებობს... გაზაფხული კი მეძახის, მეძახის, მეპატიჟება - საჭიროა არ გავიგონო ყოველივე ეს, ჩემთვის აგრე სჯობია...

და აი მაგონდება მე ერთი დღე, როცა უცებ დაბნელდა, დაჰკრა ელვამ და მსხვილი, შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

მაშინ მე ფანჯარასთან ვიდექი და გული მეკუმშებოდა, გულს სტკივოდა რაღაცა. წვიმა კი სცემდა ჩემი ბინის სახურავს, საფანტივით ჰგორავდა ზედ და ერთობოდა.

და ჩემთან მაშინ იმ ბინაზე ცხოვრობდა კიდევ ხვარამზე - ჩემი ცოლი, მაგრამ იმ დროს ის სახლში არ იყო. და ვინ იცის, შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ ის არ იყო სახლში, სწორედ იმიტომ მახსოვს ეს წამი ჩემი ცხოვრებისა. როცა უცებ, ზაფხულის დღეს, დაჰკრავს ცუდი ამინდი, გულში განსაკუთრებით იღვიძებს ობლური ტკივილი მარტოობისა, მძიმე და ცივი გრძნობა...

მეზარება წერა.

საზოგადოდ ყველაფერი მეზარება, არა თუ წერა. ჰო, სულო ცოდვილო, იმ ფანჯარასთან მისვლა კი მინდა, იმ აყვავებული ბაღისკენ ცქერა, ჩემი ფანჯრიდან რომ

მოჩანს. მაგრამ ეს როდია კარგი. ჩემს თავს მე ძალიან კარგად ვიცნობ. მე მომინდება გარეთ გასვლა, გასეირნება. ჩემი ოთახი კი გარედან არის დაკეტილი, ჩემი ფანჯარა რკინის მავთულებით არის გადაბანდული - ვერ გაძვრები შიგ, ვერა. მე ტუსაღი ვარ და გასაღები ჩემი ოთახისა სხვას უდევს ჯიბეში.

მე ხ-ო-მ ტ-უ-ს-ა-ღ-ი ვ-ა-რ! ნუ დაგავიწყდება ეს, ტუტუცო ჩემო თავო!

დიდხანს ვუცქირე სარკეში ჩემს სახეს და ყველაზე უფრო ჩემი თვალების გამომეტყველებამ გამაოცა. ეს სიობლე, რომელიც ჩემს თვალებში მოჩანს, ეს სევდა, ეს სევდა!..

...მეზარება წერა.

ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს თამბაქო ავაბოლო.

...ერთხელ ვუამბობდი მე ხვარამზეს რაღაცას, ჩემის აზრით მეტისმეტად საჭიროსა და საყურადღებოს.

საზოგადოდ, ანუ როგორც გურიაში იტყვიან, ანაგებად, ის დიდი ყურადღებით მისმენდა ხოლმე. ამასთანავე იმან იცოდა რაღაც განსაკუთრებულად ყურის გდება, ისე როგორც მხოლოდ ჭკუიანი, მოაზრე ადამიანი ისმენს ნაამბობს. და ხშირად მე განგებ დავუწყებდი ხოლმე იმას ლაპარაკს, რათა დამენახა, თუ როგორ მისმენდა ის, როგორ სდუმდა და როგორ მისმენდა.

მაგრამ იმ დღეს კი შევნიშნე, რომ იმას არაფერი არ ესმის იმისი, რასაც მე ვეუბნებოდი, რომ ის ფიქრობდა რაღაცა თავისას და ჩემგან შორს იყო. ან და შეიძლება არაფერზეც არ ფიქრობდა სრულიად, ასეც ხომ შეიძლება! იჯდა ის უმოძრავოდ, წყნარად და მისი თვალები კი, ეს შავი და

ღრმა თვალები სადღაც მიმალულიყვნენ, მიმქრალიყვნენ თითქოს. გეგონებოდა ეს თვალები შორს, შორს სადმე იცქირებიანო და ამასთანავე თითქოს არსად არ იცქირებიან, არამედ გაშტერებით შესცქერიან ერთ წერტილს - ვერაფერს კი ვერ ხედავენ და ვერ გრძნობენო, ისე, როგორც ვერაფერს ვერ ხედავდა და ვერ გრძნობდა თვითონ პატრონი ამ თვალებისა, თვითონ ხვარამზე. ბაგე იმისი სანახევროდ ღია იყო და ამ ღია ბაგეში მოჩანდა მისი თოვლისფერი, მშვენიერი კბილები; ცალი ხელი ედო მას მუხლებზე, მეორე კი ძირს დაეშვა... ჩაცმული იყო ჩვეულებრივ სუფთად, უბრალოდ და ლამაზად... აბ, მაგონდება, მას ეცვა თეთრი ტილოს ტანსაცმელი... და ისეთი ნაზი და მიმტაცი იყო ის...

მოითმინეთ. მე მსურს მოვიგონო ის სავსებით. ის დგას ჩემს წინ ცოცხალი, ჯანმრთელი... და დამიჯერებთ თუ არა - მე ის როდი მახსოვს, მე ის ვერ მომიგონია. ის დგას

ჩემს წინაშე ცოცხალი, მე იმას ვხედავ და მაინც თითქოს ის არ მახსოვს მე. ეს ასეა. საკვირველია, მაგრამ მაინც ასეა ეს. და მგონია აგრეთვე მე, რომ ეს ასეც უნდა იყოს, როცა გიყვარს. მიხვდით, რა მინდა ვთქვა? ახ, რასაკვირველია, არა. მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რაც ვთქვი, მე ვამბობ - ეს ასეც უნდა იყოს-მეთქი. თუ მართლა გიყვარს, თუ გიყვარს ღრმად, ძლიერად, თავდავიწყებით, ეს ასეც უნდა იყოს-მეთქი, ვიმეორებ მე.

ჰოდა იმას არ ესმოდა, რასაც მე ვუამბობდი.

- ხვარამზე, შენ გესმის რაზე გესაუბრები?

ხვარამზემ შემომხედა.

- გამოტყდი, თუ იმდენი მოქალაქობრივი გაბედულება შეგრჩენია, ხომ არ გესმოდა რას გეუბნებოდი?

- აბ, ღმერთმანი... ეს რა მომდის... აბა განაგრძე, ვანო... მაპატიე...

ის შემკრთალი მიცქერის და თმას ისწორებს... და შემდეგ ისევ მიდის საკუთარ ფიქრებში. ან და არაფერზეც არ ფიქრობს, კარგად არ ვიცი.

გული შემეკუმშა, მეწყინა და მეტკინა.

ერთხელ შუაგულ ძილში გამომეღვიძა. და ვიგრძენი მე ჩვეულებრივი სიხარული იმ აუცილებელ შეგნებაზე, რომ ის, ვინაც მიყვარდა, რომ ხვარამზე იმყოფება ჩემს გვერდით. სრული სამი წელი ვცხოვრობდით ჩვენ ერთად და მიუხედავად ამისა მაინც ვერ შევჩვეოდი მე იმ აზრს, რომ მე და ის ერთად ვცხოვრობდით, რომ მე და იმას ერთმანეთი გვიყვარდა, ან და უფრო სწორედ რომ ვთქვა,

რომ იმას, ხვარამზეს, მე ვუყვარდი. და ყოველთვის, როცა ჩვენ მარტონი ვრჩებოდით, მე გადავუწევდი იმას კისერს, ჩავხედავდი თვალებში და ვეტყოდი, ვკითხავდი:

- ხვარამზე, ნუთუ შენ ხარ ეს?..

და ხვარამზემ იცოდა, რომ ეს არ იყო უბრალო, უქმი კითხვა, იცოდა, რომ ამ კითხვაში ისმოდა ჩემი უსაზღვრო სიყვარული მისდამი, შეგნება იმ დიდი ბედნიერებისა, რომელსაც მისი სიყვარული მაძლევდა... ყოველთვის ვგრძნობდი მე სიხარულთან ერთად შიშსაც, - იმ შერეულ განცდას, რომელიც შეიპყრობს ნამდვილ შეყვარებულს მისი სიყვარულის პირველ დღეს...

და აი, გამეღვიძა მე ერთხელ ღამით, წამსვე მომაგონდა, რომ ხვარამზე იმყოფებოდა ჩემს გვერდით და სიხარულით გავწიე იმისკენ ხელი, რომ გადამესვა იმის

სახეზე, მივალერსებოდი...

და აი, ამ წუთიდან, ამ ღამის შემდეგ მტკივა მე გული, მაშინ ვიგრძენი მე საშინელი ტკივილი გულში, ვიღაცამ მწვავედ, მწვავედ მიკბინა მაშინ და ეს იარა აღარ მრთელდება, არ ჰქრება მას შემდეგ. და მტკივა მე გული მას შემდეგ, რაც ხელი გავუწოდე მას, რათა სახეზე გადამესვა და დავრწმუნდი კი, რომ ის ტიროდა.

დიახ, ის ტიროდა.

და ეს კი მეტისმეტად ძნელია, მეტისმეტად მძიმეა, როცა საყვარელი არსება ტირის. და თუ ამასთანავე ის ტირის ისე, რომ ცდილობს - შენ არ დაგანახოს თავისი ცრემლები და მწუხარება, ეს არა თუ მძიმეა, არამედ უსასტიკესი სატანჯველიც არის... წარმოიდგინეთ, თქვენ არხეინად გძინავთ და ის კი... ის კი, ვინც გიყვართ, ვისი სიახლოვეც

ძილს და მოსვენებას გიამებთ, ის ტირის ჩუმად, იმას ვერ უამებს სევდას თქვენი სიახლოვე... კაცნი ვართ, ამაში შეურაცხყოფასაც იგრძნობთ!

ხვარამზე, ეს რა ამბავია, ა? - როგორც იქნა მოვიბრუნე მე ენა.

არაფერია... არაფერია! სიზმარი ვნახე რაღაც ცუდი... ძილში თურმე ავტირებულვარ... - ფურჩულით დამიწყო მან ლაპარაკი, მომიახლოვდა, მომეკრა, ცრემლებმა კი მისი თვალებიდან, ვიგრძნე, იმატეს დენა.

ყველაფერი სიზმრის ბრალია... - და ის აქვითინდა.

ვერავითარი ნუგეშის სიტყვა ვერ ვიპოვე მე ვერც მაშინ, ვერც მეორე დღეს, მე შემეშინა ამ ცრემლების - ესე იგი იმ გრძნობათა შორის, რომლებიც ამ ცრემლებმა გამოიწვიეს,

შიში ყველაზე უფრო ძლიერი გრძნობა იყო. და მე მეშინოდა მელაპარაკა, მეფიქრა ამის შესახებ. მხოლოდ ამ ღამის შემდეგ კი მტკივა მე გული. ისე, სრულიად მოულოდნელად წამომეპარება გულში ვიღაცა და დამიწყებს კბენას... ექიმები კი ამბობენ, რომ ეს ნერვების ბრალიაო, რომ თითქოს სისხლი ნაკლები მქონდეს, რომელსაც თუ დროზე არ შევებრძოლე, ცუდი შედეგები შეიძლება მოყვესო, რომ საჭიროა მე დავმშვიდდე და დავისვენო... და მაიძულებენ მივიღო რაღაც წამლები, რომელთაც მე, რა თქმა უნდა, არ ვღებულობ. ვერაოდეს, ვერაოდეს ვერ მიხვდებიან ეს კეთილი, მაგრამ ბრიყვი კაცები, რომ სნეული ვარ მე იმ ჭრილობით, რომელიც შიგ გულში მომცა ერთმა გარემოებამ, ერთხელ ღამით, მაშინ, როცა გამოვიღვიძე, და დავრწმუნდი იმაში, რომ ხვარამზე ტიროდა...

საინტერესო კია ვიცოდე, რას ვაკეთებ ეხლა მე, როცა

ვსწერ! ჩემი ბედნიერების ისტორიას ვსწერ განა?

ხვარამზეს შესახებ ვსწერ განა?

არა, რა თქმა უნდა, არა! განა შეიძლება ასწერო ის ბედნიერება, რომელიც გაჰქრა, წავიდა? ან და შეიძლება ასწერო ის უბედურება, რომელიც მხრებზე გაწევს?

ყოვლად შეუძლებელია ეს!

ვსწერ კი რაღაცას. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მსურს მე დავივიწყო, გარეთ რომ გაზაფხულია, რომ მტკვარი მთვრალია და გიჟი, მსურს დავივიწყო ყველაფერი და ისიც, რომ ხანდახან მგონია თითქოს მტკვარი სდის არა იქ, სადაც სდის, არამედ ამ ჩემს ძარღვებში...

აი, რაშია საქმე!

...ჰო, მართლა მომაგონდა.

აი, რა ვუთხარი ხვარამზეს მე, როცა შევატყვე რომ ყურს არ მიგდებდა. მე ავიღე მისი ხელი ჩემსაში, მივიტანე ის ტუჩებთან და ვაკოცე.

ხვარამზე, მითხარი, რაშია საქმე? შენ იტანჯები, თუმცა გინდა დაფარო ეს შენი ტანჯვა. განა ეს კარგია, ხვარამზე? როდის იყო, რომ მე და შენ ერთმანეთს რაიმეს ვუფარავდით?

და კიდევ ვაკოცე მას ხელზე. და კიდევ ვიგრძენი გულში ტკივილი, ტკივილი ვიგრძენი იმის გამო, რომ არაოდეს წინეთ, არაოდეს არ მოუცია იმას ჩემთვის ნება ხელზე მეკოცნა. და ამ წვრილმანმა საშინლად გამაოცა, - შემაშინა

მე.

- ხვარამზე, რა მოგდის?

მან ნელა გაითავისუფლა ხელი, შემდეგ მომხვია კისერში ის და შემომაცქერდა თვალებში. და უცებ იმის თვალებიდან ცრემლებმა იწყეს დენა...

ეს რაღაა? - მხოლოდ ვკითხე მას და ვიგრძენი, თუ როგორ გამირბინა ტანში ცივმა ჟრუანტელმა.

არ ვიცი... არაფერი არ ვიცი!.. ეს ოხერი სევდა... არაფერი არ ვიცი, ვანო... ნუ მეკითხები... - და ის აქვითინდა.

ხვარამზე, შენ აღარ გიყვარვარ.

სუ! სუ-მეთქი! - შეშინებული ხმით შემომძახა მან და

კიდევ გაიმეორა: - სუ! სუ! არ გაბედო ამაზე ლაპარაკი.

მეც გავჩუმდი. ღირდა კი ამაზე ლაპარაკი? იმან თვითონაც იქნებ არ იცოდა, რაში იყო საქმე, და არა ნაკლებ, ვიდრე მე, ეშინოდა იმ გრძნობის სიკვდილისა, რომელიც იმაში კვდებოდა.

შემდეგ დიდხანს ვიჯექით ჩვენ გადახვეულნი უმოძრავოდ, უსიტყვოდ...

მეტად არ გამაგონო რაიმე მსგავსი, გესმის თუ არა? - მითხრა დაბოლოს მან.

რა სულელი რამ ხარ... განა შეგიყვარებს შენ ოდესმე ვინმე ისე, როგორც მე? არავინ, გესმის, არავინ! და შენ არ გაბედო ამის შესახებ ფიქრი...

დაიხურა ჩალის თეთრი ქუდი და გამოვიდა. მაგრამ რამდენიმე წუთს შემდეგ ისევ დაბრუნდა უკან, გაჩერდა კარებში, გამიღიმა და შემდეგ გამოწვდილი ხელებით მოვიდა ჩემთან.

ამხანაგო ვანო, ნახვამდის!

მაგრად, ორივე ხელებით ჩამომართვა ხელი და გაიქცა...

მე რედაქციაში მქონდა საქმე, შემდეგ კი მუშებთან უნდა წავსულიყავი, არსად კი არ წავსულვარ. წამოვწევი გულაღმა და დავიწყე ფიქრი. მაგრამ ფიქრი ჩემი როგორღაც დნებოდა და ჰქრებოდა და მე ისე ვეგდე უფიქროთა და შეუგნებლად თითქოს. მხოლოდ ხანდახან ვგრძნობდი ტკივილს, ჩლუნგ ტკივილს მკერდში და რაღაც სიმძიმეს. მაგრამ მე არ მახსოვდა, მე არ ვიცოდი საიდან იყო ყველაფერი ეს. ასეთ რაიმეს განიცდის,

ალბათ, დედა, რომელსაც შვილი მოუკვდა და რომელსაც მრავალი უძილო ღამეების შემდეგ, დაბოლოს დაეძინა. ის ძილშიც ტირის, ძილშიც გულზე აწევს იმას დიდი დარდი და მწუხარება, მაგრამ სანამ სძინავს, მას მაინც არ ახსოვს, რომ იმისი საყვარელი შვილი მოკვდა...

შემდეგ მე ავდექი და ფანჯარასთან მივედი.

და უცებ, ერთბაშად დაბნელდა.

შევხედე ზეცას - დაჰკრა ელვამ და ელვასთან ერთად დასჭექა, მსხვილი, მხიარული წვიმა შხაპუნით წამოვიდა, დაიფშვნა ქვაფენილზე და შემდეგ, პატარ-პატარა მდინარეებად ქცეული, ცელქად ათამაშდა... ზევიდან კი ვიღაც დასცქეროდა ქალაქს, დამცქეროდა მე, სცემდა ბოლთას ღრუბლებში, ათამაშებდა ხელში ცეცხლის მათრახს და ხარხარებდა:

- ხე! ხე! ხე! ხე!

სევდა-დარდისაგან გული დაიკუმშა. და კიდევ შიშისაგან.

მე ხომ მიყვარდა ხვარამზე. და იმასაც მე ვუყვარდი ხომ!

და ვუყვარდე უნდა, უნდა ვუყვარდე, დიახ!

- ხე! ხე! ხე!

გული ამტკივდა.

როგორც გენებოთ, და იმ სამი წლის წინეთ როდი შემყვარებია მე ის, მაშინ როდი შემყვარებია, როცა იმას პირველად გადავეყარე სურამში, ზაფხულზე. არა, მე ის

მიყვარდა მუდამ, ჩემი არსებობის პირველ დღიდანვე. და თუ იყო ისეთი დრო, რომ მე წინეთაც ვცხოვრობდი ოდესმე, მაშინ, ალბათ, მიყვარდა ის და სხვა არავინ - მე ეგ აგრე მჯერა. დიახ, მე არ ვიცი - როდის არ მიყვარდა ის. და შევხვდი კი, გავეცანი მას იმ სამი წლის წინეთ. და დავინახე თუ არა ის, იმ წუთშივე ათამაშდა სიხარულით ჩემს მკერდში გული, ათამაშდა და იწყო კაკუნი:

- ის არის, ის! ის არის, ის!

რასაკვირველია, ეს ქალი იყო ის, ვინც მე მიყვარდა, ვისაც მე დავეძებდი, ვინც მუდამ მენატრებოდა. და ეხლა გადავეყარე იმას -მადლობა ღმერთს. და რა გასაკვირია, რომ პირველივე სიტყვიდან, პირველივე შეხვედრიდან ჩვენ, თითქოს დიდიხნის ნაცნობები და მეგობრები ვყოფილიყავით, ისე კარგად ვიგრძენით თავი ერთმანეთთან... დიახ, ეს იყო სწორედ ის, ვისაც მე

დავეძებდი, ვინც მუდამ მენატრებოდა, ვინც მუდამ მიყვარდა.

- რა გიხარია, ბიჭო, შე ვირის თავო, რომ ასე ხტი და არ მასვენებ? - მეკითხებოდა იმ საღამოს ამხანაგი.

- ურა! მთა მთას არა შეხვდება, თორემ ადამიანი ადამიანს ყოველთვის.

- შენ, რა თქმა უნდა, ვინმე შეგიყვარდებოდა.

- სულელი ხარ, ბიძი, შენ, კი არავინ შემყვარებია... იმას გადავეყარე, ვინც მიყვარდა.

- უბედური, ვინც შენ გიყვარდა და გიყვარს... ვინ არის ის მზეთუნახავი?

- როგორ თუ ვინ არის?

- ესე იგი მანდილოსანია ის, თუ ქალწული?

- რა თქმა უნდა, ქალწულია.

- მაშ, აი ჩემი რჩევა, გაიხადე ტანზე, დაწევი და დაიძინე, იმ პირობით კი, რომ ხვალ ეს სისულელე თავიდან ამოიგდო.

- ეს რატომ ვითომ?

- იმიტომ რომ... ასე სჯობია... ქმრიანი ქალის შესახებ კიდევ ჰო... შეიძლება... ქმრიანი ქალი კიდევ შეიძლება რაიმე იმედს იძლეოდეს. მოწყენილობის გამო, ან და იმიტომ, რომ სამარის კარამდე საყვარელმა ქმარმა ჭირივით მოაბეზრა თავი, მაგრამ ქალიშვილი ქალი,

რომელსაც ჩიტი უფრინავს გუნებაში, თუ ამასთან ის ლამაზიც არის...

- ფუ, რა ცინიკი ვინმე ხარ!

- არა, შენ მოიცა... აბა კარგად დაფიქრდი, რად უნდა შეგიყვაროს შენ ქალიშვილმა, თუ ის, რა თქმა უნდა, ბრმა არ არის, ან და ყრუ-მუნჯი.

- ფუ!

- აბა რით უნდა მოხიბლო ის? სიმდიდრით? საზოგადოებრივი მდგომარეობით? სილამაზით?

- განა მე ვთქვი რამ ასეთი?

- აი, ტუტუცი! შენ ერთიან ხბოს დაემსგავსე. ნეტა

ვიცოდე, რა გაჩტუნებს, რა გიტაცებს აგრე? ის ჩვენია? წევრია ჩვენი წრის?

- რა ვიცი მე!

- ასე გასინჯე, ისიც კი არ იცი, რა სარწმუნოების არის ის... და კიდევ იტყვის, რომ ყველაფერი ეს "ფიზიოლაგია" როდი არისო?

ამას მან კიდევ უფრო ცინიკური დაუმატა, რამაც მოთმინებიდან გამომიყვანა.

- ფიზიოლოგიაც კი ხარ, სულელიც და არც რამე იცი! - სიცილით ვუთხარი მე, რომ აღელვება დამეფარა.

- ვანკა, მითხარი, ეს მერამდენეჯერ გიყვარს შენს სიცოცხლეში?

არც ერთჯერ არავინაც არ მყვარებია, არც ერთჯერ! არაოდეს არავინ არ მყვარებია იმის მეტი, არავინ! - ხმამაღლა, მკაფიოდ და გარკვეულად მინდოდა გამეცხადებია ეს გარემოება, მაგრამ იძულებული ვიყავი გავჩუმებულიყავ, - მომაგონდა, რომ ბევრი ცოდვა მაწვა კისერზე, ყოველთვის თითქოს შეყვარებული ვიყავი, ყოველთვის ვიღაც მიყვარდა. აბ, რა ცუდი იყო ეს! ეს ხომ ღალატი იყო ნამდვილი სიყვარულის წინაშე! აბ, რომ იცოდეთ თქვენ!... ათასი ვინმე მოგწონს, ათასი ვინმე გიტაცებს, ათას ვინმეს ეფიცები და ერთი კი გიყვარს, მხოლოდ ერთი, და ეს ერთი შეიძლება არც კი გენახოს არაოდეს და შეიძლება ვერც ვერაოდეს ნახო... მეც აგრე მომდიოდა. მაშასადამე, მე ვღალატობდი იმას.

და მომაგონდა მე ის, წარმოვიდგინე თვალწინ. თავდაპირველად მომაგონდა, რომ იმას ლიზას

ეძახოდნენ... ლიზა! ელისაბედ! ლიზიკო! ბერანჟეს ლიზეტა! არა, არ მომეწონა მე ეს სახელი, უნდა რაიმე სხვა დაერქვას იმას. მოვიგონე, რაც სახელები გამიგონია და უცებ სიხარულით კინაღამ წამოვიძახე: - ხვარამზე! რა მშვენიერი სახელია, წმინდა ქართული სახელი და ამასთან ისე ძვირად შეხვდები ამ სახელს. მაშასადამე, ის ლიზა როდია, ის ხვარამზეა. ეხლა გავყვეთ ქვევით. მაგრამ ქვევით საქმე გაძნელდა. მე ვერ შევძელი წარმომედგინა ის მთლად, სავსებით. მაგონდებოდა, ანუ უკეთ ვგრძნობდი იმ ძალას, რომელიც მისგან გამოდიოდა და მიპყრობდა, იმ ნაზს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სითბოს, ნაპერწკლებს, რომლებიც თამაშობდნენ იმის თვალებში და აშუქებდნენ იმის სქელსა და ოდნავ ხუჭუჭა თმას, მაგრამ გრძელი იყო თუ არა ეს თმა, ეს აღარ მაგონდებოდა. მაგონდებოდა კიდევ. რომ ლაპარაკობდა ის ნელა, დაფიქრებულად და უცებ, მოულოდნელად იოხუნჯებდა. და ამ ოხუნჯობაში სჩანდა, რომ ის

უბრალო ხალხის შვილი იყო. კეთილი იყო ეს ოხუნჯობა მისი, მაგრამ ცოტათი მოუხეშავი და გაბედული. და ამისთვის კიდევ უფრო მიტაცებდა მე ის - ჩემს ძარღვებშიც ხომ გლეხის სისხლი სჩქეფდა... და აი კიდევ რაში იყო საქმე - ის კახელი იყო. და როცა ის დაიწყებდა ლაპარაკს, მაგონდებოდა მე ალაზნის ველი და თვითონ ალაზანი. რა კარგია, რომ ის კახელია და არა გურული, არა იმერელი! რატომ იყო ეს გარემოება კარგი, რით იყო კახეთი უმჯობესი გურია-იმერეთზე, მე ეს არ ვიცოდი და არც ეხლა ვიცი, მაგრამ მე მომწონდა, რომ ის იყო კახელი.

იმიტომ ხომ არა, რომ არაოდეს კახეთში არ ვყოფილვარ და როგორც ყველა ის ქვეყანა, რომელიც არ გინახავს, მაგრამ რომლის შესახებაც ბევრი კარგი გაგიგონია, ჩემს წარმოდგენაში კახეთიც განსაკუთრებული სიმშვენიერით იყო შემკული.

“მოყვასნო, წავალ ამ ქვეყნით,
მოვკვდები - კახეთს დამმარხეთ”.

აი, როგორი იყო ის, რომელიც მე მუდამ მიყვარდა და რომელსაც ამიერიდან ჰქვიოდა სახელად ხვარამზე. ის, ვინც გიყვარს, კიდევაც უნდა შექმნაო, - ამბობს ერთი ბრძენი და ამბობს სრულ ჭეშმარიტებას, - აი რაშია საქმე, თუ ვინმეს გაგიკვირდეს ჩემი ამბავი.

ერთ წუთს იჭვი არ შემსვლია იმაში, რომ ლიზა დათანხმდებოდა სახელის გამოცვლას. იმას უნდა სცოდნოდა ხომ, რომ ჩვენ ერთმანეთი იმ თავიდანვე გვიყვარდა და მოუთმენლად ველოდით შემთხვევას, როცა შევხვდებოდით ერთმანეთს და გავეცნობოდით!..

დილით ადრე შევუდექით ჩვენ აღმართს.

მივდიოდით ჯგუფ-ჯგუფად, ორი, სამი თითო ჯგუფში. ვიღაც მღეროდა. ვიღაც ხმამაღლა და გულიანად იცინოდა. მე და ხვარამზე ერთად მივდიოდით - ყველას გავუსწარით წინ, - განა სხვარიგათ შეიძლებოდა? - ავედით ტიალ ველზე.

გზაში კი მე ვუთხარი მას:

- თქვენ უნდა გამოიცვალოთ სახელი.

- რატომ?

- იმიტომ რომ... იმიტომ რომ... აბა რა სახელია ლიზა?

- არ მოგწონთ? რას დამარქმევთ სამაგიეროს მე?

- ჩემის აზრით საუკეთესო სახელია - ხვარამზე.

- ხვარამზე! ხა! ხა! ხა! აი, სახელი!

- რად იცინით? ჩემის აზრით... ღმერთმანი, ეს შეუდარებელი სახელია!

- რაკი ასეთია ეს სახელი, იყოს თქვენს სიტყვაზე - დღეიდან მე მქვია ხვარამზე... ეი, ამხანაგებო და მოქალაქენო, გესმისთ თუ არა, მე ლიზა კი არა, ხვარამზე მქვია, ხვა-რამ-ზე!

რა თქმა უნდა, არავის, ჩემს მეტს, ეს ძახილი მისი არ გაუგონია, შორს ვიყავით ჩვენ ამხანაგებზე.

დავჯექით მწვანე ველზე. ჩვენს წინ გადაიშალა მშვენიერი სურათი ქართლისა. ფართო,

თვალგადაუწვდენელ, ზღვასავით მღელვარე და მობიბინე მინდვრებს გარს ეხვეოდა ვერცხლისფრად მოელვარე მტკვარი, რომლის გაღმით იწყებოდა მწვანე ტყით მოსილი აღმართი. მზის უხვი სხივები ყველა ამას დაჰფენოდა თავს და ამშვენიერებდა, ათამაშებდა და ყოველივე ირგვლივ - მეგონა - სუნთქავდა და თრთოდა. ხანდახან სადღაც შორს გამოირბენდა ბურთის ოდენა მატარებელი, თანდათან მატულობდა, იზრდებოდა, ხშირი ქშენა მისი მოდიოდა ჩვენამდე და შემდეგ ისევ იკარგებოდა მოხვეულში...

ჩვენ დადუმებულვიყავით და ეს დუმილი პირველად ვიგრძენი მე.

- ხვარამზე! გინახავართ მე ოდესმე?

- არა... მგონი არა!

- კარგად იფიქრეთ, ეგებ მოიგონოთ!

- არა... აბა, სად უნდა მენახეთ!

- აკი გეუბნებით, კარგად მოიფიქრეთ-მეთქი. - და მე პირდაპირ, გაბედულად ჩავხედე იმას თვალებში... და, რასაც არ მოველოდი, იმის თვალებში ეშმაკური ცეცხლი დაინთო.

- თქვენ ეს რა, ხომ არ იცინით? - ვკითხე მე.

- ღმერთმანი... ეს რანაირი ჰყოფილხართ!.. განა შეიძლებოდა თქვენი დავიწყება, რომ სადმე მენახეთ?.. ეს შეუძლებელია!..

- განა ასეთი მშვენიერი ვარ?

- Ай, рожа! ай, страшная рожа! - გადაიხარხარა მან და გზაში მოწყვეტილ ყვავილების კონიდან ერთი ყვავილი სახეში მესროლა.

- თქვენ იცინით და მე კი მწამს და მჯერა, რომ ოდესღაც ჩვენ დიდი და კარგი მეგობრები ვიყავით.

- სად, როდის?

- რა ვიცი მე, სად და როდის?.. შეიძლება ასი ათასი წელი იყოს მას შემდეგ... აბა, რა ვიცი.

- ეს სისულელეა!.. - უცებ მოულოდნელი, დინჯი და დაფიქრებული კილოთი სთქვა მან და ფეხზე წამოდგა. ამოიღო ცხვირსახოცი, გადადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და ცხვირსახოცის ქნევა დაუწყო ჩვენს თანამგზავრებს...

...ამ საღამოს მე შემთხვევით მივაგენი ცაზე იუპიტერს. ღამის თერთმეტ საათამდე შეიძლება უცქირო მას ჩემი ფანჯრიდან, შემდეგ ის ამოეფარება სატუსაღოს სახურავს.

ამ საღამოს შემთხვევით მივაგენი ცაზე იუპიტერს და უცებ ნათლად ვიგრძენი, უცებ ნათლად წარმოვიდგინე, თუ რა დიდი დანაკლისია, როცა არ შეგიძლია იხილო სავსებით დიდებული გუმბათი იმ დიდი ტაძრისა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ და ვიტანჯებით, თუ რა დიდი დანაკლისია, როცა არ შეგიძლია იხილო ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა. მე კი რამდენი ხანია მოკლებული ვარ ამ სანახაობას! ღამის ექვსი საათიდან დილის ექვს საათამდე მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოვალ ჩემი საკანიდან. თუ სატუსაღოს ცეცხლი არ წაეკიდა, ან რაიმე ასეთი კატასტროფა არ მოხდა. საღამოს

ექვსი საათიდან დილის ექვს საათამდე ჩემი კარი დაკეტილია, ის დღისითაც დაკეტილია, მაგრამ დღისით ხანდახან გამოსვლა მაინც შეიძლება, ღამით კი არაოდეს. ამიტომ მე არ შემიძლია ვიხილო ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ეს მე განსაკუთრებით ვიგრძენი ამ საღამოს და აი, რა ჩავიდინე - მივედი ფანჯარასთან და მინა დავამტვრიე. თითქოს საკმაო ყოფილიყო ეს, რომ ზეცა სავსებით გადაშლილიყო ჩემს წინაშე! ნამდვილად კი ზეცისა და ვარსკვლავების ნაცვლად ჯარისკაცმა თოფი მომიღერა... დამარცხებული, მე გავშორდი ფანჯარას, დავეცი ტახტზე და დავუწყე მაღლა ჭერს ცქერა... მერე მოვიდნენ და კარცერში წამიყვანეს.

ეხლა კი ყველაფერი თავის ალაგას სდგას - სატუსაღო იქავეა, სადაც იყო და მე კიდევ - ჩემს საკანში... დილა ამ დილას მშვენიერია, დამამშვიდებელი, ან და იქნებ მე ძლიერ დავიღალე ამ დღეებში და კიდევ უძილო

ღამეებში. აღრჩევა სულისა - ეს მძიმე სნეულებაა! მე მსურს სულ მუდამ ვიჯდე, ან ვიწვე... ვიწვე. მე დაღლილი ვარ, საშინლად დაქანცული...

ჰეი, ძმობილო, გაათავე, მორჩი კაკუნსა
და მომასვენე დაქანცული, მწარეთ დაღლილი!..

ოი, რა დაღლილობას ვგრძნობ!

...რა თქმა უნდა, ისევ ხვარამზე! სხვა აბა ვინ?

დილით ადრე მივდიოდი მე იმ სახლთან, სადაც ის ცხოვრობდა. ეზოში აუცილებლად შემხვდებოდა დიასახლისის ექვსი წლის ბავშვი, რომელიც სალამის ნაცვლად ენას მიჩვენებდა ხოლმე, ხოლო როცა მე შეურაცხყოფილი და გაჯავრებული ადამიანის სახეს მივიღებდი, საჩქაროდ გარბოდა. პირზე ღიმილით

ავდიოდი აივანზე მე და ჯოხით ვაკაკუნებდი ფანჯრის მინაზე. როცა ფანჯარაში ხვარამზეს მოღიმარე სახე გამოჩნდებოდა, სიმღერას ვიწყებდი:

Я пришел к тебе с приветом,
Рассказать, что солнце встало...

ახალგაზრდა, ჯანსაღი, მხიარული, ის მიღებდა კარს, მაგრად ვართმევდით ერთმანეთს ხელს, საჩქაროდ ვსვამდით თითო ჭიქა ცხელ რძეს და გამოვრბოდით ჰაერზე, სასეირნოდ მივეჩქარებოდით. რომელიმე მეხილესთან ვიყიდდით ცოტა ყურძენს და ეს იყო ჩვენი საგზალი მთელი დღით. დავხეტიალობდით მთებში, ახლომახლო სოფლებში, ვცელქობდით, ვმღეროდით, განგებ ვერიდებოდით ეგრეთწოდებულ ჭკვიანურ ბაასს და სხვებსაც ამასვე ვურჩევდით - აგარაკი იმის აგარაკია, რომ აქ ადამიანმა უნდა დაისვენოს, ძალ-ღონე

მოიკრიბოს, რომ გაჯანსაღებული დაუბრუნდეს შემდეგ ჩვეულ საქმესო.

მიუხედავად ამისა, მე უკვე ვიცოდი, რომ ის იყო "ჩვენი" ქალი, რომ "ჩვენებს" ის უწევდა ზოგიერთ სამსახურს, იყო წევრი "ჩვენიანთა" ერთ-ერთი ჯგუფისა. რასაკვირველია "ჯერჯეროობით ის ბევრს არაფერს წარმოადგენდა", მაგრამ ის ხომ ჯერ ისეთი ჯეელი იყო, მთელი სიცოცხლე წინ ედგა... კითხულობდა, მეცადინეობდა, ეცნობოდა საქმესა და იმ კითხვებს, რომელთა ცოდნა აუცილებელი იყო... ყველაფერს მოესწრებოდა - აკი მთელი სიცოცხლე მის წინ იყო და არა უკან... და ამიტომაც მან არ იცოდა, რა იყო სევდა-მოწყენა, ის ემზადებოდა მძიმე საქმისათვის, მას მიზანი ჰქონდა და ჯანსაღს, ახალგაზრდას, "ჯეელს", როგორც ის ამბობდა, მას არ ეშინოდა ამ მიზნის, იცოდა სად მიდიოდა, და მიდიოდა ამ მიზნისაკენ სიცილ-თამაშითა

და სიმღერით. და როგორ უყვარდა იმას სიმღერა! რა კარგად მღეროდა ის! მღეროდა უმთავრესად კახურ სიმღერებს, გასაოცარ ხმებს, რომელთაც ან დიდად უბედური, ან დიდად ბრძენი ხალხი შექმნის ხოლმე. და ყოველთვის, როცა ის მღეროდა, მე თვალწინ მიდგებოდა კახეთი, მისი ჭალები, მისი ალაზანი...

მოყვასნო, წავალ ამ ქვეყნით,
მოვკვდები - კახეთს დამმარხეთ!..

...უყვარდა მას ძლიერ ქართული მწერლობა, მაგრამ ყველა პოეტებში ყველაზე მეტად მოსწონდა ილია და ვაჟა, რომელთა ლექსები თითქმის ზეპირად იცოდა ყველა... ხშირად იწყებდა ის დეკლამაციას - ლექსებს ის კითხულობდა კიდევ უფრო ლამაზად, ვიდრე მღეროდა...

უკვე ალაპარაკდნენ ჩვენს ირგვლივ კეთილ-მეგობრები.

დიდი უმრავლესობა სულელად სთვლიდა ხვარამზეს, - განა სულელის მეტს გაიტაცებდა ისეთი ახირებული და ქერქეტა ადამიანი, როგორიც მე ვიყავი? საწყალი დედაკაცები!.. რა ადვილია იმათი გაბრიყვება! რა ნახა ჩემში მან ისეთი, რომ არც დღე, არც ღამე აღარ მშორდება? რას წარმოადგენს აბა ასეთს მისი სიმპატია? ამბობენ, რამდენიმე მოთხრობა დასწერაო, მაგრამ ჯერ კიდევ კითხვაა, ღირს თუ არა მისი დაწერილი რამეთ? განა საქართველოში ყველა არ ეპოტინება მწერლობას? დილიდან საღამომდი მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ ვხუმრობდი და ვცელქობდი, ვინმეს დავცინოდი, ან და დროგამოშვებით დავდიოდი ცხვირ-ჩამოშვებული, სასტიკი სახით, ყოველ წუთში მზად მყოფი საჩხუბრად და ვინმეს გამოსალანძღავად... საბრალო ქალიშვილი, ვის გადაეკიდა!

და კიდევ ამბობდნენ კეთილ-მეგობრები, რომ არ

ამცილდება მე ციხე და სახრჩობელა... აბა, როგორ არ უნდა შებრალებოდნენ საბრალო ხვარამზე!

და არავინ, რა თქმა უნდა, არ დაიჯერებდა ჩვენს სიტყვებს, რომ სიყვარულის შესახებ ჩვენ შორის არც ერთხელ ლაპარაკი არ ყოფილა.

შემოდგომაზე ჩვენ უკვე ტფილისში ვიყავით.

მან დაიქირავა ბინა მამადავითის აღმართზე, მე კიდევ უფრო ზევით, "ღმერთთან ახლო", როგორც ხუმრობდა ხოლმე ის. ძვირად გვიწევდა ერთმანეთის შეხვედრა - ის მეცადინეობდა სკოლაში, ჰქონდა კიდევ გაკვეთილები და ამასთან პარტიულ მუშაობასაც ეწეოდა. მე კი ერთიან ჩაბმული ვიყავი მუშაობაში, დილიდან საღამომდი დავრბოდი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი ოთახიდან მეორე ოთახში, ვყლაპავდი თუთუნის ბოლს,

საათობით ვიჯექი ნოტიო სარდაფებში, ვუხსნიდი ხალხს მის ისტორიულ დანიშნულებას, ვქმნიდი წრეებს, ჯგუფებს, ორგანიზაციებს, - სად იყო მაშინ მოსვენება და ძილი!

და როცა მე ძლიერ, ძლიერ ვიღლებოდი, ვიღლებოდი ისე, რომ სატუსაღოში მყოფ ამხანაგებს შევნატროდი - ნეტავი მათ, ისინი დასვენებული მაინც არიან-მეთქი, ამ დროს საკმაო იყო ხვარამზე მომგონებოდა, მისი შავი თვალები შავგვრემან სახეზე, მისი ღიმილი, სიარული, სიმღერა და გიჟმაჟი, სიცოცხლით სავსე კისკასი, საკმაო იყო მომგონებოდა ის და სად იყო დაღლილობა! - მავიწყდებოდა მახორკის სუნი, დაუმსახურებელი საყვედურები, აუცილებელი ინტრიგები და კვლავ მიპყრობდა სურვილი და წყურვილი სიცოცხლისა - ბრძოლის, თავდადების, გამარჯვების, სიკვდილის...

ძვირად მიწევდა ხვარამზესთან შესვლა და ეჰ, ცოდვა გამოტეხილი სჯობია, ცოტათი მწყინდა, როცა მას ვესტუმრებოდი და იქ სხვა ვინმე სტუმარი კიდევ დამხვდებოდა. ის ყველასთან ისეთი უბრალო და ალერსიანი იყო, და მე კი მეგონა, რომ ის ღიმილი, ის ალერსი, რომელსაც ის სხვებს უზიარებდა, ის ჩემი საკუთრება იყო თითქოს და მართმევდა კი ვიღაც გარეშე, გადამთიელი. რა ხარბი, რა გაუმაძღარი და ძუნწია სიყვარული! და ამბობენ კი, რომ შეყვარებულები ანაგებ კეთილი არიანო!

ძვირად მიწევდა იმასთან შესვლა, მაგრამ აი, კიდევ რა უნდა შევნიშნო - ხანდახან მე განგებ არ შევდიოდი იმასთან. მე მხოლოდ მივდიოდი იმის სახლთან, ვდგებოდი იმის ფანჯრის პირდაპირ, შევცქეროდი სინათლეს, რომელიც იმ ფანჯრიდან გამოდიოდა და ვოცნებობდი. ხშირად მასველებდა ასეთ შემთხვევებში

შემოდგომის წვიმა, მე მაინც ვიდექი ქვაფენილზე, თითქოს ვგრძნობდი კიდეც, რომ ვიჟღენთებოდი წვიმით, თითქოს მინდოდა წავსულიყავ, - თბილი საწოლი! თბილი საწოლი!..

თბილი საწოლი! თბილი საწოლი! მაგრამ ეს ყველაფერი იყო "თითქოს". ნამდვილად კი ნაცვლად სიცივისა, ნაცვლად შემოდგომის სისინა ღამის მიერ აღძრული სევდისა და მარტოობის გრძნობისა, ნაცვლად ყველა ამისა ვგრძნობდი, როგორ ინთებოდა გულში ცეცხლი, როგორ გარბოდა ჩემს ძარღვებში, როგორ იჟღენთებოდა მთელი ჩემი არსება ალერსითა და სითბოთი... შევიდე თუ არა ხვარამზესთან?.. რას ვიზამდი, ეხლა რომ იქ ვიყო? ეხლა რომ... ეხლა რომ... ეხლა რომ იმას უცებ გადავეხვიო... რომ ვაკოცო, მაგალითად!

მე ვგრძნობდი, რომ თუ შევიდოდი, ვერ შევიმაგრებდი

თავს. და ამიტომ ვცდილობდი არ შევსულიყავი... არა, იმიტომ კი არა, რომ თითქოს ასეთი საქციელის შემდეგ ის კარში გამომაგდებდა, გამიწყრებოდა, მე ვიცოდი, რომ არაფერი ასეთი არ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ მე მინდოდა, რომ დიდხანს, დიდხანს გაგრძელებულიყო ჩემი მოლოდინი, ტკბილი მოლოდინი, მე მინდოდა, დიახ, მე მინდოდა სულ მუდამ წინ მქონოდა, მოლოდინში ყოფილიყო გახვეული ის დიდი და თავბრუ-დამხვევი ბედნიერება, რომელიც მე მომელოდა... წვიმა კი სისინით მცემდა კისერში, მიძვრებოდა საყელოში, ვსველდებოდი, ვცივდებოდი, მაგრამ გულში ინთებოდა ცეცხლი, მთელი ჩემი არსება იჟღენთებოდა ალერსითა და სითბოთი. - ღმერთო ჩემო, რად არ შეიძლება ერთხელ კიდევ გამოვცადო ასეთი წუთები?..

რად არ შეიძლება?

და იღვიძებდა გონებაში დიდი, დიდიხნის წარსული. ეს იყო რამდენიმე ათასი წლის წინეთ და შემემთხვა მე. და ეს ზღაპარი როდია, სინამდვილეა. ეს ფაქტია. ვიყავი მე მეფე, ბრძენი მეფე სოლომონი, იერუსალიმში. ღმერთმანი! და ხვარამზეს მაშინ სულამით ერქვა. შავი იყო ის, მაგრამ ლამაზი, ვითარცა საყოფელნი კედარისანი. და გადავეყარე მე იმას ვენახთა შინა, სადაც ის დასტოვეს მცველად შვილებმა დედისა მისისა...

ვენახთა შინა გადავეყარე მე იმას და შემიყვარდა. იმიტომ რომ შავი იყო ის და ლამაზი, ვითარცა საყოფელნი კედარისანი... დიახ, დიახ, ეს ასე იყო!.. ისეთივე შავი და მწველი თვალები, იგივე შავგვრემანი სახე!.. და იმას მე, სულამითს, დიდებული მეფე დიდი ერისა, ვუმღეროდი ჩემს სიმღერებს... “აღსდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, შვენიერო ჩემო, ტრედო ჩემო, რამეთუ აჰა ზამთარი წარხდა, წვიმა დასცხრა, წარვიდა. ყვავილი იგი გამოჩნდა

ქვეყანასა, ჟამი სხლვისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმა ქვეყანასა ჩვენსა. ლეღვმან გამოუტევა ყვავილი თვისი, ვენახნი ჩვენნი ჰყვავიან, მოსცეს სუნნელება თვისი. აღსდეგ, მოვედ მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, მოვედ შენ, ტრედო ჩემო, საგრილსა მას ქვეშე კლდისასა, მახლობლად ზღუდესა მას, მიჩვენე მე პირი შენი”...

დიახ, დიახ, ეგ იყო აგრე. ეს ზღაპარი როდია, ეს ფაქტია. ეს მე ვეძახოდი ასე ხვარამზეს მაშინ, მისი სახელი იმ დროს იყო სულამით... მე კი ვიყავი დიდი მეფე დიდი ერისა - სოლომონ ბრძენი.

წვიმა მცემდა, ცივი შემოდგომის წვიმა, მე კი არ მცივოდა, მე იმ წამებს განვიცდიდი მაინც, რომელნიც ერთხელ განმეცადა იერუსალიმში, სულამითის კარებთან... “განმიღე მე, დაო ჩემო, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, სძალო ჩემო, რამეთუ თავი ჩემი აღივსო ცვარითა და

თმანი ჩემნი წვეთითა ღამისათა”...

“მხოლოდ მონა სიყვარულისა არის ღირსი მეფობისა!” - კიდეც იმიტომ ვიყავი მე მეფე, დიდი მეფე დიდებული ერისა!

შევიდე თუ არა ხვარამზესთან? არა, ჯერ კიდევ არა! არა, ჯერ დეე დავსველდე აქ! მერმე წავალ და თბილ საწოლში გავეხვევი. თბილი საწოლი! თბილი საწოლი! რით სჯობია ადამიანი დანარჩენ სულდგმულებს ბუნებაში? იმით, რომ ადამიანს აქვს თბილი საწოლი!

შეიძლება ეხლა თბილ საწოლში სძინავს ხვარამზეს. შეიძლება ის დაიღალა მთელი დღის შრომით და ეხლა სძინავს... იძინე, ჩემო ძვირფასო! და გესიზმროს შენ ჩემი ფართე გული და ამ გულში შენი საკუთარი სახე! მაშინ დაინახავ, რა ძვირფასი ყვავილებით ხარ შემკული...

Пусть снится тебе, точ друг друга
Мы любим и вечно не кинем!...

თუ მე, ჩემი მეფობის დროს, ამ რაოდენიმე ათასი წლის წინეთ, არ ჩამიდენია არაფერი ის, რაც იმ ღამეს ჩავიდინე, ეს იმიტომ რომ იმ დროს არც ტელეგრაფი არსებობდა, არც ტელეგრაფისტკები და არც ტელეგრაფის სადგურები.

შუაღამისას შევედი მე სადგურში. ქალიშვილი, ისეთი პატარა და სუსტი სახის, სთვლემდა. საყვედურით შემომხედა მან და გამომართვა ბლანკი. უცქირა, უცქირა ტექსტსა და შემომხედა...

- სად აგზავნით თქვენ ამ დეპეშას?

- სად? როგორ თუ სად?

- აქ არც ადრესია და არც ადრესატი...

- განა ასე არ შეიძლება?

გაკვირვებული შემომაცქერდა, ეხლა იმას აღარ ეძინებოდა უკვე.

- მე ამ დეპეშას ვუგზავნი მთელს ქვეყნიერებას, მსოფლიოს... გისურვებ ბედნიერებასა და სხვა ასეთებს- მეთქი... განა არ შეიძლება ეს? მთელს ქვეყნიერებასა და მსოფლიოს!..

ის ადგა და მეორე ოთახში გავიდა, საიდანაც დაბრუნდა ვიღაც ახალგაზრდა მოხელის თანხლებით... დავრწმუნდი, რომ იმათ ვერაფერს მივახვდენდი, ამიტომ შევაბრუნე ზურგი და კარისკენ გავსწიე...

შემოდგომა კი არ ცხრებოდა. სულ უფრო იღუშებოდა და ოხრავდა ბუნება, მატულობდნენ შავ-ფრთა ღრუბლები, მატულობდა ნოტიო და სიცივე. წვრილი, ძვლებამდე გამტანი წვიმა სისინებდა, როგორც ბოროტი დედინაცვალი, და ამ გაუთავებელ წვიმის გულისმომწამვლელ სისინში ხანდახან შემოიჭრებოდა ქარი და იწყებდა ღმუილს. ღმუოდა ის, როგორც მშიერი მგელი ტყის განაპირას. ღმუოდა და მატულობდა გულში სევდა... წვიმა კი ისევ სისინებდა ებრძოდა ჩემს ნერვებს, ჩემს სიმშვიდეს.

ვებრძოდი ამ ცუდ სულიერ განწყობილებას, რომელსაც ეს კუდიანების ძალით გამოწვეული ამინდი იწვევდა. დაბოლოს ვეღარ შევიძელი. განუსაზღვრელმა სევდამ და მარტოობის გრძნობამ შემიპყრო და რამდენიმე დღით ხვარამზეც კი გადამავიწყა, მაგრამ როცა კი ის მომაგონდა,

ჩემი შეჩერება აღარ შეიძლებოდა.

მე დავაკაკუნე იმის კარებზე.

- ვინ არის?

- სტუმარი! - ვუპასუხე მე. და უცებ გულს მომეშო, უცებ თითქოს მზემ შემოიჭვრიტა ბნელ ოთახში, სული გათბა, რაღაც მიამა და მეტკბილა.

- რა ჰქვია სტუმარს?

- სტუმარი ღვთის არის, იმის სახელს არ კითხულობენ.

- მოითმინეთ ცოტა... აი ეხლა შეიძლება, - შემოდით!

ლამპა მკრთალსა და მოწყენილ სინათლეს იძლეოდა,

თითქოს ისიც შეეპყრო შემოდგომის წვიმის სისინის გავლენას, თითქოს სანახევროდ თვალ-დახუჭული უგდებდა ის ყურს შემოდგომის ღამის შიშის აღმძვრელ ამბებს. და მე თითქოს მიამა, რომ ლამპას ასეთი სინათლე ჰქონდა.

- რამდენი საუკუნეა, მე თქვენ არ მინახავხართ, სად დაიკარგეთ?

- უჰ, ცუდი დღეები გავატარე, ხვარამზე, სევდამ შემიპყრო, გასაქანი არ მომცა.

- ჰო, რა თქმა უნდა... სევდის დროს მე რა გამოსადეგი ვარ...

დავჯექი იმის გვერდში და უცებ მისი ხელი ავიღე ჩემსაში. ეს პირველი იყო - მან არ წამართვა აკი ხელი!

მომინდა სულ ახლო ვყოფილიყავი იმასთან - ის სდუმდა და არ ინძრეოდა. მაგრამ თავბრუ-დამხვევი, დამათრობელი რამ სითბო და ალერსი გადმომდიოდა ამ ჩემს გვერდში მჯდომარე, დადუმებული ადამიანისაგან...

- ხვარამზე! ხვარამზე!

და მხოლოდ მახსოვს, რომ გავშალე მკლავი, გავშალე მკლავი და ისევ მოვკუმშე... მხოლოდ მახსოვს, რომ ვიღაც უბრძოლველად, უდავოდ მომყვა ხელში, მომყვა ხელში და გადამეხვია...

შემდეგ მე მომესმა მისი ხმა.

- სუ! სუ! -მინდოდა მეთქვა მე, მაგრამ ვერ ვთქვი, მხოლოდ კოცნა დავუწყე, იმიტომ რომ სიჩუმე იყო

საჭირო, იმიტომ რომ სიტყვებით ვერაფერს გამოსთქვამ, იმიტომ რომ უაღრესი სისულელეა როცა ამბობენ, თითქოს სიტყვებით შეიძლებოდეს თავისი გულის ნადების გამოხატვა... და ათი ათასჯერ მართალია პოეტი, როცა ამბობს: “Мысль изреченная есть ложь”-ო.

ასი ათასჯერ მართალია - დიახ.

ახ, მეგობრებო, რა კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს იმის გამოთქმა, რასაც გრძნობ! ახ, მეგობრებო!..

ამ დღეებში, ღამით სახრჩობელას დგმა დაიწყეს.

ჩემი ფანჯრის გადაღმით, ერთ საჟენ-ნახევრის მანძილზე უნდა გამოეგუდათ ადამიანი.

როცა ყველაფერი საჭირო დაამზადეს, მოიყვანეს

დასასჯელი, და ჯალათი შეუდგა “ტუალეტს”.

ჯადო ღამე იყო. სავსე მთვარე არაჩვეულებრივი სიუხვით აფრქვევდა ვერცხლისფერ სხივებს არემარეს. გაუგებარსა და განუსაზღვრელ დუმილს მოეცვა ყველაფერი, არც ერთი ფოთოლი არ მოძრაობდა, სულ ყველაფერი რაღაცას ყურს უგდებდა, რაღაცაზე ფიქრობდა. და ისიც, ვინც უნდა დაეხრჩოთ, ისიც დადუმებული იდგა, უხმოდ, უსიტყვოდ ემორჩილებოდა ჯალათსა და მის უსიტყვო მოძრაობას.

და უცებ, როცა ჯალათმა მას მოჰკიდა ხელი მკლავში, რომ ზურგს უკან ხელებ-გაკრული დამნაშავე შეეყენებია სკამზე, სკამზე, რომლის პირდაპირ ზევიდან ჩამოკიდებული მარყუჟი ბაწარი ელოდა მსხვერპლს, უცებ ამ დროს, ამ გამომეტყველ დუმილში სადღაც, რომელიღაც ეკლესიის სამრეკლოზე შეკრთა ზარი. და

ნელა, ნელა, აუჩქარებლად, აუღელვებლად დაჰკრა ორი საათი.

და როცა მე გავიგონე ეს აუჩქარებელი და აუღელვებელი, გულგრილი რეკა მიმავალი დროისა, როგორც სიკვდილი - ცივი ორი დაკვრა, როცა ეს ვიგრძენი და მივხვდი, რომ ეს სამრეკლოს ზარია და რომ ღამის ორი საათი შესრულებულია, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი მე, რომ ადამიანს ახრჩობენ.

და ამასთან ერთად მე ისე ნათლად, ისე უბრალოდ დავინახე, რომ ეს - ადამიანის დახრჩობა - უაზრობაა, რომ ეს შეუძლებელია, რომ ადამიანის მოკვლა არ ვარგა, რომ... ეს ხომ სიცოცხლეს ართმევენ, სიცოცხლეს ართმევენ ხომ? ეს კი განა შეიძლება? და ეს ასე ადვილია, ამის გაგება, რომ ეს არ შეიძლება და არა! და საკმაო იყო, რომ ეს შეგნება ჩემი გადამეცა იმ ხალხისათვის, რომლებიც აპირებდნენ

ამ წუთს ადამიანის მოკვლას, საკმაო იყო იმათთვის ამეხსნა ყველაფერი ეს ისე, როგორც მე მესმოდა და ისინი გაიღვიძებდნენ, თვალებს ამოიფშვნეტდნენ, დიდი განცვიფრებით შეაჩერდებოდნენ სახრჩობელას, ზურგზე ხელებ-გაკრულ ადამიანს, ჯალათს, გაწითლდებოდნენ, იტყოდნენ, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ბინძური სიზმარია და მეტი არაფერი, და წავიდოდნენ სახლში. შვილებთან, საყვარელ არსებებთან... საკმაო იყო გამეღო პირი და მეთქვა იმათთვის ის, რასაც ვგრძნობდი, რასაც ვხედავდი...

და ნუთუ მე არ ვიტყვი არაფერს?..

მაგრამ გავაღე თუ არა პირი, დავიწყე თუ არა ლაპარაკი, ახირებული რამ მოხდა.

- შენ რას იგინები, შე... - მომესმა მე პასუხად: - შენ

თვითონ რამდენი ხანია ჩამოსახრჩობი ხარ!.. ღმერთს უნდა მადლობდე და...

- გამიგონეთ, თქვე მხეცებო, ჯალათებო!..

მოითხოვეს ფანჯარას გავშორებოდი, დამემუქრნენ - თუ არ წახვალ, მოგკლავთო.

გაცოფებული მე ფანჯარას არ გავშორდი. სროლით არ მესროლეს, მხოლოდ კარცერში წამიყვანეს...

ახ, მეგობრებო, რომ შეიძლებოდეს თავისი ფიქრების სწორად გადაცემა, რამდენი ადამიანი დაძმობილდებოდა ამ ქვეყნად!

ადამიანი კი თავის თავს მეტყველს ეძახის...

...ყველაზე უფრო ძნელი კი ის არის, რომ მძიმე სევდა გულზე და სულზე დამაწვა. ის მე მახრჩობს, ის გაჭყლეტას მიპირობს, ის მე სუნთქვას მიშლის.

...დღესაც არავითარი წერილი. მე კი ველოდები წერილს, მე კი ველოდები.

მე იმას ველოდები ჩემი დატუსაღების პირველ დღიდანვე. წერილი კი არ მოდის.

და ვიცი აგრეთვე, რომ არც მოვა არაოდეს.

ა-რა-ო-დეს!

და მაინც ველოდები.

სამი დღე ყველაზე უფრო მძიმე დღეა ჩემთვის:

ხუთშაბათი და კვირა - როცა მნახველები მოდიან, შაბათი - როცა წერილებს არიგებენ.

ამ სამ დღეს ხუთშაბათს, შაბათსა და კვირას მე ველოდები სასწაულს. და ვიცი კი, რომ არავითარი სასწაული არ მოხდება. და მაინც ველოდები.

და სევდა აწვება ჩემს სულსა და გულს, ის მახრჩობს, ის სუნთქვას მიშლის, ის...

დავწყევლო თუ არა ეს სევდა ჩემი?!.

კახეთი შესანიშნავი, მშვენიერი ნაწილია ჩემი სამშობლო ქვეყნისა. კახეთი სამშობლოა ულამაზესი ქალებისა და საუკეთესო ღვინის...

ხვარამზე კახელი ქალია, მგონი ამის შესახებ დავწერე

კიდეც...

მოყვასნო, წავალ ამ ქვეყნით,
მოვკვდები - კახეთს დამმარხეთ!

კახეთიც ჩემი სამშობლოა - ეს სამშობლო საუკეთესო ღვინოების, ქალების და სიმღერების...

ოდესღაც ხვარამზე ჩემი ცოლი იყო. დღეს ის რუსეთში ცხოვრობს, სწავლობს და ჯერ კიდევ არავისი ცოლი არ არის. მაგრამ ჩემი ცოლი კი ის არაოდეს არ იქნება.

დიახ, ა-რა-ო-დეს!

როცა ის გახდა ჩემი ცოლი, ბევრს ეწყინა ეს გარემოება, ყველა იბრალებდა იმას, რომელიც მე "შევაცდინე" და უკვირდათ, თუ რით შევიძელი ამ მშვენიერი გოგოს

მონადირება, განა შეიძლებოდა ბედის დაკავშირება ისეთ კაცთან, რომელსაც სახრჩობელა მოელოდა? და თან ჯვარიც კი არ დაუწერია, უბრალო საყვარელი შეიქნა - რა სირცხვილი, რა ლაფი იყო ეს მისი ნათესავებისთვის!

მაგრამ ყველაზე უფრო კაპასობდა ერთი იმისი დიდედა, რომელიც ტფილისში ცხოვრობდა. ეს იყო ჯანსაღი, მაგარი დედაკაცი, ალბათ, ზედმიწევნით ლამაზი ერთ დროს, - ამბობდნენ ეხლაც ჰყავს იმას გულის მეგობარიო.

- უი, ქა, ეს რა ჩაიდინე, თვალები კი დამიდგა! რად მოვესწარი ასეთ სირცხვილს - სად, როდის იყო ჩვენს ნათესავებში ასეთი რამ, რომ შენ თავი მოგვჭერი? ვის დაემსგავსე, შე სამიწე, შენა! ვის გადაეკიდე, ვისთან ცხოვრობ? არა, ერთი მითხარი, რით მოგეწონა ეს, პირღია ლოქოს რომა ჰგავს?..

მეორე ოთახში ვიჯექი და უცებ გამოვედი.

- ძვირფასო დიდედა, აბა, რად მლანძღავთ აგრე? სრულიადაც მე პირღია ლოქო არა ვარ, მე, ასე ვთქვათ, განათლებული კაცი ვარ. აბა, ვინ იცის თქვენს კახეთში იმდენი უცხო ზაგრანიჩნი სიტყვები, რამდენიც ვიცი მე. აბა დაუგდეთ ყური: კონსტიტუცია, პროსტიტუცია, ინტუიცია, სიტუაცია, პეტიცია, პროსტრაცია, ტრანსფორმაცია, ექსპლოატაცია, ექსპროპრიაცია, პროკლამაცია, დემონსტრაცია... ეს რად გარბიხართ, დიდედა, მოითმინეთ, ჯერ კიდევ სად არის, მოითმინეთ-მეთქი...

- რად ხარ შენ ასეთი, რად ხარ ასეთი?.. - უნდა გამიწყრეს ხვარამზე, მაგრამ სიცილი ერევა... - განა შეიძლება ასე?..

- შენ რომ გაჩუმდებოდე, ხვარამზე, აჯობებს...

- თორემ?

- თორემ ყურებს აგიწევ.

- შენ?

- მე, აბა ნაბუქოდონოსორი?

- ტუტუცი! შენ რომ იცოდე...

- რა რომ ვიცოდე?

- რა და ის, რომ შენს დამორჩილებაზე ადვილი არაფერია.

- რა თქმა უნდა! - დაცინვით ვეთანხმები მე.

- აი, დაინახავ, ჩემი ფეხთა მტვერი იქნები.

- თავი ინუგეშე!..

- აი, ამ წუთას დავამტკიცებ - აბა მოიყარე მუხლი!

- ამ წუთას! მხოლოდ ჯერ თუთუნს მოვწევ.

მართალი ვთქვა, აბა, რა დიდი საქმეა საყვარელი ქალის წინაშე მუხლის მოყრა!

- მუხლი მოიყარე, შენ გეუბნებიან... - და ის მოდის ჩემკენ. და უცებ, თითქოს თავისთვის ვფიქრობდი ვინმეზე, მე ნელი და გარკვეული ხმით ვუთხარი:

- ტუტუცი!

- რაო? რა სთქვი?

- ტუტუცი!

მან თმაში მტაცა ხელი.

- მე არ მეტკინა, შენ კი ტუტუცი ხარ, ტუტუცი. არაოდეს მუხლს არ მოგიხრი, იმიტომ რომ ტუტუცი ბრძანდები.

და უცებ... უცებ...

ერთ ჩემს მეგობარ კაცს ლამაზი ცოლი ჰყავს.

ვესტუმრე ერთხელ იმათ ცოტათი შექეიფებული. მამაკაცი სახლში არ დამხვდა. მისმა ცოლმა, შემატყო თუ არა, რომ ღვინო დამილევია, ძლიერ გაიკვირვა ეს გარემოება. სხვას რომ ვისმე ეთქვა იმისთვის ეს ამბავი,

არაფრის გულისთვის არ დაიჯერებდა თურმე, მაგრამ ეხლა საკუთარ თვალებს როგორ არ უნდა ენდოს!

- მით უმეტეს ისეთ მშვენიერ თვალებს, როგორც თქვენი თვალებია! - კვერი დავუკარი მე.

- ეგ რაა? ხუმრობაში გინდათ გაატაროთ? - აკისკისდა ის, ვერა, ჩემი თვალები თქვენ ვერ გიშველის - იცოდეთ, ყველას ვეტყვი, რომ თქვენ მთვრალი გნახეთ.

დამემუქრა რა ასეთი საშინელებით, მან გამოიტანა ხილეულობა, ღვინო და რაღაც ტკბილი სასმელი. დავსხედით, ჯერ ერთმანეთის სადღეგრძელო დავლიეთ, მერმე კიდევ სხვების. ხოლო როცა დაბოლოს წასასვლელად წამოვდექი, მან მკლავში ხელი მომკიდა.

- ამას რად სჩადიხართ? - ვკითხე მე.

- მეშინია, არ დაეცეთ, თქვენ ხომ მთლად მთვრალი ხართ!

- ოჰ, მაშ ასე, რაღა! ღმერთო, რა ტუტუცი ხართ!

- მე კი არა, შენ, შენ ხარ ტუტუცი... შენ! შენ...

და ეს ლამაზი, ჯანსაღი ქალი, ისეთი შავი და ანთებული თვალებით, თითქოს საჭიდაოდ მოემზადა. მე შევებრძოლე, მაგრამ დავმარცხდი... ოხერი, მე ხომ მთვრალი ვიყავი, ახალგაზრდა, და იმას ისეთი თვალები ჰქონდა...

...მხოლოდ მაშინ, როცა გიყვარს, მხოლოდ მაშინ გრძნობ, რამდენი სიბინძურეა შემთხვევით, უსიყვარულო კავშირებში ქალსა და კაცს შუა... იმ ქალმა კი მაშინ ყველა ამას "ლამაზი წამი" დაარქვა. ცხოვრებაში მოხდება, რომ

ერთ წამში გამოსცდი მშვენიერ რამეს და... ბინძურად კი გაათავებ.

რად ვუწოდე მე ხვარამზეს ტუტუცი? მაშინ ეს წარსული არ მომაგონდებოდა, ეს ერთი სტრიქონი ჩემი ცხოვრებისა, რომლის მოგონება არ მიხარია.

გადაწყდა. შემდეგში ასეთ ხუმრობას ალაგი არ ექნება. რაც შეეხება იმის მოთხოვნილებას, რომ მუხლი მოვიხარო, რა დიდი საქმეა ეს - საყვარელი ქალის წინაშე მუხლსაც კი მოიხრი და ფეხებსაც კი დაუკოცნი!..

... სულ უფრო და უფრო შედიოდა ის ჩვენს საქმეებში. გაიჩინა ქალთა წრეები და იძულებული გახდა კერძო გაკვეთილებისთვის თავი მიენებებინა.

შეუდგა პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლიანად

დამუშავებას, რომ წრეებში შესძლებოდა ამ მეცნიერების გადაცემა, მთელი საათობით ვიჯექით ღამეობით მე და ის და თავს ვიტეხდით, თუ როგორ მოგვეხერხებია მდაბიო, გასაგებ ენაზე, ქართულად დამუშავება გაკვეთილების, რომ მას შესძლებოდა უბრალო მუშაქალებში უბრალო ენით საუბარი... ვჯდებოდით ერთად, გადავშლიდით წიგნს, ვკითხულობდით, ვდავობდით... და რა მშვენიერი იყო ის, რანაირი ცეცხლით აენთებოდნენ ხოლმე მისი თვალები იმ წუთებში, როცა იმისთვის პირველად ხდებოდა ხილული რომელიმე უცნობი შემეცნება, რომელიმე ახალი ჭეშმარიტება, რომელსაც ის ახალ საფეხურზე აჰყავდა, საიდანაც ახალი და უფრო მშვენიერი სივრცე იშლებოდა!

- ვიშ! ვიშ! რა კარგია! - ამბობდა ის და იწყებდა ცმუკვას, აღარ შეეძლო ერთ ალაგას ჯდომა და როცა ამ დროს ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, მე შემიპყრობდა

დაუძლეველი სურვილი - დამეკოცნა იმის თვალები. ის კი ჯავრობდა და ნებას არ მაძლევდა.

ერთხელ იმან მიწოდა მე... იცით, რა მიწოდა ერთხელ იმან? მანილოვი მიწოდა.

- შენ რომ მდიდარი იყო, ჩემო მეგობარო, მანილოვი იქნებოდი.

- საიდან იცით ეს, ქალბატონო? - ვაქციე ხუმრობად ეს მისი ფრაზა, თუმცა გულში მეწყინა, - აბა, სად მე და სად მანილოვი?

მან არ ამიხსნა, საიდან იცოდა ეს, მაგრამ მე მგონია, რომ ეს დასკვნა გამოჰყავდა ჩემი მისადმი დამოკიდებულების ანალიზისაგან. ცოდვა გამოტეხილი სჯობია - მე შემეძლო მთელი დღე მის გვერდში ვყოფილიყავ, გარდა ჩემი

მისდამი სიყვარულისა, არაფერზე მეფიქრა, მეცქირა იმის თვალებშია იმისი ხელი ჩემსაში მჭეროდა. და ამ ჩემს მისდამი დამოკიდებულებაში ხედავდა, ალბათ, ის ჩემს მანილოვობას...

...ზაფხულზე მე დიდისაგან დიდი თავდადება გამოვიჩინე - ხვარამზეს დავშორდი. ის გაემგზავრა სამშობლოში, კახეთში, სადაც სამკვიდრო მოელოდა თითქოს. მე კი გადავწყვიტე მთელი ზაფხული სოფელ-სოფელ მევლო, გამევლო ქართლი, იმერეთი, ჩავსულიყავ გურიაში. მაგრამ კვირაში ორხელ მე იმისი წერილი უნდა მიმეღო. და ეს გარემოება რამდენიმედ თითქოს სასურველადაც ხდიდა ჩვენს დროებით დაშორებას. იმიტომ რომ განა შეიძლება რაიმე საყვარელ ადამიანის წერილზე უტკბესი? განა ხშირად არ ჰკოცნი თვითეულ ასოს წერილისას, განა მზად არ ხარ იცეკვო, იხტუნო, ისულელო, როცა წერილს ხელში აიღებ?.. ეხ, მეგობრებო,

რა საკვირველი რამ არის სიყვარული! ღმერთი, რჯული! არაფერი ამის მსგავსი ედისონს არ გამოუგონია და, მერწმუნეთ, ვერც გამოიგონებს!..

სოფლის ბუნების წიაღში ჩემი სიყვარული კიდევ უფრო გაიშალა და გაღრმავდა. ეს ფართო ველები, ეს მთები, ეს ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა, მორცხვი, კდემა-მოსილი ველის ყვავილები, ყველაფერი ეს თითქოს ხვარამზეს მაგონებდა, ხვარამზეზე მესაუბრებოდა. ყველაფერში იმას და მხოლოდ იმას ვხედავდი, თვითეულ ყვავილიდან, თვითეულ ვარსკვლავიდან, მეგონა, ის მიცქეროდა, თვალს მადევნებდა, ცდილობდა გაეგო, რას ვფიქრობდი, როგორ ხასიათზე ვიყავი. მაგრამ ეს კარგიც იყო - მე ხომ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი!

როცა ვიძინებდი, მე ვამბობდი:

- ღამე მშვიდობის, ხვარამზე!

როცა სიყვარული დაიწყებდა გულში ფრთხიალს და მძინარეს გამომაღვიძებდა - მე ვამბობდი:

- ხვარამზე! ხვარამზე! ხვარამზე!

ვდგებოდი დილით ადრე და ბრჭყვიალა მზის სხივებში, ჩიტების ჭიკჭიკში, საკუთარ გულის ცემაში და იმ ღიმილში, რომლითაც ქვეყნიერებას, ჩემს იმედებს და კაცობრიობის მომავალს შევცქეროდი, ყველა ამაში გაისმოდა:

- დილა მშვიდობის, ხვარამზე!

ვრჩებოდი მარტო და ვიწვევდი ფანტაზიას - ვთხზავდი ზღაპრებს, სახუმარო ამბებს და ვუგზავნიდი მას:

- როგორ მოგწონს შენ ყველაფერი ეს, ხვარამზე!

ერთხელ დილით ერთი სოფლიდან მეორეში უნდა წავსულიყავ. სხვადასხვა მოსაზრების გამო თავზე სტუდენტის ქუდი მეხურა და ერთ-ერთი ცნობილი და გავლენიანი თავადის სტუმარი მერქვა.

კაშკაშა, მცინარე დილა იყო, ისეთივე ჯანმრთელი და ლაღი, როგორც ქართლელი ვაჟკაცი. მეც ჯანზე ვგრძნობდი თავს, ოცნებით ხვარამზეს ვებაასებოდი და ამიტომ მხიარული, გულგაშლილი დავჯექი ეტლში. დავჯექი და ყველაფერი გადამავიწყდა. მაგრამ აი ჩემს ფიქრებში შემოიჭრა უკმეხი და მოუხეშავი ყვირილი.

- ბიჭო, შე ვირის თავო, შენა, აბა ერთი სად მიდიხარ, შე ღორო!

ჩემს გვერდში ვიღაც ტანზე შემოფლეთილი გლეხი ჯდებოდა. და იმისკენ, მათრახით ხელში, მოდიოდა მხეცური ენერგიით სავსე, ლოყა-წითელი, ჩასუქებული მამასახლისი - ქართლელი "ტარშინა".

- ა, შე ვირო, შენა, რომ მიდიხარ და უჯდები გვერდში, ეგებ ეს ყმაწვილი კეთილშობილი კაცია, გაჯავრდეს... ჩამოეთერი ძირს!

ამბობდა ამას "ტარშინა", თან კი მიცქეროდა. და იმის თვალებში ვხედავდი მე, თუ რამდენად მონა იყო ეს ჯანღონით სავსე, ყოვლის შემძლე მამასახლისი: - აბა შემხედე, როგორ გემსახურები, როგორ ვჩაგრავ მეც, ნუთუ არ დააფასებ ამ ერთგულებასო?

გლეხი ძლიერ შეშინდა, ის ხან მე შემომხედავდა, ხან

მამასახლისს, რომელიც სულ ახლო იყო და ის-ის იყო მათრახს იმარჯვებდა.

საჩქაროდ წამოვდექი ზედ და მივმართე მამასახლისს სიტყვით, რომლითაც დავამშვიდე ის, ავუხსენი, რომ არც იმდენად კეთილშობილი ვარ, რომ ჩემს გვერდში გლეხი ვერ დაჯდეს, რომ მე მხოლოდ ერთი ალაგი მაქვს ნაყიდი ეტლზე...

- როგორც გენებოს, მაგრამ ჩვენი კნიაზები ასე არ იქცევიან...

- მე არ ვარ კნიაზი.

- შენ ჩვენი კნიაზის სტუმარი ხარ!

- არაფერია, არაფერი!

ღამით კი მე ვფიქრობდი ამ ინციდენტის მხოლოდ სასაცილო მხარეზე, მივეჩქარებოდი ბინაზე, რათა მიმეწერა ხვარამზესთვის, თუ როგორ დავუმტკიცე "ტარშინას", რომ კეთილშობილი კაცი არ ვარ და რომ შეიძლება ჩემს გვერდით დაჯდეს ტეტიაც... მაგრამ ამ წერილის დასაწერად ვეღარ მოვიცალე... ბინაზე მე რამდენიმე იმის წერილი დამხვდა - განა შემეძლო კიდევ რამე, გარდა იმ წერილების კითხვისა?

ქართლიდან იმერეთში გადავიარე, იმერეთიდან გურიაში. გურიაში აღარ იყო საჭირო თავადიშვილის სტუმრობა, სტუდენტის ქუდის დახურვა. აქ ყველაფერი ღია და აშკარა იყო. და მრავალრიცხოვან მიტინგებზე, გაშლილ ცის ქვეშ, მებრძოლი პროლეტარიატის დროშის ფრიალის ცქერით, მე სალამი მივეცი თავისუფლებას... ზაფხულის დამლევს წერილი მივიღე, ამ წერილმა მითხრა, რომ

ხვარამზე ტფილისშია, რომ ენატრება თავისი მანილოვი, რომელიც არ უნახავს მთელი ორი ათასი წელიწადი...

...შაბათი!

და ის ღია წერილი, რომელიც მივიღე, დავხიე და გავაპნიე. და კიდევ დავიგინე.

დიახ! ასე მოვექეცი!

“ო-ოჰ, რას გავფრინდებით!”

ასე მწერს, ე. ი. მწერდა მეგობარი, რომელიც გადაასახლეს პერმსა და ვიატკის გუბერნიაში, სადაც ის გაუნთავისუფლებიათ. დანარჩენი გზა “ტროიკით” უნდა გაირბინოს, სადგურზე მოვგონებივარ და ღია წერილში მწერს, ეს არის ვსხდებით “ტროიკაში” - უჰ, რას

გავფრინდებითო.

- ო-ოჰ, რას გავფრინდებით!

წვერ-ძაღლო, დამცინი განა. შენ ბრძანდებოდე მანდ, ვირის აბანოში, მე კი...

- უ-უჰ, რას გავფრინდები!

მოიცა, შვილოსან, ჯერ კიდევ მობრძანდები აქ, შენ მაინც კარგად გიცნობ... მე მაშინ თავისუფალი ვიქნები და განგებ მოგწერ რამდენიმე სიტყვას, რომ ნერწყვი პირში გაგიშრეს!..

- უჰ, რას გავფრინდები!

წვერ-ძაღლი!..

შენ კარგად თხრი, თხუნელავ!

კრებიდან კრებაზე დავრბოდი და აურაცხელ ხალხს ვითანხმებდი - გაგვეშალა ქუჩაში ჩვენი დროშა, ჩვენი ძალა, ჩვენი გავლენა, გვეჩვენებინა მტრისთვის, რომ არ ვხუმრობდით. ასე ფიქრობს ხელმძღვანელი დაწესებულება - თქვენ დაადასტურებთ თუ არა ამ განზრახვას, ამხანაგებო? გამოდგა, რომ ყველა ასე ფიქრობდა, მაშ მოვემზადოთ!

- თვითეული თავის ალაგას! ყველა თავის საქმეს შეუდგეს! მოვემზადნეთ!

ხვარამზე აღტაცებული იყო. იმას ალაგი ვერ ეპოვა მთელ ქალაქში, დარბოდა, ფუსფუსებდა, თითქმის მთელი დღეები უჭმელი გადადიოდა. ის უკვე ერთი საუკეთესო

მუშაკთაგანი იყო ჩვენი, მიანება თავი სკოლასა და ბავშვებს - სტამბაც მის ხელში იყო ადრესებიც, წრეებიც.

შენ კარგად თხრი, თხუნელავ!

და თვითონვე მაკვირვებდა მე, თუ სად ვშოულობდი იმდენ ძალას, იმდენ ახალ სიტყვებს სხვადასხვა კრებებზე, იმდენ გატაცებას... ვიდექ მაღალ ქვაზე ღამით, მოკაშკაშე, უკვდავ ვარსკვლავთა ქვეშ, უკანასკნელ ღამეს ჩვენი დღესასწაულის წინ და კვლავ ვიწვევდი ქუჩაზე ამხანაგებს. ხვარამზეც იქ იყო და ეს უფრო მაქეზებდა. მსუბუქად და მხიარულად ვგრძნობდი თავს და ეს სიხარული ჩემი გადადიოდა მსმენელებზეც და როცა დაბოლოს საიდგანღაც მეხსიერებაში გაიღვიძა ქრისტეს სიტყვებმა, როცა მე ვთქვი: “და რაც გიქადაგეთ მე ბნელსა შინა, ამბობდეთ დღის სინათლეზე, და რაც ისმინეთ სახურავს ქვეშ, იქადაგეთ ბანებსა და

სახურავებზე!” როცა ეს ვთქვი, ხალხმა ვერ შეიკავა თავი და “ვაშა” დასძახა.

ხელი-ხელ ჩაკიდებული დავბრუნდით ქალაქში მე და ხვარამზე. ამ საღამოს მე მივიღე უმაღლესი ჯილდო, რის მიღებაც ამ ქვეყნად შეუძლია ადამიანს - მე მოვეწონე საყვარელ ქალს...

შენ კარგად თხრი, თხუნელავ!

დილა ადრიან აფუსფუსდა ქუჩებში სხვადასხვა საეჭვო ადამიანთა ჯგუფი - გადაცმული პოლიციელები, საიდუმლო აგენტები: ამბობდნენ სხვადასხვა ალაგას, ეზოებში ჯარი არის დამალულიო. მეეზოვები იცქირებოდნენ სასტიკად, თუმცა შიში, დაბადებული იმათ გულში ხალხის მოძრაობის წინაშე, აშკარად გამოსჭვიოდა იმათ თვალებში.

და ამასთან ერთად შუა ქალაქისაკენ მუშათა ჯგუფებმაც იწყეს დენა. ვხეტიალობდი იმათ შუა, ვხედავდი ნაცნობებს, იმათ ღიმილს, ვაძლევდი სალამს, მიხაროდა, მაგრამ ერთი წუთითაც ვერ შევიძელი გავნთავისუფლებულიყავი იმ არა-სასიამოვნო გრძნობებისაგან, რომ მათვალიერებენ, რომ მე მიცქერის საიდგანღაც მოწინააღმდეგე, მტრისა და წუნკლის თვალი... ეს კი ძნელი იყო ჩემთვის, ეს შეგნება, რომ ვიღაცას მე ვძულვარ. ალბათ, მეც მძულს ვიღაც! და ჩემი გული კი ისევ სავსეა დღეს სიყვარულითა და სინაზით - მაშ ვინღა მძულს!.. ვფიქრობდი ამაზე და თან ვცდილობდი მომემზადებია სიტყვა, რომელიც უნდა წარმომეთქვა დროშის გაშლისას, დროშის ქვეშ, მაგრამ ვერაფერს ვახერხებდი - თავში არ ლაგდებოდნენ აზრები; გული რაღაც გამოურკვეველი სიცოცხლით სცოცხლობდა, ირგვლივ კი სულ სქელდებოდა ხალხი, ჯგუფი

ემატებოდა ჯგუფს, თანდათან ავსებდა იმ მოედანს, სადაც უნდა დაწყებულიყო სვლა. მე წინ მივყავდი ამ ჯგუფებს, კიდეც მიხაროდა ეს მორჩილება ჩემი და თან თავი მიბრუოდა. და უცებ რაღაცამ იფეთქა. თითქოს ვინმემ ანიშნაო - ეს ამოდენა ხალხი მოაწვა მოედნის ცენტრს და ერთ წუთში მთელი მოედანი აივსო ხალხის ზღვით. და ჩემს გვერდშიც გაჩდნენ ამხანაგები, რომელთაც მე მაღლა უნდა ავეწიე სიტყვის სათქმელად. უცებ ნელი რხევით აიმართა მაღლა დროშა და ისევ ნელა, აუჩქარებლად გასწორდა... სისხლი ადუღდა, გულისცემა კი თითქოს შეწყდა...

- შენს ქვეშ მომკვდარვიყო! შენს ქვეშ!..

ახ, მე უკვე ვიცოდი, რა უნდა მეთქვა! ამხანაგებო, აბა დამიგდეთ ყური, რა გითხრათ!..

მოისმა ცხენების ფეხთა თქრიალი, ყვირილი. და ამ ყვირილს შეეგება სიმღერა...

“უარვყოთ ძველი წესები”!..

დროშა ჯერ კიდევ ისევ მშვიდად და აუჩქარებლად იდგა ჰაერში და დაგვცქეროდა თავს მარქსის მოღიმარი სურათი და თითქოს გვეუბნებოდა:

- ე მაგრე, ე მაგრე, ბიჭებო, ამხანაგებო!..

და ნელა, ნელა გაემართა წინ. რხევით გადადგა დროშამ ნაბიჯი და მეგონა, რომ ეს თეთრ-წვერა მოხუცი წითელ ხავერდზე სალამს გვაძლევდა, გვილოცავდა თავის რაზმს, თავის ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე გამოსვლას.

- სალამი მომავლის შემქმნელთ! სალამი პროლეტარიატს!

- დაიშალენით! გაიფანტეთ!.. დაიშალენით, თორემ გესვრით! დაიშალენით!

- ძირს! ძი-ირს! ძი-ი-ირს!

დროშა კი ისევ მიდიოდა წინ ნელი ნაბიჯით, დინჯად და მშვიდად დაგვცქეროდა თავს და ჭაღარა მოხუცი უღიმოდა კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლთ, ამხნევებდა ამხანაგებს...

მაგრამ აი ჯგუფი ცხენოსანთა შემოიჭრა ჯარში, ხმლის ყუისა და მათრახის ცემით გაიკაფა გზა და გაემართა პირდაპირ დროშისაკენ.

- დროშა არ მისცეთ! დროშა დაიცავით! ძირს! ძი-ი-ირს!

ჰაერში, დროშის ირგვლივ, აიმართნენ მაგარი, ბზის ჯოხები. უხილავმა ხელებმა მოიმარჯვეს ისინი და მოიქნიეს, და რამდენიმე ცხენი უმხედროდ გავარდა ჯარიდან.

- ძირს! ძი-ი-ირს!

სადღაც რევოლვერის ლულამ იელვა... კიდევ და კიდევ!

- არ ისროლოთ! არ ისროლოთ, ამხანაგებო!

- ძირს! ძირს!

დროშა დაეშვა - ის შეინახეს. ხალხმა დაშლა მოინდომა, მას გზა შეუკრეს. თან კი ჰყვიროდნენ:

- დაიშალენით! დაიშალენით, თორემ ვისვრით!

უკანასკნელად... დაიშალენით!

იელვა ხიშტებმა - ჯარისკაცებმა თოფები მოიმარჯვეს. ხალხი უკან დაქანდა, მაგრამ ისევ იძულებული გახდა შეჩერებულიყო - უკან ყაზახები არ უშვებდნენ...

და უცებ რაღაცამ იჭექა...

გიჟივით აღრიალდა ხალხი და ერთმანეთს მიაწყდა...

- ჩვენ გვხოცავენ!

- ეს დედაბრები ჩვენ, უიარაღოებს გვესვრიან.

ეხლა უფრო გაბედულად წამოვიდნენ ჩვენზე, მათრახები უფრო ბეჯითად ამუშავდა, ცხენები თელავდნენ ადამიანებს... და კვლავ იელვა ჰაერში რევოლვერის

ლულამ და იმ წუთში, როცა მე მინდოდა მეყვირა - არ ისროლოთ-მეთქი, ჩემი მარჯვენა ხელი ჩემდა უნებურად წავიდა ჯიბისკენ, მარად მოუჭირა ბრაუნინგს და ასწია ჰაერში.

- ჭახ! ჭახ! ჭახ!

გაისმა ჰაერში ტკაცუნი და წინ გზა გაიშალა. ეს მათთვის მოულოდნელი იყო, საპასუხო სროლას ისინი არ მოელოდნენ.

მათ შორის დაეცა ვიღაც... აქ ისინი ისევ მოვიდნენ გონს, შეჯგუფდნენ და ჩამოჰკრეს ჩახმახს...

ჩამოვკარი მეც ჩახმახს და სადღაც ტყვია გავგზავნე. კიდევ და კიდევ. გულში კი დაიბადა და სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა რაღაც ახირებული გრძნობა,

თვალები მევსებოდნენ ცრემლებით, მინდოდა ავსულიყავ მაღალ, მაღალ რამეზე, თვალსაჩინო საგანზე, რომ იქიდან ყველა სულიერისთვის დამეძახა, ყველასთვის გამეგონებია:

- ძმებო! ძმებო! რა რიგ მიყვარხართ მე თქვენ! ძმებო! ძმებო!

მინდოდა მეყვირა ეს და იქავ მომკვდარიყავი... თან კი ვისროდი რევოლვერს, სანამ პატრონები არ გამომელია. დავხედე იარაღს და ზიზღით დავახეთქე მიწაზე.

და როცა, როგორც მთვრალი, როგორც გარინდული, მივდიოდი წინ, დავინახე ხვარამზე, ფერ-დაკარგული, დაკუმშული მუშტით, ის მიიწევდა ვიღაც აფიცრისკენ, რომელიც ისეთივე ფერ-დაკარგული და გაფითრებული იყო, როგორც ხვარამზე და რომელსაც რევოლვერი ჰქონდა

მომარჯვებული ხელში.

ნელა იხევდა ის უკან გააფთრებული ქალის წინაშე და იმეორებდა:

- მე თქვენ გთხოვთ! მე თქვენ გთხოვთ!

მე ჩავხედე იმას თვალებში. და დავინახე იქ შიში ამ ქალის წინაშე, პატივისცემა იმის გაბედულებისადმი, აღტაცება სილამაზისადმი და ამასთან ერთად მტკიცე შეგნება, რომ თუ ეს ქალი იმას თავს არ დაანებებს, ის მოჰკლავს მას.

ხვარამზე კი არ ანებებდა თავს.

- ჯალათებო! ჯალათებო! ეს რა ჩაიდინეთ! მკვლელნო შეუიარაღებელთა - შერცხვენა თქვენ! მეც მომკალით, ჯალათებო, მომკალით მეც!..

“მეც მომკალით!..” საშინელმა კანკალმა ამიტანა. “მეც მომკალით!” ესე იგი ხვარამზე, ხვარამზე შეიძლება მოჰკლან!.. “მეც მომკალით!”

ვეცი ხელში იმას და თითქმის იძულებით ჩამოვაშორე ხიფათს.

- ხომ არ გაგიჟდი შენ! ხომ არ გაგიჟდი!..

როგორც იქნა გავედით სამშვიდობოს...

დაღამებამდე სდუმდა ის. და მხოლოდ ღამით, როცა მე ვიჯექი ღია ფანჯარასთან და ვუგდებდი ყურს ტფილისის შფოთვას, ის მოვიდა ჩემთან.

- ვანო!

მე მოვკიდე მას ხელი ხელში.

- ხომ არ გგონია შენ, ვანო, რომ ჩვენ მეტად გვიყვარს ერთმანეთი, ვიდრე საჭიროა?.. არ გგონია შენ ეს, ვანო?

- მე არ მესმის, რას ამბობ, ხვარამზე!

სხეულში კი გამირბინა ცივმა ჟრუანტელმა, რაღაც გაურკვეველი შიში ვიგრძენი.

- არ ვზრუნავთ ჩვენ ერთმანეთზე უფრო მეტად, ვიდრე ეს საჭიროა? გადამეტებული სიყვარული, იმის მაგიერ რომ ცამდე აგვიყვანოს, არ ამდაბლებს განა კაცს? როგორ ფიქრობ ამის შესახებ შენ, ვანო?..

იმ ღამესვე მე იძულებული გავხდი ტფილისს

გავშორებოდი, ხოლო როცა დავბრუნდი, უკვე აშკარა იყო, რომ რაღაც გაწყდა ჩვენს შორის, რომ ის, რაც იყო, შემდეგში აღარ იქნება.

და როცა ერთ ღამეს გამომეღვიძა და ის ატირებული ვნახე, ყველაფერი გავიგე.

და იმ ღამიდან მე მტკივა გული.

...ჯანდაბას ყველაფერი - ასე ვამბობ მე!

ყველა სანთლებს დავაქრობ ჩემს უკან და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისკენ დავიწყებ ცქერას. მხოლოდ წინ! მხოლოდ წინ!

წინ - იქ თავისუფლებაა, გაშლილი მინდვრები, ყვავილები - იქ სჯობია!

ჩემს უკან დავაქრობ ცეცხლს და დეე იყოს, რაც უნდა იყოს, დღეს სატუსაღოში ვარ, ხვალ თავისუფალი ვიქნები...

წინ უნდა ვიცქირო... და ჯერჯერობით კი ავიღებ ხელში სასულიერო შინაარსის წიგნებსა და ვიკითხავ გულმოდგინედ...

მაკურთხე, მამაო!

აი, ვაქრობ ჩემს უკან სანთლებს - არაფერი ჩემს უკან არ ყოფილა, არაფერი, არაფერი! და თუ იყო, ჯანდაბას მისი თავი და ტანი, ჯანდაბას!..

მოდით და ბრძანეთ თქვენი პატიოსანი ბაგით, ღმერთი მრავალთა მოწყალე და სამართლიანი არ არისო! აბა,

მომისმინეთ, რა ამოვიკითხო ამ წიგნში!

“ცოდვილთა ზედა განჩინების წარმოთქმის შემდეგ, სატანა და იმისი თანაშემწენი გადაისვრიან დასჯილებს უძირო უფსკრულში. უკუნი ბნელი იქ იქნება ბინა მათი, მატლნი - საწოლი მათი, ხოლო იმედი თავის დაღწევისა მოკვდება მათ გულში, იმიტომ რომ სიცოცხლეში ისინი არისხებდენ ღმერთსა. ცეცხლის მათრახით სცემენ იმათ დღისითა და ღამით და დაუქრობელ ცეცხლში აბანავებენ იმათ. ძვალნი მათნი დაიწვიან, ისინი კი განაგრძობენ მუდარას ჯალათებისადმი - ცოტა მოგვასვენე, ცოტა დრო მოგვეცი - ვთხოვოთ გამჩენს შეგვიბრალოს, შეგვანანიოს ჩვენი ცოდვებიო. მაგრამ თხოვნა მათი იქნება ამაო, არც სიბრალული მათდამი, არც პატიება მათი - ისინი იქნებიან ცეცხლსა და ტანჯვაში უკუნით უკუნისამდე.

ხოლო მართალნი ღვთისა წინაშე სამოთხიდან იხილავენ

ტანჯვათა ცოდვილთასა და სიხარულითა დიდითა აღივსება გული მათი!..”

აბა, როგორ გეგონათ? აქაც შეგრჩებოდათ და იქაც სიავე? ღმერთი, დიდება მის სახელს, სამართლიანია!

დავაქრე მე ცეცხლი ჩემს უკან და შევუდექი საღვთო წერილის კითხვას. გაიგებს მღვდელი, ეტყვის უფროსებს. მომიწონებენ. და ამას გარდა მომიწონებს ღმერთიც და მე სამოთხეში შევალ და იქიდან დავტკბები ცოდვილთა ტანჯვის ცქერით.

...ისევ იძულებული შევიქენი გავშორებოდი ტფილისს. და თან ჩემი სევდაც ვერ თავსდებოდა ქალაქის ვიწრო კედლებში, მას უნდოდა ფართო მინდვრები, ცამდე აღმართული მთები...

დიახ, დიახ, გავტეხე სიტყვა, დავარღვიე პირობა! აი, ვანთებ სანთლებს ჩემს უკან.

«Фонарики-сударики
Горят себе, горят!..»

და სოფლიდან სოფელში მავალი, კრებიდან კრებაზე, მე ვერთობოდი, მე ვივიწყებდი ტკივილებს, ჩემს მწვავე ფიქრებს...

მე ვიცოდი რაში იყო საქმე, მე ვიცოდი, რომ ვკარგავდი ხვარამზეს.

მე ვიცოდი რაში იყო საქმე, მაგრამ ამის შესახებ არავის არაფერს ვეუბნებოდი და ყველაზე უფრო არაფერს ვეუბნებოდი ჩემს საკუთარ თავს.

გავიდა კვირა, გავიდა ერთი თვეც - მე ხვარამზე არ მენახა, ის ქალაქში იყო.

მაგრამ რას შვრებოდა ის იქ? ვისთან ატარებდა დროს? რაზე ფიქრობდა?.. ახ, ვისთან ატარებდა დროს?

ხაშურში ჯარი იდგა. იმის წინეთ იქ მუშები დახოცეს, გაფიცულ მუშებს ტყვია დაუშინეს.

ერთი ჯგუფი ჯარისა მინდორში თავს ირთობდა, მღეროდა და თამაშობდა.

მივუახლოვდი.

Дали бабе киселя, киселя,
Баба весела, весела...

წითური ვაცის მსგავსი წვერით, მოუხეშავი მეფის მუჟიკა ჯარისკაცი მუნდირში ცეკვავდა და თან ამ სიმღერას მღეროდა. და იყო რაღაც უსაზღვროდ უცხო და მტრული, ველური და შიშის აღმძვრელი ამ მისი ჩექმების ბრახუნში, წვერების ცანცარში, წვიტი თვალებით შემოხედვაში და იმ შემოძახილში, რომელსაც ის დროგამოშვებით ჩაურევდა თავის ბუქნებში და ხელებს მუხლების თავებზე დაირტყამდა...

«Дале бабе вецмундер, вецмундер,
Стала баба командер, командер...»

მძიმე სევდა და კიდევ შიში ვიგრძენი გულში ამ სტიქიური ძალის წინაშე...

რამდენია!.. რამდენია!.. რამდენია!..

გავშორდი და წავედი.

მივადექი სახლს, სადაც ხვარამზე ცხოვრობდა. პატარა ბავშვი, პატარა გოგო, რომელიც მე ყოველთვის ენას მიჩვენებდა ხოლმე, იქ არ დამხვდა. ფანჯრიდან ვიღაცასი გულგრილი ფიზიონომია იცქირებოდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ყველაფერი ძველებურად იყო, რამდენიმე ალუბლის ხე, კიბე - სახლზე ასავალი, ფანჯრები, ცოტათი გადაზნექილი სამზარეულო და მაინც კი ვიგრძენი, თითქოს სასაფლაოზე მოვსულიყავ... და ისე გამიკვირდა, ისე გამიკვირდა, რომ საიდგანღაც გიტარის ხმა მომესმა...

ახ, რა მძიმეა, მეგობრებო, სასაფლაოზე სეირნობა! მით უმეტეს, თუ ამ სასაფლაოზე შენი ტკბილი წარსული მარხია!.

ჩქარა! ჩქარა აქედან!

მე მივიღე მისი წერილი და აი, რა ეწერა შიგ:

“ძვირფასო ვანო! ყველა ეს დიდიხანია მინდოდა მეთქვა შენთვის, მეთქვა პირადად, მაგრამ ვერ შევიძელი. მაპატიე, ჩემო ვანო! ბევრი ვებრძოლე თავს, მაგრამ ვერას გავხდი. მხოლოდ ერთი რამ მსურს იცოდე შენ, ძვირფასო ჩემო, რომ ამ წერილს არა თუ შენთვის მხოლოდ მოაქვს მწუხარება - მეც შენი ამხანაგი ვარ, ჩემო ვანო... მე ხომ ისევ ისე მიყვარხარ და კვლავაც მეყვარები... მაგრამ ეს სიყვარული ჩემი შენდამი, ეს სიყვარული თხოულობს გამართლებას და გამართლება მისი მე ვერ შევიძელი... მე ის მიწიერი მგონია და ეს ჩემი ეჭვი ვერ შევარყიე. და რადგანაც ეს ეჭვი ვერ შევარყიე, ეს სიყვარულიც უნდა უარიყვეს - ესე იგი მე და შენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ! ეს მე პირველად ვიგრძენი იმ დღეს, მოედანზე, როცა შენ ძალათი გამომათრიე ხალხის

ჯგუფიდან. მაშინვე ვიგრძენი მე ეს და საშინელი შიში განვიცადე. მაგრამ ხომ იცი - შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, რაც უნდა მომხდარიყო, დეე მოხდეს... ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ! აბ, რად, რად მოხდა ყველაფერი ეს!

“შენ მომკიდე მკლავში ხელი, წამიყვანე... შეგეშინდა - შეიძლება მოჰკლანო ხვარამზე. იმიტომ რომ მე შენი ცოლი, შენი ხვარამზე ვიყავი? რად შეგეშინდა, ვანო, შენ თვითონ ხომ საჯაროდ იდექ - შენ სიტყვას ამბობდი - შენ ხომ უთითებდი მტრებზე - მე კი მხოლოდ ვიდექი შენს გვერდით, ბედნიერი და ამაყი შენით!. შემდეგ შენ სროლა დაიწყე - ხომ ადვილი იყო, შენ მოეკალი იმათ? მე საშინლად შემეშინდა ამის გამო, მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია მოვსულიყავ, გარე გამეყვანე... მე ვსდუმდი. შემდეგ მე დამინახე საფრთხის წინაშე... და არ გამიშვი... რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, ჩემი სიკვდილი საჭირო იყო-მეთქი, შეიძლება ის, რასაც მე ჩავდიოდი, არც იყო

საჭირო... მაგრამ, ვანო... ჩემო ვანო, მარტო მე ხომ არ ჩავდიოდი იმას, რაც შენ არ დამანებე? რატომ მხოლოდ მე შემიშალე ხელი და არა ვინმე მუშათაგანს, რომელიც ისე, როგორც მე, იდგა სიკვდილის წინაშე? თვითონ შენ, შენ რად ისროლე, ვანო, როცა ეს ისე იყო აკრძალული? და იქ, სადაც შენ მიდიოდი სიკვდილზე, სადაც სხვები დაიხოცნენ კიდეც, იქ რად არ შემეძლო მომკვდარვიყავი მე? რით განირჩევი შენ იმ აფიცრისაგან, რომელმაც ვერ გადასწყვიტა ესროლა ჩემთვის? არ მომკლა მე იმან იმიტომ, რომ მოვეწონე, როგორც ქალი, ჩემი სილამაზე დაზოგა მან და არა ის იდეა, რომელსაც მე იმის წინააღმდეგ ვიცავდი... შენც მხოლოდ შენი ლამაზი ცოლი, შენი საყვარელი ქალი გინდოდა გადაგერჩინა, მხოლოდ შენი ცოლი... და რა გამომეტყველება გქონდა მაშინ შენ - ვერაოდეს მე იმ გამომეტყველებას ვერ დავივიწყებ და იმის მოგონება, ჩვენ რომ კვლავ ერთად ვიცხოვროთ, ჩვენს მომავალ არსებობას მოსწამლავს... შენ ხომ აგრე

იცი ხოლმე გმირთა ცხოვრების აღწერა - რად არ ანებებდი შენს ცოლს "გმირობა" ჩაედინა? რა უფლების ძალით არ ანებებ, ნება მიბოძე გკითხო? განა საბუთია შენი სიყვარული? მე რომ შენი ცოლი ვარ? შენ რომ უჩემოდ ყოფნა არ შეგიძლია? ეს ხომ, ვანო, ეს ხომ ღალატია საქმის, რომელსაც ჩვენ ორივენი ვემსახურებით? და განა სიყვარულს ღალატისაკენ უნდა მივყავდეთ? განა ის ტალახისაკენ უნდა გვწევდეს? ან და შეიძლება მე არ ვარ შენი ტოლი და თანასწორი? თუ ეს ასეა, სიყვარული ჩვენს შორის საიდან შეიძლება?..

"დიდი ხანია ვიკრებ ძალას, რომ იმ გზას დავდგომოდი, რომელსაც დავადექი. მე სუსტი, გაუბედავი, ყოველსავე ტრადიციას მოკლებული ქართველი ქალი ვარ. მაგრამ ქართველმა ქალმაც უნდა სძლიოს დაბოლოს "ქართველი ქალი", შედგეს მაგრად ფეხებზე, გაშალოს ფრთები და გაფრინდეს... უნდა გაფრინდეს... და თუ სიყვარული

უშლის ამას ხელს, ძირს სიყვარული! თუ რაიმე უშლის ხელს, ძირს ყველა ეს! ეს გადაწყვეტილია და შენ უნდა შეხვდე ამას, ვანო, როგორც აუცილებლობას. და თუ შეიძლება, ეცადო არ მინახულო ჯერჯეროობით მე. ამას ძლიერ, ძლიერ გთხოვ... ამისრულებ თუ არა ამ თხოვნას?.. - ხვარამზე".

ურა! ურა! ურა!

შენ კარგად თხრი, თხუნელავ!

გაუმარჯოს ხვარამზესა და ძირს ვანო ღუღუნაშვილი, ცნობილი აგიტატორი! თქვენ გესმით თუ არა, ამხანაგებო, იმიტომ კი არ სტოვებს იმას საკუთარი ცოლი, რომ სხვა ვინმე მასზე უკეთესი ნახა, სხვა ვინმე შეუყვარდა, არამედ იმიტომ, რომ მას, ვანო ღუღუნაშვილს, ზნეობრივად დაბლა სთვლის ცოლი, უღირსად და

შეუფერებლად.

ურა, ხვარამზე! გაუმარჯოს მძლავრებს, გზა, გზა იმათ!

შენ კარგად თხრი, თხუნელავ!

ტფილისში დაბრუნებულმა, მე გადავწყვიტე ნინოსთან შემევლო: შეიძლება იქ ვინმე ნაცნობთაგანს გადავეყარო და გამოვერკვე, როგორ უნდა დავიჭირო თავი, რომ ვირის აბანოში არ მოვხვდე-მეთქი.

- აი, არ მოგელოდი ღმერთმანი! რომელმა ქარმა გადმოგაგდო? - მომესალმა მხიარულად ნინო და მაგრად ხელი ჩამომართვა.

- აქ კი ისე გეძებენ, ისე გეძებენ!.. მაინც ბედი კი გაქ, ვანო, რომ ამდენხანს არ ჩაუვარდი იმათ ხელში... ერთი წელია

აქ ხარ, ისე დაგეძებენ და... აი, შეხედე, რამდენი წიგნები შევიძინე - ერთიან გამძარცვეს, მარა ეხლა კი საკმაო წიგნები მაქვს, მთელი ზამთარი მეყოფა... ბიჭოს, ეს როგორ სდუმხარ?.. როგორ ცხოვრობ?.. დაჯექი, კაცო... ლიზ... ხვარამზე როგორ გრძნობს თავს?

- ახალი ამბავი არ იცი, ნინო? - ახალი? რა ახალი ამბავი?

- მე და ხვარამზე აკი არ ვცხოვრობთ ეხლა ერთად!

და ამიტყდა მე სიცილი მაგრამ, ალბათ, ეს სიცილი ცრემლზე უარესი იყო.

ნინო გაფითრდა. მის ჭკუიან თვალებში გაკვირვება და ჩემდამი თანაგრძნობა წავიკითხე.

- რა... რას ხუმრობ, ვანო!

- ვხუმრობ კი არა... გავშორდით - Прощай, до свидания... სხვადასხვა პრინციპიალური მოსაზრებით... მაშ! ხა! ხა! ხა!

მან პირი ამარიდა.

ყველამ იცის ხომ, და მეც ვიცი, რომ დიდიხანია ნინოს მე ვუყვარვარ.

და მე მომინდა აქედან წასვლა - რად მოვედი აქ? და თუ მოვედი. რად ვუთხარი მას ეს ამბავი?

წამოვდექი.

- სად? სადღა მიდიხარ ეხლა, ცოტა დაიცა!

მაგრამ მე არ დავიცადე - წავედი... ჩემს წინ ტფილისი გადაიშალა. ჩემი ტფილისი!

“ნეტავ ქება როგორ ითქმის ამ ტფილის-ქალაქისაო. ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისაო”.

ჩემი ტფილისი!

მაგრამ მიუხედავად ამისა, ნება მიბოძეთ ვაღიარო საქვეყნოდ, რომ მე ვერც ეხლა, ამ წუთში, მივცემდი ნებას ხვარამზეს თავი შესწიროს იქ, სადაც მე შევსწირავ თავს.

ასეთია ჩემი სიყვარული მისდამი!..

დიახ! ამას ვაცხადებ საქვეყნოდ.

ასეთია ჩემი სიყვარული მისდამი...

ორთაჭალის ბაღებში ბევრი სამიკიტნოებია, მაგრამ მე ყველაზე უფრო მომეწონა ერთი მათგანი.

იქ დახატულია ახირებული ეტლი, ახირებული ცხენებით, მეეტლითა და მგზავრით, რომელსაც დასდევნებია უკან ერთი ქალის მსგავსი რაღაც არსება. ქვეშ რუსულად აწერია:

«Не уезжай голубчик мой!»

ამ რუსულ წარწერის ქვეშ ქართული წარწერაა:

“სად მოვსულვარ, სად შევსულვარ!”

და ვიღაც ხუმარას კიდევ ალმასით მინაზე დაუწერია: “აქ საწყალი კაცის აფთიაქიაო”.

აი, ამ სამიკიტნოში შევედი მე და ღვინო მოვითხოვე. გადავკარი სადღეგრძელო ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანების და მედუქნეს გავუსწორდი.

როცა ქუჩაში გამოვედი, როდი ვიცოდი, სად წავსულიყავ. უშველოს ღმერთმა, პოლიციელმა მითხრა - გთხოვთ მობრძანდეთ, თქვენთან ცოტა საქმე გვაქვსო...

მეც მიზანი გამიჩნდა...

ჟანდარმის როტმისტრი ზედმიწევნით დინჯი, ზრდილობიანი და სტუმრის-მოყვარე აღმოჩნდა. იმას ისე იამა ჩემი ნახვა; რამდენი ხანია თურმე სწყუროდა გამცნობოდა. - ეხლა კი ნურას უკაცრავად, თუ დიდხანს არ მოგიშოროო... აი, როგორ იამა ჩემი ნახვა კეთილ ჟანდარმის როტმისტრს!

და ვზივარ ეხლა მაღალ, მაგარ კოშკში, ცალკე ოთახში. და თავს მშვენივრად ვიგრძნობდი, რომ ეს წყეული ბაღლინჯოები არ იყოს ასე უხვად!

და თან კიდევ ეს გაზაფხული გვეწვია. მერცხალმა რამდენიმეჯერ შემომძახა-შემოიჟღურტულა ჩემს ოთახში, პატიჟი დამიწყო. მტკვარი დათვრა და გიჟური ღრიალით მიაქანებს მღვრიე ტალღებს შორეულ კასპიისაკენ... ისიც მეძახის ფართო მინდვრებისაკენ...

საჭირო იყო ყველა ამისათვის ყურადღება არ მიმექცია, საჭირო იყო რამეთი გამერთო აღრჩეული სული.

ამიტომ დავიწყე წერა. მე დავწერე რაღაც, ზღაპარი რამ სიყვარულზე აშენებული.

იყო თუ არა ყოველივე ეს?

არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ, რომ სევდა იყო - ეს სევდა ალაპარაკდა...

სევდა ალაპარაკდა, რომ ცოტათი დამშვიდებულიყო.

აი, რა ვიცი მე!..

“რასაცა გასცემ შენია, რაც არა - დაკარგულია!” ღმერთმანი, ეს ასეა. არ გჯერათ? აი, აბა დაუგდეთ ყური.

წმინდა ტიხონი, რომელიც შემდეგში ამაფუნტის ეპისკოპოსი იყო და დიდი დამცველი მართლმადიდებლობისა, ბავშვობისას ყიდდა პურს, ვინაიდან მამა იმისი იყო მეპურე. ბავშვი კეთილი

გუნების იყო და ხშირად ღარიბსა და მათხოვრებს უფულოდ აძლევდა ხოლმე პურს. გაჯავრებულმა მამამ ამისთვის ერთხელ დასაჯა ის და მოწყალების გაცემა აუკრძალა.

მაშინ წმ. ტიხონმა ასე უთხრა მამას: “მშობელო ჩემო, შენ ამაოთ სწყრები. მე შენს პურს როდი ვაჩუქებ, არამედ სესხად ვიძლევი, ღმერთს ვასესხებ ხოლმე და ღვთისაგან ხელწერილი მაქვს, სამღვთო წერილებში ჩაწერილი, სადაც წერია: “ღმერთზე გამცემი ასწილ მიიღებსო”. თუ ეს არ გჯერა, აბა წამო ბეღელში და დარწმუნდები, რომ არ ვტყუი.

ამ სიტყვებით მან მოჰკიდა მამას ხელი და წაიყვანა ბეღელში. და რა იხილეს? წინეთ თითქმის ცარიელი ბეღელი ეხლა სავსე იყო საუკეთესო ხორბლით.

მამას ძლიერ იამა ეს გარემოება, შეაქო ღმერთი და შემდეგ ხშირად აძლევდა საწყლებს პურს, დარწმუნებული, რომ ღმერთი ერთი ასად მიუზღავდა სამაგიეროს...

არც ეხლა გჯერათ?

(ერთი წლის შემდეგ - სატუსაღოს გარეშე)

ზემოთ მოყვანილი ვიპოვე მე ჩემს ძველ, სატუსაღოში ნაქონ რვეულებში.

ავიღე და გადავწერე ყველა ის ხელახლა.

ეს იმიტომ, რომ მინდოდა გავქცეოდი სევდას, დროებით მაინც დამევიწყებია ის.

სევდა ჩემი...

და შენც კი, არც შენ იცი ჩემი მწუხარება, სევდა ჩემი.

დიდი, დიდიხანია, რაც ვუფარავ იმას მე ყველას, ყველა სულდგმულს.

და შენგანაც ვმალავდი იმას მე.

იმიტომ რომ მე არ ვიცი, ვინ ხარ შენ, საიდან ხარ, სად ხარ შენ, რომელიც გამოგიგონე მე სატუსაღოში, რომელსაც დაგარქვი სახელად ხვარამზე... და დავაჯერე ჩემი თავი, რომ კახეთიდან იყავი თითქოს, იმ ქვეყნიდან, სადაც საუკეთესო ღვინო მოდის და მშვენიერი ქალები, მგონია, იბადებიან.

ვინ ხარ შენ, ხვარამზე, ნაყოფო ჩემი ტუსაღობის ოცნებისა, რომელიც შეგიყვარე მე, და რომელსაც

შეგაყვარე თავი, და რომელიც გაიძულე შემდეგ მიგეტოვებიე, რათა დამეცვა შენი თავმოყვარეობა და ადამიანური შეგნება!

ვინა ხარ შენ, ხვარამზე?

იცი შენ განა, როგორ მენატრები?

იცი შენ განა, რომ ამ ნატვრას ჩემსას ვფარავდი მე ამ ქვეყნად და არ ვამხელდი?

მაგრამ ეხლა მომაქვს აქ და ამ ფერმკრთალ სტრიქონებში ვამჟღავნებ მას.

შეიძლება ასე არ უნდა მოვქცეულიყავი!

არ ვიცი!

შეიძლება ეს საიდუმლოება ჩემი ყვავილებისათვის უნდა გამენდო, ტკბილ სუნნელებით გაჟღენთილ, სიყვარულით მთვრალ გაზაფხულის ყვავალებისთვის!..

არ ვიცი.

ან და მშფოთვარე ქარის ფრთებზე უნდა დამესვა იქნება ის და ქვეყნიერებისთვის გამეგზავნა!

- წაიღე ეს, ქარო ღრიალა, წაიღე შორს, შორს ჩემგან! მძიმეა ეს ჩემს გულში და ტარება მისი მე არ შემიძლია, წაიღე ეს ჩემგან, წაიღე!

არაფერი არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ ერთი, მხოლოდ ის, რომ ეს ნატვრა ჩემი -

ჩემი სევდა, უხილავი და საიდუმლოდ შენახული, რომელიც შენთვისაც კი არ გამიმხელია, ეს ნატვრა ჩემი - სევდა ჩემი მოვიტანე აქ, ამ მკრთალ სტრიქონებში და აქ დავმარხე.

იცნობ, მიაგნებ თუ არა აქ იმას, მეგობარო?

არ ვიცი.

კიდევ - შეიძლება ეს არ უნდა მექნა მე!

შეიძლება!..

ის მაწევს სულზე, ის ქენჯნის და ღრღნის მას.

სევდა ჩემი.

მაგრამ ამ სევდაში, ჩემო მეგობარო, ხედავ თუ არა შენს თავს, ამ სევდაში?

ხედავ თუ არა შენს თავს - მხიარულს, მოცინარს, ბედნიერს?

ამ ჩემს სევდაში ზიხარ შენ!

და ამიტომ კურთხეულ იყოს სევდა ჩემი ამიერიდან და უკუნისამდე.

კურთხეულ იყოს, ჩემო მეგობარო!

მძიმე სევდა მაწევს გულზე და ამიტომ ვგრძნობ თავს აქაც ისე, როგორც სატუსაღოში.

და როგორც სატუსაღოში, გელოდები შენ!

გელოდები შენ.

მოდი, მოდი, ჩემო მეგობარო, მოდი, მნახე!

გელოდები, მოდი!

და ვიცი კი, რომ არაოდეს, არაოდეს ეს არ შეიძლება მოხდეს!

და მაინც გელოდები.

როგორც სატუსაღოში, ჩემო მეგობარო!

და ამიტომ მიჭირს და ვწუხვარ მე, როგორც სატუსაღოში, როგორც ცხრაკლიტულში...

და ვიცი კი, რომ შენ ვერ მოხვალ ჩემთან.

ვიცი და მაინც გელოდები.

დღეს მთელი დღე მარტო დავეხეტებოდი.

დავიღალე და ჩამოვჯექი.

ფიქრი დავიწყე და ასე მეგონა - სასაფლაო დავათვალიერე, დავიღალე, მოვიქანცე.

ეს იმიტომ, რომ უკან დავიწყე ცქერა...

და დამძიმდა, დამძიმდა გული.

მომინდა შენი ნახვა - ისევ და ისევ!

მაგრამ არაოდეს, ვიცი, არაოდეს ეგ არ შეიძლება მოხდეს.

ა-რა-ო-დე-ს! ა-რა-ო-დე-ს!

მძიმე სევდა მაწევს გულზე და ვხუჭავ თვალებს.

და როცა მე ვხუჭავ თვალებს, სევდა მეფურჩულება:

- არაოდეს! არაოდეს! არაოდეს!

როგორც შემოდგომის წვიმა...

- არაოდეს, არაოდეს!

როგორც შორეული სიმღერა...

- არაოდეს! არაოდეს! არაოდეს!

აᲮ, ეს წყეული ჯალათი, ეს უსულო სიტყვა, ცივი და მშვიდი, როგორც სიკვდილი, როგორც დავიწყება:

- არაოდეს! არაოდეს! არაოდეს!

მაგრამ ამ სიტყვაში აკი შენ ᲬიᲮარ! ამიტომ ჩემი კურთᲮევა მას!

შენ არ მოᲮვალ არაოდეს, მაგრამ ჩემს ნატვრაში, რომელიც ჩემი სევდაა, შენ ᲬიᲮარ მუდამ, ჩემო მეგობარო!

და ამიტომ არავის იმას არ მივცემ, არავის!

ჩაიარე, ჩამცილდი, ღრიალა ქარო, არაფერი არ გამაჩნია შენთვის! რას მიღიმით ვარსკვლავებო, არ გეყოფათ განა თქვენი სიმდიდრე, რომ ჩემი გინდათ წაიღოთ? თქვენ

რაღა გინდათ გაზაფხულის ყვავილნო, სიყვარულის წყალობით არ ხართ ასე მშვენიერნი? კიდევ რაღა გინდათ - აი, თქვე გაუმაძღრებო, თქვენა!

არავის, არავის არ მივცემ ჩემს ნატვრას, რომელიც სევდაა ჩემი. იმიტომ რომ ამ ნატვრაში შენ ზიხარ, ჩემო მეგობარო!

კურთხეულ იყოს ის აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე! კურთხეულ იყოს!

1909 წ.

ჰონორარი

...მე დიდი იმედი მქონდა იმ მოთხრობის, რომელიც დიდის გულმოდგინებით გადავწერე, რომ გაზეთში დასაბეჭდად გამეგზავნა. წინეთაც ვსწერდი, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც იმდენად მომწონდა, რომ გავბედე მეცადა ბედი. სანამ არ გადავწერე, სანამ არ მოვამზადე გასაგზავნად, იქამდე არ გამიმხელია ეს. გადავწერე და თვალსაჩინო ალაგას დავდე მაგიდაზე გაშლილი რვეული. მე ვიცოდი, რომ გაიღებოდა ჩემი ოთახის კარი, ჩქარი ნაბიჯით შემოვიდოდა ოთახში იულია სალავეიჩიკი, გაიხედ-გამოიხედავდა და რაკი დაინახავდა ჩვეულებრივ არეულობას ჩემს მაგიდაზე, დაიძახებდა:

- ღმერთო ჩემო, ეს რასა ჰგავს!

და შეუდგებოდა მაგიდის მილაგებას. იქ კი ის დაინახავდა ჩემს ხელნაწერს და ეს მე მიხაროდა. მგონი სენკევიჩი ამბობს: სახელის მოპოვება იმიტომ არის სასურველი, რომ ის, სახელი, შეგიძლია საყვარელ ქალს უძღვნაო. და რომ მე შემძლებოდა გავრკვეულიყავი ჩემს ფიქრებში, იმ დასკვნამდე მივიდოდი, რომ ამ მოთხრობის დაწერა, მისი დაბეჭდვა მინდოდა უმთავრესად იმიტომ, რომ ამის შესახებ გაიგებდა ის, იულია სალავეიჩიკი, იმას იამებოდა. ეს ასე იყო. შეყვარებული კი არ ვყოფილვარ, ესე იგი იმ დროს მე დიდი აგდებით ვუცქეროდი ამ პატიოსან გრძნობას, არ ვცემდი პატივს. აბა, რა დროს სიყვარული იყო, როცა ქვეყანაზე ამდენი, ამდენი საქმე იყო გასაკეთებელი, სად გვეცალა სასიყვარულოდ! იულია სალავეიჩიკს ქვეყანა უნდა გაებედნიერებია, მე, ლევან კვალიაშვილსაც, ქვეყანა უნდა გამებედნიერებია. იგი სწავლობდა ბებია-ქალობას, რომ სოფელში ჩამდგარიყო

და ემუშავა, მე კი... მე, მართალი გათხრათ, საიდუმლოდ ვფარავდი გულში, რომ... რომ დიდი მწერალი უნდა გავმხდარიყავი, ნინოშვილი, ყაზბეგი, ჭონქაძე და... და ოდესმე კიდევ ლევან კვალიაშვილი, ბელეტრისტი, ქართველი მწერალი. იულიამ ეს არ იცოდა, მაგრამ ის იცოდა, რომ მეც ქვეყნისათვის უნდა შემეწირა თავი. ამას გარდა, არ იცოდა კიდევ ის ამ კარგმა ქალმა, რომ როცა მე მომავალზე ოცნებას დავიწყებდი, ყოველთვის თან მახლდა იგიც, ყოველთვის ვფიქრობდი - იულია დაინახავს ამას, იულიას მოეწონება ეს, იულიაც ჩემს გვერდში იქნება-მეთქი. და არ მეშინოდა არაფრის, მიხაროდა, მიხაროდა... შეყვარებული კი არ ვყოფილვართ, სად გვეცალა სასიყვარულოდ, როცა ამდენი საქმე გვედო წინ! და ჩვენი დიასახლისი, სხვა მდგმურებიც, ტყუილა, უსაბუთოდ ხუმრობდნენ ჩვენს შესახებ. არა, არ ვყოფილვართ შეყვარებულნი.

მაშინ მე ვცხოვრობდი ქალაქ №-ში, რუსეთში, და ვიყავი მე თვრამეტი წლის, იულია სალავეიჩიკიც თვრამეტი წლის იყო. ჩემს გვერდით ცხოვრობდა ის, მეორე ოთახში და ხშირად, როცა მე ნაშუაღამევს კიდევ ვუჯექი წიგნს, დამიძახებდა ის:

- გიჟო კავკასიელო, კიდევ არ გძინავს?

იფეთქებდა გულში სიხარული და ვაძლევდი პასუხს:

- არ მძინავს, იერუსალიმელო აზნაურო, კიდევ არ მძინავს. - იულია ებრაელის ქალი იყო..

- დაიძინე, ბავშვო, გაწყენს უძილობა!

- შენ თავს ასწავლო, რა გიჭირს? აკი არც შენ გძინავს?

- მე შენს დაძინებას ვუცდი!

- რა ჩემი ძიძა ხარ?

- არ მეზარებოდეს შემოსვლა, განანებ მაგ სიტყვებს... ღამე მშვიდობის, კავკასიელო ყაჩაღო!

- ძილი ტკბილი, “ჟიდოვკა”!

და გულგაშლილი, ხალისით და ცხოვრებისადმი სიყვარულით სავსე, მე ვიხდიდი ტანზე, ვწვებოდი. და მიხაროდა, მიხაროდა. შეყვარებული კი არ ვყოფილვარ...

...გაიღო კარები. იულია ახალ-პირდაბანილი, ვარდივით გაშლილი, ტანადი და სწრაფი შემოვიდა ოთახში.

- მითხარი, შე ველურო კავკასიელო, მუდამ მე უნდა

მივალაგო შენი მაგიდა? მართლა ხომ ძიძა არა ვარ შენი?

-- ვინ გთხოვს!

- “ვინ გთხოვს”! თუ არ შემიძლია ვუცქირო არეულობას!

- ნუ უცქერ, გეთაყვა!

- ახ, შენ...

ის მივიდა მაგიდასთან.

- ეს რა არის? - აიღო ხელში რვეული.

- ვერ ხედავ, რა არის? ხელნაწერია.

- ვისი? შენი?

- აბა ვისი იქნება! - ხელოვნური გულგრილობით ვეუბნები მე და ღია ფანჯარაში ვიცქირები.

- მოთხრობა არის?

- ჰო, მოთხრობაა!

- სთარგმნე? თარგმანი იქნება, ხომ?

- არა, იულია, ორიგინალია! - ვუთხარი მე, ვუთხარი გულწრფელად, ამხანაგურად და ამ სიტყვებში ისმოდა, ალბათ, ჩემი ეჭვი, ჩემი შიში, იმედი და კიდევ თხოვნა - არ გაეცინა მას, იულიას...

და მან იგრძნო ეს, სერიოზული სახე მიიღო, დაუწყო ფურცვლა რვეულს და ბოლოს მითხრა:

- ვერაფერს ვერ გავიგებ... არ ვიცი მე, ლევან, შენი მშობლიური ენა...

და თითქოს ეხლა გავიგე მე ეს ამბავი, თითქოს წინათ არ მცოდნია, რომ იულიამ არ იცის ქართული, - პირველად მეწყინა ეს, პირველად გამიკვირდა და პირველად ვიგრძენი მე რაღაც კედელი, რაღაც საზღვარი მე და იმას შორის...

- დიახ, არ ვიცი მე, ლევან, შენი ენა...

და ის შემომაცქერდა.

თითქოს დამნაშავე ვიყავი, რომ იმან არ იცოდა ქართული, თავი დავღუნე, შემრცხვა თითქოს. აი მე ვიცი ქართული და იულიამ არ იცის, მე ვიცი და იულიამ არ იცის...

თითქოს მე ვჭამდი რაიმე ტკბილ, გემრიელ საჭმელს, იულიასაც უნდოდა ის და არ შეეძლო კი ეჭამა... მე ვიცოდი ქართული და იულიამ კი არა, იულიამ არა!

- ლევან, მომიყევი შინაარსი! ეს ხომ შენი ნაწერია, ლევან, მომიყევი!

- კარგი, იულია, გეტყვი შინაარსს, მომეცი რვეული.

ის გვერდში მომიჯდა. მე დავიწყე. მართალი ვთქვა, მე თვითონ შემეხარბა ჩემი ამბავი. მე თვითონ გამიკვირდა. მე თვითონ ვიგრძენი, რომ ისე დამეწერა, როგორც ვამბობდი, აუცილებლად დაბეჭდავდნენ იმას. მაგრამ ის, რასაც მე ვამბობდი, არ ჰგავდა ნაწერს, სიუჟეტი ერთი იყო, მაგრამ სად ის, რასაც მე ვუამბობდი იულიას, და სად ის, რაც მე დავსწერე!.. მიცქეროდა თვალში თავის შავი, პატიოსანი თვალებით იულია, მიცქეროდა თვალში და

მეც ვაფართოებდი სურათებს, მე ვუშლიდი ფრთებს ფანტაზიას. ალბათ, ასე უმატებს სირბილს კარგი ცხენი, როცა საყვარელი პატრონი გადაიხრება იმის ყურებისაკენ და ანიშნებს - გასწიო. მე როდი ვთხზავდი, მე როდი ვქმნიდი - იულია თხზავდა, იულია მიამბობდა...

- და შენ... შენ დასწერე ეს? შენ, ლევან? - დამეკითხა ის, როცა დავდუმდი და არ ვიცოდი რა მეთქვა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. მეთქვა, რომ ის, რაც მე ვუამბე, სულ სხვა იყო და დაწერილი კიდევ სხვა? მეთქვა, რომ იმას, რასაც ვუამბობდი, ვეღარ გავიმეორებ ვერაოდეს, ვერც ქაღალდზე და ვერც სიტყვიერად? რა მეთქვა!

- იცი შენ, ლევა... ლევა, იცი, რომ პოეტი ხარ შენ!.. არა, იცი შენ ეს? მე ეს არ ვიცოდი... არ ვიცოდი, თუ შენ პოეტი იყავი, შენ, ქართველო ყაჩაღო!..

არც მე ვიცოდი ეს... მაგრამ რაკი იულია ამბობდა... ყაზბეგი, ნინოშვილი, ჭონქაძე და... და ლევან კვალიაშვილი, ქართველი მწერალი... და იულია, იულია სალავეიჩიკი, ჩემი მეგობარი იულია, პატიოსანი იულია, იულია, იულია...

- ღირს, იულია, გავგზავნო? სირცხვილი არ იქნება ვითომ?

- ღირს? რას ამბობ! ამ წუთას გავგზავნოთ, ამ წუთას!

მე მზად მქონდა ბანდეროლი. წინა დღით ვიყიდე. და როცა რვეული გავხვიეთ ბანდეროლში, იულია მეცა:

- მომეცი აქ... ადრესს მე დავაწერ... მე მინდა დავაწერო ადრესი... ღმერთო, ეს რა არეულობაა შენს მაგიდაზე... პოეტი ყოფილხარ და სილამაზის არაფერი გაგეგება... Ну? მითხარი ადრესი.

- ქალაქი ტფილისი... მერმე... რედაქცია... ქართული გაზეთის X-სა.

- მაშ აგრე, ქალაქი ტფილისი, რედაქცია. ქართული გაზეთის X-სა. «Заказное».

- რა საჭიროა «Заказное»?

- ერთი ამას შეხედეთ!.. აბა და დაიკარგოს ხელნაწერი? რომ დაიკარგოს, მერე? მერე, ბ-ნო პოეტო, რაღაი?

რას ამბობს ეს იულია! განა ქვეყანაზე იქნება ისეთი ბარბაროსი, ისეთი მხეცი ვინმე, რომ ჩემი ხელნაწერი დაკარგოს? ეს განა შეიძლება?.. და უცებ დამებადა შიში გულში - მართლა რომ დაიკარგოს, რა უნდა ვქნა მაშინ!. ჰო, რა თქმა უნდა, დაზღვეული უნდა გაიგზავნოს,

გმადლობ, მეგობარო!

იმ დღესვე წავიდა ჩემი ხელნაწერი საქართველოს დედაქალაქისაკენ და იმ დღიდან დამეკარგა ძილი და მოსვენება.

და დამეკარგა მადაც. ეს გარემოება, დამეთანხმებით, არ იყო ცუდი. ვინც ქართველ ლიტერატორობას აპირებს, იმისთვის კარგია, რომ მოახერხებდეს და ჭამას გადაეჩვეოდეს, ნივთიერად ცუდად ვგრძნობდი თავს, კვირაში ორხელ ვსადილობდი მხოლოდ და თუ კი დილით და საღამოთი ჩაისა და პურის ნაჭერს ვიშოვიდი, დიდი ბედნიერება იყო ეს. აქ კი მადა დამეკარგა, შიმშილი აღარ მაწუხებდა - რა კარგი ყოფილა მწერლობა!

ველოდი და ველოდი პასუხს რედაქციიდან. წერილს მომწერენ ვითომ? შეიძლება დაბეჭდონ და გაზეთი

მივიღო წერილის ნაცვლად! შეიძლება ეხლა იბეჭდება!.. რამდენი ხანია, რაც წავიდა ხელნაწერი? სამი დღეა. ტფილისამდე კი ხუთი დღე უნდა. მერმე კიდევ სანამ წაიკითხავდნენ... სული მეხუთებოდა და ველოდი. ველოდი. და ჩემზე არა ნაკლებ ელოდა იულიაც... გავინთავისუფლებდი თუ არა თავს, გავიდოდით ქალაქ-გარეთ და მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობდით, თუ როგორ დაბეჭდავდნენ ჩემს ნაწარმოებს. და კიდევ იმაზე, თუ რას დავწერ მე ამის შემდეგ. ბევრი, ბევრი რამე მქონდა თურმე დასაწერი, სულ ბევრი, ოღონდ პირობებმა არ უნდა შემიშალოს ხელი.

- შენ, ლევა, ზარმაცი ხარ, - მეუბნებოდა იულია, - თუ გძლია შენ, სიზარმაცე გძლევს. მეტი ვერაფერი. ეცადე, ლევა, სძლიო სიზარმაცე, ყველაზე უფრო ეს ეცადე. მეტი ნურაფრის გეშინია.

და ეს ცელქი, ხუმარა ქალი უცებ დინჯდებოდა, ხმაც ეცვლებოდა, ნაბიჯიც, მიხვრა-მოხვრაც! ყველაფერი სხვა იყო იმაში ამ დროს და მე გაკვირვებული ვუგდებდი ყურს. და იულიას, იმ იულიას, რომელსაც ვიცნობდი მე ჩვეულებრივ, რომელსაც ჩვეულებრივ ვეხუმრებოდი, ჩვეულებრივ ტოლად ვუცქეროდი, იმ იულიას ჩრდილავდა მეორე იულია, იულია წინდახედული და დარბაისელი, გამოცდილი და ბრძენი, იულია ძმა, მეგობარი, მაგრამ უფროსი ძმა, უფროსი მეგობარი, მასწავლებელი იულია.

- შენ, ლევა, ივარგებ, თუ მოისურვებ, ეს იცოდე, ოღონდ უნდა მოისურვო, უნდა ეცადო, უნდა იკითხო, ლევა, ბევრი უნდა იკითხო და იმეცადინო.

უბრალო, ანბანური ჭეშმარიტება იყო ამ დარიგებაში, მით უფრო მიკვირდა, რომ იულიას პირში ეს დარიგება

თითქოს ახალ რამედ, ახალ მოძღვრებად იქცეოდა და თითქოს ვალდებულად მხდიდა მერწმუნა, მიმეღო ეს და ამესრულებია. და დავდიოდით ჩვენ, ვსეირნობდით, ველოდით.

ამ დროს დავიწყეთ მე და იულიამ ერთად კითხვა, სისტემატიურად მეცადინეობა. ვიღაც ნაცნობ სტუდენტს გამოართვა მან რომელიღაც წრის სამეცადინო პროგრამა და იმ პროგრამით დავიწყეთ ხელმძღვანელობა. და გამოდგა, რომ თვრამეტი წლის ქალიშვილს, იულიას, უფრო მეტი სცოდნოდა, ვიდრე თვრამეტი წლის ვაჟიშვილს, ლევანს; გამოდგა, რომ ჩემზე მეტი ეფიქრა მას ცხოვრებაში, ჩემზე მეტი ეკითხა, უფრო მეტი ემეცადინა. და ეს გარემოება თითქოს არ იცოდა იულიამ, თითქოს ვერ ამჩნევდა თავის უპირატესობას და ისე მიზიარებდა ცოდნას, თითქოს ჩემთან ერთად პირველად გაეგო იმას ეს.

ზაფხულის კანიკულები დაიწყო და შემეშინდა, როცა ერთ დღეს იულიამ მკითხა - სამშობლოში ხომ არ აპირებო. ამ კითხვაზე მე უცებ ვიგრძენი, რომ შეიძლება იულია წასულიყო სახლში.

- არა, არ მივდივარ... სად უნდა წავიდე ასე შორს... - და შევაშტერდი იმას, შიშით დავუგდე ყური, რას იტყოდა პასუხად.

- ძალიან კარგი, არც მე მივდიგარ. ასეთივე სიცხეები და მოწყენა კიდევ ზედმეტი იქნება ჩემს ოჯახში... უნდა დავრჩე ისევ აქ.

- ურა, იულია! არ მივდივართ, არ მივდივართ.

უკვე ათი დღე გავიდა. არავითარი ამბავი, არავითარი

ცნობა.

- არაფერია? - დამეკითხებოდა ის, როცა მინახულებდა.

- არაფერია! - მოკლედ ვაძლევდი პასუხს.

- მოთმინება, მოთმინება, ქართველო ბანდიტო!

- Рад стараться, жидовка!

- ოთახი ისევ არეულია, ლევა!..

- ჩემი ოთახია, შენი ხომ არა!

- მითხარი ერთი, შე ველურო, გაწყენს, რომ მიალაგო ეს? რა ბევრი ნივთები შენ გაქვს, რომ ვერ დაგილაგებია!

- ეს დედაკაცის საქმეა და არა ჩემი.

- რა თქმა უნდა... ვინ პოეტი და ვინ ასეთი საქმე!

და მე უცებ ვგრძნობ წყენას. ხომ არ დამცინის იულია! და მაინც რა დაიჩემა ეს “პოეტი”, “პოეტი”, მე მოთხრობა დავწერე და არა პოემა! ხომ არ დამცინის ნეტავი!

და ეს ჩემი ეჭვი ერთ დღეს დიდი ვაივაგლახით გავუზიარე იმას. ის გარემოებაც მიემატა ამ ეჭვს, რომ უკვე ოცი დღე შესრულდა და არავითარი პასუხი არ იყო. და მგონი მეც დავუწყე თავის თავს დაცინვა.

- შენ ამბობ, ხომ არ დამცინიო? - მკითხა მან.

- დიახ, მე, ლევან კვალიაშვილი, გეკითხები შენ, იულია სალავეიჩიკს!. - ჩავურიე ხუმრობის კილო.

- რაკი ამას ამბობ შენ, აი ჩემი პასუხი... ხედავ ამას?

და მან გაშალა ჩემს წინ ფოსტის უწყება.

- ეს რა არის, იულია? - წამოვვარდი მე.

- აი, რა არის, წაიკითხე!

- მომეცი.

- არა, ასე წაიკითხე... ჩემს ხელში.

მოიტანა ჩემი თვალების წინ და გამიჩერა.

... “ლევან კვალიაშვილს... ფულიანია წერილი... ერთი თუმანი”...

- მოიტა, იულია, მომეცი.

- იმით მიხვდი, რომ მოგცემ. - და ის გამშორდა.

- იცი, საიდან არის? - დამეკითხა.

- საიდან არის?

- რედაქციიდან არის... ფულს გიგზავნიან, ჰონორარს.

- რას ამბობ, იულია!..

და სიხარულით, მოულოდნელობით გავშრი...

- როგორ დააღე პირი! - ჩამესმა მისი წკრიალა, სიხარულით სავსე ხმა.

- იულია, გეთაყვა, მომეცი...

- მოთმინება, მოუთმენარო! დამიგდე ყური - ეხლა არის თერთმეტი საათი. ხომ გესმის, თერთმეტი საათია. დღეს თამამად შეიძლება ფოსტაში წასვლა და წერილის მიღება. მაგრამ ვინაიდან შენ ცილი დასწამე იულიას, ამიტომ აი სასჯელი: ხვალ დილის თერთმეტ საათამდე ვერ მიიღებ ამ უწყებას...

- იულია! - განწირულივით წამოვიძახე მე.

- ამაოა ყველაფერი, რაც ვსთქვი, ასრულდება. სჯობია ისევ დაემორჩილო ბედს და უფრო არ გამაჯავრო, თორემ უფრო გაჭიანურდება დრო. ხომ გაიგე? მაშ გაჩუმდი.

- იულია, ფული არ მინდა, ოღონდ წერილი... წერილი,

იულია!

და მართლაც, რა მძულდა მაშინ ის ერთი თუმანი, რა მძულდა იმის გამომგზავნი, მე მხოლოდ წერილი მინდოდა, ფული რომ არ ყოფილიყო, წერილს მომიტანდნენ სახლში. ოი, შე უღმერთო იულია, შე უღმერთო! ვინ გასძლებს ხვალამდე!

იულია კი იქცა ისევ ცელქ და უდარდელ იულიად, თვალები აუთამაშდა, სახე გაუწითლდა.

- როგორ ბრძანდები, კავკასიელო ბანდიტო?

- ოი, იულია, წაგწყმენდს ჩემი ცოდვა!

- წერილი მიიღე, ლევა? რა სწერია შიგ?

- საქმე არაფერი გაქვს, იულია? წადი სადმე.

- აქ მირჩევნია... ვიშ, რა გრილა ამ შენს ოთახში...

- ახ, შე “ჟიდოვკა, ჟიდოვკა”...

- “პატივცემულო ბ-ნო ლევან! წავიკითხე თქვენი ნაწარმოები და ძლიერ მოგვეწონა. ამ დღეებში დავბეჭდავთ და გაზეთს გამოგიგზავნით”... მოიცა, როგორ გაურჩევლად სწერენ ეს ოხრები... ჰო, მივხვდი, - “იმედია ამ ცოტაოდენ სასყიდელს, ერთ თუმანს მიიღებთ და”... და რაღაც კიდევ... “და შემდეგშიაც არ დაგვტოვებთ უყურადღებოდ. მოველით თქვენი კალმის ნაწარმოებს”... როგორ მოგწონს, ლევა, ეს წერილი?

- იულია!..

- იულია, იულია! იჯექი და იძახე. ხვალ მიიღებ ჰონორარს და წერილს. გაუმარჯოს ქართველ მწერალს.

დამებადა ერთი გიჟური აზრი - ავდგები, მოვხვევ ხელს ამ კუდიანს, წავართმევ უწყებას და წავალ ფოსტაში-მეთქი, მაგრამ როცა შევხედე იულიას გაბედულ და გამომწვევ სახეს, თვითონ გამიკვირდა ჩემი თავხედური ფიქრი. მიდი და მოჰკიდე ხელი აბა, თუ ვარგხარ!..

- ჰო, მართლა, ლევა, განჩინება სავსებით უნდა მოისმინო. როცა შენ მოიხდი სასჯელს და მიიღებ ხვალ წერილსა და ჰონორარს, ამ სასჯელის სამაგიეროდ მიიღებ კიდევ სხვა ჰონორარს მოთმინების დასაჯილდოებლად... ეხლა კი მშვიდობით, ლევა, მივდივარ...

და ის წამსვე გავარდა კარში, შევიდა ოთახში და დამიძახა:

- ხვალ თერთმეტ საათზე იცოდე, არ დაგავიწყდეს უწყების ფოსტაში წაღება, თან პასპორტიც წაიღე... ნახვამდის, ლევა, მივდივარ!..

კინაღამ დავუწყევლე გზა იულიას, კინაღამ...

- ინებეთ! - და მომცეს ხელში დიდი კონვერტი, ლუქით დამძიმებული და დაბეჭდილი. და მე ზედიზედ გადავიკითხე და კიდევ არ ვიცოდი, რაში იყო საქმე. - "დღეი და ღამე განუყრელო, ძვირფასო შვილო, ლევან. პირველათ შენ შვილობას და კარგათ ყოფნას ვთხოვ ჩვენ სალოცავ წმინდა გიორგის, რომ მტერის ჯინზე მენახო შინ მოსული, კარგათ მყოფი და დაწინაურებული. ამას გარდა, ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, ჩვენ ამბავს იკითხავ, ქე ვართ ღვთისა და თქვენი წყალობით კარქა, ჯერჯერობით გვიდგია სული. გითვლიან დიდ

მოკითხვას და ნახვის ნატვრას ყველა ნათესავები. პელაგიამ შენ მოსვლამდი არ გავთხოვდები, შენ უნდა წამყვე მაყრათო. ნიკოიამ გაათხოვა ფოსინე, კაი ბიჭს მისცა. შენ რომ ხფოი გიყვარდა, ჭერამეი, იგი ახლა უშველებელი მოზვერია, ორი ვერ დოუკავებს თავს. თუ ღმერთმა მოგვასწრო, შენ ქორწილზე დაგიკლავ. შენ არ შეწუხდე, შვილო ლევან, ჩვენ ყველა კარქა ვართ, ისწავლე და დაგვიტკბე სიბერე. გიგზავნი ამ ერთ თუმანს, მეტი ახლა ვერ ვიშოვნე და ჩქარა მიიღებ კიდომ, რავაც ხელს გევითფოფ. სხვა რაღა თავი შეგაწყინო, გწერს შენი მამა ვასილ კვალიაშვილი.

“ამ წერილის დამწერია პეტრე კვალიაშვილი. მე ახლა მიორე “ატდელენიაში” გადვიარე, მოგიკითხავ, ჩემო ძვირფასო ბიძია ლევან, და ღმერთს ვთხოვ შენს სიცოცხლეს. პეტრე კვალიაშვილი, ათანასის ძე. მაისის 3. 1899 წელს”.

ეს იყო ჩემი ჰონორარი და რედაქციის წერილი. და მრცხვენოდა, რომ არ მიამა ეს წერილი, მრცხვენოდა, მაგრამ რას გავაწყობდი. და როცა იულია დამხვდა კარებში, როცა ბრწყინვალე თვალებით შემხედა იმან, მე ვერ შევიმაგრე თავი და გაუთავებელი სიცილი ავტეხე:

- ხა, ხა, ხა! იულია, იულია, ხა, ხა, ხა!

და ყველაფერი ვუამბე, და როცა ვეუბნებოდი, ვუახლოვდებოდი იმას, ვუახლოვდებოდი და თითქოს შევჩიოდი, თითქოს დახმარებას ვგრძნობდი.

- მაშ არ არის არაფერი? არაფერი არის? აი, მხეცები!.. მაგრამ მით უმეტეს უნდა ავასრულო მე გუშინდელი დაპირება, მით უმეტეს... და უცებ მისი მკლავები შემომეხვია კისერზე, უცებ იულიას ტუჩები დავინახე

ახლო, სულ ახლო ჩემს ტუჩებთან და მომხვდა სახეზე მისი მხურვალე ამონასუნთქი.

- ეს იყო ჰონორარი, - მეუბნებოდა ის და მკოცნიდა, - ეს... ეს... და ეს ამ მოთხრობის... აი ასე. ეს... ეს... ეს და ესენი კი სხვების... აი, ასე, ასე, ასე... შე დათვო, შე ბანდიტო, შე ყაჩაღო, განა ქალმა უწინ უნდა გაკოცოს? მაკოცე, შე ყაჩაღო, შენ!.. რა სულელია, რა სულელია! მაკოცე!.. აი, ასე! აი, შე ყაჩაღო, შე ყაჩაღო!..

თურმე დიდიხანია მიტაცებდნენ მე ეს ტუჩები. და არ ვიცოდი კი. და ეხლა, რაკი გავიგე, იულიას ხომ არ ჩამოვრჩებოდი.

ამ სახით მივიღე მე ჰონორარი იმ მოთხრობისა, რომლის ბედ-იღბალი ვერ გავიგე ვერაოდეს. ავანსად მივიღე კიდევ მომავალი მოთხრობების ჰონორარიც.

და ეს ვალი დღემდის ვერ გავისტუმრე. რამდენიმეჯერ ჩემი ნაცოდვილევი დაიბეჭდა, მაგრამ ვიღაცამ გამამხილა რედაქტორ-გამომცემლებთან, ვიღაცამ უთხრა იმათ, რომ ერთხელ იულია სალავეიჩიკმა მომცა მე ამ მოთხრობების ფასი, წინდაწინ მომცა და რედაქტორ-გამომცემლები სწორედ ამიტომ არ იძლევიან ჰონორარს...

1912 წ.